

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სამოქალაქო-სამეწარმეო და სხვა კატეგორიის საქმეებზე

2011, №9

ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ე ბ ი თ ი

ს ა მ ა რ თ ა ლ ი

საძიებელი

1. შერეული ხელშეკრულებების განმარტება
2. ვალის არსებობის აღიარება
3. ვალდებულების შესრულება
 - ვალდებულების შესრულება მესამე პირის მიერ
 - ვალდებულების შესრულება ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას
4. ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი
5. მოვალის მიერ ვადის გადაცილება
6. ზიანის ანაზღაურება მიუღებელი შემოსავლისათვის
 - პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მოვალეობა (შეუძლებლობა)
 - ზიანის ანაზღაურება მიუღებელი შემოსავლისათვის
 - ზიანის ანაზღაურების მოვალეობა
7. პირგასამტეხლო
8. ვალდებულების შეწყვეტა შესრულებით
9. ნივთზე ფასის შემცირების მოთხოვნა ნაკლის გამოსასწორებლად
10. იჯარის ხელშეკრულების ბათილად ცნობა
11. სესხის ხელშეკრულება
12. ნარდობის ხელშეკრულება
13. საბანკო გარანტია
14. ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულება
 - ამხანაგობის მონაწილეთა საერთო საკუთრება
 - ბინის საკუთრებაში გადაცემა

1. შერეული ხელშეკრულებების განმარტება

განჩინება

1ას-1244-1503-09

10 ივნისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე),
თ. თოდრია (მომხსენებელი),
მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: პირგასამტეხლოს გადახდევინება

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ სარჩელით მიმართა სასამართლოს შპს «...-ის» მიმართ, ხელშეკრულების შესრულების ვადის გადაცილების გამო, პირგასამტეხლოს დაკისრების მოთხოვნით.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ 2007 წლის 19 დეკემბერს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და შპს «...-ს» შორის გაფორმდა 1878 ხელშეკრულება მანქანების, კონტეინერებისა და მისაბმელების «X-დAY» კონტროლის მობილური მიწოდების თაობაზე. შემსყიდველმა აიღო ვალდებულება, აენაზღაურებინა შპს «...-სათვის» ხელშეკრულებით გათვალისწინებული 2 289 150 ლარი. ხელშეკრულებით განისაზღვრა მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო, კერძოდ, ხელშეკრულების 16.1 მუხლი ითვალისწინებდა შემსყიდველის უფლებამოსილებას საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებლისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე საქონლის ღირებულების 0.1% საურავის დაკისრების თაობაზე. თავის მხრივ, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო თანხის გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში ვალდებული იყო, გადაეხადა ვადაგადაცილებული თანხის 0,1% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. მოსარჩელემ მიუთითა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ თავისი ვალდებულება შეასრულა ჯეროვნად, ხოლო შპს «...-მა» გადააცილა საქონლის მიწოდების ვადებს, რის გამოც იგი ვალდებულია, გადაიხადოს 16.1 პუნქტით გათვალისწინებული საურავი 22 891. 50 ლარი. შპს «...» საურავის გადახდაზე უარს აცხადებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა შპს «...-ს» დაეკისროს საქონლის მიწოდების ვადის გადაცილებისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს 22 891. 50 ლარის გადახდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 25 თებერვლის განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

სააპელაციო პალატამ დადგინდა ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 2007 წლის 19 დეკემბერს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და შპს «...-ს» შორის გაფორმდა 1878 ხელშეკრულება მანქანების, კონტეინერებისა და მისაბმელების «X-დAY» კონტროლის მობილური მიწოდების თაობაზე. ხელშეკრულების თანახმად, შპს «...-მა» იკისრა ვალდებულება, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის საავანსო თანხის გადარიცხვიდან 25 კალენდარულ დღეში მიეწოდებინა მანქანების, კონტეინერებისა და მისაბმელის «X-დAY» რენტგენული კონტროლის მობილური სისტემა. ამავე ხელშეკრულებით 16.1 პუნქტით განისაზღვრა საქონლის მიმწოდებლის ვალდებულება, საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში, გადაეხადა საურავი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე საქონლის ღირებულების 0,1%-ის ოდენობით. 2008 წლის 21 დეკემბერს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ გადაიხადა საავანსო თანხა. შპს «...-ის» მიერ საავანსო თანხის გადახდიდან 25 კალენდარულ დღეში – 2008 წლის 15 იანვრისთვის, უნდა მომხდარიყო საქონლის მიწოდება. 2008 წლის 26 იანვარს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და შპს «...-ს» შორის გაფორმდა შუალედური მიღება-ჩაბარების აქტი, რომლითაც შპს «...-მა» 2008 წლის 26 იანვარს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს გადასცა მანქანების, კონტეინერებისა და მისაბმელების «X-დAY» რენტგენული კონტროლის მობილური სისტემა. 2008 წლის 15 თებერვალს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და შპს «...-ს» შორის გაფორმდა საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი, რომლითაც 15 თებერვალს ქ.ფოთში მიმწოდებელმა დაამთავრა მანქანების, კონტეინერებისა და მისაბმელების რენტგენული კონტროლის მობილური სისტემის ინსტალაცია, მონტაჟი და მუშაობის ტრენინგი. შპს «...-მა» საქონლის დაგვიანებით მიწოდებისათვის 2008 წლის 18 თებერვალს სახელმწიფო ბიუჯეტს გადაუხადა პირგასამტეხლო – 25 180,65 ლარი.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ 2007 წლის 19 დეკემბრის ხელშეკრულება წარმოადგენს შერეულ ხელშეკრულებას. ხელშეკრულების ფასი მოი-

ცავდა არა მარტო საქონლის ღირებულებას, არამედ – შპს „...-ის» ყველა ხარჯს – საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ გადასახადებს, საქონლის დანიშნულების ადგილამდე მიწოდებას, ჩატვირთვას, გადმოტვირთვას, ტრანსპორტირებას, ინფლაციას, მონტაჟს სწავლებასა და შემსყიდველის საკუთრებაში გადაცემას. ხელშეკრულების **12.3** პუნქტით ერთმანეთისაგან გამიჯნულია, ერთი მხრივ, მიწოდება და საკუთრებაში გადაცემა და, მეორე მხრივ, ინსტალაცია, მონტაჟი და სწავლება. ამასთან, ხელშეკრულებით (ხელშეკრულების **14.2** პუნქტით) განისაზღვრა საქონლის მიწოდების ვადა (საავანსო თანხის გადარიცხვიდან **25** კალენდარული დღე) და ამ ვადის გადაცილებისათვის საურავი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე **0,1%** (ხელშეკრულების **6.1** პუნქტი), ხოლო საქონლის ინსტალაციის, მონტაჟისა და სწავლებისათვის მხარეები ვადაზე, შესაბამისად, ვადის გადაცილებისათვის რაიმე პასუხისმგებლობაზე არ შეთანხმებულან. სამართლებრივ საფუძვლად სააპელაციო პალატამ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის **365-ე** მუხლზე.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, ვინაიდან მხარეები **1878** ხელშეკრულებით ინსტალაციის, მონტაჟის, ტრანსპორტირებისა და სწავლების ვადაზე არ შეთანხმებულან, ზემოაღნიშნული ვალდებულებების დაგვიანებით შესრულების გამო, პირგასამტეხლოს დაკისრების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

აღნიშნულ განჩინებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ. კასატორის მითითებით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ვერ გაიზიარებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მსჯელობას და მიაჩნია, რომ ხელშეკრულება უნდა განიმარტოს არა მისი სიტყვასიტყვითი მნიშვნელობით, არამედ, არსობრივად. ხელშეკრულების თანახმად, მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება, მიეწოდებინა შემსყიდველისათვის ხელშეკრულების **11** და **12** დანართებში აღნიშნული საქონელი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. საქონლის დასახელება, ტექნიკური პარამეტრები, ძირითადი მაჩვენებლები, აგრეთვე, რაოდენობა და ერთეულის ფასი მოყვანილია **11** და **12** დანართებში. პირველი დანართის **25-ე** პუნქტის მიხედვით, ხელშეკრულების საგნის, ანუ საქონლის ტექნიკური მახასიათებელია „დაყენება და ოპერატორის სტანდარტული ტრენინგი კლიენტის ადგილზე (მაქს.6 სტუდენტი)». აქედან გამომდინარე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ, **2007** წლის **19** დეკემბრის **1878** ხელშეკრულებით შესყიდული ხელშეკრულების საგანი უნაკლო ვერ იქნებოდა ინსტალაციის, სტაჟისა და სწავლებისაგან დამოუკიდებლად. აღნიშნული ვალდებულებები ხელშეკრულების საგნის შემადგენელი ნაწილი იყო და საქართველოს ფინანსთა სამინისტრო მანქანების, კონტეინერის და მისაბმელების «X-ღAY» კონტროლის მობილურ სისტემას ვერ გამოიყენებდა მისი მონტაჟისა და ჩასატარებელი ტრენინგების გარეშე. აქედან გამომდინარე, უსაფუძვლოა სასამართლოს მითითება იმ გარემოებაზე, რომ ხელშეკრულებით განსაზღვრული არ ყოფილა საქონლის ინსტალაციის, მონტაჟისა და სწავლების ვადები. საქონლის მიწოდება, ინსტალაცია, მონტაჟი და სწავლება უნდა განხორციელებულიყო ხელშეკრულებით დადგენილ საერთო ვადაში. ამასთან, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო არ ეთანხმება იმ არგუმენტს, რომ საქონლის ინსტალაციის, მონტაჟისა და სწავლებისათვის დამატებით საჭირო იყო ვადის განსაზღვრა, რადგან მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების შესაბამისად, საქონლის გადაცემაში მოიაზრებოდა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულება, მათ შორის საქონლის ინსტალაცია, მონტაჟი და სწავლება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, გაეცნო საკასაციო საჩივარს და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის **2009** წლის **25** თებერვლის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე პალატას შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ **2007** წლის **19** დეკემბერს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და შპს «...-ს» შორის გაფორმდა **1878** ხელშეკრულება მანქანების, კონტეინერებისა და მისაბმელების «X-ღAY» კონტროლის მობილური მიწოდების თაობაზე. ხელშეკრულების თანახმად, შპს «...-მა» იკისრა ვალდებულება, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის საავანსო თანხის გადარიცხვიდან **25** კალენდარულ დღეში მიეწოდებინა მანქანების, კონტეინერებისა და მისაბმელის «X-ღAY» რენტგენული კონტროლის მობილური სისტემა.

სააპელაციო სასამართლოს მიერ ასევე დადგენილია, რომ **2008** წლის **21** დეკემბერს ფინანსთა სამინისტრომ საავანსო თანხა გადაიხადა. **2008** წლის **26** იანვარს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და შპს «...-ს» შორის გაფორმდა შუალედური მიღება-ჩაბარების აქტი, რომლითაც შპს «...-მა» **2008** წლის **26** იანვარს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს გადასცა მანქანების, კონტეინერებისა და მისაბმელის «X-ღAY» რენტგენული კონტროლის მობილური სისტემა.

2008 წლის **15** თებერვალს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და შპს «...-ს» შორის გაფორმდა საბოლოო შუალედური მიღება-ჩაბარების აქტი, რომლითაც სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ **15** თებერვალს ქ. ფოთში მიმწოდებელმა დაამთავრა მანქანების, კონტეინერებისა და მისაბმელის «X-ღAY» რენტგენული კონტროლის მობილური სისტემის ინსტალაცია, მონტაჟი და მებაყვების ტრენინგი.

სააპელაციო სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ შპს «...-მა» საქონლის დაგვიანებით მიწოდებისათვის 2008 წლის 18 თებერვალს სახელმწიფო ბიუჯეტს გადაუხადა პირგასამტეხლო – 25180,65 ლარი.

სააპელაციო სასამართლომ მიერ ასევე დადგენილია, რომ განსახილველი ხელშეკრულების ფასი მოიცავს არა მარტო საქონლის ღირებულებას, არამედ შპს «...-ის» ყველა ხარჯს – საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ გადასახადებს, საქონლის დანიშნულების ადგილამდე მიწოდებას, ჩატვირთვას, გადმოტვირთვას, ტრანსპორტირებას, ინსტალაციას, მონტაჟს, სწავლებასა და შემსყიდველის საკუთრებაში გადაცემას. კასატორი არ დავობს ზემოაღნიშნულ ფაქტებზე. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად მიიჩნია აღნიშნული ხელშეკრულება შერეული ტიპის ხელშეკრულებად. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ განმარტა ხელშეკრულების 14.2 და 16.1 პუნქტები და მიიჩნია, რომ მხარეთა მიერ განსაზღვრული იყო საქონლის მიწოდების ვადა და ამ ვადის გადაცილებისათვის პირგასამტეხლო 0,1%, ხოლო საქონლის ინსტალაციის, მონტაჟისა და სწავლებისათვის მხარეები ვადაზე, შესაბამისად, ვადის გადაცილებისათვის რაიმე პასუხისმგებლობაზე არ შეთანხმებულან.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში სადავოს წარმოადგენს საკითხი იმის შესახებ, იგულისხმება თუ არა საქონლის მიწოდებაში ასევე მისი ინსტალაცია, მონტაჟი და სწავლება. ხელშეკრულების 16.1. პუნქტით მხარეებმა გაითვალისწინეს პირგასამტეხლო, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალება, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლის თანახმად, პირგასამტეხლო – მხარეთა შეთანხმების განსაზღვრული თანხა მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის.

სააპელაციო სასამართლომ ისე განმარტა ხელშეკრულების 16.1. პუნქტი, როგორც საქონლის მიწოდების ვადის დარღვევისათვის პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულება, რომ არ შეაფასა ხელშეკრულებით კრედიტორის (საქართველოს ფინანსთა სამინისტრო) მოთხოვნის უფლება, რომლის უზრუნველსაყოფადაც იყო გამოყენებული პირგასამტეხლოს ინსტიტუტი. ისმის კითხვა – რომელი მოთხოვნის უფლების შესრულების ვალდებულება ეკისრებოდა მოვალეს, რომლის შეუსრულებლობაზე ან არაჯეროვან შესრულებაზე მას დაეკისრებოდა პირგასამტეხლო?

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 340-ე მუხლის თანახმად, შერეული ხელშეკრულებების განმარტებისას მხედველობაში მიიღება ნორმები იმ ხელშეკრულებათა შესახებ, რომლებიც შესრულების არსთან ყველაზე ახლოს დგას და მას შეესაბამება.

უპირველეს ყოვლისა, უნდა შეფასდეს განსახილველი ხელშეკრულების, როგორც შერეული ტიპის ხელშეკრულების მნიშვნელობა. აღნიშნული ხელშეკრულების ანალიზი გვაძლევს შესაძლებლობას, დავასკვნათ, რომ იგი მოიცავს ნასყიდობის, გადაზიდვის და ნარდობის ხელშეკრულების ელემენტებს.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ხელშეკრულების ცალკეული ელემენტების განმარტებისათვის აუცილებელია მთელი ხელშეკრულების შინაარსი იქნეს გააზრებული, დადგინდეს მხარეთა ნება, თუ რა მიზნის მიღწევა სურდათ ამ ხელშეკრულებით, რა იურიდიულ და ეკონომიკურ ინტერესს გულისხმობდნენ მხარეები ვალდებულების შესრულებაში და კონკრეტულ შემთხვევაში რომელი ვალდებულების შეუსრულებლობაზე დავობენ მხარეები. განსახილველი ნორმის თანახმად, მოცემულია შერეული ხელშეკრულების განმარტების წესი, რომლის მიხედვით, მხედველობაში მიიღება ნორმები იმ ხელშეკრულებათა შესახებ, რომლებიც შესრულების არსთან ყველაზე ახლოს დგანან და მას შეესაბამებიან (მაგალითად, ნივთი დაზიანდა გადაზიდვის დროს ან არასწორად იქნა დამონტაჟებული, ან მიმწოდებელმა არ განახორციელა ხარისხიანი სწავლება, ან მთლიანად არ შეასრულა ვალდებულება). ეს ნიშნავს იმას, რომ ვალდებულების შესრულების არსი ერთ შემთხვევაში შეიძლება ეხებოდეს შერეული ხელშეკრულების ერთ-ერთ ან რამოდენიმე ელემენტს, ხოლო სხვა შემთხვევაში – მთლიანობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებული საბოლოო მიზნის მისაღწევად მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულებას, მაგრამ, ამასთან ერთად, მნიშვნელოვანია ისიც, რომ შერეული ხელშეკრულებით მხარეები ითვალისწინებენ ერთი საერთო მიზნის მიღწევას და ამ ხელშეკრულებაში შემავალი ხელშეკრულებები შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც შერეული ხელშეკრულების ელემენტები. ამდენად, შერეული ხელშეკრულების სტრუქტურის გათვალისწინებით ის წარმოადგენს ისეთ ხელშეკრულებას, რომელშიც მოცემულია სხვადასხვა ხელშეკრულებების სხვადასხვა პირობები, მაგრამ ეს პირობები წარმოადგენენ ერთი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილებს.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მნიშვნელოვანია, გამოვყოთ ორი გარემოება, რომელიც ყურადსაღებია შერეული ხელშეკრულებების განმარტებისას. პირველი – ცალკე საზღაურის, რომელიც გათვალისწინებულია აღნიშნული სისტემის მიწოდებისათვის და ასევე მისი ინსტალაცია, მონტაჟისა და სწავლებისათვის. მეორე გარემოება გამოიხატება იმის გარკვევაში, თუ რომელი ხელშეკრულების წესები დგას ყველაზე ახლოს შესრულების არსთან. კონკრეტულ შემთხვევაში შესრულებაში უნდა ვიგულისხმოთ ვალდებულება, რომლის ძალით მოვალემ (შპს «...-მა») კრედიტორს (საქართველოს ფინანსთა სამინისტროს) უნდა მიაწოდოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი. კონკრეტულ შემთხვევაში უნდა გაირკვეს «მიწოდების», როგორც ვალდებულების შესრულების, არსი, რაც წარმოადგენს იმის წინაპირობას, რომ გავერკვეთ, თუ რომელი ვალდებულების დარღვევისათვის გაითვალისწინეს მხარეებმა პირგასამტეხლო.

საკასაციო საჩივრის ანალიზის შედეგად შესაძლებელია დავასკვნათ, რომ კასატორი უთითებს იმაზე, რომ, ამ ხელშეკრულების თანახმად, საქონლის გადაცემაში იგულისხმებოდა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულება, მათ შორის, საქონლის ინსტალაცია, მონტაჟი და სწავლება. აქედან გამომდინარე, კასატორი აღნიშნავს, რომ შპს «...-ის» მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებისათვის, მას საავანსო თანხის გადახდიდან 25 კალენდარულ დღეში – 2008 წლის 15 იანვარს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის ქ. ფოთის პორტში უნდა მიეწოდებინა საქონელი. ამასთან, უნდა დაესრულებინა საქონლის ინსტალაცია, მონტაჟი და სწავლება.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს, ხელშეკრულების მთლიანი კონტექსტიდან გამომდინარე, უნდა გაერკვია იმ ვალდებულების შინაარსი, რომლის შეუსრულებლობისათვის მხარეებმა გაითვალისწინეს პირგასამტეხლოს გადახდა. ამ შემთხვევაში მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის, თუ რა მიზანს ისახავდნენ მხარეები ამ ხელშეკრულებით და შესაძლებელი იყო თუ არა ამ მიზნის მიღწევა ამ ხელშეკრულებაში მოცემული ცალკეული ელემენტების შესრულებით, მაგალითად, საქონლის ადგილამდე მიტანით.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს ხელშეკრულების 11.1 პუნქტზე, რომლის თანახმად მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულების 11 და 12 დანართებში აღნიშნული საქონელი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. ხელშეკრულების 11 დანართის 25 პუნქტი მოიცავს მობილური სკანირების სისტემის დაყენებასა და ოპერატორის სტანდარტულ ტრენინგს კლიენტის ადგილზე.

აღნიშნულის გათვალისწინებით სააპელაციო სასამართლომ უნდა შეაფასოს საქმეში არსებული ხელშეკრულება, მასზე დართული დანართები სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში და დაადგინოს, იგულისხმება თუ არა მიწოდებაში (შესრულებაში) ვალდებულება, რომელიც მოიცავდა ასევე საქონლის ინსტალაციას, მონტაჟსა და სწავლებას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლის თანახმად, ნების გამოვლენის განმარტებისას ნება უნდა დადგინდეს გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტო – გამოთქმის სიტყვასიტყვითი აზრიდან. აქედან გამომდინარე, გასათვალისწინებელია ტერმინ «მიწოდებაში» მხარეები ხომ არ გულისხმობდნენ, ერთ შემთხვევაში, საქონლის დანიშნულების ადგილამდე მიტანას, ხოლო, მეორე შემთხვევაში – საქონელზე საკუთრების უფლების გადაცემას იმ მდგომარეობით, რომელიც ითვალისწინებდა როგორც მიწოდებას (მიტანას), ასევე ინსტალაციას, მონტაჟსა და სწავლებას, მაგალითად ხელშეკრულების 12.3. პუნქტი ითვალისწინებს, ხელშეკრულების ფასს, რომელიც მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯს, მათ შორის, საქონლის დანიშნულების ადგილამდე მიწოდებასაც. შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ამ შემთხვევაში საქონლის «მიწოდებაში» მხარეები გულისხმობენ საქონლის ადგილამდე მიტანას. მაგრამ, როგორც უკვე აღნიშნა, გასარკვევია, თუ რა იგულისხმება ამავე ხელშეკრულების 11.1 პუნქტში. ამდენად, მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ რა ეკონომიკურ ინტერესს ითვალისწინებდნენ მხარეები ტერმინ «მიწოდებაში», რომელიც, ერთ შემთხვევაში, შეიძლება გვევლინებოდეს როგორც შერეული ხელშეკრულების ერთ-ერთი ელემენტი, ხოლო სხვა შემთხვევაში – ვალდებულების შესრულების ის ხარისხი, რომელიც ითვალისწინებდა ასევე სისტემის ინსტალაციას, მონტაჟსა და სწავლებას. იმ ვალდებულების შინაარსის დადგენის შემდეგ, რაც იგულისხმება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ტერმინ «მიწოდებაში», სააპელაციო სასამართლომ სამართლებრივად სწორად უნდა შეაფასოს ამავე ხელშეკრულების 16.1 პუნქტით მოცემული ურთიერთობა, რომლის თანახმად შემსყიდველი უფლებამოსილია, საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში დააკისროს მიმწოდებელს საურავი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე საქონლის ღირებულების 0,1%-ის ოდენობით. მხოლოდ ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მოთხოვნის საფუძვლიანობისა და დასაკისრებელი თანხის ოდენობის განსაზღვრა, რა დროსაც უნდა იქნეს გათვალისწინებული შპს «...-ის» მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილი პირგასამტეხლო 25 180,65 ლარის ოდენობით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 25 თებერვლის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას; განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

2. ვალის არსებობის აღიარება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

1ას-599-562-2010

1 დეკემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. სულხანიშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 6 ივნისს შპს «ს. ფ-ის» გენერალურმა დირექტორმა თბილისის საქალაქო სასამართლოს საქართველოს პარლამენტის მიმართ სასარჩელო განცხადებით მიმართა და მოპასუხისათვის 23 425 ლარის დაკისრება მოითხოვა.

მოსარჩელის განმარტებით, შპს «ს. ფ-ა» საქართველოს პარლამენტს საფოსტო მომსახურებას უწევდა. მიუხედავად იმისა, რომ მოპასუხე მომსახურების საფასურს იხდიდა, მას დავალიანება მაინც დაუგროვდა, რომელმაც 2007 წლის 28 თებერვლის მდგომარეობით 23 425 ლარი შეადგინა. დავალიანების არსებობა დადასტურებულია მხარეებს შორის შემდგარი, 2007 წლის 28 თებერვლისა და იმავე წლის 5 სექტემბრის ურთერთანგარიშსწორების ბუღალტრული შედარების აქტებით. 2007 წლის 20 მარტს მოსარჩელემ საქართველოს პარლამენტს დავალიანების დაფარვის მოთხოვნით მიმართა, რასაც მოპასუხეც დაეთანხმა და მათ შორის ურთერთშედარების აქტები შედგა, რომელთა მეშვეობითაც აღიარებულია დავალიანების არსებობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილებით შპს «ს. ფ-ის» სარჩელი დაკმყოფილდა – საქართველოს პარლამენტს მოსარჩელის სასარგებლოდ 23425 ლარისა და 60 თეთრის გადახდა დაეკისრა.

აღნიშნული გადაწყვეტილება საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლებმა სააპელაციო წესით გაასაჩივრეს და მისი გაუქმება მოითხოვეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 7 დეკემბრის განჩინებით საქართველოს პარლამენტის სააპელაციო საჩივარი არ დაკმყოფილდა და პირველი ინსტანციის სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები მიიჩნია:

1. შპს «ს. ფ-სა» და საქართველოს პარლამენტს შორის არსებობს ზეპირი ხელშეკრულება საფოსტო მომსახურების შესახებ;

2. ხელშეკრულებიდან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტს მოსარჩელის მიმართ 23 425,60 ლარის დავალიანება გააჩნია, რომელიც 1999 წლიდან 2005 წლის ჩათვლით გადაუხდელობა მოიცავს. 1999 წლის დავალიანება შეადგენს 5867, 34 ლარს, 2000 წლის – 133,26 ლარს, 2001 წლის – 3577,68 ლარს, 2002 წლის – 5570, 75 ლარს, 2003 წლის – 2004,74 ლარს, 2004 წლის – 4111,20 ლარს და 2005 წლის- 2160, 41 ლარს;

3. შპს «ს. ფ-ს» შესრულებული აქვს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები;

4. საქმეში წარმოდგენილია საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსის გ. მ-კოს 2007 წლის 28 მარტის 14802/3-1/552 წერილი, რომლის მიხედვითაც აპარატის უფროსი «თ. ფ-ის» 2007 წლის 20 მარტის 107-110 წერილის პასუხად ადრესატს აცნობებს, რომ საქართველოს პარლამენტის აპარატმა, საქართველოს მთავრობის გასული წლის 21 ივნისის 1281 განკარგულების მოთხოვნით, ფინანსთა სამინისტროს დროულად წარუდგინა რეგისტრირებული კრედიტორების სია (მათ შორის – «თ. ფ-ის» დავალიანება – 23425.60 ლარი). საქართველოს ფინანსთა სამინისტროსადმი არაერთგზის თხოვნის მიუხედავად, დღემდე შესაბამისი ასიგნებები გამოყოფილი არ არის. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წერილის თანახმად, «თ. ფ-ის» მიმართ რიცხული დავალიანების დაფარვა განხორციელდება საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების შესაბამისად;

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ მოცემულ საქმესთან დაკავშირებით სადავო მხოლოდ სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის საკითხი იყო. ვინაიდან ვალდებულების წარმოშობის საფუძველი მხარეთა შორის არსებული საფოსტო მომსახურების შესახებ ზეპირი ხელშეკრულება იყო, შესაბამისად, სადავო სამართლებრივი ურთიერთობის მიმართ სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა უნდა გავრცელებულიყო. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აპარატის უფროსის ზემომითითებული წერილი ვალის აღიარების ხელშეკრულებას წარმოადგენდა, შესაბამისად ხანდაზმულობის ვადის ათვლა 2007 წლის 28 მარტს თავიდან დაიწყო, სარჩელი კი 2008 წლის ივნის-

ში აღიძრა. რაც შეეხება იმ გარემოებას, იყო თუ არა აპარატის უფროსი უფლებამოსილი, პარლამენტის სახელით ვალდებულება ეღიარებინა, სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 254-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების შესაბამისად, პარლამენტის საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფის მიზნით იქმნება პარლამენტის აპარატი, რომლის სტრუქტურა, ფუნქციები და მუშაობის წესი განისაზღვრება ამ რეგლამენტით და მის შესაბამისად აპარატის დებულებით. პარლამენტის აპარატის ფუნქციაა პარლამენტის ბიუროს, პარლამენტის თავმჯდომარისა და მისი მოადგილეების, პარლამენტის წევრების, კომიტეტების, ფრაქციების უმრავლესობისა და უმცირესობის, საგამომიები და სხვა დროებითი კომისიების საქმიანობის ორგანიზაციული, იურიდიული, დოკუმენტური, საინფორმაციო, საფინანსო, მატერიალურ-ტექნიკური და სოციალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურება. 256-ე მუხლის 1-ელი ნაწილის შესაბამისად, პარლამენტის აპარატს ხელმძღვანელობს პარლამენტის აპარატის უფროსი. ზემოაღნიშნული ნორმის შესაბამისად, ვინაიდან პარლამენტის აპარატის ფუნქციას პარლამენტის ბიუროს საქმიანობის ორგანიზაციული, იურიდიული, საფინანსო და მატერიალურ-ტექნიკური მომსახურება წარმოადგენს, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, პარლამენტის აპარატის უფროსს, როგორც პარლამენტის აპარატის ხელმძღვანელს, კანონით დელეგირებული ჰქონდა პარლამენტის სახელით ვალდებულების აღიარების უფლებამოსილება.

სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული განჩინება საქართველოს პარლამენტმა საკასაციო წესით გაასაჩივრა, მისი გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება მოითხოვა. კასატორის მტკიცებით, სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ კი სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლი და არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ შპს «ს. ფ-ის» სასარჩელო მოთხოვნა 1999 წელსაა წარმომოხილი სარჩელი კი 2008 წლის ივნისშია აღძრული. გარდა ამისა, სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 144-ე მუხლი. აღნიშნული ნორმა უშუალოდ ვალდებულების შესრულებას შეეხება, რაც მოპასუხეს არ განუხორციელებია. სასამართლომ კი აპარატის უფროსის წერილი ვალის აღიარებად არასწორად მიიჩნია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიიჩნია, რომ საქართველოს პარლამენტის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგინებულ შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები მიიჩნია:

1. შპს «ს. ფ-სა» და საქართველოს პარლამენტს შორის არსებობს ზეპირი ხელშეკრულება საფოსტო მომსახურების შესახებ;

2. ხელშეკრულებიდან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტს მოსარჩელის მიმართ 23 425,60 ლარის ოდენობის დავალიანება გააჩნია, რომელიც 1999 წლიდან 2005 წლის ჩათვლით გადაუხდელ თანხებს მოიცავს. 1999 წლის დავალიანება შეადგენს 5867, 34 ლარს, 2000 წლის – 133,26 ლარს, 2001 წლის – 3577,68 ლარს, 2002 წლის-5570, 75 ლარს, 2003 წლის – 2004,74 ლარს, 2004 წლის – 4111,20 ლარს და 2005 წლის – 2160, 41 ლარს;

3. შპს «ს. ფ-ს» შესრულებული აქვს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები;

4. საქმეში წარმოდგენილია საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსის გ. მ-კოს 2007 წლის 28 მარტის 14802/3-1/552 წერილი, რომლის მიხედვითაც აპარატის უფროსი «თ. ფ-ის» 2007 წლის 20 მარტის 107-110 წერილის პასუხად ადრესატს აცნობებს, რომ საქართველოს პარლამენტის აპარატმა, საქართველოს მთავრობის გასული წლის 21 ივნისის 1281 განკარგულების მოთხოვნით, ფინანსთა სამინისტროს დროულად წარუდგინა რეგისტრირებული კრედიტორების სია (მათ შორის «თ. ფ-ის» დავალიანება – 23425.60 ლარი). საქართველოს ფინანსთა სამინისტროსადმი არაერთგზის თხოვნის მიუხედავად, დღემდე შესაბამისი ასიგნებები გამოყოფილი არ არის. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წერილის თანახმად, «თ. ფ-ის» მიმართ რიცხული დავალიანების დაფარვა განხორციელდება საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების შესაბამისად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). კასატორს ამგვარი პრეტენზია არ წარმოუდგენია. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგინებულად ცნობილი ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები საკასაციო სასამართლოსათვის სავალდებულოა.

საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მტკიცებას, რომ პარლამენტის აპარატის უფროსის 2007 წლის 28 მარტის წერილი ვალის აღიარების ხელშეკრულებაა.

სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლის 1-ელი ნაწილის მიხედვით, იმ ხელშეკრულების ნამდვილობისათვის, რომლითაც აღიარებულ იქნა ვალდებულებითი ურთიერთობის არსებობა (ვალის არსებობის აღიარება), აუცილებელია წერილობითი აღიარება. თუ სხვა ფორმისა გათვალისწინებული იმ ვალდებულებითი ურთიერთობის წარმომოხილათვის, რომლის არსებობაც აღიარებულ იქნა, მაშინ აღიარებაც მოითხოვს ამ ფორმას.

აღნიშნული ნორმით გათვალისწინებული ვალის არსებობის აღიარება ძირითადი ვალდებულებითი ურთიერთობისაგან დამოუკიდებლად ქმნის ახალ მოთხოვნას. მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი ვალდებულებითი ურთიერთობის არსებობა შეიძლება სადავოც კი იყოს, ვალის არსებობის აღიარება მაინც წარმოშობს შესრულების ვალდებულებას, ხოლო კრედიტორს ანიჭებს მოთხოვნის უფლებას. ამასთან, სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლის შესაბამისად, გათვალისწინებული ვალის აღიარება იმით განსხვავდება ნებისმიერი სხვა ფორმით გათვალისწინებული მოთხოვნის აღიარებისაგან, რომ იგი ახალი ხელშეკრულებაა და არა სხვა სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში ნების გამოვლენა. საქართველოს უზენაეს სასამართლოს არაერთგზის აქვს განმარტებული, რომ ვალის აღიარება ახალი ხელშეკრულებაა. ამდენად, ხელშეკრულების ნამდვილობისათვის დაგდენილ ყველა პირობას უნდა აკმაყოფილებდეს, პირველ რიგში კი სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის მოთხოვნებს, ანუ მხარეები უნდა შეთანხმდნენ ყველა არსებით პირობაზე. ნებისმიერი დოკუმენტი, ან მხარეებს შორის განხორციელებული მიმოწერა, სადაც დავალიანების არსებობაა დაფიქსირებული, ვალის აღიარების ხელშეკრულებად ვერ ჩაითვლება, თუ არ ირკვევა, რომ მხარეები შეთანხმდნენ ყველა არსებით პირობაზე (ვალის დაფარვის წესი, ვადა და ა.შ.).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ პარლამენტის აპარატის უფროსის 2007 წლის 28 მარტის წერილი ვალის აღიარების ხელშეკრულება არაა, რადგანაც მისი შინაარსიდან არ ირკვევა, რომ მხარეები თუნდაც რომელიმე პირობაზე შეთანხმდნენ. გარდა ამისა, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნული წერილი სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნის სხვა ფორმით აღიარების პირობებსაც არ აკმაყოფილებს.

სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლის მიხედვით ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ ვალდებული პირი უფლებამოსილი პირის წინაშე ავანსის, პროცენტის გადახდით, გარანტიის მიცემით ან სხვაგვარად აღიარებს მოთხოვნის არსებობას.

აღნიშნული ნორმით გათვალისწინებული მოთხოვნის «სხვაგვარ აღიარებად» მხოლოდ მოვალის ერთმნიშვნელოვანი და ნათლად გამოვლენილი ნება ჩაითვლება, რომლის საფუძველზეც იგი პირდაპირ აღიარებს დავალიანების არსებობას. ნებისმიერი ეჭვი ან უზუსტობა მოვალის სასარგებლოდ უნდა იქნეს განმარტებული. განსახილველ შემთხვევაში, სადავო წერილში პირდაპირ არსადაა მითითებული, რომ პარლამენტი მოსარჩელის მოთხოვნას აღიარებს და აღნიშნული მოთხოვნის შესრულებას თავის ვალდებულებად მიიჩნევს. წერილის შინაარსი (იხ. ზემოთ, პუნქტი მე-4), სხვადასხვაგვარად შეიძლება იქნეს გაგებული, მათ შორის იმგვარადაც, რომ პარლამენტი შპს «ს. ფ-ის» პრეტენზიას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს უმისამართებს. იმის გათვალისწინებით, რომ მხარის მიერ გამოვლენილი ნება ბუნდოვანია, ზემომითითებული წერილი მოთხოვნის აღიარებად ვერ ჩაითვლება.

ვინაიდან აღნიშნული წერილი თავისი შინაარსით საერთოდ არ არის ვალის აღიარება, იმ საკითხის გარკვევას, იყო თუ არა პარლამენტის აპარატის უფროსი უფლებამოსილი პარლამენტის სახელით დავალიანების არსებობა ეღიარებინა, დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობა აღარ აქვს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 137-ე და 341-ე მუხლები, აღნიშნული კი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის «გ» ქვეპუნქტის მიხედვით, გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია.

იმავე კოდექსის 411-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში დაბრუნების საფუძველები.

იმის გათვალისწინებით, რომ საქმის ფაქტობრივი გარემოებები სწორადაა დადგენილი და არ არსებობს მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევის აუცილებლობა, საკასაციო პალატა უფლებამოსილია თავად მიიღოს გადაწყვეტილება.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ვინაიდან საქმეში წარმოდგენილი 2007 წლის 28 მარტის წერილი ვალის აღიარებას არ წარმოადგენს, შპს «ს. ფ-ის» მოთხოვნის მიმართ სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის დენა შეწყვეტილი არ ყოფილა. ამასთან, საქართველოს პარლამენტის დავალიანება პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას განეკუთვნებოდა, კერძოდ, ყოველი წლისათვის გაწეული მომსახურებისათვის საფასური ცალკე უნდა ყოფილიყო გადახდილი. სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც წარმოიშობა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებიდან, სამი წელია. იმავე კოდექსის 130-ე მუხლის მიხედვით, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.

პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებების დარღვევიდან გამომდინარე მოთხოვნის მიმართ ხანდაზმულობის ვადის ათვლის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ თანხის გადახდის თითოეული პერიოდისათვის ვალდებულების შეუსრულებლობა ცალ-ცალკე განიხილება როგორც პირის უფლების დარღვევა და ხანდაზმულობის ვადის ათვლა თავიდან იწყება. აღნიშნულის გათვალისწინებით, შპს «ს. ფ-ის» მხოლოდ სარჩელის აღძვრამდე სამი წლით ადრე წარმოშობილი დავალიანება შეიძლება აუნაზღაურ-

დეს. ვინაიდან სარჩელი 2008 წელსაა აღძრული, საქართველოს პარლამენტს მხოლოდ 2005 წლის დავალიანების - 2160, 41 ლარის გადახდა უნდა დაეკისროს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

იმავ კოდექსის 53-ე მუხლის 1-ელი ნაწილის მიხედვით იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული.

მოცემულ შემთხვევაში შპს «ს. ფ-ას» პირველი ინსტანციის სასამართლოში გადახდილი აქვს სახელმწიფო ბაჟი – 702,75 ლარი. ზემოაღნიშნული ნორმის საფუძველზე, საქართველოს პარლამენტმა მოსარჩელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟიდან 70,25 ლარი უნდა აუნაზღაუროს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე, 53-ე მუხლებით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. საქართველოს პარლამენტის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
 2. მოცემულ საქმეზე გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 7 დეკემბრის განჩინება და მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება;
 3. შპს «ს. ფ-ის» სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
 4. საქართველოს პარლამენტს დაეკისროს შპს «ს. ფ-ის» სასარგებლოდ 2160, 41 ლარი;
 5. საქართველოს პარლამენტს ასევე დაეკისროს შპს «ს. ფ-ის» მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟიდან 70,25 ლარის ანაზღაურება;
- საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

3. ვალდებულების შესრულება

ვალდებულების შესრულება ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

1ას-1132-1396-09

16 მარტი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),

ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: მოხმარებული ელექტროენერჯის საფასურის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 6 იანვარს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა სს «ე. ჯ-ამ» მოპასუხე ინდივიდუალური მეწარმე «ვ. ქ-მის» მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა მოხმარებული ელექტროენერჯის ღირებულების – 1036.16 ლარის მოპასუხისათვის დაკისრება.

სარჩელის თანახმად, სს «ე. ჯ-ა», როგორც ელექტროენერჯის მომმარაგებელი ორგანიზაცია, მოპასუხეს 2007 წლის 30 ივნისიდან აწვდის ელექტროენერჯას. ინდივიდუალური მრიცხველის მიერ აღრიცხული ელექტროენერჯის რაოდენობა აისახება ენერგოკომპანიის ბილინგის მონაცემებში, რომლის შესაბამისად, მოპასუხის დავალიანებამ საზოგადოების მიმართ 2008 წლის 5 თებერვლის მდგომარეობით შეადგინა 1036.36 ლარი. მოპასუხეს არაერთხელ გაეგზავნა კვითარი მოხმარებული ელექტროენერჯის საფასურის გადახდის მოთხოვნით, მაგრამ მან არ დაფარა მასზე რიცხული დავალიანება, რის გამოც სს «ე. ჯ-ას» ადგებოდა ზიანი.

მოპასუხე ვ. ქ-მემ მოითხოვა მისი, როგორც არასათანადო მოპასუხის შეცვლა სათანადო მოპასუხით – ინდივიდუალური მეწარმე ა. გ-მით, იმ მოტივით, რომ 2006 წლის მარტიდან მის სახელზე აღრიცხული, შე-

მოქმედებითი სახელოსნო სიტყვიერი შეთანხმებით გადასცა ა. გ-მეს სამეწარმეო საქმიანობისთვის, რის შემდეგაც ელექტროენერგიას მოიხმარდა ა. გ-მე. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 11 მარტის საოქმო განჩინებით მოპასუხე ვ. ქ-მე შეიცვალა სათანადო მოპასუხით – ინდივიდუალური მეწარმე ა. გ-მით.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილებით სს «ე. ჯ-ას» სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ დაადგინა, რომ სს «ე. XXI-სა» და სს «ე. ჯ-ას» შორის ელექტროენერგიის საფასურის ამოღების თაობაზე შეთანხმების პირველი პუნქტის თანახმად სს «ე. XXI-მ» უფლებამოსილება მიანიჭა სს «ე. ჯ-ას», ხოლო სს «ე. ჯ-ამ» ვალდებულება იკისრა, განეხორციელებინა აქტივების ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული დასრულების თარიღამდე სს «საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიისა» და შპს «ა. ე-ის» მიერ მათ აბონენტებზე დარიცხული და მათთვის მიწოდებული, მაგრამ დაურიცხავი ელექტროენერგიის საფასურის ამოღება და ამოღებული თანხების სს «ე. XXI-თვის» გადაცემა.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია მოპასუხის დავალიანების არსებობის შესახებ.

საქმეში არსებულ, სს «ე. XXI-ის» გენერალური დირექტორის 2008 წლის 28 მაისის 1146/55-8 წერილზე დაყრდნობით საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ ქუთაისში, ... მდებარე ობიექტს (აბონენტი 1...), სს «ე. XXI-ის» მიმართ დავალიანება არ ერიცხებოდა.

დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასებისას საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხეს 2008 წლის 5 თებერვლის მდგომარეობით დავალიანება არ გააჩნდა, რის გამოც სასარჩელო მოთხოვნა უსაფუძვლო იყო.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სს «ე. ჯ-ამ» გაასაჩივრა სააპელაციო წესით. აპელანტმა მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სს «ე. ჯ-ას» სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა – გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, სს «ე. ჯ-ას» სარჩელი დაკმაყოფილდა: ინდივიდუალურ მეწარმე ა. გ-მეს სს «ე. ჯ-ას» სასარგებლოდ დაეკისრა 1036.16 ლარის გადახდა.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

სს «ე. XXI-სა» და სს «ე. ჯ-ას» შორის ელექტროენერგიის საფასურის ამოღების თაობაზე შეთანხმების 1-ელი პუნქტის თანახმად, სს «ე. XXI-მ» უფლებამოსილება მიანიჭა სს «ე. ჯ-ას», ხოლო სს «ე. ჯ-ამ» ვალდებულება იკისრა, განეხორციელებინა აქტივების ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული დასრულების თარიღამდე სს «ს. ე-ისა» და შპს «ა. ე-ის» მიერ, მათ აბონენტებზე დარიცხული და მათთვის მიწოდებული, მაგრამ დაურიცხავი ელექტროენერგიის საფასურის ამოღება და ამოღებული თანხების სს «ე. XXI-თვის» გადაცემა;

სს «ე. XXI-ის» გენერალური დირექტორის მიერ გაცემული, 2008 წლის 28 მაისის 1146/55-8 მიმართვით დგინდებოდა, რომ ქუთაისში, ... მე-2 შესახვევის 16ა-ში რეგისტრირებულ აბონენტ ვ. ქ-მეს სს «ე. XXI-ის» მიმართ დავალიანება არ ერიცხებოდა;

საქმეში არსებული სანოტარო აქტით, ე.წ. «თანხმობით» დგინდებოდა, რომ 2006 წლის მარტში ვ. ქ-მემ ქუთაისში, ... მდებარე შემოქმედებითი სახელოსნო სამეწარმეო საქმიანობისათვის, კერძოდ, კერამიკული სამქროს ფუნქციონირებისათვის გადასცა ა. გ-მეს;

სს «ს. ე-ის» მიერ გაცემული ქვითრებით დგინდებოდა, რომ ა. გ-მე (აბონენტი 1...) ქუთაისში, ... მდებარე ობიექტზე პერიოდულად იხდიდა მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულებას;

ა. გ-მეს დავალიანება ერიცხებოდა 2008 წლის 5 თებერვლის მდგომარეობით;

კერამიკული სამქრო აღნიშნული დროისათვის არ ფუნქციონირებდა;

2006 წლის მარტის თვიდან, ვ. ქ-მის მიერ, ა. გ-მისათვის, ქუთაისში, ... მდებარე, შემოქმედებითი სახელოსნოს გადაცემის შემდეგ, აღნიშნულ ფართობი ა. გ-მის მიერ დამონტაჟდა ახალი მრიცხველი, რომლის ჩვენებაც დამონტაჟების მომენტში შეადგენდა 0001.4-ს;

სს «ე. ჯ-ას» მიერ 2008 წლის 19 დეკემბერს შედგენილი აბონენტის 1 1219834642 ბარათით ირკვეოდა, რომ ქუთაისში, ... მდებარე კერამიკულ სამქროს, 2007 წლის 5 ივლისისათვის ხარჯი არ გააჩნდა, მრიცხველის ჩვენება იყო 111.34, ანგარიშსწორება გასწორებული იყო და რაიმე სახის დავალიანება არ ერიცხებოდა, ხოლო 2008 წლის 5 თებერვლის მდგომარეობით, მრიცხველის ჩვენება იყო 1001, დავალიანება კი შეადგენდა 1036.16 ლარს;

სს «ე. ჯ-ას» მიერ 1 ... აბონენტზე გაცემული ქვითრებით დგინდებოდა, რომ 2007 წლის 5 აგვისტოსათვის, ქუთაისში, ... მდებარე კერამიკული მრიცხველის ჩვენება იყო 906.00, ხოლო მოხმარებული ელექტროენერგიის გადასახადი შეადგენდა 1096.95 ლარს, საიდანაც ა. გ-მემ გადაიხადა 70 ლარი. 2007 წლის 5 სექტემბრისათვის მრიცხველის ჩვენება იყო 942.00, ხოლო მოხმარებული ელექტროენერგიის გადასახადი შეადგენდა 1076.71 ლარს, საიდანაც ა. გ-მის მიერ გადახდილ იქნა 63 ლარი. 2007 წლის 5 ნოემბრისათვის მრიცხველის

ჩვენება იყო **984.00**, ხოლო მოხმარებული ელექტროენერჯის გადასახადი შეადგენდა **1031.69** ლარს, საიდანაც ა. გ-მემ გადაიხადა **19** ლარი;

საქმეში წარმოდგენილი, სს «ე. ჯ-ას» მიერ **1... აბონენტზე** გაცემულ ქვითრებში დაფიქსირებული მონაცემები სრულად შეესაბამებოდა სს «ე. ჯ-ას» მიერ **2008 წლის 19 დეკემბერს** შედგენილ **1... აბონენტის ბარათში** დაფიქსირებულ მონაცემებს.

სს «ე. XXI-სა» და სს «ე. ჯ-ას» შორის ელექტროენერჯის საფასურის ამოღების თაობაზე შეთანხმების პირველი პუნქტით დგინდებოდა, რომ სს «ე. XXI-მა» უფლებამოსილება მიანიჭა სს «ე. ჯ-ას», ხოლო სს «ე. ჯ-ამ» ვალდებულია იკისრა, განეხორციელებინა აქტივების ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული დასრულების თარიღამდე (**2007 წლის 29 ივნისამდე**) სგსე-სა და აჭარის ენერჯოკომპანიის მიერ, მათ აბონენტზე დარიცხული და მათთვის მიწოდებული, მაგრამ დაურიცხავი ელექტროენერჯის საფასურის ამოღება და ამოღებული თანხების სს «ე. XXI-თვის» გადაცემა. აღნიშნულის გათვალისწინებით სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ამ დროის შემდეგ, ანუ ნასყიდობის ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან ელექტროენერჯის მიწოდებასა და მოხმარებული ენერჯის საფასურის მოთხოვნაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენდა სს «ე. ჯ-ა», ხოლო **2007 წლის 29 ივნისამდე** მოხმარებულ ელექტროენერჯაზე უფლებამოსილ პირს – სს «ე. XXI». აქედან გამომდინარე, სს «ენერჯია XXI-ის» **2008 წლის 28 მაისის წერილი**, სადაც დაფიქსირებული იყო, რომ ქუთაისში, ... რეგისტრირებულ, **1... აბონენტ ვ. ქ-მეს (ა. გ-მეს)**, სს «ე. XXI-ის» მიმართ დავალიანება არ ერიცხებოდა, მოიცავდა **2007 წლის 29 ივნისამდე** პერიოდს.

მოცემულ შემთხვევაში სარჩელით დავის საგანს წარმოადგენდა **2007 წლის 30 ივნისიდან 2008 წლის 5 თებერვლამდე** წარმოშობილი დავალიანების ანაზღაურება. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, საქალაქო სასამართლოს მსჯელობა იმის შესახებ, რომ სს «ე. XXI-ის» მიერ **2008 წლის 28 მაისის** გაცემული წერილი **2007 წლის 30 ივნისიდან 2008 წლის 5 თებერვლამდე** პერიოდის დავალიანების არარსებობას ადასტურებდა, არასწორი იყო.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ **2007 წლის 29 ივნისიდან** ელექტროენერჯის მიწოდებასა და მოხმარებული ენერჯის საფასურის მოთხოვნაზე უფლებამოსილ პირს ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე წარმოადგენდა სს «ე. ჯ-ა». ამასთან, **2007 წლის 5 ივლისისათვის** ა. გ-მის დავალიანება ნულის ტოლი იყო, ხოლო შემდგომ პერიოდებში იზრდებოდა, რომლის საფასურის ნაწილსაც ა. გ-მე უხდიდა კიდევ სს «ე. ჯ-ას».

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ **2007 წლის 5 ივლისიდან 2008 წლის 5 თებერვლამდე** ა. გ-მემ მოიხმარა **984.00** კვტ ელექტროენერჯია, რომლის ღირებულების ნაწილი – **152** ლარი გადახდილი, ხოლო **1036.19** ლარი – გადაუხდელი ჰქონდა. სამოქალაქო კოდექსის **361-ე** მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელის მოთხოვნა საფუძვლიანად მიიჩნია.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გასაჩივრა ინდივიდუალურმა მეწარმე ა. გ-მემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორი აღნიშნავს, რომ სს «ე. ჯ-ას» სააბონენტო ბარათის ამონაწერის მონაცემები არასწორია შემდეგ გარემოებათა გამო:

ა) **2006 წლის 11 მაისის** აქტით დასტურდება, რომ იმავე მრიცხველის ჩვენება შეადგენდა **0001,4** კვ.სთ-ს, იმაზე მითითებით, რომ კერამიკული საამქროს ჩართვა შეიძლებოდა მრიცხველის ლაზორატორიული აღრიცხვის შემოწმებისა და დალუქვის შემდეგ, რის შემდეგაც ბილინგი უნდა აეყვანათ ობიექტურ აღრიცხვაზე;

ბ) საქმეში არსებული **1000097** განწესის თანახმად, **2006 წლის 12 მაისის** ინდივიდუალურ მეწარმე ა. გ-მეს დაუდგეს **1494213** მრიცხველი კერამიკული საამქროსთვის ჯიხურის შიდა კედელზე, ლითონის კარადაში, რომელზეც აბონენტის ნომერი მითითებული არ არის;

გ) მან შესაგებელშიც და პროცესზეც განმარტა, რომ **2006 წლის** სექტემბერში ჯიხურში მისი მრიცხველის ტრანსფორმატორები ხანძრის შედეგად დაიწვა და გაეთიშა ელექტროენერჯია. მისი მოთხოვნის საფუძველზე მრიცხველი გადატანილ იქნა საამქროს გარე კედელზე ჩვენებით **985** კვ.სთ, ტრანსფორმატორებით **75/5**. სს «ე. XXI-ის» მენეჯერმა მრიცხველის დალუქვასა და დენის მიერთებაზე უარი განუცხადა იმ მოტივით, რომ ახლად დამონტაჟებულ მრიცხველზე დენის მიერთება ახალი წესებით იკრძალებოდა და უნდა შეეძინა **180** ლარად ღირებული ციფრული მრიცხველი, რომელიც უსახსრობის გამო ვერ შეიძინა და ახლად გადმოტანილი მრიცხველი არ დალუქეს. მოსარჩელეს მრიცხველის დალუქვის აქტი არ წარმოუდგენია, რის გარეშეც ელექტროენერჯის მოხმარება ითვლება კანონსაწინააღმდეგოდ და ისჯება **2000-ლარიანი** ჯარიმით. ბილინგზე მიწოდებული ელექტროენერჯის აღრიცხვისათვის, როგორც **2006 წლის 11 მაისის** აქტით დასტურდება, მხოლოდ ამის შემდეგ არის შესაძლებელი მრიცხველის ბილინგზე აყვანა. მოსარჩელემ ბილინგზე **2006 წლის 11 მაისის** აქტით და **12 მაისის** განწესით მრიცხველის ტრანსფორმატორების **50/5** სიმძლავრის შესაბამისად გააგრძელა დარიცხვა **10-იანი** კოეფიციენტით, მაშინ, როდესაც სს «ე. ჯ-ამ» სადავო არასწორი დარიცხვა დაიწყო **2007 წლის ივნისიდან** კოეფიციენტით **10**, როდესაც გადმოტანილ იგივე მრიცხველზე

ჩვენებით 985 კვ.სთ ტრანსფორმატორები შეიცვალა 75/5-ზე და მისი კოეფიციენტი შეადგენს 15-ს და არა 10-ს.

კასატორი აღნიშნავს, რომ მისი მრიცხველისადმი ელექტროენერჯის მიწოდება დღემდე არ მომხდარა, მრიცხველზე დაფიქსირებულია 2006 წლის სექტემბრის მონაცემი – 985 კილოვატი, რომლის საფასურიც მთლიანად გადახდილი აქვს. ამდენად, მას არანაირი დავალიანება გააჩნია.

კასატორი აღნიშნავს, რომ მის მიერ სრულად არის დაფარული 2006 წლის ელექტროენერჯის საფასური. რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ მას 2007 წლის აგვისტოში, ოქტომბერსა და დეკემბერში ასევე აქვს გადახდილი თანხები, აღნიშნულს კასატორი ხსნის იმ გარემოებით, რომ მას სს «ე. ჯ-ას» თანამშრომელმა ელენერჯის ჩართვის მიზნით შეატანინა აღნიშნული თანხები სამომავლოდ და მიიჩნევდა, რომ აღნიშნული თანხები დაჯდებოდა დეპოზიტზე. ის გარემოება, რომ კასატორს არ გააჩნია დავალიანება, დასტურდება სს «ე. XXI-ის» 2008 წლის 5 მაისის ცნობით.

კასატორი მიუთითებს, რომ სს «ე. ჯ-ამ» აბონენტის ბარათის თანახმად 2007 წლის 6 ივნისიდან მრიცხველის ათვლა გახარჯულ ელენერჯიაზე დაიწყო 111.34 კვტ-დან და პერიოდულად ერიცხებოდა გადასახადი, მაშინ როდესაც მრიცხველს 2006 წლის სექტემბრიდან არ მიეწოდებოდა ელექტროენერჯია, არის დაუღუპავი. აბონენტის ბარათის თანახმად კი მას ერიცხებოდა გადასახადები, მაშინ, როდესაც არ არის მინიშნებული აბონენტის ბარათში კოეფიციენტი 15 ნაცვლად 10-სა, არ არსებობს გადმოტანილი მრიცხველის დალუქვის აქტი, წინააღმდეგობრივია აბონენტის ბილინგის ჩვენებები.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური მეწარმე ა. გ-მის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ დადგინოდად მიიჩნია, რომ სადავო პერიოდში – 2007 წლის 30 ივნისიდან 2008 წლის 5 თებერვლამდე – ინდივიდუალური მეწარმე ა. გ-მს მიეწოდებოდა ელექტროენერჯია, რომლის საფასურის ნაწილი მას ამ პერიოდში გადახდილი აქვს და დარჩენილი გადასახდელი თანხა შეადგენს 1036.16 ლარს, რაც წარმოადგენს სადავო თანხას. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული გარემოება დადასტურებულად მიიჩნია საქმეში არსებული სააბონენტო ბარათის, ასევე გადახდის ქვითრების საფუძველზე.

კასატორი სადავოდ ხდის სააპელაციო სასამართლოს მიერ აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების დადგენის სისწორეს და აღნიშნავს, რომ მის სამეწარმეო ობიექტს 2006 წლის სექტემბრიდან არ მიეწოდებოდა ელექტროენერჯია, მათ შორის, სადავო პერიოდშიც არ მიეწოდებოდა და შესაბამისად, არც ელექტროენერჯის საფასურის გადახდის ვალდებულება აქვს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნულ საკითხზე კასატორს არა აქვს წამოყენებული დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მსჯელობას, რომ მას სადავო პერიოდში არ მიეწოდებოდა ელექტროენერჯია და რომ სააბონენტო ბარათის მონაცემები არ შეესაბამება სინამდვილეს. კასატორს არ აქვს წარმოდგენილი და ვერ მიუთითებს მტკიცებულებებზე, რაც აღნიშნული სააბონენტო ბარათის ნამდვილობას აქარწყლებს. ასეთს არ წარმოადგენს მის მიერ მითითებული, 2006 წლის მაისის მდგომარეობით მრიცხველის მოხსნის აქტი და თავიდან დადგმის განწესი. კასატორი ვერ ადასტურებს, რომ მრიცხველი, რომლის ჩვენებებიც სააბონენტო ბარათშია ასახული, მას არ უდგას. კასატორი მსჯელობს მის მიერ 2006 წლის დავალიანების გადახდაზე. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში 2006 წლის დავალიანების კასატორის მიერ გადახდა არ არის სადავო, მოწინააღმდეგე მხარე სს «ე. ჯ-ა» ადასტურებს, რომ მას მოცემული აბონენტი ხარჯის გარეშე გადმოეცა და 2007 წლის ივნისამდე პერიოდის დავალიანება არ გადმოჰყოლია. ამ შემთხვევაში სადავოა დავალიანება 2007 წლის ივნისიდან, რის თაობაზეც კასატორს არა აქვს დასაბუთებული არგუმენტაცია.

კასატორი ასევე სარწმუნოდ ვერ ასაბუთებს, თუ რატომ გადაიხდა მან 2007 წლის აგვისტოში, ოქტომბერსა და დეკემბერში ელექტროენერჯის საფასურის ნაწილი, თუკი მას 2006 წლის სექტემბრიდან არ მიეწოდებოდა ელექტროენერჯია და არაფერი გაუხარჯავს. აქვე საგულისხმოა, რომ საქმეში წარმოდგენილი აღნიშნული გადახდის ქვითრებზე ასახულია ელექტროენერჯის დავალიანება სწორედ იმ მონაცემებით, როგორც სააბონენტო ბარათზე. სამოქალაქო კოდექსის 378-ე მუხლი ითვალისწინებს მოვალის უფლებას, ვალდებულება შეასრულოს ნაწილ-ნაწილ, თუკი კრედიტორი ამაზე თანახმაა.

საკასაციო სასამართლო ასევე ვერ გაიზიარებს კასატორის მსჯელობას, რომ მის მიერ სადავო პერიოდის ელექტროენერჯის დავალიანების არქონას ადასტურებს სს «ე. XXI-ის» 2008 წლის 5 მაისის ცნობა. სს «ე. XXI-სა» და სს «ე. ჯ-ას» შორის ელექტროენერჯის საფასურის ამოღების თაობაზე შეთანხმების თანხმად, სს «ე. XXI-მ» უფლებამოსილება მიანიჭა სს «ე. ჯ-ას», ხოლო სს «ე. ჯ-ამ» ვალდებულება იკისრა, განეხორციელებინა აქტივების ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული დასრულების თარიღამდე სს «ე. ე-

სა» და შპს «ა. ე-ის» მიერ, მათ აბონენტებზე დარიცხული და მათთვის მიწოდებული, მაგრამ დაურიცხავი ელექტროენერგიის საფასურის ამოღება და ამოღებული თანხების სს «ე. XXI-თვის» გადაცემა. დადგენილია, რომ აღნიშნული შეთანხმების საფუძველზე სს «ე. ჯ-ა» მომხმარებლებისაგან ელექტროენერგიის საფასურის ამოღებას ახორციელებს 2007 წლის 30 ივნისიდან და ამავე პერიოდიდან აღნიშნული კომპეტენცია სს «ე. XXI-ს» აღარ აქვს. ამდენად, სს «ე. XXI-ის» ზემოაღნიშნული ცნობა ვერ დაადასტურებს იმ გარემოებას, რომ 2007 წლის 30 ივნისიდან აბონენტს არა აქვს დავალიანება სს «ე. ჯ-ას» მიმართ და რომ სს «ე. ჯ-ას» მიერ შედგენილი სააბონენტო ბარათის მონაცემები არ შეესაბამება სინამდვილეს. ის გარემოება კი, რომ აბონენტს სს «ე. XXI-ის» მიმართ დავალიანება არ გააჩნდა სს «ე. ჯ-ასათვის» გადაცემის მომენტში, სადავო არ არის.

სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აბონენტმა სრულად ვერ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება სს «ე. ჯ-ას» წინაშე, რის გამოც არსებული დავალიანება ექვემდებარება გადახდევინებას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

ინდივიდუალური მეწარმე ა. გ-მის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილება;
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ვალდებულების შესრულება ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას

განჩინება

1ას-48-47-2010

1 ივნისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 14 აპრილს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მიმართა საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ მოპასუხე სს «თ-ს» მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ 22 098.95 ლარის დაკისრება.

სარჩელში აღნიშნულია, რომ 2006 წლის 25 დეკემბერს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და სს «თ-ს» შორის დაიდო ხელშეკრულება სამონტაჟო სამუშაოების შესრულებაზე. ამ ხელშეკრულებით მოპასუხეს ფინანსთა სამინისტროს ახალ ადმინისტრაციულ შენობაში უნდა მოეხდინა არსებული ლიფტების მოდერნიზაცია, ძველი ლიფტების დემონტაჟი და ახალი ლიფტების მონტაჟი. თავის მხრივ, მოსარჩელეს უნდა გადაეხადა შესრულებული სამუშაოს ღირებულება, რაც სავარაუდოდ განისაზღვრა 480 000 ლარით. ხელშეკრულების 5.1 პუნქტის თანახმად, მოპასუხეს ვალდებულებები უნდა შეესრულებინა არაუგვიანეს 270 დღისა პირველი საავანსო გადარიცხვიდან. პირველი საავანსო გადარიცხვა განხორციელდა 2006 წლის 29 დეკემბერს. შესაბამისად, სს «თ-ო» ვალდებული იყო სამუშაოები დაესრულებინა 2007 წლის 25 სექტემბრამდე. შესრულებული ვალდებულებები დასტურდებოდა მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტით. მოპასუხემ ნაკისრი ვალდებულება შეასრულა ნაწილ-ნაწილ და დაგვიანებით, კერძოდ: 2007 წლის 2 ნოემბერს, 2007 წლის 8 ნოემბერს, 2007 წლის 4 დეკემბერს და 2008 წლის 22 იანვარს. მითითებული ფაქტობრივი გარემოება დგინდებოდა მიღება-ჩაბარების აქტებით. ხელშეკრულების 9.1 პუნქტით განისაზღვრა, რომ შემსრულებლის მიერ სამუშაოების დროულად შეუსრულებლობის შემთხვევაში დამკვეთს უფლება აქვს, სს «თ-ს» ყოველ გადაცილებულ დღეზე დააკისროს საურავი შეუსრულებელი სამუშაოების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით. რამდენადაც სს «თ-მ» სამუშაოები შეასრულა ნაწილ-ნაწილ, მოსარჩელის აზრით, საურავი შემდეგნაირად უნდა გამოთვლილიყო: 2007 წლის 2 ნოემბერს შესრულებული სამუშაოები-

სათვის საურავის თანხა შეადგენდა **17 707.30** ლარს, **2007** წლის **8** ნოემბერს შესრულებული სამუშაოებისათვის – **1 397.97** ლარს, **2007** წლის **3** დეკემბრამდე შესრულებული სამუშაოებისათვის – **1 541.32** ლარს, ხოლო **2008** წლის **22** იანვარს შესრულებული სამუშაოებისათვის – **1 452.39** ლარს. ჯამში საურავმა შეადგინა **22 098.95** ლარი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის **2008** წლის **18** აპრილის განჩინებით მოცემული საქმე განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა ამავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

მოპასუხე სს «თ-მ» სარჩელი არ ცნო და მისი უარყოფა შემდეგი არგუმენტებით დაასაბუთა:

საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან **25.12.2006**წ. დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები უნდა დასრულებულიყო **270** დღის განმავლობაში, მაგრამ ამ ვადაში არ დამთავრდა, რადგან თავად მოსარჩელემ ვერ შეასრულა ხელშეკრულების **3.2** პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებები. მართალია, დამკვეთმა პირველი საავანსო თანხა – **50 000** აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი დროულად გადაარიცხა, მაგრამ ხელშეკრულების იმავე პუნქტით გათვალისწინებული **60 000** აშშ დოლარი გადაირიცხა **41** დღის დაგვიანებით. ყოველივე ამან გამოიწვია ლიფტების დამზადების შეფერხება და აღნიშნული პროდუქცია **15** ივნისის ნაცვლად მიაწოდა **15** აგვისტოს. **2** ძველი ლიფტის დემონტაჟი და **2** ახალი ლიფტის მონტაჟი განხორციელდა და შესაბამისად, **232 991** ლარის ღირებულების სამუშაოები მიწოდებულ იქნა არა **2007** წლის **2** ნოემბერს, როგორც მოსარჩელე უთითებდა, არამედ – **2007** წლის **19** ოქტომბერს. ამ გარემოებას ადასტურებდა დანართის სახით წარდგენილი მოპასუხის მიერ სამინისტროსათვის მიწერილი წერილები.

მოპასუხე ასევე უკანონოდ მიიჩნევდა **2007** წლის **8** ნოემბრისათვის განხორციელებული სამუშაოებისათვის (**2** ახალი ლიფტის მიწოდება) პირგასამტეხლოს დაკისრებასაც, ვინაიდან სამინისტროს მიერ თანხის **41** დღის დაგვიანებით გადაარიცხვის გამო მათ ფირმა «კ-ს» (პროდუქციის დამამზადებელი) გვიან გადაურიცხეს თანხა, ხოლო ამ უკანასკნელმა ასევე გვიან დაამზადა და მიაწოდა ლიფტები. რაც შეეხებოდა **2** დარჩენილი ლიფტის სამონტაჟო სამუშაოების დაგვიანებით შესრულებას, აღნიშნულიც მთლიანად დამკვეთის ბრალეულობამ განაპირობა. მოპასუხე მზად იყო, განკუთვნილ **100**-ღიან ვადაში დაემთავრებინა სამუშაოები, თუმცა ამ პერიოდისათვის სამინისტროში გრძელდებოდა სარემონტო სამუშაოები და ძველი ლიფტების საშუალებით ხორციელდებოდა სამშენებლო მასალებისა და ინვენტარის ტრანსპორტირება. მოსარჩელეს არ ჰქონდა სამუშაო დერეფანი და საშუალება სამუშაოების წარმართვისათვის. ფინანსთა სამინისტრომ, მიუხედავად მოპასუხის არაერთი წერილობითი მიმართვისა, ისინი რეაგირების გარეშე დატოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის **2008** წლის **8** დეკემბრის გადაწყვეტილებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – სს «თ-ს» მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა **2 711.77** ლარის გადახდა.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქმეზე დადგენილ შემდეგ უდავო ფაქტობრივ გარემოებებზე:

2006 წლის **26** დეკემბერს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა (დამკვეთი) და სს «თ-ს» (შემსრულებელი) შორის დაიდო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ სარემონტო-სამონტაჟო სამუშაოების შესრულებაზე, რომლის თანახმად, სს «თ-ს» ფინანსთა სამინისტროს ახალ ადმინისტრაციულ შენობაში უნდა განეხორციელებინა არსებული ლიფტების მოდერნიზაცია, ძველი ლიფტების დემონტაჟი და ახალი ლიფტების მონტაჟი. სამუშაოს სავარაუდო სახელშეკრულებო ღირებულება განისაზღვრა **480 000** ლარით. ხელშეკრულების მე-5 მუხლის **5.1** ქვეპუნქტის თანახმად, შემსრულებელს ვალდებულება უნდა შეესრულებინა არა უგვიანეს **270** დღისა პირველი საავანსო გადაარიცხვიდან, ხოლო **5.2** ქვეპუნქტის მიხედვით, სამუშაოს ყოველი ეტაპის და მთელი მოცულობის შესრულების დამთავრება დასტურდებოდა ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი შესაბამისი საბუთით (ფორმა **2, '3**). მხარეებმა შემსრულებლის მიერ ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში გაითვალისწინეს პირგასამტეხლო შესრულებული სამუშაოს ღირებულების **0.1%**-ის ოდენობით;

ხელშეკრულების ბოლო ვადა იყო **2007** წლის **25** სექტემბერი. სს «თ-მ» ვალდებულებები შეასრულა ნაწილ-ნაწილ დაგვიანებით, რაც დასტურდებოდა საქმეში არსებული **2007** წლის **2** ნოემბრის, **2007** წლის **8** ნოემბრის, **2007** წლის **4** დეკემბრისა და **2008** წლის **22** იანვრის მიღება-ჩაბარების აქტებით;

შემსრულებლისათვის შესრულებული სამუშაოს ღირებულების გადახდის ფაქტი სადავო არ იყო. დამკვეთს შესრულებული სამუშაოების ხარისხზე პრეტენზია არ განუცხადებია;

შემსრულებელს უნდა მოეხდინა **4** ძველი ლიფტის დემონტაჟი და **4** ახალი ლიფტის მონტაჟი ხელშეკრულების დანართში მითითებული თანმიმდევრობით;

ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში შემსრულებელმა ვალდებულება ვერ შეასრულა.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მითითებით, ვადის გადაცილება მოხდა მოპასუხის ბრალით და მას უნდა დაკისრებოდა პირგასამტეხლოს გადახდა წარმოდგენილი გაანგარიშების მიხედვით. სს «თ-მ», თავის მხრივ, განმარტა, რომ ვადის გადაცილებაში მას ბრალი არ მიუძღოდა.

საქალაქო სასამართლომ ნაწილობრივ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება და მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში შემსრულებლის მიერ ვალდებულების ვადაში შეუსრულებლობა მოხდა მისგან დამოუკიდებელი, საპატიო მიზეზებით. ვადის გადაცილება გამოიწვია თავად მოსარჩელის მიერ ვალდებულების არაჯეროვანმა შესრულებამ, რაც გამოიხატა დამკვეთის მხრიდან ხელშეკრულებით დადგენილი თანხის გადახდის დაგ-

ვიანებაში და ხელშეკრულების სხვა პირობების დარღვევაში. ამ შემთხვევაში მხედველობაში იქნა მიღებული 60 000 აშშ დოლარის გვიან გადარიცხვა და შემსრულებლისათვის სამუშაო დერეფნის (ფრონტის) დროულად მიუცემლობა.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.2 ქვეპუნქტზე, რომელიც განსაზღვრავს ანგარიშსწორების წესს და რომლის მიხედვით, ლიფტების დროულად დამზადებისა და კორპორაცია «კ-ს» მოთხოვნებიდან გამომდინარე, დამკვეთი იღებდა ვალდებულებას, 50 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში გადაერიცხა შემსრულებლისათვის საბანკო გარანტიის წარდგენიდან 5 საბანკო დღის განმავლობაში, 60 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი – სამუშაო ნახაზებისა და სპეციფიკის შეთანხმებიდან 5 საბანკო დღის განმავლობაში, ხოლო დანარჩენი 90 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი – თბილისში გადმოტვირთვის დღიდან 5 საბანკო დღის განმავლობაში.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, პირველი გადარიცხვა მოსარჩელემ დროულად განახორციელა, ხოლო მეორე გადარიცხვა – 60 000 აშშ დოლარი – 41 დღის დაგვიანებით, 2007 წლის 3 იანვრის ნაცვლად 2007 წლის 13 თებერვალს. მეორე გადარიცხვის დაგვიანებას თავად მოსარჩელეც არ უარყოფდა. სასამართლომ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება, რომ მეორე გადარიცხვის დაგვიანებამ გამოიწვია ლიფტების დამზადების შეფერხება და ლიფტები თბილისში 2007 წლის 15 ივნისის ნაცვლად მიწოდებულ იქნა 2007 წლის 15 აგვისტოს. საწინააღმდეგოს დამადასტურებელი მტკიცებულებები საქმეში არ მოიპოვებოდა.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.2 ქვეპუნქტის მიხედვით, სამუშაოს ყოველი ეტაპის და მთელი მოცულობის შესრულების დამთავრება დასტურდება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი შესაბამისი საბუთით (ფორმა 12, 13). ასეთი დოკუმენტი საქმეში წარდგენილი არ იყო.

საქალაქო სასამართლომ გაიზიარა მოპასუხის პოზიცია, რომ სს «თ-მ» პირველი 2 ძველი ლიფტის დემონტაჟი და 2 ახალი ლიფტის მონტაჟი განახორციელა (მიაწოდა 232 991 ლარის ღირებულების სამუშაოები) არა 2007 წლის 2 ნოემბერს, როგორც მოსარჩელე აღნიშნავდა საშუალოდ მიღება-ჩაბარების აქტზე მითითებით, არამედ – 2007 წლის 19 ოქტომბერს, რასაც საქმეში არსებული ამავე თარიღის მიღება-ჩაბარების აქტი ადასტურებდა. აქტს მხარეებთან ერთად ხელს აწერდა ტექნიკური ზედამხედველობის სამსახურის თანამშრომელიც. ამავე აქტში ლიფტის მახასიათებლებში აღნიშნული იყო, რომ სამონტაჟო-სამშენებლო და გაშვება-გამართვის სამუშაოები შესრულებულია პროექტისა და მოქმედი ნორმების შესაბამისად.

რაც შეეხებოდა ბოლო 2 ძველი ლიფტის დემონტაჟისა და 2 ახალი ლიფტის მონტაჟის დაგვიანებით შესრულებას, მოპასუხის განმარტებით, აღნიშნული გამოიწვია მოსარჩელის მიერ სამუშაო ფრონტის დროულად მიუცემლობამ, სამინისტროში გრძელდებოდა სარემონტო სამუშაოები და ძველი ლიფტების საშუალებით ხორციელდებოდა სამშენებლო მასალებისა და ინვენტარის ტრანსპორტირება. აქედან გამომდინარე, მოსარჩელეს არ ჰქონდა სამუშაო დერეფანი და საშუალება სამუშაოების წარმართვისათვის. ამ გარემოების გასაბათილებლად მოსარჩელეს მტკიცებულებები არ წარუდგენია, მოპასუხემ კი წერილობითი თხოვნით მიმართა ფინანსთა სამინისტროს, მიეცა მისთვის სამუშაო დერეფანი სამუშაოების საწარმოებლად, რაც რეაგირების გარეშე დარჩა.

საქმეში არსებული მტკიცებულებების შეფასების შედეგად საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ პირველი ორი ლიფტის სამუშაოს დამთავრების 12-დღიან ვადაგადაცილებაში ნაწილობრივ დასტურდებოდა მოპასუხის ბრალეულობაც, რასაც მოპასუხე თავის განმარტებაში არსებული გაანგარიშებით დაეთანხმა. სასამართლო სხდომაზე მოპასუხის წარმომადგენელმა, ფაქტობრივად, აღიარა მოსარჩელის მიმართ 2 711.77 ლარის პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულება და, შესაბამისად, მისი ნაწილობრივი ბრალეულობა სამუშაოს შესრულების ვადაგადაცილებაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქალაქო სასამართლომ დადგინდა მიიჩნია, რომ ფინანსთა სამინისტრომ არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, რის შესაბამისადაც სარჩელი მხოლოდ ნაწილობრივ დაკმაყოფილებას ექვემდებარებოდა, სს «თ-ს» უნდა დაკისრებოდა პირგასამტეხლო იმ ოდენობით, რასაც სასამართლო სხდომაზე მოპასუხე დაეთანხმა, რამდენადაც საქმეში არ იყო წარდგენილი მტკიცებულებები, რომლითაც დადასტურდებოდა სასარჩელო მოთხოვნაში მითითებული ოდენობით პირგასამტეხლოს დაკისრების საფუძვლიანობა, რომლის მტკიცების ვალდებულება მოსარჩელეს ეკისრებოდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 18 ნოემბრის განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ საქმე განიხილა არსებითი ხასიათის საპროცესო დარღვევების გარეშე, ამასთან, არსებითად სწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და არსებითად სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მათ.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ აპელანტი არ ეთანხმებოდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნას სამინისტროს მხრიდან მეორე საავანსო გადახდის (60 000 აშშ დოლარი) დაგვიანების შესახებ. ამ თანხის დაგვიანებით გადარიცხვა, გარდა იმისა, რომ დასტურდებოდა საქმეში არსებული მასალებით, ასევე აღიარებული იყო აპელანტის წარმომადგენლის მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოში. უფრო მეტიც, ამ თანხის დაგვიანებით გადარიცხვა დასტურდებოდა თვით სააპელაციო საჩივრითაც. რეალურად ამ საკითხთან დაკავშირებით შემდეგი ვითარება იყო: მხარეთა შორის გაფორმებული 1585 ხელშეკრულების 3.2 მუხლის თანახმად, ლიფტების დროულად დამზადებისა და კორპორაცია «კ-ს» მოთხოვნილებებიდან გამომდინარე, დამკვეთი იღებს ვალდებულებას, 50 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში გადაურიცხოს შემსრულებელს საბანკო გარანტიის წარდგენიდან 5 საბანკო დღის განმავლობაში, 60 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში, სამუშაო ნახაზებისა და სპეციფიკაციის შეთანხმებიდან 5 საბანკო დღის განმავლობაში, ხოლო დანარჩენი 90 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში – თბილისში გადმოტვირთვის დღიდან 5 საბანკო დღის განმავლობაში.

მოცემულ შემთხვევაში მხარეები სადავოდ ხდიდნენ მეორე საავანსო გადარიცხვის (60 000 აშშ დოლარი) დაგვიანებას. საქმეზე დგინდებოდა და მხარეები სადავოდ არ ხდიდნენ იმ გარემოებას, რომ სს «თ-ს» მიერ საბანკო გარანტია 60 000 აშშ დოლარზე წარდგენილ იქნა 2007 წლის 26 იანვარს. ამასთან, სამუშაო ნახაზები და სპეციფიკაცია შეთანხმებულად უნდა მიჩნეულიყო ხელშეკრულების დადების დღიდან, ანუ 2006 წლის 25 დეკემბრიდან, რადგან ისინი ერთვოდა ხელშეკრულებას. ფინანსთა სამინისტრომ 60 000 აშშ დოლარი სს «თ-ს» გადაურიცხა 2007 წლის 13 თებერვალს და არა – 9 თებერვალს, როგორც ამას აპელანტი მიუთითებდა. ამდენად, უდავო იყო, რომ ფინანსთა სამინისტრომ გადარიცხვა დააგვიანა 12 დღით, რადგან მას ეს უნდა განეხორციელებინა 2007 წლის 26 იანვრიდან 5 საბანკო დღეში. გასაჩივრებული გადაწყვეტილების 5.2.5 პუნქტში სასამართლოს მითითება იმის შესახებ, რომ მეორე გადარიცხვა – 60 000 აშშ დოლარი განხორციელდა 41 დღის დაგვიანებით, არასწორი იყო, თუმცა ამ გარემოებას გავლენა არ მოუხდენია სასამართლოს საბოლოო დასკვნაზე. პირველ ორ ლიფტთან დაკავშირებით სამუშაოები დასრულდა 24 დღის დაგვიანებით, საიდანაც გასაჩივრებული გადაწყვეტილებით ზემოაღნიშნული 12 დღე ჩაითვალა საპატიოდ და მოპასუხეს პირგასამტეხლოს თანხა 2 711.77 ლარის ოდენობით დაეკისრა სწორედ იმ დღეებზე, რაც მისი ბრალით იყო გამოწვეული.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მითითება იმის შესახებ, რომ ბოლო ორი ლიფტის მონტაჟის დაგვიანება გამოწვეული არ ყოფილა მათი ბრალით. სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობას, რომ ბოლო 2 ძველი ლიფტის დემონტაჟისა და 2 ახალი ლიფტის მონტაჟის დაგვიანებით შესრულება გამოიწვია მოსარჩელის მხრიდან სამუშაო ფრონტის დროულად მიუცემლობამ. მოპასუხის განმარტებით, სამინისტროში გრძელდებოდა სამშენებლო მასალებისა და ინვენტარის ტრანსპორტირება, მოსარჩელეს არ ჰქონდა სამუშაო დერეფანი და საშუალება სამუშაოების წარმართვისათვის. ამ გარემოების გასაბათილებლად მოსარჩელეს მტკიცებულებები არ წარუდგენია, მოპასუხემ კი წერილებით მიმართა ფინანსთა სამინისტროს და სთხოვა, მიეცათ მისთვის სამუშაო დერეფანი სამუშაოების საწარმოებლად, რაც რეაგირების გარეშე დარჩა.

რაც შეეხებოდა აპელანტის მითითებას იმის შესახებ, რომ იგი პირგასამტეხლოს ითხოვდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, ხოლო სასამართლომ მოპასუხე სს «თ-ს» თანხა დააკისრა ფინანსთა სამინისტროს სასარგებლოდ, მაშინ, როდესაც ყველა სახელმწიფო შემოსულობა უნდა მოქცეულიყო ხაზინის ერთიანი ანგარიშის სისტემაში, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ეს გარემოება არ წარმოადგენდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველს, ეს იყო ტექნიკური ხასიათის საკითხი და მისი გადაწყვეტა შესაძლებელი იყო გადაწყვეტილების აღსრულების სტადიაზეც, რა დროსაც მითითებული თანხების აკუმულირება ფინანსთა სამინისტროს შეეძლო მოეხდინა სწორედ ხაზინის ერთიან ანგარიშზე.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

გასაჩივრებული გადაწყვეტილების თანახმად, ხელშეკრულების 3.2 პუნქტით გათვალისწინებული მეორე საავანსო გადახდა 60 000 აშშ დოლარის ოდენობით ფინანსთა სამინისტრომ განახორციელა 12 დღის დაგვიანებით, რამაც გამოიწვია ლიფტების დამზადების შეფერხება. პირველ ორ ლიფტთან დაკავშირებული სამუშაოები შესრულდა 24 დღის დაგვიანებით, საიდანაც სააპელაციო სასამართლომ ზემოაღნიშნული 12 დღე მიიჩნია საპატიოდ და მოპასუხეს პირგასამტეხლო დააკისრა მხოლოდ დანარჩენ 12 დღეზე. მართალია, მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების 3.2 მუხლი ითვალისწინებდა ფინანსთა სამინისტროს ვალდებულებას, სამუშაო ნახაზების და სპეციფიკაციის შეთანხმებიდან 5 საბანკო დღეში შემსრულებლისთვის გადაეხადა 60 000 აშშ დოლარი, მაგრამ იმავე ხელშეკრულების 3.4 მუხლი ითვალისწინებდა საბანკო გარანტიის წარმოდგენიდან 5 საბანკო დღის განმავლობაში ავანსის გადახდის წესს. კასატორის მითითებით, სასამართლომ არ იმსჯელა ამ ორ ფაქტობრივ გარემოებაზე, კერძოდ, არ არის დადგენილი, თუ როდის შეთანხმდა სამუშაო ნახაზები და როდის იქნა წარდგენილი საავანსო საბანკო გარანტია. 60 000 აშშ დოლარის შესაბამისი საბანკო გარანტია, რომელიც გასცა სს «პ-მა», თარიღდება 2007 წლის 26 იანვრით, ხოლო თანხა გადაირიცხა 2007 წლის 9 თებერვალს. აქედან გამომდინარე კასატორისათვის გაურკვეველია, თუ რის საფუძ-

ველზე დაადგინა სასამართლომ, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ დაგვიანებით გადარიცხა 60 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი.

რამდენადაც სს «თ-მ» სამუშაოები შესრულა ნაწილ-ნაწილ, კასატორი მიიჩნევს, რომ ხელშეკრულების 9.1 მუხლიდან გამომდინარე, მას უნდა დაეკისროს საურავი 22 098.95 ლარის ოდენობით. დასახელებული თანხა მოიცავს საურავს: ა) 2007 წლის 2 ნოემბერს შესრულებული სამუშაოებისათვის (17 707.30 ლარი); ბ) 2007 წლის 8 ნოემბერს შესრულებული სამუშაოებისათვის (1 397.97 ლარი); გ) 2007 წლის 4 დეკემბერს შესრულებული სამუშაოებისათვის (1 541.32 ლარი); დ) 2008 წლის 22 იანვარს შესრულებული სამუშაოებისათვის (1 452.39 ლარი).

კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის ფაქტი, რომ ხელშეკრულების 5.2 მუხლის მიხედვით, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი საბუთები (ფორმა 12, 13) საქმეში წარმოდგენილი არ არის. 1585 ხელშეკრულების ფარგლებში საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და სს «თ-ს» შორის არ გაფორმებულა რაიმე სახის საბუთი (იგულისხმება ფორმა 12, 13), რომელსაც ორივე მხარე მოაწერდა ხელს. ხელშეკრულება უნდა განიმარტოს არა სიტყვა-სიტყვით, არამედ – არსობრივად. შესაბამისად, კასატორი მიიჩნევს, რომ ფინანსთა სამინისტროს მიერ წარდგენილი მიღება-ჩაბარების აქტები არის სწორედ ის დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება სამუშაოთა დასრულება. რაც შეეხება 2007 წლის 19 ოქტომბრის ლიფტის ჩაბარების აქტს, კასატორის აზრით, აღნიშნული აქტით არ დასტურდება სამუშაოების დასრულება, მასში მითითებულია, რომ ლიფტი მდებარეობს მისამართზე – ... ქ. 116. ფინანსთა სამინისტროს მიერ წარდგენილი 2 ნოემბრის მიღება-ჩაბარების აქტი კი მიუთითებს, რომ მოხდა 2 ძველი ლიფტის დემონტაჟი და 2 ახალი ლიფტის მონტაჟი, რასაც დაეთანხმა სს «თ-ს» წარმომადგენელი თავისი ხელმოწერით.

კასატორი არ იზიარებს მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრებას, რომ ბოლო ორი ლიფტის დაგვიანება გამოწვეული იყო შემსრულებლისათვის ფინანსთა სამინისტროში ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო ფრონტის მიუცემლობით, რადგან სს «თ-ს» არ წარუდგენია ამ ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულებები.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 18 ნოემბრის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე საკასაციო სასამართლოსათვის სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი შემდეგი გარემოებები:

2006 წლის 26 დეკემბერს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა (დამკვეთი) და სს «თ-ს» (შემსრულებელი) შორის დაიდო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ სარემონტო-სამონტაჟო სამუშაოების შესრულებაზე, რომლის თანახმად, სს «თ-ს» ფინანსთა სამინისტროს ახალ ადმინისტრაციულ შენობაში უნდა განეხორციელებინა არსებული ლიფტების მოდერნიზაცია, ძველი ლიფტების დემონტაჟი და ახალი ლიფტების მონტაჟი. სამუშაოს სავარაუდო სახელშეკრულებო ღირებულება განისაზღვრა 480 000 ლარით. ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.1 ქვეპუნქტის თანახმად, შემსრულებელს ვალდებულება უნდა შეესრულებინა არა უგვიანეს 270 დღისა პირველი საავანსო გადარიცხვიდან, ხოლო 5.2 ქვეპუნქტის მიხედვით, სამუშაოს ყოველი ეტაპის და მთელი მოცულობის შესრულების დამთავრება დასტურდებოდა ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი შესაბამისი საბუთით (ფორმა 2, 13). მხარეებმა შემსრულებლის მიერ ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში გაითვალისწინეს პირგასამტეხლო შესრულებული სამუშაოს ღირებულების 0.1%-ის ოდენობით;

ხელშეკრულება უნდა შესრულებულიყო 2007 წლის 25 სექტემბრისთვის. სს «თ-მ» ვალდებულებები შესრულა ნაწილ-ნაწილ დაგვიანებით, რაც დასტურდება საქმეში არსებული, 2007 წლის 2 ნოემბრის, 2007 წლის 8 ნოემბრის, 2007 წლის 4 დეკემბრისა და 2008 წლის 22 იანვრის მიღება-ჩაბარების აქტებით;

შემსრულებლისათვის შესრულებული სამუშაოს ღირებულების გადახდის ფაქტი სადავო არ იყო. დამკვეთს შესრულებული სამუშაოების ხარისხზე პრეტენზია არ განუცხადებია;

შემსრულებელს უნდა მოეხდინა 4 ძველი ლიფტის დემონტაჟი და 4 ახალი ლიფტის მონტაჟი ხელშეკრულების დანართში მითითებული თანმიმდევრობით;

ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში შემსრულებელმა ვალდებულება ვერ შეასრულა.

მოცემულ შემთხვევაში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მოთხოვნა სს «თ-სათვის» თანხის დაკისრების შესახებ ეფუძნება ამ უკანასკნელის მიერ სამუშაოს შესრულების ვადის გადაცილების ფაქტობრივ საფუძველს.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ მართებულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა იმის შესახებ, რომ სს «თ-მ» პირველი 2 ძველი ლიფტის დემონტაჟი და 2 ახალი ლიფტის მონტაჟი განახორციელა (მიაწოდა 232 991 ლარის ღირებულების სამუშაოები) არა 2007 წლის 2 ნოემბერს, როგორც მოსარჩელე აღნიშნავდა საშუალებო მიღება-ჩაბარების აქტზე მითითებით, არამედ 2007 წლის 19 ოქტომბერს, რასაც ადასტურებს საქმეში არსებული ამავე თარიღის ლიფტის ჩაბარების

აქტები. მათში მითითებულია, რომ სამონტაჟო-სამშენებლო და გაშვება-გამართვის სამუშაოები შესრულებულია პროექტისა და მოქმედი ნორმების შესაბამისად.

საქმეში არსებული მტკიცებულებების შეფასების შედეგად საკასაციო სასამართლო ასევე ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს დასკვნას იმის შესახებ, რომ მოპასუხის მიერ სამუშაოს შესრულების ვადის გადაცილებაში ნაწილობრივ დასტურდება მოსარჩელის ბრალეულობაც. ვადის გადაცილება გამოიწვია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ ვალდებულების არაჯეროვანმა შესრულებამ, რაც გამოიხატა მისი მხრიდან ხელშეკრულებით დადგენილი თანხის (60 000 აშშ დოლარი) გადახდის დაგვიანებაში და ხელშეკრულების სხვა პირობების დარღვევაში. ამ შემთხვევაში, საუბარია შემსრულებლისათვის (სს «თ-ო») სამუშაო დერეფნის (ფრონტის) დროულად მიუცემლობაზე. საგულისხმოა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას მოპასუხე სს «თ-ს» წარმომადგენელმა ფაქტობრივად აღიარა მოსარჩელის მიმართ 2 722.77 ლარის პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულება და შესაბამისად, მისი ნაწილობრივი ბრალიც სამუშაოს შესრულების ვადის გადაცილებაში.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულების 5.1 მუხლზე, რომლის თანახმად, შემსრულებელს ვალდებულება უნდა შეესრულებინა არა უგვიანეს 270 დღისა პირველი საავანსო გადარიცხვის დღიდან. ამავე ხელშეკრულების 3.2 მუხლით, ლიფტების დროულად დამზადებისა და კორპორაცია «კ-ს» მოთხოვნებიდან გამომდინარე, დამკვეთი იღებდა ვალდებულებას, 50 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი გადაერიცხა შემსრულებლისათვის საბანკო გარანტიის წარდგინიდან 5 საბანკო დღის განმავლობაში, 60 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი – სამუშაო ნახაზებისა და სპეციფიკის შეთანხმებიდან 5 საბანკო დღის განმავლობაში, ხოლო დანარჩენი 90 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი – თბილისში გადმოტვირთვის დღიდან 5 საბანკო დღის განმავლობაში.

მოცემულ შემთხვევაში სადავოა მეორე საავანსო გადარიცხვის (60 აშშ დოლარი) დაგვიანება. საქმეზე დგინდება, რომ სს «თ-მ» საბანკო გარანტია 60 000 აშშ დოლარზე წარადგინა 2007 წლის 26 იანვარს. ამასთან, დგინდება, რომ მოსარჩელემ 60 000 აშშ დოლარი სს «თ-ს» გადაურიცხა 2007 წლის 13 თებერვალს. აქედან გამომდინარე, უდავოა, რომ ფინანსთა სამინისტრომ გადარიცხვა დააგვიანა 12 დღით, ვინაიდან, როგორც ზემოთ აღნიშნა, მას ეს უნდა განეხორციელებინა 2007 წლის 26 იანვრიდან 5 საბანკო დღეში. მართალია, სს «თ-ს» სამუშაო უნდა დაესრულებინა 2007 წლის 25 სექტემბერს, ხოლო პირველ ორ ლიფტთან დაკავშირებით მან სამუშაოები დაასრულა 2007 წლის 19 ოქტომბერს, ანუ 24 დღის დაგვიანებით, მაგრამ ზემოაღნიშნული 12 დღე სააპელაციო სასამართლომ მართებულად მიიჩნია საპატიოდ და მოპასუხეს პირგასამტეხლოს თანხა სწორად დააკისრა იმ დღეებზე (დანარჩენი 12 დღე), რაც მხოლოდ მისი ბრალით იყო გამოწვეული.

რაც შეეხება სს «თ-სათვის» (შემსრულებელი) სამუშაო დერეფნის (ფრონტის) დროულად მიუცემლობას, რამაც მოპასუხის მითითებით გამოიწვია ბოლო 2 ძველი ლიფტის დემონტაჟისა და 2 ახალი ლიფტის მონტაჟის დაგვიანებით შესრულება, აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება დასტურდება საქმეზე მის მიერ წარდგენილი, სს «თ-ს» დირექტორის 2007 წლის 19 ოქტომბრისა და 22 ოქტომბრის წერილებით, სადაც იგი თხოვნით მიმართავს ფინანსთა სამინისტროს, მისცეს დერეფანი სამუშაოების საწარმოებლად. ამდენად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის, 102-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე სს «თ-მ» მოახდინა აღნიშნულთან დაკავშირებით თავისი წილი მტკიცების ტვირთის რეალიზაცია, რისი საწინააღმდეგო მტკიცებულებაც მოსარჩელეს სასამართლოსათვის არ წარუდგენია.

სამოქალაქო კანონმდებლობა ემყარება ხელშეკრულების შესრულების პრინციპს. სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია, მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება. შესრულება შეიძლება გამოიხატოს მოქმედებისაგან თავის შეკავებაშიც. კანონის მითითებული ნორმის არსიდან გამომდინარე, მოვალის ვალდებულება შესრულებაშია. შესრულების ვალდებულება მოცემულ შემთხვევაში გულისხმობს არამართო სს «თ-ს» ვალდებულებას, დროულად შეასრულოს თავის მიერ ნაკისრი სამუშაო, არამედ – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ სამუშაოს შესასრულებლად აუცილებელი პირობების (ხელშეკრულების დადგენილი თანხის გადახდა, სამუშაო დერეფნის მიცემა) დროულად უზრუნველყოფასაც. ვალდებულების შეუსრულებლობისას მოვალეს – სს «თ-ს» პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს მხოლოდ იმ ფარგლებში, რაშიც მას ბრალი მიუძღვის ვალდებულების არაჯეროვნად შესრულებაში. სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. ამ მოთხოვნათა შეუსრულებლობა ვალდებულების დარღვევაა. სამოქალაქო კანონმდებლობა ვალდებულების დარღვევის პრევენციისათვის ითვალისწინებს მოთხოვნის უზრუნველყოფის სანივთო და ვალდებულებით-სამართლებრივ საშუალებებს, რომლებიც ვალდებულების შესრულებას ემსახურება და რომელთა შერჩევა მხარეთა ნებაზეა დამოკიდებული. ასეთ საშუალებათა რიგს განეკუთვნება ვალდებულების უზრუნველყოფის დამატებითი საშუალება – პირგასამტეხლო. სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლის შესაბამისად, პირგასამტეხლო – მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული თანხა – მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის.

როგორც ზემოთ აღნიშნა, სს «თ-ს» მიერ ხელშეკრულების შესრულების ვადის გადაცილებაში საქმის მასალებით ნაწილობრივ დასტურდება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბრალეულობა, რის გამოც საკა-

საცო სასამართლო არ აკმაყოფილებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საკასაციო საჩივარს და უცვლელად ტოვებს გასაჩივრებულ განჩინებას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 18 ნოემბრის განჩინება;
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ვალდებულების შესრულება მესამე პირის მიერ

განჩინება

1ას-435-407-2010

9 ნოემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ლ. ლაზარაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი,
ვ. როინიშვილი

დავის საგანი: ბინიდან გამოსახლება (სარჩელში), გარიგების ბათილად ცნობა (შეგებებულ სარჩელში)

აღწერილობითი ნაწილი:

2004 წლის 31 აგვისტოს თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართა ნ. ქ-შვილმა მოპასუხეების – მ., გ. და შ. ა-იების მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხეებისა და მათი თანმხლები პირების გამოსახლება ნ. ქ-შვილის საკუთრებაში არსებული, თბილისში, ... მე-15 კორპუსში მდებარე 11 ბინიდან.

სარჩელში აღნიშნულია, რომ ნ. ქ-შვილმა მ., გ. და შ. ა-იებისაგან 2001 წლის 6 ივლისის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე 2 000 ლარად შეიძინა აღნიშნული ბინა და საჯარო რეესტრში აღირიცხა მის მესაკუთრედ. ამდენად, მოსარჩელემ საკუთრების უფლება სადავო ბინაზე შეიძინა სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლის დაცვით. არაერთი გაფრთხილებისა და მოთხოვნის მიუხედავად, მოპასუხეები უარს აცხადებენ ბინის გამოთავისუფლებაზე.

2004 წლის 7 ოქტომბერს იმავე სასამართლოში შეგებებული სარჩელი წარადგინეს მ. და გ. ა-იებმა, რომლებმაც მოითხოვეს ნ. ქ-შვილთან 2001 წლის 6 ივლისის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა.

შეგებებული მოსარჩელეების მითითებით, სადავო ნასყიდობის ხელშეკრულება გაფორმდა იძულებისა და მუქარის გზით. მ. და გ. ა-იებთან მივიდა ვინმე მ. მ-შვილი, რომელმაც განუმარტა, რომ მოპასუხეთა შვილს – ზ. ა-იას ჰქონდა მისი ვალი, რომლის უზრუნველსაყოფადაც მოპასუხეებს მისთვის უნდა გადაეფორმებინათ კუთვნილი ბინა. ამასთან, სესხის დაბრუნების შემთხვევაში სადავო უძრავი ნივთი დაუბრუნდებოდათ უკან. სადავო გარიგება დაიდო მოსაჩვენებლად, ისე, რომ რეალურად ბინის გასხვისების სურვილი მხარეს არ ჰქონია და არც შესაბამისი ღირებულება ნ. ქ-შვილს მოპასუხეთათვის არ გადაუხდია.

თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილებით ნ. ქ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა, შ., გ. და მ. ა-იები თანმხლებ პირებთან ერთად გამოსახლდნენ თბილისში, ... მე-15 კორპუსში მდებარე 11 ბინიდან; მ. და გ. ა-იების შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

რაიონულმა სასამართლომ მოდავე მხარეების ახსნა-განმარტებებზე დაყრდნობით დადგენილად მიიჩნია ის ფაქტობრივი გარემოება, რომ მ. და გ. ა-იების ერთ-ერთ შვილს – ზ. ა-იას ჰქონდა ნ. ქ-შვილის ვალი და აღნიშნული ვალის გადახდის სანაცვლოდ გაფორმდა მხარეთა შორის ნასყიდობის ხელშეკრულება.

რაიონული სასამართლოს მოსაზრებით, ნ. ქ-შვილმა ბინაზე საკუთრება შეიძინა კანონის მოთხოვნათა დაცვით იმ საფუძველით, რაც საჭირო იყო უძრავ ნივთებზე საკუთრების შესაძენად, კერძოდ, ნოტარიულად დამოწმდა ბინის ნასყიდობის ხელშეკრულება და ნ. ქ-შვილის, როგორც შემძენის, რეგისტრაცია მოხდა საჯარო რეესტრში.

რაიონულმა სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 170.1, 172.1 მუხლებზე და დაასკვნა, რომ ძირითადი სარჩელის მოთხოვნა მოპასუხეების თანხლებ პირებთან ერთად ბინიდან გამოსახლების თაობაზე საფუძვლიანი იყო და დაკმაყოფილებას ექვემდებარებოდა.

რაიონულმა სასამართლომ არ გაიზიარა შეგებებული სარჩელის ავტორთა განმარტება იმის შესახებ, რომ მხარეთა შორის ბინის ნასყიდობის ხელშეკრულება დაიდო გამყიდველის ნების საწინააღმდეგოდ, ე.ი. იძულებით და ამის გამო ნასყიდობის ხელშეკრულება ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი. სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხულმა პირებმა (დ. ო-ძე, ს. ფ-ძე, თ. კ-ია) ვერ დაადასტურეს ის გარემოება, რომ გ., მ. და შ. ა-ებმა ბინის ნასყიდობის გარიგება ნ. ქ-შვილთან დადეს მათი ნების საწინააღმდეგოდ. ამდენად, რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ შეგებებულმა მოსარჩელებმა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102.1 მუხლიდან გამომდინარე ვერ უზრუნველყვეს მათი წილის მტკიცების ტვირთის რეალიზაცია, ვერ დაამტკიცეს გარემოება, რომელზედაც ამყარებდნენ თავიანთ მოთხოვნას.

გარდა ამისა, რაიონულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ იარსებებდა სამოქალაქო კოდექსის 85-ე, 86-ე, 87-ე მუხლებით გათვალისწინებული, იძულებასთან დაკავშირებული გარემოებები, შეგებებული სარჩელის დასაკმაყოფილებლად კანონიერი საფუძვლები მაინც არ იქნებოდა შემდეგი გარემოებების გამო:

სამოქალაქო კოდექსის 89-ე მუხლის თანახმად, იძულებით დადებული გარიგება შეიძლება სადავო გახდეს ერთი წლის განმავლობაში იძულების დამთავრების მომენტიდან. მოცემულ შემთხვევაში, თუ მივიჩნევდით, რომ მოხდა მოპასუხეების იძულება გარიგების დადების მიზნით; გარიგება ნასყიდობის თაობაზე მხარეთა შორის დაიდო 2001 წლის 6 ივლისს, ე.ი. სწორედ ამ დროიდან უნდა მიჩნეულიყო იძულების დამთავრების მომენტი. ეს იმას ნიშნავდა, რომ გარიგების ბათილობის მოთხოვნა შეგებებული სარჩელის ავტორებს შეეძლოთ მხოლოდ 2002 წლის 6 ივლისის ჩათვლით. აღნიშნულის გამო რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ გ. და შ. ა-ებმა გაუშვეს შეცილების ვადა.

მოცემული საქმე არაერთხელ იქნა განხილული სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოების მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 3 ივლისის საოქმო განჩინებებით საქმეში მესამე პირებად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნების გარეშე ჩაებნენ ზ. ა-ია და მ. მ-შვილი.

საბოლოოდ, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მ. და გ. ა-იების სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, თბილისის გლდან-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ნ. ქ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა – მ., გ. და შ. ა-იები გამოსახლდნენ თბილისში, ... მე-15 კორპუსში მდებარე 11 ბინიდან და აღნიშნული ბინა ნ. ქ-შვილს ჩაჰბარდა გამოთავისუფლებულ მდგომარეობაში, მ. და გ. ა-იების შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად დაადგინა საქმისათვის მნიშვნელოვანი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2001 წლის 6 ივლისს ერთის მხრივ, მ. ა-იას, გ. ა-იას და შ. ა-იას, ხოლო მეორეს მხრივ – ნ. ქ-შვილს შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მ., გ. და შ. ა-იებმა მიჰყიდეს ნ. ქ-შვილს თბილისში ... მე-15 კორპუსში მდებარე 11 ბინა;

ფაქტობრივად ბინის ნასყიდობა არ არსებობდა და აღნიშნული გარიგება დაიდო იმ მიზნით, რომ შესრულებულიყო მ. და გ. ა-იების შვილის – ზ. ა-იას ფულადი ვალდებულება ნ. ქ-შვილის მამის – მ. მ-შვილის მიმართ.

მოცემულ შემთხვევაში სადავოდ იყო გამხდარი ბინის ნასყიდობის თაობაზე დადებული გარიგების მხარის – გამყიდველების: მ. და გ. ა-იების ნების ნამდვილობა ამ გარიგების დადების მომენტში (გარიგების ერთ-ერთ მხარეს – შ. ა-იას, არ მოუთხოვია გარიგების ბათილად ცნობა).

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შემდეგი დასკვნა: საქმეზე წარდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება აპელანტების განცხადება იმის შესახებ, რომ გარიგების დადებისას მათი მხრიდან გამოვლენილი ნება არ იყო ნამდვილი, რომ ამ ნების გამოვლენა მოხდა მესამე პირების მხრიდან განხორციელებული იძულების შედეგად.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, იმ პირობებში, როდესაც მოწინააღმდეგე მხარე კატეგორიულად უარყოფდა აპელანტების ნებაზე ზემოქმედებას იძულების ან მუქარის გზით, აპელანტების ახსნა-განმარტება მათ მიმართ განხორციელებული იძულების შედეგად გარიგების დადების თაობაზე ვერ იქნებოდა მიჩნეული საკმარის მტკიცებულებად. საქმეზე წარდგენილი მოწმეების ჩვენებები, სასამართლოს შეფასებით, ცალსახად ვერ ადასტურებს იმ გარემოებას, რომ ბინის გადაფორმება მოხდა მესამე პირების მხრიდან მათ მიმართ განხორციელებული იძულების ან მუქარის შედეგად.

მართალია, მოწინააღმდეგე მხარე არ უარყოფდა, რომ ითხოვდა ფულადი ვალდებულების შესრულებას, მაგრამ სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ეს მოქმედებები მიმართული იყო მართლზომიერი მიზნის მისაღწევად (ვალის დასაბრუნებლად) და ვინაიდან საქმეში არ მოიპოვებოდა იმის დამადასტურებელი

მტკიცებულება, რომ აღნიშნული ხორციელდებოდა მართლსაწინააღმდეგო საშუალებებით, ამ შემთხვევაში საშუალება და მიზანი ერთმანეთს შეესაბამებოდა.

აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ გარიგება არ დადებულია იძულებით, შესაბამისად, გარიგების მონაწილეთა მხრიდან გამოვლენილი ნება ნამდვილი იყო.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ დავაში სამართლებრივი მნიშვნელობა ჰქონდა ორი ფაქტობრივი გარემოების დადგენას:

ა) რამდენად შეესაბამება გარიგების მხარეების მიერ გამოხატული ნება იმას, რისი გამოხატვაც მათ სინამდვილეში სურდათ, ანუ მოცემულ შემთხვევაში, ხომ არ დაიფარა ამ გარიგებით სხვა, იმავე მხარეების შორის ფაქტობრივად დადებული გარიგება;

ბ) ხომ არ განხორციელდა მ. და გ. ა-იების იძულება ამ გარიგების დადების მიზნით.

სააპელაციო სასამართლომ, მის ხელთ არსებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით დაადგინა, რომ მხარეთა შორის დადებული გარიგებით დაიფარა სხვა გარიგება, კერძოდ, გარიგება სხვა შესრულებით ფულადი ვალდებულების შეწყვეტის თაობაზე და ამ გარიგების დადებისას მხარეთა მიერ ნების გამოვლენაზე იძულება არ მომხდარა. მხარეები არ უარყოფდნენ, რომ 2001 წლის 6 ივლისს მხარეთა შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება არ გამოხატავდა მხარეთა რეალურ ნებას, რადგან მათ სურდათ სხვა გარიგების დადება, რომელიც ფაქტობრივად დაიდო კიდევ – ამ გარიგებით შეწყდა საქმეში მონაწილე მესამე პირ ზ. ა-ის ფულადი ვალდებულება მ. მ-შვილის მიმართ.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ბინის ნასყიდობის ხელშეკრულებით დაიფარა სხვა გარიგება – ფულადი ვალდებულების შეწყვეტა შესრულებით.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, ბათილია გარიგება, რომელიც დადებულია მხოლოდ მოსაჩვენებლად, იმ განზრახვის გარეშე, რომ მას შესაბამისი იურიდიული შედეგები მოჰყვეს (მოჩვენებითი გარიგება). ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ მოსაჩვენებლად დადებული გარიგებით მხარეებს სურთ სხვა გარიგების დაფარვა, მაშინ გამოიყენება დაფარული გარიგების მიმართ მოქმედი წესები (თვალთმაქცური გარიგება).

რაც შეეხებოდა დაფარულ გარიგებას – ფულადი ვალდებულების შეწყვეტას შესრულებით, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ვალდებულებითი ურთიერთობა წყდება კრედიტორის სასარგებლოდ ვალდებულების შესრულებით (სამოქალაქო კოდექსის 427-ე მუხლი); ვალდებულებითი ურთიერთობა წყდება მაშინაც, როცა კრედიტორი ამ ვალდებულებით გათვალისწინებული შესრულების ნაცვლად იღებს სხვა შესრულებას. მართალია, მოცემულ საქმეში ვალდებულება შესრულდა არა მოვალის (ზ. ა-ის), არამედ მესამე პირების – მ., გ. და შ. ა-იების მიერ, მაგრამ სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სამოქალაქო კოდექსის 371.1 მუხლიდან გამომდინარე, მათ ამის უფლება ჰქონდათ. მითითებული მუხლის მიხედვით, თუ კანონიდან, ხელშეკრულებიდან ან ვალდებულების ბუნებიდან არ გამომდინარეობს, რომ მოვალემ პირადად უნდა შეასრულოს ვალდებულება, მაშინ ეს ვალდებულება შეიძლება შეასრულოს მესამე პირმაც. ამასთან, სამოქალაქო კოდექსის 373.2 მუხლის მიხედვით, თუ ვალდებულების შესრულება მიიღო იმ პირმა, რომელიც არ იყო უფლებამოსილი, ვალდებულება ჩაითვლება შესრულებულად მაშინ, როცა კრედიტორმა მისცა ამის თანხმობა ან ამ შესრულებისგან მიიღო სარგებელი. მოცემულ შემთხვევაში შესრულება მიიღო არა კრედიტორმა (მ. მ-შვილი), არამედ მესამე პირმა (ნ. ქ-შვილი) და იმის გათვალისწინებით, რომ ნ. ქ-შვილის განცხადებით (რაც არ გამხდარა სადავო), აღნიშნული განხორციელდა უშუალოდ მ. მ-შვილის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ დაფარული გარიგება არ ეწინააღმდეგებოდა მოქმედ კანონმდებლობას. შესაბამისად, დაფარული გარიგების ბათილად ცნობის საფუძველი არ არსებობდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ აღიარებითი ხასიათის შეგებებული სარჩელის – ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნის დაკმაყოფილებით ვერ დაკმაყოფილებოდა შეგებებული მოსარჩელების იურიდიული ინტერესი და ვერ მიიღწეოდა მათთვის სასურველი შედეგი – ნასყიდობის ხელშეკრულების საგნის კვლავ მათთვის საკუთრებაში დაბრუნება. ამდენად, მხარის მოთხოვნა 2001 წლის 6 ივლისის ბინის ნასყიდობის გარიგების ბათილად ცნობის თაობაზე, არ ექვემდებარებოდა დაკმაყოფილებას.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის პირველ ნაწილზე და განმარტა, რომ მესაკუთრეს შეუძლია მფლობელს მოთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მფლობელს ჰქონდა ამ ნივთის ფლობის უფლება. რამდენადაც გ., მ. და შ. ა-იებმა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლით დადგენილი წესით სასამართლოში ვერ დაადასტურეს სადავო ბინის ფლობის სამართლებრივი საფუძველი, სააპელაციო სასამართლომ მესაკუთრის – ნ. ქ-შვილის მოთხოვნა მათი გამოსახლების შესახებ კანონიერად მიიჩნია და დააკმაყოფილა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს მ., გ., შ. და ზ. ა-იებმა (წარმომადგენელი ქ. ბ-მე), რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება.

კასატორები აღნიშნავენ, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია სადავო გარიგების თვალთმაქცურობა, თუმცა თვალთმაქცურ გარიგებად შეფასებული ნასყიდობის ხელშეკრულება საფუძველად დაუდო სარჩელის დაკმაყოფილებას, რაც გაუგებარია. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, დაფა-

რული გარიგებით შესრულდა ზ. ა-იასა და მ. მ-შვილს შორის არსებული სასესხო ვალდებულება, შესრულება კი მოვალის ნაცვლად განახორციელეს მესამე პირებმა – მ., გ. და შ. ა-იებმა, რომლებსაც ამის უფლება ჰქონდათ. ამ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლო შემოიფარგლა მხოლოდ მ. ა-იას ნების ნამდვილობის შემოწმებით, კერძოდ, მიუთითა სასამართლო სხდომაზე მ. ა-იას აღიარებაზე და არ იმსჯელა ვალდებულების შემსრულებელ დანარჩენ სუბიექტებზე. სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა მოწმეთა ჩვენებები და არ დაადგინა გარიგების იძულებით დადების ფაქტი, რასაც სინამდვილეში ჰქონდა ადგილი.

კასატორები მიიჩნევენ, რომ სააპელაციო სასამართლომ დავის გადაწყვეტისას არ გაითვალისწინა უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 10 თებერვლის განჩინებაში ასახული მითითებები, არ გამოარკვია, თუ რას ისახავდა მიზნად თვალთმაქცური გარიგების სუბიექტთა ნება და რა სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროთ მათ. მ. ა-იას შვილის, ზ. ა-იას სასესხო ვალდებულების შესრულება არ უკისრია, რაზეც გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში არ არის აღნიშნული. ამასთან, სააპელაციო სასამართლოს არც მ. ა-იას ქონებრივი უფლებამოსილების ფარგლები დაუდგენია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 13 მაისის განჩინებით საკასაციო საჩივარი ზ. ა-იას ნაწილში განუხილველად იქნა დატოვებული ხოლო 2010 წლის 7 ივნისის განჩინებით მ., გ. და შ. ა-იების საკასაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული დასაშვებობის შესამოწმებლად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის ფარგლებში საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორების მსჯელობას, რომ სადავო ნასყიდობის ხელშეკრულების იძულებით დადება დასტურდება საქმის მასალებით. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დასაბუთებულია და კასატორებს არ აქვთ წამოყენებული დამატებითი და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილად ცნობილ გარემოებებს, რომ მხარეთა შორის ბინის ნასყიდობის გარიგება დაიდო ნ. ქ-შვილის მაზლის – მ. მ-შვილის მიმართ მ. და გ. ა-იების შვილის – ზ. ა-იას ფულადი ვალდებულების შესრულების მიზნით, ამ გარიგების დადებით შეწყდა ზ. ა-იას ფულადი ვალდებულება მ. მ-შვილის მიმართ.

დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების პირობებში საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა სადავო გარიგების თვალთმაქცურ გარიგებად შეფასების ნაწილში დაუსაბუთებელია. სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თვალთმაქცურია გარიგება, როდესაც გარიგება იდება მოსაჩვენებლად, იმ მიზნით, რომ მისით სხვა გარიგება დაიფაროს.

სამოქალაქო კოდექსის 371-ე მუხლის თანახმად, ნებისმიერ მესამე პირს შეუძლია შეასრულოს ვალდებულება მოვალის მაგივრად, თუკი მოვალის მიერ ვალდებულების პირადად შესრულება კანონიდან, ხელშეკრულებიდან ან ვალდებულების ბუნებიდან არ გამომდინარეობს და ეს შესრულება ნამდვილია. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში სადავო ნასყიდობა არ დადებულა მოსაჩვენებლად, მხარეთა ნების გამოვლენა, რომ მ. და გ. ა-იების შვილის – ზ. ა-იას ფულადი ვალდებულების შესრულება ნ. ქ-შვილის მაზლის – მ. მ-შვილის მიმართ მომხდარიყო მ. და გ. ა-იების საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ნ. ქ-შვილისათვის გადაცემით, ნამდვილია. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში გარიგების საგანს, ფაქტობრივად, წარმოადგენს სწორედ მ. მ-შვილის მიმართ ზ. ა-იას ფულადი ვალდებულების შესრულების მოთხოვნის ნასყიდობა, რაც დროსაც მხარეებმა გამოავლინეს ნამდვილი ნება და არა თვალთმაქცური.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილია არსებითად სწორი გადაწყვეტილება, რის გამოც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის საფუძველზე იგი უცვლელად უნდა დარჩეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

მ., გ. და შ. ა-იების საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილება;
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

4. ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი

განჩინება

1ას-7-6-2010

6 ივლისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი,

თ. თოდრია

დავის საგანი: პირგასამტეხლოს გადახდისაგან გათავისუფლება, შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების პირობების მისადაგება, დამატებითი კრედიტის გაცემის დავალდებულება

აღწერილობითი ნაწილი:

ინდივიდუალურმა მეწარმე ა. ხ-იამ სარჩელი აღძრა სასამართლოში სს «ტ-ის» ფოთის ფილიალის მიმართ სესხის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ვადაგადაცილების გამო დარიცხული პირგასამტეხლოს – 2097,23 აშშ დოლარის გადახდისაგან გათავისუფლების, გენერალური საკრედიტო ხელშეკრულების მოქმედების ვადაში დამატებითი საკრედიტო ხელშეკრულებების რესტრუქტურისა და გათვალისწინებული აუთვისებელი კრედიტის თანხით სამეწარმეო საქმიანობის რეფინანსირების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: 2008 წლის 14 მარტს ა.ხ-იასა და სს „ტ-ს“ შორის დაიდო გენერალური საკრედიტო ხელშეკრულება 10 წლის ვადით, რომლის მიხედვითაც ხელშეკრულების საკრედიტო ლიმიტი განისაზღვრა 130000 აშშ დოლარით. აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში გაფორმდა 2008 წლის 19 მარტის დამატებითი საკრედიტო ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე მოსარჩელეს 3 წლის ვადით გადაეცა 80000 აშშ დოლარი შერეული მიზნებისათვის, ასევე 2008 წლის 29 მაისის დამატებითი საკრედიტო ხელშეკრულების საფუძველზე 3 წლის ვადით გადაეცა 20000 აშშ დოლარი. რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომმა და მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა შეცვალა მანამდე არსებული საბაზრო პირობები და მკვეთრად შეამცირა მოსარჩელის შემოსავალი, რაც ფორსმაჟორულ გარემოებას წარმოადგენს.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო შემდეგი მოტივებით: ინდივიდუალურმა მეწარმე ა.ხ-იამ დაარღვია მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება და გარიგებით გათვალისწინებულ ვადებში სესხი არ დაფარა. დავალიანების პატიება ხელშეკრულებით გათვალისწინებული არ არის და არც ფორსმაჟორული მდგომარეობა სახელმწიფოს არ გამოუცხადებია.

ფოთის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილებით ა.ხ-იას სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც ა. ხ-იამ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 30 ოქტომბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო: პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: საქმეში წარმოდგენილი, 2008 წლის 14 მარტის გენერალური საკრედიტო ხელშეკრულებით, ა. ხ-იასა და სს „ტ-ს“ შორის დაიდო სესხის ხელშეკრულება 10 წლის ვადით, რომლითაც საკრედიტო ლიმიტი განისაზღვრა 130 000 აშშ დოლარით, ასევე განისაზღვრა ხელშეკრულების მონაწილე მხარეების უფლება-მოვალეობები და ხელშეკრულების შესრულების პირობები. მხარეთა მიერ დადებული გენერალური საკრედიტო ხელშეკრულების 9.1 პუნქტით, იმ შემთხვევაში, თუ ბანკის ანგარიშზე არ ჩაირიცხებოდა თანხა კრედიტის დაბრუნების გრაფიკით გათვალისწინებულ ვადაში, ბანკი უფლებამოსილი იყო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დაეკისრებინა პირგასამტეხლო შესაბამისი გადასახდელი თანხის 0,5%-ის ოდენობით, ხოლო მსესხებელს უნდა გადაეხადა იგი. ამავე ხელშეკრულების მე-11 მუხლის თანახმად, მხარეები დროებით თავისუფლდებოდნენ პასუხისმგებლობისაგან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობისას ფორსმაჟორული გარემოებების მოქმედების პერიოდში, თუ ისინი გამოწვეული იქნებოდა გადაუხალავი ძალის შედეგად. ფორსმაჟორული გარემოებების დადგომისას, მხარეები ვალდებული იყვნენ, დაუყოვნებლივ წერილობით ეცნობებინათ მეორე მხარისათვის ამის შესახებ. მხარეთა მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება გადაიდებოდა ფორსმაჟორული გარემოებების ლიკვიდაციამდე. გენერალური საკრედიტო ხელშეკრულების 3.4 პუნქტის მიხედვით, წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში ბანკის მიერ ყოველი მომდევნო საბანკო პროდუქტის გაცემა ხელშეკრულების საფუძველზე, მათ შორის, ტრანშების, იწარმოებდა მსესხებლის მიერ, წინა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებისას და/ან მოქმედი კრედიტის პირობებში ბანკის მოთხოვნების დაკმაყოფილებისას. ამავე მუხლის 3.5 პუნქტის თანახმად, წინამდებარე ხელშეკრულების პირობები ძალაშია ამ ხელშეკრულების და მის საფუძველზე გაფორმებული საბანკო პროდუქტით მომსახურების ყველა დამატებითი ხელშეკრულების მოქმედებისას. მსესხებლისათვის გაცემულ კრედიტებზე სრულად ვრცელდებოდა წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი პირობები და უზრუნველყოფა. შესა-

ბამისად მსესხებელი კისრულობდა ვალდებულებას, ჯეროვნად შეესრულებინა, როგორც წინამდებარე, ასევე ამ ხელშეკრულების საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულებით ნაკისრი ყველა ვალდებულება. საქმეში არსებული 2008 წლის 19 მარტის 10017-1 დამატებითი საკრედიტო ხელშეკრულების თანახმად, გენერალური საკრედიტო ხელშეკრულების ფარგლებში, სხვადასხვა მიზნების განხორციელებისათვის ა. ხ-იას სამი წლის ვადით გამოეყო 80 000 აშშ დოლარის კრედიტი და სესხის დაფარვის გრაფიკით განისაზღვრა სესხის შეტანის ოდენობა და ვადები. საქმეში არსებული 2008 წლის 29 მაისის დამატებითი ხელშეკრულებით, გენერალური საკრედიტო ხელშეკრულების ფარგლებში, ა. ხ-იას სამი წლის ვადით, საბრუნავი საშუალებების შეძენის მიზნით, გამოეყო 20 000 აშშ დოლარის კრედიტი და გაფორმდა სესხის დაფარვის გრაფიკი. მხარეთა განმარტებებისა და საქმეში არსებული სს „ტ-ს“ 2009 წლის 20 თებერვლის წერილის მიხედვით, ა. ხ-იამ ზემოაღნიშნული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დაარღვია 2009 წლის იანვრიდან, რის გამოც 2009 წლის 20 თებერვლის მდგომარეობით მას გადასახდელად დაერიცხა ვადაგადასული დავალიანება – 6587 აშშ დოლარი, საიდანაც ჯარიმას წარმოადგენდა 2152 აშშ დოლარი. პალატამ დამატებით აღნიშნა, რომ საქმეში წარმოდგენილი წერილების შესაბამისად, 2008 წლის 9 დეკემბერს ინდივიდუალურმა მეწარმე ა. ხ-იამ მოითხოვა გენერალური ხელშეკრულებით განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში დამატებით 30000 აშშ დოლარის კრედიტის გაცემა (რეფინანსირება), ხოლო სესხის ხელშეკრულების პირობების შეცვლის მოთხოვნით (რესტრუქტურირაცია) სს „ტ-ს“ მიმართა 2009 წლის 18 თებერვალს. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 19-ე მუხლის 1-ელი ნაწილით, 401-ე მუხლით და განმარტა, რომ დაუძლეველი ძალა იმ შემთხვევაში ათავისუფლებს მოვალეს ვადის გადაცილებით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ იგი პირდაპირ იქნება დაკავშირებული ვალდებულების შესრულების შეუძლებლობასთან. ამასთან, ხელშეკრულების დადებისას ამ გარემოების გათვალისწინება არ შეიძლებოდა. პალატის მითითებით, ა. ხ-იამ დაარღვია რა 2008 წლის 14 მარტის გენერალური საკრედიტო ხელშეკრულებითა და 2008 წლის 19 მარტის, ასევე 2008 წლის 29 მაისის დამატებითი საკრედიტო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულება, მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრულ ვადაში სესხის ძირითადი თანხა და საპროცენტო სარგებელი არ გადაიხადა, სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლის შესაბამისად, ბანკმა საჯარიმო თანხის გადახდა მას სწორად დააკისრა. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის გადახდის ვადის გადაცილება გამოწვეული იყო დაუძლეველი ძალით, რაც ამავე ხელშეკრულების მე-11 მუხლის თანახმად, მისი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველია. პალატამ აღნიშნა, რომ მოსარჩელის მიერ დაუძლეველ ძალად მიჩნეული 2008 წლის აგვისტოს საომარი მოქმედებები არ შეიძლება ჩაითვალოს 2009 წლის თებერვალში ვალდებულების შეუსრულებლობის საპატიო მიზეზად, ვინაიდან ამ დრომდე იგი ვალდებულების შესრულებას კვლავ აგრძელებდა, ხოლო საქმის მასალებით არ დასტურდება 2009 წლის თებერვლისათვის სხვა ისეთი ახალი გარემოება, რაც მოვალისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, პირდაპირ იქნებოდა დაკავშირებული ვალდებულების შესრულების შეუძლებლობასთან. ამასთან, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების თაობაზე სახელმწიფოს რაიმე დოკუმენტი არ მიუღია. სამოქალაქო კოდექსის 369-ე მუხლისა და 406-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოთხოვნა მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგების (რესტრუქტურირაციის) და 2008 წლის 14 მარტის გენერალური საკრედიტო ხელშეკრულებით განსაზღვრული საკრედიტო ლიმიტის ფარგლებში დამატებით 30000 აშშ დოლარის სესხის გაცემაზე მოწინააღმდეგე მხარის დავალდებულების თაობაზე. პალატის მითითებით, გენერალური საკრედიტო ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.4 პუნქტითა და 2.2 მუხლით, მხარეთა მიერ განისაზღვრა, რომ ამ ხელშეკრულების ფარგლებში ბანკის მიერ ყოველი მომდევნო საბანკო პროდუქტის გაცემა იწარმოებოდა მსესხებლის მიერ წინა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებისას და/ან მოქმედი კრედიტის პირობებში ბანკის მოთხოვნების დაკმაყოფილებისას. გენერალური ხელშეკრულების დადება არ ნიშნავდა სესხის შეპირებას და ამ მუხლის პირველ ნაწილში ჩამოთვლილ საბანკო პროდუქტებს მსესხებელი მიიღებდა, მხოლოდ წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 მუხლით დადგენილი პირობების დაკმაყოფილებისას, ბანკის შეხებულებისამებრ მსესხებლის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე. ინდივიდუალურმა მეწარმე ა. ხ-იამ დაარღვია ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის გადახდის პირობები. ამასთან, გენერალური საკრედიტო ხელშეკრულების ფარგლებში დამატებით 3000 აშშ დოლარის კრედიტის მოთხოვნა ბანკს წერილობით წარუდგინა მის მიერ სესხის დაფარვის ვადის დარღვევის შემდეგ, 2009 წლის 18 თებერვალს, რის გამოც პალატამ მიიჩნია, რომ აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეული არ იყო არც ბანკის ბრალით და არც დაუძლეველი ძალით, რაც გამორიცხავს 2008 წლის 14 მარტის გენერალური საკრედიტო ხელშეკრულებით განსაზღვრული საკრედიტო ლიმიტის ფარგლებში დამატებით 30000 აშშ დოლარის სესხის გაცემაზე მოწინააღმდეგე მხარის დავალდებულების შესაძლებლობას. სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, როგორც გენერალური ხელშეკრულების შინაარსით ირკვევა, ამ ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული ყოველი საბანკო პროდუქტების მიზნობრიობა განისაზღვრებოდა შესაბამისი კონკრეტული ხელშეკრულებებით და ამ ხელშეკრულების დადებას, რაიმე განსაკუთრებული პირობა არ ედო საფუძველად. სავაჭრო სფეროში ბრუნვის თავისებურებიდან გამომდინარე ყოველთვის არსებობს ეკონომიკური კრიზისის რისკი. ამდენად, მოსარჩელეს მითითება მსოფლიო ეკონომიკური კრიზისზე (რამაც საქართველოზეც ჰპოვა ასახვა და ხელი შეუწყო 2008 წლის აგ-

ვისტოს საომარმა მოვლენებმა) არ შეიძლება ჩაითვალოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით განსაზღვრულ ისეთ პირობად, რაც შეიძლება საფუძვლად დაედოს გენერალური საკრედიტო ხელშეკრულებით უკვე განსაზღვრული პირობების შეცვლას.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება ა. ხ-იამ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება შემდეგი საფუძვლებით: სასამართლომ არასრულად განიხილა სარჩელი და წარმოდგენილი მტკიცებულებები სათანადოდ არ გამოიკვლია. პალატა დაეყრდნო რა მოწინააღმდეგე მხარის განმარტებას, არ შეაფასა კასატორის მიერ მითითებული გარემოებები. სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის შესაბამისად, დამატებით მტკიცებას არ საჭიროებდა მოცემული სარჩელის საფუძვლად მითითებული გარემოება, კერძოდ ის, რომ 2008 წლის აგვისტოში საქართველოში საომარი მდგომარეობის შედეგად არსებულმა კრიზისმა, გამოიწვია კასატორის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა. აღნიშნულის დასადასტურებლად საქმეს დაერთო პირველი არხის სატელევიზიო გადაცემის ჩანაწერი, სადაც განხილულ და შეფასებულ იქნა სწორედ სარჩელის საფუძვლად მითითებული გარემოებები. მხარეს შეეძლო რიგი ვიდეო მასალის წარმოდგენა, თუმცა ჩათვალა, რომ ზემოხსენებული საყოველთაოდ აღიარებულ ფაქტებს წარმოადგენდა. სასამართლოს არ შეუფასებია, რომ 2008 წლის ოქტომბრიდან კასატორმა მოლაპარაკება აწარმოა ბანკთან პრობლემის დარეგულირების მიზნით, რომელიც მონოპოლიური მდგომარეობის გამოყენებით უსამართლოდ მოეკიდა კლიენტის ინტერესებს და შედეგად იგი გაკოტრდა, ვინაიდან ომისა და ფინანსური კრიზისით გამოწვეულმა სავაჭრო ბრუნვის მნიშვნელოვანმა ვარდნამ აიძულა კასატორი, საბანკო ვალდებულებები 2009 წლის იანვრის ჩათვლით ეხადა საბრუნავი საშუალებების ხარჯზე. თავდაპირველი კრედიტის დროს კასატორის ბიზნესის შესწავლის საფუძველზე ბანკს უნდა მიეცა კასატორისათვის კრედიტი 130 000 აშშ დოლარის ოდენობით, რითაც ეს უკანასკნელი უზრუნველყოფდა მცირე საწარმოო ხაზის აღდგენასა და სადავო დავალიანების დაფარვას. ამდენად, ბანკმა ვალდებულება ჯეროვნად არ შეასრულა. სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 398-ე და 401-ე მუხლები.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ინდივიდუალურ მეწარმე ა. ხ-იას საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად დააბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. კანონის ეს დანაწესი საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლად მიუთითებს ისეთ გარემოებას, როდესაც ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთება არ ეფუძნება სწორ ფაქტობრივ დასაბუთებას.

გასაჩივრებული განჩინებით სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტთა მითითება სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლზე და 401-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოების – დაუძლეველი ძალის გამო ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის თაობაზე.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ სრულად არ შეაფასა საქმეში არსებული მტკიცებულებები და გარემოებები, კერძოდ:

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მოსარჩელის მიერ დაუძლეველ ძალად მიჩნეული 2008 წლის აგვისტოს საომარი მოქმედებები არ შეიძლება ჩაითვალოს 2009 წლის თებერვალში ვალდებულების შეუსრულებლობის საპატიო მიზეზად, ვინაიდან ამ დრომდე იგი ვალდებულების შესრულებას კვლავ აგრძელებდა, ხოლო საქმის მასალებით არ დასტურდება 2009 წლის თებერვლისათვის სხვა ისეთი ახალი გარემოება, რაც მოვალისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, პირდაპირ იქნებოდა დაკავშირებული ვალდებულების შესრულების შეუძლებლობასთან. ამასთან, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების თაობაზე სახელმწიფოს რაიმე დოკუმენტი არ მიუღია.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო პალატის ზემოაღნიშნულ დასკვნებს, კერძოდ:

სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის ფარგლებში დაზარალებულმა მხარემ უნდა ამტკიცოს, რომ მოვალის დადგომამ ვალდებულების შესრულება გახადა უკიდურესად მძიმე (განუხორციელებელი); ხელშეკრულება დაიდო იმ ძირითადი ვარაუდით, რომ მოვალენა არ დადგებოდა და რომ ხელშეკრულებით ვალდებულ პირს არ ჰქონდა გათვალისწინებული მოვლენის დადგომის რისკი (ამასთან, განუხორციელებლობა არ უნდა იყოს გამოწვეული მოვალის ბრალით);

მითითებული ნორმა არ ითვალისწინებს პერიოდს, თუ რა დროის განმავლობაში უნდა მოითხოვოს დაზარალებულმა მხარემ შეცვლილი გარემოების შესაბამისი პირობების ხელშეკრულებაში ასახვა, მაგრამ მითითებული ნორმის არსიდან იკვეთება, რომ ასეთი მოთხოვნა ხელშეკრულების მეორე მხარის მიმართ უნდა განხორციელდეს დაყოვნებლივ, შეცვლილი გარემოების დადგომისთანავე. ამასთან, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ შეცვლილი გარემოების სპეციფიკიდან გამომდინარე,

შეიძლება, მოთხოვნა გარემოების წარმოშობის მომენტიდან მოგვიანებითაც წარმოიშვას. აღნიშნულს განაპირობებს ის რეალობა, რომ ზოგ შემთხვევაში გარემოებათა შეცვლა ხდება თანდათან, გარკვეული დროის გასვლის შემდეგაც, ანუ მოცემულ შემთხვევაში შეცვლილი გარემოების საფუძვლის – ომის უარყოფითი ეკონომიკური შედეგები, როგორც წესი, არ სრულდება საომარი მოქმედებების დასრულებასთან ერთად და მას ზოგ შემთხვევაში საკმაოდ ხანგრძლივი განვითარება აქვს. ამდენად, საფუძველს მოკლებულია გასაჩივრებულ განჩინებაში მითითებული დასკვნა, რომ **2008** წლის აგვისტოს ომი არ შეიძლება იყოს საფუძველი **6** თვის შემდეგ ვალდებულების შესრულების გაგრძელების შეუძლებლობისა. აღნიშნულთან დაკავშირებით შეფასებას საჭიროებს ა.ხ-იას მიერ ვალდებულების დარღვევამდე – **2009** წლის თებერვლამდე ბანკის მიმართ განხორციელებული შეტყობინებები მოსალოდნელ პრობლემებთან დაკავშირებით, ასევე, მოსარჩელე მხარის – ა.ხ-იას განმარტება ბანკის წინაშე განხორციელებული ზეპირი შეტყობინებების შესახებ, რომელიც მოწინააღმდეგე მხარეს სადავოდ არ გაუხდია.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, უსაფუძვლოა სასამართლოს მითითება საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების თაობაზე სახელმწიფოს მიერ გამოცემული დოკუმენტის არარსებობის შესახებ, ვინაიდან ასეთი დოკუმენტის არარსებობა საყოველთაოდ ცნობილი ფაქტის არსებობის დადგენისათვის აუცილებელი არ არის.

საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს კასატორის მითითებას, რომ **2008** წლის აგვისტოს საქართველო-რუსეთის ომი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **106**-ე მუხლის «ა» ქვეპუნქტის თანახმად, საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია და იგი დამტკიცებას არ საჭიროებს. მხარეთა შორის სადავოს არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ ორივე მხარე არის რა მეწარმე სუბიექტი, ბანკის მიერ სესხი გაცემულია სწორედ კასატორის სამეწარმეო საქმიანობისა და მატერიალური მდგომარეობის დეტალური და გულმოდგინე შესწავლით. გამსესხებლის მიერ სესხის გაცემას საფუძვლად დაედო მსესხებლის, როგორც მიმდინარე, ასევე სამომავლო სამეწარმეო საქმიანობის – ბიზნეს-გეგმის გამოკვლევის შედეგად მეწარმის საქმიანობის პერსპექტიულობასა და გაცემული სესხის დაბრუნების საიმედოობაში დარწმუნება. ამ დასკვნას ამყარებს ბანკის მიერ მეწარმეზე სესხის განმეორებით გაცემა.

კეთილსინდისიერების ფარგლებში ხელშეკრულების ორივე მხარე თანაბარწილად ვალდებულია, ხელი შეუწყოს ხელშეკრულების შესრულებას, ამასთან, სამოქალაქო კოდექსი ამავე პრინციპზე დაყრდნობით მხარეს ზოგ შემთხვევაში უფრო მეტს აკისრებს, ვიდრე ხელშეკრულებით აქვს ნაკისრი. სამოქალაქო კოდექსის **316**-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თავისი შინაარსისა და ხასიათის გათვალისწინებით, ვალდებულება შეიძლება ყოველ მხარეს აკისრებდეს მეორე მხარის უფლებებისა და ქონებისადმი განსაკუთრებულ გულისხმიერებას. ამავე კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობანი. ამდენად, კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართლის აღიარებული ზოგადი დათქმაა, რომელიც განმტკიცებულია სამოქალაქო კანონმდებლობით. მართალია, ნორმათა უმრავლესობა მასზე პირდაპირ არ უთითებს, მაგრამ მაინც მას ემყარება, ვინაიდან სამოქალაქო მართლწესრიგი სწორედ ამ პრინციპზეა დაფუძნებული. კეთილსინდისიერი ქცევა სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა ერთმანეთის უფლებებისადმი გულისხმიერებითა და პატივისცემით მოქმედებას გულისხმობს. კეთილსინდისიერების პრინციპის ძირითადი ფუნქცია სამართლიანი შედეგების დადგომა და ამავე დროს, აშკარად უსამართლო შედეგის თავიდან აცილებაა, რაც პირდაპირ უკავშირდება სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობასა და სიმყარეს.

ამავდროულად, სამოქალაქო კოდექსის ფუძემდებლურ პრინციპს წარმოადგენს რა ვალდებულების ჯეროვანი შესრულება (სამოქალაქო კოდექსის **361**-ე მუხლი), მოვალე მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში შეიძლება გათავისუფლდეს ამ ვალდებულების შესრულებისაგან.

აღნიშნული ნორმების არსიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ბანკი, რომელსაც კონტრაჰენტი გულმოდგინე შემოწმებით ჰყავს შერჩეული, კეთილსინდისიერების ფარგლებში ვალდებულია, გაითვალისწინოს შეცვლილი ვითარება ხელშეკრულების პირობებთან მიმართებით და ამით ხელი შეუწყოს ვალდებულების შესრულებას. ამასთან დაკავშირებით შეფასება უნდა მიეცეს მოსარჩელის მიერ მითითებულ ფაქტს, რომ **2008** წლის აგვისტოს ომის და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის შედეგად გაზრდილი პრობლემური სესხების გამო მიღებული სახელმწიფო დახმარების შედეგად კომერციულმა ბანკებმა განახორციელეს საკრედიტო ხელშეკრულებების პირობებში ცვლილებების შეტანა. საგულისხმოა, რომ მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელმა საკასაციო სასამართლოს სხდომაზე დაადასტურა ამგვარი მოქმედების – სახელშეკრულებო შეღავათების განხორციელება სხვა კონტრაჰენტებთან მიმართებაში.

სამოქალაქო კოდექსის **398**-ე მუხლის თანახმად, თუ ის გარემოებები, რომლებიც ხელშეკრულების დადების საფუძველი გახდა, ხელშეკრულების დადების შემდეგ აშკარად შეიცვალა და მხარეები არ დადებდნენ ამ ხელშეკრულებას ან დადებდნენ სხვა შინაარსით, ეს ცვლილებები რომ გაეთვალისწინებინათ, მაშინ შეიძლება მოთხოვილ იქნეს ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ცალკეულ გარემოებათა გათვალისწინებით ხელშეკრულების მხარეს არ შეიძლება მოეთხოვოს შეუცვლელი ხელშეკრულების მკაცრად დაცვა. გარემოებათა შეცვლას უთანაბრდება, როცა წარმოდგენები, რომლებიც ხელშეკრულების საფუძველი გახდა, არასწორი აღმოჩნდა.

ამავე კოდექსის 401-ე მუხლის მიხედვით, ვადა გადაცილებულად არ ჩაითვლება, თუკი ვალდებულება არ შესრულდა ისეთ გარემოებათა გამო, რაც მოვალის ბრალით არ არის გამოწვეული.

აღნიშნული ნორმებით სამოქალაქო კოდექსი ადგენს სახელშეკრულებო შესრულების ვადის გადაცილებისას მოვალის პასუხისმგებლობის გამომრიცხავ და შემზღუდავ გარემოებებს. უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ ამ ორ ინსტიტუტს შორის არსებითი განსხვავებაა, კერძოდ, შესრულების შეუძლებლობისას ვალდებულების შესრულება მთლიანად გამორიცხულია, ანუ ამ შემთხვევაში ისეთ სუბიექტურ თუ ობიექტურ გარემოებებთან გვაქვს საქმე, რომელიც გამორიცხავს ვალდებულების შესრულების შესაძლებლობას, ხოლო შეცვლილი გარემოებების შემთხვევაში შესრულების შესაძლებლობა მაინც არსებობს, თუმცა შესრულება გართულებულია, რადგან ხელშეკრულების დადების პერიოდში არსებული გარემოებანი კარდინალურად შეცვლილია. შეცვლილი გარემოება იმდენად ართულებს შესრულებას, რომ მისი ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით მოთხოვნა ეწინააღმდეგება სამოქალაქო ბრუნვისთვის დამახასიათებელ სამართლიანობისა და კეთილსინდისიერების პრინციპებს. შეცვლილი გარემოებების საწყისი, წარმომშობი მიზეზი შეიძლება იყოს როგორც ფორსმაჟორი, ისე სხვა გარემოებები, რომელიც რეალურად ართულებს შესრულებას.

საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს შემდეგი:

სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის გამოყენება დასაშვებია ამავე მუხლით გათვალისწინებული შემდეგი აუცილებელი წინაპირობების არსებობის შემთხვევაში: 1. შეცვლილმა გარემოებებმა უნდა გამოიწვიოს ვალდებულების შესრულების უკიდურესი დამძიმება; 2. გარემოება აშკარად უნდა შეიცვალოს ხელშეკრულების დადების შემდეგ; 3. გარემოებების შეცვლის გონივრულად გათვალისწინება ხელშეკრულების დადების დროს შესაძლებელი არ უნდა იყოს, ანუ შეცვლილი გარემოებები არ უნდა შედიოდეს დაზარალებული მხარის კონტროლის სფეროში; 4. ხელშეკრულებით არ უნდა იყოს გათვალისწინებული გარემოებების შეცვლის რისკის დაზარალებული მხარისათვის დაკისრება. წინააღმდეგ შემთხვევაში, სახელშეკრულებო პირობა მოქმედებს და 398-ე მუხლის გამოყენება დაუშვებელია; 5. ხელშეკრულების შესრულების გართულება გამოწვეული უნდა იყოს სწორედ აშკარად შეცვლილ გარემოებათა გამო, ანუ არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი.

მითითებული ნორმა განსაზღვრავს შესრულების გართულების შედეგების თავიდან აცილების მიზნით კონტრაქტთა ხელახალ შეთანხმებას ხელშეკრულების შექმნილი ვითარებისადმი მისადაგებული პირობებით. ამასთან, მხარეთა ამგვარი შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დაზარალებული მხარის უფლების დაცვა უზრუნველყოფილია სასამართლო წესით.

ამდენად, დავის განმხილველმა სასამართლომ გადაწყვეტილების გამოტანისას უნდა გამორიცხოს, კრედიტორის მიერ ხელშეკრულების თავდაპირველი პირობებით შესრულების მოთხოვნა, შექმნილი ვითარების ფონზე ხომ არ გამოიწვევს მოვალის მძიმე მდგომარეობით ბოროტად სარგებლობას. ამავდროულად, ახალი სახელშეკრულებო პირობების შემუშავებისას (რომლითაც შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგება ხდება), გათვალისწინებულ უნდა იქნეს ორივე მხარის ის ინტერესები, რომელიც მათ გააჩნდათ ამჟამად მოქმედი ხელშეკრულების დადებისას. აღნიშნული გულისხმობს, იმ ინტერესის გათვალისწინებას, რაც კრედიტორს გააჩნია ხელშეკრულების დადებისას (მოგება, სარგებელი და სხვა), მაგრამ ინტერესი გაითვალისწინება შეცვლილი გარემოების შესაბამისად.

ნორმით აღწერილ ვითარებაში სამართლებრივი შედეგი ცალსახა – მხარეებმა ხელშეკრულება უნდა მიუსადაგონ შეცვლილ გარემოებებს ან უარი თქვან ხელშეკრულებაზე. ადნიშნული ნორმის შესამე ნაწილით მხარეები ჯერ უნდა შეეცადონ, რომ ხელშეკრულება მიუსადაგონ შეცვლილ გარემოებებს. თუკი შეუძლებელია ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი, ან მეორე მხარე ამას არ ეთანხმება, მაშინ იმ მხარეს, რომლის ინტერესებიც დაირღვა, შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე.

ამასთან, საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს და მხარეთა ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაში სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგი დგება. შეცვლილი გარემოებისადმი მისადაგებაზე კრედიტორის უარი არ ათავისუფლებს მოვალეს მიღებული შესრულების (სესხის) დაბრუნებისაგან. ამასთან, გათვალისწინებული უნდა იქნეს 398-ე 1-ელი ნაწილის დათქმა, რომლითაც შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მიუსადაგებლობის შემთხვევაში, ცალკეულ გარემოებათა გათვალისწინებით, ხელშეკრულების მხარეს არ შეიძლება მოეთხოვოს შეუცვლელი ხელშეკრულების მკაცრად დაცვა.

გასაჩივრებული განჩინებით სასამართლომ ისე გამორიცხა სადავო ხელშეკრულების დადების შემდგომ გარემოებათა შეცვლის არსებობა, რომ გადაწყვეტილების კვლევით ნაწილში მითითებულ არსებით საკითხებზე არ უმსჯელია. ამდენად, სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის გამოყენების კანონიერება დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ამ ნორმის აუცილებელ წინაპირობებთან მიმართებაში უნდა შემოწმდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

დაადგინა:

ინდივიდუალურ მეწარმე ა. ხ-იას საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 30 ოქტომბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

5. მოვალის მიერ ვადის გადაცილება

განჩინება

1ას-6-345-09

14 ივნისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი,
ვ. როინიშვილი

დავის საგანი: ვალდებულების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ა. ი-მემ სარჩელი აღძრა სასამართლოში ზ. შ-მისა და გ. ც-მის მიმართ ზიანის – 4466 ლარის ანაზღაურების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: 2004 წლის 31 ივლისს მოსარჩელემ მოპასუხეებისაგან გირაოს – 1500 აშშ დოლარის გადახდის სანაცვლოდ 2 წლის ვადით მფლობელობაში მიიღო ქობულეთის ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე 12 კვ.მ სავაჭრო ჯიხური. შეთანხმების ვადის გასვლამდე, 4 თვით ადრე, ბაზრის ტერიტორიაზე დაწყებული სარეკონსტრუქციო სამუშაოების გამო, მოსარჩელემ კაპიტალური ჯიხური აიღო და შეინახა, ხოლო მის სანაცვლოდ დადგა დროებითი კონსტრუქცია, რაშიც 500 ლარი გადაიხადა. გარიგებით განსაზღვრული ვადის გასვლის მიუხედავად, მოპასუხეებმა კუთვნილი თანხა არ დაუბრუნეს. ამდენად, მოპასუხეებს უნდა დაეკისროთ გირაოში გადახდილი 1500 აშშ დოლარის, ჯიხურზე დახარჯული 500 ლარის, აღნიშნული თანხის 3%-ის, სულ 1566 ლარისა და სასამართლო ხარჯების გადახდა.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს შემდეგი დასაბუთებით: მხარეთა შორის მარტივი ფორმით დაიდო მფლობელობითი გირავნობის ხელშეკრულება, რის საფუძველზეც მოსარჩელეს მფლობელობაში გადაეცა მოპასუხეთა კუთვნილი სავაჭრო დუქანი, ხოლო მოპასუხეებმა ვალდებულება იკისრეს, ა.ი-მისაგან მიღებული 1500 აშშ დოლარი დაებრუნებინათ ორი წლის შემდეგ, იმ დროს, როცა მათ კუთვნილი დუქანი დასჭირდებოდათ. სინამდვილეს არ შეესაბამება მოსარჩელის მითითება, რომ მან ჯიხურის გადატანაზე გარკვეული ხარჯი გაიღო, ვინაიდან მოპასუხეებმა თავად ითავეს და პრესტიჟულ ადგილას დაამონტაჟეს კუთვნილი ჯიხური. ამასთან, ა.ი-მემ მითვისა მათი კაპიტალური ჯიხურის მასალა.

ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილებით ა. ი-მის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – ზ.შ-მესა და გ.ც-მეს სოლიდარულად დაეკისრათ მოსარჩელის სასარგებლოდ 1500 აშშ დოლარის ანაზღაურება, რაც სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში ზ.შ-მემ და გ.ც-მემ, ხოლო სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში – ა.ი-მემ გაასაჩივრეს სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 6 ნოემბრის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივრები ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და ზ.შ-მესა და გ.ც-მეს ა.ი-მის სასარგებლოდ დაეკისრათ 2265 აშშ დოლარისა და 264 ლარის გადახდა შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ 2004 წლის 31 ივლისს ზ. შ-მემ და გ. ც-მემ ა. ი-მისაგან იხსესხეს 1500 აშშ დოლარი ორი წლის ვადით. ამავდროულად მოვალეებმა კრედიტორს უსასყიდლო სარგებლობაში გადასცეს სავაჭრო დუქანი 142. ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ მოვალეებს კრედიტორისათვის ნასესხები თანხა არ დაუბრუნებიათ. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა ზ. შ-მისა და გ. ც-მის მოსაზრება, რომ მათ სადავო თანხა ა. ი-მეს უნდა დაუბრუნონ მხოლოდ მაშინ, როდესაც დუქანი დასჭირდებოდათ. სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლით და მიიჩნია, რომ საქმის მასალებითა და მხარეთა განმარტებებით არ დასტურდება ა. ი-მის მიერ მოწინააღმდეგე მხარისათვის თანხის იმ პირობით სესხება, რომ იგი დაუბრუნებდა მხოლოდ საჭიროების მიხედვით. პალატამ ჩათვალა, რომ ხელშეკრულების ტექსტში ნახსენები სიტყვები: «როდესაც დამჭირდება», ნიშნავს მოვალის უფლებამოსილებას, არ შეწყვიტოს და გააგრძელოს ხელშეკრულება ვადის გასვლის შემდეგაც, თუმცა ეს დათქმა არ გულისხმობს, რომ კრედიტორის მიერ ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლება დამოკიდებული იყო მოვალეთა ნებაზე. შესაბამისად, ხელშეკრულების მოქმედება შეიძლება გაგრძელებულიყო ვადის გასვლის შემდეგაც მხარეთა თანხმობის შემთხვევაში. ამდენად, პალატამ მიიჩნია, რომ სადავო გარიგება მოვა-

ლის ნებაზე დამოკიდებულად, პირობით დადებულად უნდა ჩაითვალოს. ამასთან, მიუთითა, რომ სადავო დათქმისადმი ზ.შ-მისა და გ.ც-მის მოსაზრების გაზიარების შემთხვევაშიც კი მოვალეთა მხრიდან გადახდის ვალდებულება უცვლელად დარჩებოდა. მოვალეთა საჭიროების პირობის დადგომა მთლიანად მოვალეთა ნებაზეა დამოკიდებული, რის გამოც გარიგება ნებაზე დამოკიდებული პირობით დადებული გარიგებაა. სამოქალაქო კოდექსის 92-ე მუხლის თანახმად, ასეთი პირობით დადებული გარიგება უცილოდ ბათილია და გარიგებით გათვალისწინებულ სამართლებრივ შედეგებს არ წარმოშობს. ასეთ შემთხვევაში არსებობს უსაფუძვლოდ მიღებული თანხის დაბრუნების ვალდებულება კონდიციური სარჩელის შეტანის საფუძველზე. სასამართლომ დადგინებულად მიიჩნია შემდეგი: სამოქალაქო კოდექსის 623-ე მუხლის მიხედვით, მოვალეებმა იკისრეს რა ვალდებულება, ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ დაებრუნებინათ კრედიტორისათვის ნასესხები 1500 აშშ დოლარი, ა. ი-მის სარჩელი ამ ნაწილში საფუძველიანია. პალატამ დაადგინა, რომ სამოქალაქო კოდექსის 123-ე მუხლის 1-ელი ნაწილის მიხედვით, მოვალეთა ვალდებულების შესრულების ვადა 2006 წლის 1 აგვისტოს გავიდა, თუმცა, ამავე კოდექსის 361-ე მუხლის 1-ელი ნაწილისა და მე-400 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოვალეებმა გადააცილეს ფულადი ვალდებულების შესრულების ვადა, რა დროსაც, სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლის 1-ელი ნაწილის სადავო ურთიერთობის წარმოშობის დროს მოქმედი რედაქციის თანახმად, მოვალეს უნდა გადაეხადა კანონით გათვალისწინებული პროცენტი. პალატამ აღნიშნა, რომ სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლი ახალი რედაქციით 2007 წლის 29 ივნისს ჩამოყალიბდა. საკანონმდებლო ცვლილების შედეგად ჩამოყალიბებული 403-ე მუხლის ახალი რედაქცია მინიმალური ზიანის ანაზღაურებას არ კრძალავს, არამედ მოიხსნა ამავე ნორმის ძველი რედაქციით დაწესებული შეზღუდვა – მინიმალური ზიანისათვის გათვალისწინებული პროცენტი შესაბამისობაში უნდა ყოფილიყო ბანკთაშორის აუქციონით დადგენილი საპროცენტო სარგებლის ოდენობასთან. ესე იგი, მხარეებს მიენიჭათ უფლება, ფულადი თანხის გადახდის ვადის გადაცილებით გამოწვეული ზიანის ოდენობა განსაზღვრონ თავისუფლად, რაც არ ნიშნავს ამ ტიპის ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში ვალდებულების დამრღვევის ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან გათავისუფლებას. მითითებულ ნორმას უკუქცევითი ძალა არ მიანიჭებია. ამდენად, სამოქალაქო კოდექსის მე-6 მუხლის თანახმად, იგი ვერ დაარეგულირებს იმ ურთიერთობებს, რომლებიც წარმოშობილია მის ძალაში შესვლამდე. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოვალეებს გადახდის ვალდებულება წარმოემართა მოცემული კანონის ამოქმედებამდე, შესაბამისად, დავის გადაწყვეტისათვის გამოყენებულ უნდა იქნეს სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლის 2007 წლის 29 ივნისამდე არსებული რედაქცია. ა. ი-მემ მინიმალური ზიანის ანაზღაურება მოითხოვა 2006 წლის 1 აგვისტოდან 2008 წლის 28 იანვრამდე მოწინააღმდეგე მხარისათვის ყოველთვიურად 1500 აშშ დოლარის 3%-ის დაკისრება 17 თვის განმავლობაში. მოვალეს არ მიუთითებია, რომ კრედიტორის მიერ მოთხოვნილი მინიმალური ზიანის ანაზღაურების ოდენობა არ იყო შესაბამისობაში ბანკთაშორის აუქციონით დადგენილ საპროცენტო ზღვრულ ოდენობასთან. ამდენად, პალატამ ჩათვალა, რომ ა. ი-მის მოთხოვნა მინიმალური ზიანის – 765 აშშ დოლარის ანაზღაურების თაობაზე საფუძველიანია. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 383-ე მუხლით და მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეთა შორის ფულადი ვალდებულება დადგენილია აშშ დოლარში, შესაბამისად, იგი ამ ვალუტაშივე უნდა შესრულდეს. სასამართლომ აღნიშნა, რომ კანონმდებლობა არ ითვალისწინებს კურსთა შორის სხვაობით მიღებული ზიანის ანაზღაურებას, რის საფუძველად მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 389-ე მუხლზე. პალატამ არ გაიზიარა ზ.შ-მისა და გ.ც-მის მოსაზრება, რომ ა.ი-მის მიერ დუქნით სარგებლობით მიღებული შემოსავლით კომპენსირებულია კრედიტორის მოთხოვნა, რადგანაც სადავო არაა ის ფაქტი, რომ მხარეთა შეთანხმებით დუქანი ა.ი-მეს გადაეცა უსასყიდლო სარგებლობაში და მოვალეთა მხრიდან ფულადი ვალდებულების შესრულება დამოკიდებული არ ყოფილა ა.ი-მის მიერ ქონებიდან ნაყოფის მიღების შესაძლებლობაზე. ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის 1-ელი ნაწილის საფუძველზე აღნიშნული გარემოების მტკიცების ტვირთი ეკისრებოდათ ზ.შ-მესა და გ.ც-მეს, რაც მათ სათანადო მტკიცებულებების წარდგენის გზით არ დაუსაბუთებიათ. მხარეებს ასევე არ დაუდასტურებიათ მათ მიერ მითითებული გარემოება, რომ დუქნის დემონტაჟის შედეგად ა.ი-მემ მიიღო სარგებელი, რაც თუნდაც მინიმალური ზიანის ანგარიშში ჩათვლის საფუძველს არ წარმოადგენს. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, ა. ი-მემ ვერ დაადასტურა, რომ დუქნის დემონტაჟის შედეგად მას მიაღდა 500 ლარის ზიანი და ეს ზიანი მოწინააღმდეგე მხარის ბრალითაა გამოწვეული. სააპელაციო სასამართლომ არ შეაფასა საქმეში წარმოდგენილი წერილობითი ახსნა-განმარტებები იმ მოტივით, რომ ისინი თავისი შინაარსით მოწმეთა ჩვენებებს წარმოადგენს, ეს უკანასკნელი კი მტკიცებულებად მიიჩნევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოწმე ჩვენებას მისცემს სასამართლო სხდომაზე და გაფრთხილებულ იქნება შეგნებულად ცრუ ჩვენების მიცემისათვის პასუხისმგებლობის თაობაზე. სააპელაციო სასამართლომ არ შეაფასა საქმეში წარმოდგენილი არასახელმწიფო ენაზე შედგენილი მტკიცებულება, ვინაიდან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სასამართლო სხდომაზე დაკითხულ მოწმეთა ჩვენებებით არ დადასტურდა ა. ი-მისათვის 500 ლარის ოდენობის ზიანის მიყენების ფაქტი.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება ზ. შ-მემ და გ. ც-მემ გაასაჩივრეს საკასაციო წესით, მოითხოვეს მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება შემდეგი დასაბუთებით: 2004 წლის 31 ივლისს მხარეთა შორის დაიდო გირავნობის ხელშეკრულება, რომლის მოქმედების ვადა განისაზღვრა 2 წლით, ხელშეკრულებ-

ბაში გაკეთდა დათქმა, რომ მისი მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ მესაკუთრე დაიბრუნებდა დუქანს, როდესაც ნივთი დასჭირდებოდათ, ამ ვადის განმავლობაში კი ა.ი-მე შეუზღუდავად ისარგებლებდა გირავნობის საგნით და მიიღებდა ვაჭრობით შემოსავალს. გარიგების დადების დღიდან მოვალეს არანაირი სარგებელი მიუღია, რის გამოც სასამართლომ არასწორად არ დააკმაყოფილა მხარის მოთხოვნა, რომ ჯიხურით სარგებლობისას მიღებული შემოსავალი უნდა ჩათვლილიყო მოთხოვნის უზრუნველყოფის ანგარიშში, ამასთან სასამართლოს მიერ არ იქნა გათვალისწინებული ის გარემოება რომ თავად გირავნობის საგანი სარგებლობისას – შესაძლებელია რეალიზაციით შემოსავლის მიღება ან მისი საგნობრივი თვალსაზრისით გამოყენება. ამდენად, სასამართლოს სესხის ძირითადი თანხის დაკისრების ნაცვლად უნდა მიეთითებინა, რომ გირავნობის საგნით იყო შესაძლებელი მოთხოვნის დაკმაყოფილება. სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა ხელშეკრულების დათქმა – «როდესაც დამჭირდება», რადგანაც აღნიშნული დათქმა მხარეთა ნამდვილი ნების გამოვლენაა, რასაც მოწმობს ა.ი-მის მიერ ხელშეკრულებაზე ხელისმოწერის ფაქტი. აღნიშნული დათქმით დუქნის მესაკუთრე უფლებამოსილი იყო, კრედიტორისათვის მისი შეხედულებისამებრ დაებრუნებინა თანხა დუქნის სანაცვლოდ. ამასთან, ამით არც ა.ი-მე ჩაუყენებიათ უარეს მდგომარეობაში, რადგანაც მას საკმაოდ შემოსავლიანი დუქანი რჩებოდა სარგებლობაში. სააპელაციო სასამართლომ ასევე არასწორად დააკისრა ზ.შ-მესა და გ.ც-მეს ზიანის ანაზღაურება, რადგანაც ა.ი-მეს აღნიშნული პრეტენზიით მათთვის არასოდეს მიუძღრთავს, საპროცენტო სარგებლის შესახებ კი მხოლოდ სარჩელშია მითითებული.

საკასაციო სასამართლოს შეგებებული საკასაციო საჩივრით მიმართა ა. ი-მემ, მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით ზ.შ-მისა და გ.ც-მისათვის ჯიხურის დემონტაჟის თანხის – 500 ლარის, 2006 წლის 31 ივლისიდან მის სრულად დაფარვამდე მიუღებელი შემოსავლის შემოსავლის სახით ამ თანხის 3%-ის, 2006 წლის 31 ივლისიდან სესხის ძირითადი თანხის – 1500 აშშ დოლარის 3%-ისა და სასამართლო ხარჯების დაკისრება შემდეგი დასაბუთებით: 2004 წელს ა.ი-მემ მოწინააღმდეგე მხარისაგან 1500 აშშ დოლარად იგირავა ჯიხური, ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრა 2006 წლის 31 ივლისამდე, 2006 წლის აპრილიდან დაიწყო ბაზრის რეკონსტრუქცია, რა დროსაც გირავნობის საგნის მესაკუთრემ უარი განაცხადა კუთვნილი ჯიხურის დემონტაჟის ხარჯების გაწევაზე. აღნიშნული დემონტაჟი ა.ი-მემ განახორციელა საკუთარი ხარჯით, რამაც შეადგინა 500 ლარი, რის თაობაზეც ინფორმირებული იყო ზ.შ-მე. ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ მოწინააღმდეგე მხარემ ვალდებულება არ შეასრულა, ამასთან, იცოდა, რომ ა.ი-მე ჯიხურით აღარ სარგებლობდა. საქმის განხილვისას სააპელაციო სასამართლომ არ დაკითხა ა.ი-მის მიერ მოთხოვნილი მოწმეები, რომლებიც დაადასტურებდნენ ახალი ჯიხურის შესყიდვისა და ძველი ჯიხურის დემონტაჟისათვის ა.ი-მის მიერ 500 ლარის დახარჯვის ფაქტს და შეფასება არ მისცა მითითებული ფაქტის თაობაზე საქმეში წარმოდგენილ ახსნა-განმარტებებს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 6 აპრილის განჩინებით ზ.შ-მისა და გ.ც-მის საკასაციო საჩივარი, ამავე წლის 7 აპრილს – ა.ი-მის შეგებებული საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 28 მაისის განჩინებით კასატორ ზ. შ-მის უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნა გ. შ-მე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ზ. შ-მის უფლებამონაცვლე გ. შ-მისა და გ. ც-მის საკასაციო საჩივარი, ასევე, ა. ი-მის შეგებებული საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებული დარღვევა არ მომხდარა და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

სააპელაციო პალატამ გასაჩივრებული განჩინებით დადგინილად ცნო და კასატორს სადავოდ არ გაუხდია ის გარემოება, რომ 2004 წლის 31 ივლისს ზ.შ-მემ ა.ი-მისაგან ისესხა 1500 აშშ დოლარი ორი წლის ვადით. ა.ი-მეს სესხის უზრუნველსაყოფად, სარგებლობის უფლებით გადაეცა ზ.შ-მის კუთვნილი, 142 სავაჭრო ჯიხური.

დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს ზ.შ-მის უფლებამონაცვლე გ.შ-მისა და გ.ც-მის მოსაზრებას, რომ მოწინააღმდეგე მხარის მიერ ნივთით სარგებლობის შედეგად მიღებული შემოსავალი უნდა ჩათვალოს მოთხოვნის უზრუნველყოფის ანგარიშში, ვინაიდან მათ სესხის ხელშეკრულების მოქმედების ვადაში არ მიუღიათ შემოსავალი სავაჭრო დუქნიდან. აღნიშნული მოსაზრების უსაფუძვლოდ მიჩნევის უპირველესი საფუძველია სწორედ სავაჭრო დუქანზე გადაცემული სანივთო უფლება – სარგებლობა და არა მხოლოდ მფლობელობა, რის თაობაზეც გარიგების მხარეებისათვის გარიგების დადების მომენტშივე იყო ცნობილი. კასატორის მიერ მითითებული მოთხოვნა სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული მფლობელობითი გირავნობის ხელშეკრულების მარეგულირებელი ნორმებიდან – 261-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან მომდინარეობს, რომლის თანახმად, თუ გირავნობის საგა-

ნი დამგირავებლის მფლობელობაში იმყოფება, მას უფლება აქვს, მიიღოს სარგებელი გირავნობის საგნიდან. მოგირავნეს თავის მფლობელობაში გადაცემული გირავნობის საგნიდან სარგებლის მიღება შეუძლია, თუ ეს გათვალისწინებულია მხარეთა შეთანხმებით. ივარაუდება, რომ მოგირავნე უფლებამოსილია, მიიღოს ნაყოფი გირავნობის საგნიდან, თუ ნაყოფის მიღება გირავნობის საგნის თვისებიდან გამომდინარეობს. მოგირავნის მიერ მიღებული სარგებელი ჩაითვლება უზრუნველყოფილი მოთხოვნის ანგარიშში. მოგირავნე ვალდებულია, დამგირავებლის მოთხოვნით წარუდგინოს მას ანგარიშში მის მიერ მიღებული სარგებლის შესახებ.

სამოქალაქო კოდექსის 256-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, მოძრავ ნივთზე მფლობელობითი გირავნობა წარმოიშობა მხარეთა შეთანხმებისა და ნივთის მოგირავნის ან მოგირავნის მიერ განსაზღვრული მესამე პირის მფლობელობაში გადაცემის გზით. აღნიშნული დანაწესით განსაზღვრულია მფლობელობითი გირავნობის კლასიკური შემთხვევა, როდესაც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება კრედიტორის სასარგებლოდ იტვირთება გირავნობით და აღნიშნული სანივთო გარიგების ნამდვილობა დასტურდება ნივთზე მფლობელობის უფლების კანონით გათვალისწინებული სუბიექტისათვის გადაცემით. ამდენად, გირავნობის კლასიკური შემთხვევა შემოიფარგლება გირავნობის საგანზე მხოლოდ მფლობელობის უფლების გადაცემით, რაც მოცემულ შემთხვევაში არ დგინდება.

ამასთან, სადავო ხელშეკრულების შინაარსიდან გამომდინარე, ნათლად არის განსაზღვრული გარიგების მიზანი – სესხად გაცემული თანხის სარგებლის სანაცვლოდ ჯიხურის სავაჭრო საქმიანობისათვის გამოსაყენებლად გადაცემა. აღნიშნულ მოსაზრებას ადასტურებს ხელშეკრულების პირობა – «დუქნის ტერიტორიული ცვლილების შემთხვევაში, სადაც გადავა, იქ ივაჭრებს ამ ვადაში...», ასევე, თავად ხელშეკრულება, რომელიც ა.ი-მეს ნივთით სარგებლობის სანაცვლოდ რაიმე სარგებელს წესს არ უდგენს. ამდენად, სადავო ნივთით სარგებლობის შედეგად მიღებული სარგებელი უნდა ჩაითვალოს არა სესხის ძირითადი თანხის ან მიწმალური ზიანის, არამედ – თავად სესხის სარგებლის ანგარიშში, რაც ხელშეკრულების შინაარსის გონივრული განსჯით დასტურდება (სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლი).

რაც შეეხება მითითებას, რომ კრედიტორს მოთხოვნა უნდა დაეკმაყოფილებინა მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად გამოყენებული საგნის სარგებლით და მოვალე არაა პასუხისმგებელი სესხის დაბრუნებაზე, აღნიშნული მოსაზრება ვერ იქნება გაზიარებული საკასაციო სასამართლოს მიერ, რადგანაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, მხარეები მოცემულ შემთხვევაში შეთანხმდნენ, რომ სესხად გადაცემულ თანხაზე სარგებლად გაითვალისწინეს არა თანხაზე პროცენტი, არამედ მსესხებლის მიერ გამსესხებლისათვის გადაცემულ ნივთის – ჯიხურის სარგებლობა. ამავდროულად, მითითებული ნივთი მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებასაც წარმოადგენდა.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის დასკვნას, რომ მხარეთა მიერ შეთანხმებული დათქმა – მსესხებელი უზრუნველყოფის საგანს დაიბრუნებს გარიგების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ, «როდესაც დასჭირდება» – არ ნიშნავს უზრუნველყოფის საგნის მესაკუთრის – მოვალის – მიერ სესხის გადახდას მისი შეხედულებისამებრ. აღნიშნული დათქმით მხარეები უფლებამოსილი არიან, ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვის შემდეგ, სურვილისამებრ გააგრძელონ იგივე შეთანხმება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ხელშეკრულება წყდება და ორივე მხარეს ეკისრება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება. მოცემულ ორმხრივ სახელშეკრულებო ურთიერთობაში ა.ი-მე ვალდებულია, დაუბრუნოს ნივთი – ჯიხური ზ.შ-მეს, ხოლო ზ.შ-მე სამოქალაქო კოდექსის 361-ე-382-ე მუხლების თანახმად, ვალდებულია, მიიღოს შესრულება – ჯიხური. აღნიშნული ნების სხვაგვარად (კასატორ ზ.შ-მისა და გ.ც-მის ვერსიით) განმარტების შემთხვევაში პირობის დადგომა მთლიანად მოვალეთა ნებაზე დამოკიდებული გახდება, რაც, თავის მხრივ, გარიგების უცილოდ ბათილ დებულებას წარმოადგენს და არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგს, ვინაიდან, სამოქალაქო კოდექსის 92-ე მუხლის თანახმად, ნებაზე დამოკიდებულად ითვლება ისეთი პირობა, რომლის დადგომაც ან დაუდგომლობა დამოკიდებულია მხოლოდ გარიგების მხარეებზე. ასეთი პირობით დადებული გარიგება ბათილია. აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ დაუსაბუთებელია კასატორთა პრეტენზია სააპელაციო პალატის მიერ ხელშეკრულების ტექსტის არასწორად განმარტებასთან მიმართებით.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს ზ. შ-მის უფლებამონაცვლე გ. შ-მისა და გ. ც-მის მოსაზრებას, რომ სასამართლოს ფულადი ვალდებულების შესრულების ვადის დარღვევის გამო არ უნდა დაეკისრებინა მათთვის ზიანის ანაზღაურება, რადგანაც აღნიშნული პრეტენზიით ა.ი-მეს მოვალეებისათვის არასოდეს მიუმართავს. საქმის მასალებით უდავოდ დადგენილია, რომ ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ – 2006 წლის 1 აგვისტოსათვის მოვალეს სესხის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება არ შეუსრულებია, რის შედეგადაც არსებობს სამოქალაქო კოდექსის მე-400 მუხლის «ა» ქვეპუნქტით განსაზღვრული ფულადი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილება. აღნიშნულთან დაკავშირებით სავსებით მართებულია სააპელაციო სასამართლოს მითითება სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლზე, რომლის სადავო ურთიერთობის წარმოშობის დროს მოქმედი რედაქციის თანახმად, მოვალე ფულადი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისას ვალდებული იყო, გადაეხადა კანონით გათვალისწინებული პროცენტი. დასახელებული ნორმა ადგენდა მოვალის ვალდებულებას, შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში აენაზღაურებინა ვალდებულების დარღვევით მიყენებული ზიანი. თავად ნორმის შინაარსიდან გამომდინარე კი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში ზიანის ანაზღაურება არ წარმოადგენს არც სახელშეკ-

რულებო პირობას და აღნიშნულის თაობაზე არც მხარის ინფორმირებას ითვალისწინებს კანონმდებელი. აღნიშნული წარმოადგენს კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ მეორად მოთხოვნას, რომელიც ვალდებულების ბრალეულად დამრღვევი პირის მიმართ კანონით გათვალისწინებული სანქციაა. ამავდროულად საკასაციო სასამართლო ეთანხმება გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში მითითებულ გარემოებას, რომ სამოქალაქო კოდექსის მე-6 მუხლით დადგენილი სამოქალაქო კანონის დროში მოქმედების პრინციპიდან გამომდინარე, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძვლად მითითებული უნდა იყოს ვალდებულების წარმოშობის დროს მოქმედი სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლის რედაქცია.

კანონიერია ასევე სააპელაციო სასამართლოს მითითება ზიანის ანაზღაურების ოდენობასთან მიმართებითაც, ვინაიდან ზ.შ-ძესა და გ.ც-ძეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად არ დაუდასტურებიათ ფულადი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისათვის სესხის ძირითადი თანხის 3%-ის დაკისრების შეუსაბამობა დავის წარმოშობის დროს მოქმედი სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლის რედაქციასთან, რადგანაც შეჯიბრებითობის პრინციპის გათვალისწინებით, აღნიშნული სწორედ ზ.შ-ძისა და გ.ც-ძის მტკიცების ტვირთს წარმოადგენდა.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს შეგებებული საკასაციო საჩივრის ავტორის – ა.ი-ძის მოსაზრებას, რომ სააპელაციო სასამართლომ ჯიხურის დემონტაჟისა და ახალი ჯიხურის შექმნისათვის გაწეული ხარჯების ოდენობის დასადგენად არ დაკითხა მოწმეები და არ გამოიკვლია საქმეში არსებული მტკიცებულებები. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სააპელაციო სასამართლო ყოველი კონკრეტული ფაქტის დადგენას აფუძნებს საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. ამასთან, მტკიცებულებათა მოპოვება, კანონით გათვალისწინებული შეზღუდვების გათვალისწინებით (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლის მესამე ნაწილი), ეკისრება მოდავე მხარეს, რომელიც, შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე, თავადვე განსაზღვრავს, თუ რომელი მტკიცებულება უნდა დაედოს საფუძვლად მის მოთხოვნას. განსახილველ შემთხვევაში, ა.ი-ძემ მოითხოვა რა ჯიხურის დემონტაჟისა და ახალი ჯიხურის შექმნისათვის გაწეული ხარჯის – 500 ლარის ანაზღაურება, მას სასამართლოსათვის აღნიშნული მოთხოვნის დამადასტურებელი კანონით გათვალისწინებული უდავო მტკიცებულება არ წარუდგენია. რაც შეეხება მოწმეთა დაკითხვის ფაქტს, სასამართლომ სწორედ მოწმეთა დაკითხვის საფუძველზე მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი ზიანის არსებობის ფაქტი მოწმეების ჩვენებით არ დასტურდება.

საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანი ვერ გახდება ა.ი-ძის შეგებებული საკასაციო საჩივრის მოთხოვნა სესხის ძირითადი თანხის 3%-ის დაკისრების თაობაზე 2006 წლის 31 ივლისიდან მის სრულ დაფარვამდე, ასევე, იურიდიული მომსახურებისათვის გაწეული ხარჯების ანაზღაურების შესახებ, რადგანაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 406-ე მუხლის შესაბამისად, დავის საგნის შეცვლა ან გადიდება, შეგებებული სარჩელის შეტანა და ხარჯების განსაზღვრა საკასაციო სასამართლოზე დაუშვებელია. განსახილველ შემთხვევაში მხარის სასარჩელო მოთხოვნა ზიანის ოდენობასთან მიმართებით იყო ზიანის ოდენობის განსაზღვრა არა თანხის სრულ გადახდამდე, არამედ, 2006 წლის 1 აგვისტოდან 2007 წლის 29 იანვრამდე, შეგებებული საკასაციო საჩივრით ა.ი-ძემ გაზარდა დავის საგნის ოდენობა მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში და მოითხოვა არა სარჩელში მითითებული პერიოდის განმავლობაში პროცენტის დარიცხვა, არამედ თანხის სრულ დაფარვამდე, რაც საკასაციო სასამართლოში დაუშვებელია. რაც შეეხება იურიდიული მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, ა.ი-ძეს სასამართლოსათვის აღნიშნული მომსახურების გაწევის დამადასტურებელი კანონით გათვალისწინებული მტკიცებულება არ წარუდგენია, რაც მოთხოვნის ამ ნაწილში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ გ. ც-ძისა და ზ. შ-ძის უფლებამონაცვლე გ. შ-ძის საკასაციო საჩივარი, ასევე, ა. ი-ძის შეგებებული საკასაციო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

ზ. შ-ძის უფლებამონაცვლე გ. შ-ძისა და გ. ც-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ა. ი-ძის შეგებებული საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 6 ნოემბრის გადაწყვეტილება.

სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

6. ზიანის ანაზღაურება

პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მოვალეობა

განჩინება

1ას-98-93-2010

8 ივნისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ლ. ლაზარაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი,
თ. თოდრია

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 29 მაისს ბათუმის საქალაქო სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა სპს «რ. ბ-მემ» (დირექტორი რ. ბ-მე) მოპასუხე სს «ე. ჯ-ს» მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხისაგან ზიანის ანაზღაურება 6 500 ლარის ოდენობით.

სარჩელში აღნიშნულია, რომ 1997-1998 წლებში მოსარჩელემ შეიძინა ელექტროენერჯის გამომუშავების მოწყობილობა, ე.წ. ფიდერი, რომელიც სახელმწიფო ენერგოკომპანიის საქენერგოს ფილიალის ელექტროენერჯის გადაცემისა და რეალიზაციის აჭარის დირექციის ნებართვით დაამონტაჟა აჭარის ენერგოკომპანიის ... ქვესადგურში, მე-6 კარადაში. 2008 წელს მოპასუხე დაწესებულების თანამშრომლებმა აღნიშნული მოწყობილობა გადაიტანეს 11 კარადაში და მიითვისეს. მოწყობილობის ღირებულება შეადგენს 6 500 ლარს.

მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ მოცემულ შემთხვევაში სს «ე. ჯ-ს», რომელიც წარმოადგენდა შპს «ა. ე-ის» ქონების მესაკუთრეს, უნდა აენაზღაურებინა ფიდერის ღირებულება, რის გადახდაზეც უარს აცხადებდა.

მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძველად მოსარჩელემ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 352-ე, 408-ე მუხლებზე.

მოპასუხე სს «ე. ჯ-მ» სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ სადავო ფიდერი მან შეიძინა 2007 წლის 29 ივნისს შპს «ა. ე-სთან» დადებული აქტივების (ქონების) ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე. შესაბამისად, იგი წარმოადგენდა ამ ქონების კეთილსინდისიერ შემძენსა და მესაკუთრეს. მოსარჩელეს არ წარუდგინა რაიმე მტკიცებულება იმის დასადასტურებლად, რომ მან ზუსტად სადავო ფიდერი შეიძინა.

მოპასუხემ არ გაიზიარა სარჩელის სამართლებრივ საფუძველად სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლზე მითითება. მისი განმარტებით, დასახელებული მუხლი ითვალისწინებს მხოლოდ სხეულის დაზიანებითა და ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებას, რაც კონკრეტულ შემთხვევაში არ მომხდარა. ამასთან, კომპენსაცია მოთხოვნილ უნდა იქნეს მხოლოდ ვალდებული პირისგან. სს «ე. ჯ-ა» ასეთ პირს არ წარმოადგენს. იგი არის სადავო ქონების კეთილსინდისიერი შემძენი და მესაკუთრე, რომელსაც აჭარის ენერგოკომპანიამ გადასცა აქტივები.

გარდა ამისა, მოპასუხემ სადავოდ გახადა მოსარჩელის მიერ მითითებული ფიდერის ღირებულება. რ. ბ-მის მიერ მოწყობილობის შეძენიდან – (1997 წლიდან ფიდერის ღირებულება მნიშვნელოვნად შემცირდა ცვეთის გამო. აქედან გამომდინარე, სადავო ფიდერის ფასი 6 500 ლარი ვერ იქნებოდა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილებით სპს «რ. ბ-მის» სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, სს «ე. ჯ-ს» სპს «რ. ბ-მის» სასარგებლოდ დაეკისრა ელექტროენერჯის გამომუშავების მოწყობილობის არამართლზომიერად დაუფლებით გამოწვეული ზიანის სახით 6 500 ლარის გადახდა.

საქალაქო სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელის განმარტება იმასთან დაკავშირებით, რომ სადავო ფიდერები შეძენილი იყო მის მიერ და ხელვაჩაურის რაიონის ენერგოკომპანიის ... ქვესადგურის განყოფილებაში დაამონტაჟდა აჭარის ენერგოკომპანიის მაშინდელი ხელმძღვანელობის ნებართვით. აღნიშნულ ფიდერს 2008 წელს მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლა მოპასუხე, გადაიტანა 12 კარადაში და ამ მოწყობილობის დამონტაჟებით სადავო ფიდერი გადაიქცა მოპასუხის ელექტროგადამცემი მოწყობილობის შერწყმულ ნაწილად.

საქალაქო სასამართლოს ზემოაღნიშნული დასკვნა დაეფუძნა მოსარჩელის განმარტებას, საქმეზე წარდგენილი ხელვაჩაურის რაიონის ენერგოკომპანიის ხელმძღვანელობის მიმართვებს მოსარჩელისადმი, ხელვაჩაურის რაიონის ენერგოკომპანიის ... ქვესადგურის განყოფილების მორიგეების, მოწმეების ჩვენებებს.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის წარმომადგენლის მსჯელობა იმის შესახებ, რომ მან სადავო ფიდერი შეიძინა 2007 წლის 29 ივნისს შპს «ა. ე-ის» სხვა ქონებასთან ერთად. საქმეზე წარმოდგენილი 2007 წლის 29 ივნისის ნასყიდობის ხელშეკრულების დანართში, სადაც მოპასუხის მიერ შპს «ა. ე-საგან» შეძენილი ქონება ჩამოთვლილი, ... განყოფილებაში არსებული 16 ფიდერი მითითებული არ იყო, რაც იმას ადასტურებდა, რომ მოპასუხე ამ ქონების არაკეთილსინდისიერი შემძენი და, შესაბამისად, მისი არამართლობიერი მფლობელი იყო.

სადავო ფიდერის ღირებულებასთან მიმართებით საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქმეში არსებული 2009 წლის 29 მაისის აუდიტორულ დასკვნაზე, რომლის შესაბამისად, სადავო ფიდერის ღირებულება 6 500 ლარი. აღნიშნულის საწინააღმდეგო მტკიცებულება მოპასუხეს სასამართლოსათვის არ წარუდგენია. აქედან გამომდინარე, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოსთხოვნა ამ ნაწილში საფუძვლიანი იყო და დაკმაყოფილებას ექვემდებარებოდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სს «ე. ჯ-მ», რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილებით სს «ე. ჯ-ს» სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილება, სპს «რ. ბ-ის» სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია, რომ სადავო ფიდერი 16 შეიძინა სპს «რ. ბ-ემ» და წარმოადგენდა მის საკუთრებას.

ზემოაღნიშნული დასკვნის საფუძვლად სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქმეში არსებულ, სახელმწიფო ენერგოკომპანიის საქენერგოს ფილიალის ელექტროენერჯის გადაცემისა და რეალიზაციის აჭარის დირექციის 1997 წლის 9 ოქტომბრის წერილზე, სახელმწიფო ენერგოკომპანიის საქენერგოს ფილიალის ელექტროენერჯის გადაცემისა და რეალიზაციის აჭარის დირექციისადმი რ. ბ-ის 1998 წლის 19 თებერვლის განცხადებაზე ხელვაჩაურის ენერგოკომპანიის 1998 წლის 4 მარტის თანხმობის თაობაზე.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქმეზე ასევე დგინდებოდა, რომ 2007 წლის 29 ივნისს სს «ე. ჯ-მ» შეიძინა შპს «ა. ე-ის» კუთვნილი ქონება. ნასყიდობის ხელშეკრულების 1.2 მუხლის თანახმად, აპელანტმა იყიდა ის ქონება, რომელიც განსაზღვრული იყო ხელშეკრულების 11 დანართით. ხელშეკრულებით აპელანტს სადავო ფიდერი არ შეუძენია, რამდენადაც ამ ხელშეკრულებით შეძენილ ნივთებს შორის მითითებული არ არის ხელვაჩაურის ქვესადგურ მახინჯაურში მდებარე ფიდერი 16. მიუხედავად ამისა, ხელშეკრულების დადების შემდეგ აპელანტმა სადავო ფიდერი გადაიტანა 12 კარადაში და ჩართო საერთო ქსელში.

ამდენად, საქმეში არსებული მტკიცებულებების შეფასების შედეგად სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო 16 ფიდერი შეიძინა «რ. ბ-ემ». ამასთან, ეს იყო სწორედ ის ფიდერი, რომელიც აპელანტმა გადაიტანა 12 კარადაში.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოება ასევე დასტურდებოდა საქალაქო სასამართლოში დაკითხული მოწმეების ჩვენებებით, რომლებმაც პირდაპირ დაადასტურეს, რომ 16 ფიდერი შეიძინა რ. ბ-ემ და შემდგომში იგი გადაიტანა იქნა 12 კარადაში.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მსჯელობა იმის შესახებ, რომ ფიდერის 12 კარადაში დამონტაჟების შემდეგ ფიდერი გახდა სხვა ნივთის შემადგენელი ნაწილი და სს «ე. ჯ-მ» მოიპოვა მასზე საკუთრების უფლება.

ამასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ განმარტა შემდეგი:

სამოქალაქო კოდექსის 194-ე მუხლი ითვალისწინებს მოძრავ ნივთზე თანასაკუთრების წარმოშობას იმ შემთხვევაში, როცა ნივთები ისე უკავშირდება ერთმანეთს, რომ ახალი, ერთიანი ნივთის არსებით შემადგენელ ნაწილად იქცევა ან მოძრავი ნივთები ერთმანეთს შეერწყმება. იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი ნივთი, დამკვიდრებული შეხედულების მიხედვით, მიჩნეულია მთავარ ნივთად, მაშინ მისი მესაკუთრე მოიპოვებს საკუთრებას საკუთვნებელზეც.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სადავო ფიდერის კარადაში დადგმის შემდეგ ახალი, ერთიანი ნივთი არ შექმნილა და ნივთები ერთმანეთს არ შერწყმია, ამიტომ აპელანტს ფიდერზე საკუთრება არ მოუპოვებია.

ამასთან, სააპელაციო სასამართლომ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ 2007 წლის 29 ივნისის ნასყიდობის ხელშეკრულებით სს «ე. ჯ-მ» შეიძინა ფიდერები, როგორც ინდივიდუალურად განსაზღვრული მოძრავი ნივთები, ე.ი. მხარეები, რომლებიც, ჩვეულებრივ, მონაწილეობენ მსგავსი ტიპის ურთიერთობებში (ენერგოკომპანიები), გარიგების ობიექტად მიიჩნევიდნენ ფიდერს და არა სხვა ნივთს, რომლის შემადგენელი ნაწილიც იყო ფიდერი. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, აღნიშნული ადასტურებდა, რომ ფიდერი კარადაში დადგმის შემდეგაც ინარჩუნებდა ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთის სტატუსს და იგი არ გამხდარა სხვა ნივთის არსებითი თუ არაარსებითი შემადგენელი ნაწილი ან საკუთვნებელი.

იმის გათვალისწინებით, რომ სპს «რ. ბ-ძეს» სადავო ნივთზე საკუთრება არ დაუკარგავს, სააპელაციო სასამართლომ მისი მოთხოვნა სამოქალაქო კოდექსის 197-ე მუხლის 1-ელი ნაწილით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების შესახებ უსაფუძვლოდ მიიჩნია.

მიუხედავად ამისა, სპს «რ. ბ-ძის» პოზიციის გაზიარების შემთხვევაშიც, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მას მოთხოვნა უნდა დაეყენებინა შპს «ენერგოკომპანიის» და არა აპელანტის მიმართ. თუკი აპელანტმა, როგორც მთავარი ნივთის მესაკუთრემ, მოიპოვა საკუთრება სადავო ფიდერზე, ცხადია, მანამდე ამ ნივთის მესაკუთრე გამხდარა შპს «ა. ე-ია». სწორედ ამ საწარმოს კუთვნილ 16 კარადაში იდგა ფიდერი თავდაპირველად.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა სპს «რ. ბ-ძის» მოსაზრება იმის შესახებ, რომ აპელანტი არ იყო უფლებამოსილი, სპს «რ. ბ-ძის» თანხმობის გარეშე გადაეტანა ფიდერი 16 კარადიდან. ამის გამო, სს «ე. ჯ-ია» ვალდებული იყო, მოწინააღმდეგე მხარისათვის ანაზღაურებინა მიყენებული ზიანი.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის 1-ელ ნაწილზე და განმარტა, რომ იმ პირმა, რომელიც ვალდებულია ანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულელებელი გარემოება. კანონის აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, სს «ე. ჯ-ია» ვალდებული იყო, აღედგინა პირვანდელი მდგომარეობა, ანუ დაებრუნებინა ფიდერი მოწინააღმდეგე მხარისათვის.

სააპელაციო სასამართლომ აგრეთვე მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 409-ე მუხლზე, რომლის მიხედვით, ზიანის ფულადი ანაზღაურება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როცა შეუძლებელია პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა.

მოცემულ შემთხვევაში დგინდებოდა, რომ სადავო ფიდერის გადაადგილება და მესაკუთრისათვის დაბრუნება მისი დანიშნულების მოსპობის გარეშე შესაძლებელი იყო – სადავო ფიდერი ორჯერ დამონტაჟდა სხვადასხვა ადგილას და ამით მას დანიშნულება არ დაუკარგავს. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ შესაძლებლად მიიჩნია სადავო ფიდერის მესაკუთრისათვის დაბრუნება, ე.ი. პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა, რის გამოც მოთხოვნა ზიანის ფულადი ანაზღაურების შესახებ უსაფუძვლო იყო.

ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, საქალაქო სასამართლომ დავის გადაწყვეტისას არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის 1-ელი ნაწილი, რასაც შედეგად მცდარი გადაწყვეტილების მიღება მოჰყვა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა სპს «რ. ბ-ძემ», რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

კასატორის მითითებით, ზიანის ფულადი სახით ანაზღაურების შესახებ მისი მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია სამოქალაქო კოდექსის 197-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმად, პირს, რომელიც 193-ე-195-ე მუხლების მიხედვით კარგავს თავის საკუთრებას, ან სხვაგვარად ირღვევა მისი უფლება, შეუძლია ზიანის ანაზღაურება მოსთხოვოს იმ პირს, ვინც მესაკუთრე გახდა. პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მოთხოვნა დაუშვებელია. სააპელაციო სასამართლოს მიერ კანონის დასახელებული ნორმის გამოუყენებლობა განპირობებულია მის მიერვე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებით იმის შესახებ, რომ სპს «რ. ბ-ძეს» სადავო ნივთზე საკუთრება არ დაუკარგავს. კასატორი სააპელაციო სასამართლოს აღნიშნულ მსჯელობას არ იზიარებს და მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 194-ე მუხლზე, რომლის შესაბამისად, თუ მოძრავი ნივთები ისე არიან ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ ისინი ახალი ერთიანი ნივთის არსებით შემადგენელ ნაწილებად იქცნენ, ანდა მოძრავი ნივთები ერთმანეთს შეერწყნენ, მაშინ ადრინდელი მესაკუთრეები ხდებიან ამ ახალი ნივთის თანამესაკუთრენი. წილი განისაზღვრება იმ ღირებულების შესაბამისად, რომელიც ნივთებს მათი შეერთების დროს ჰქონდათ. თუ ერთ-ერთი ნივთი დამკვიდრებული შეხედულების მიხედვით მიჩნეულია მთავარ ნივთად, მაშინ მისი მესაკუთრე მოიპოვებს საკუთრებას საკუთვნებელზე. კასატორის მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში არსებობდა კანონის დასახელებულ ნორმაში ასახული ვითარება. შესაბამისად, სპს «რ. ბ-ძის» მოთხოვნა სამოქალაქო კოდექსის 197-ე მუხლზე დაყრდნობით ექვემდებარებოდა დაკმაყოფილებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სპს «რ. ბ-ძის» საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე საკასაციო სასამართლო დადასტურებულად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილ შემდეგ გარემოებებს:

მოსარჩელე სპს «რ. ბ-ძემ» შეიძინა სადავო ფიდერი აჭარის ენერგოკომპანიისგან;

ფიდერი აჭარის ენერგოკომპანიასთან შეთანხმებით დამონტაჟებული იყო აჭარის ენერგოკომპანიის ... ქვესადგურში, მე-6 კარადაში;

2007 წლის 29 ივნისს მოპასუხე სს «ე. ჯ-მ» შეიძინა შპს «ა. ე-ის» კუთვნილი ქონება;

2008 წელს მოპასუხემ ფიდერი გადაიტანა 12 კარადაში და ჩართო ქსელში.

მოსარჩელე ითხოვს ზიანის ანაზღაურებას ნივთის ღირებულების ოდენობით. მოთხოვნის ფაქტობრივი საფუძველია გარემოება, რომ მოპასუხემ მიითვისა მისი კუთვნილი ნივთი.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ მოცემულ შემთხვევაში სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 409-ე მუხლის საფუძველზე არ არის გამართლებული ზიანის ფულადი კომპენსაცია, რამდენადაც შესაძლებელია ნატურით რესტიტუცია.

სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. 409-ე მუხლი ითვალისწინებს შემდეგს: თუ ზიანის ანაზღაურება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით შეუძლებელია ან ამისათვის საჭიროა არათანაზომიერად დიდი დანახარჯები, მაშინ კრედიტორს შეიძლება მიეცეს ფულადი ანაზღაურება. ზიანის ანაზღაურების შესახებ სპს «რ. ბ-მის» სარჩელის საფუძვლიანობისათვის გადამწყვეტია ის გარემოება, შესაძლებელია თუ არა სადავო ფიდერის მესაკუთრისათვის დაბრუნებით თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენა და არის თუ არა ნატურით რესტიტუცია კრედიტორისთვის სრული ანაზღაურება. სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დაადგინა, რომ სადავო ფიდერი ორჯერ დამონტაჟდა სხვადასხვა ადგილას. ამით მას დანიშნულება არ დაუკარგავს და რომ მოცემულ შემთხვევაში პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა შესაძლებელია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამავე კოდექსის 103-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, მტკიცებულებებს სასამართლომ წარუდგენენ მხარეები. კანონის დასახელებული ნორმებიდან გამომდინარე, იმ გარემოების მტკიცების ტვირთი, რომ სადავო ფიდერის თავდაპირველი დანიშნულებით მესაკუთრისათვის დაბრუნება შეუძლებელია, სწორედ მოსარჩელეს ეკისრება, რაც მას არ განუხორციელებია და არც საკასაციო საჩივარშია წარმოდგენილი ამ საკითხზე დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია. გარდა ამისა, კასატორი ვერ ასაბუთებს, რომ ნატურით ანაზღაურება მისთვის ვერ იქნება სრული ანაზღაურება.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის მიერ მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძვლად სამოქალაქო კოდექსის 197-ე მუხლის პირველ ნაწილზე მითითებას. აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, ამ ნორმის გამოსაყენებლად უნდა არსებობდეს სამოქალაქო კოდექსის 193-ე-195-ე მუხლებით გათვალისწინებული სავალდებულო წინაპირობები, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ არის. შესაბამისად, სადავო სამართლებრივ ურთიერთობაზე სამოქალაქო კოდექსის 197-ე მუხლი ვერ გავრცელდება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს სპს «რ. ბ-მის» საკასაციო საჩივარს და უცვლელად ტოვებს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

სპს «რ. ბ-მის» საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილება;
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ზიანის ანაზღაურების მოვალეობა

განჩინება

1ას 36-35-10

1 ივლისი, 2010 წ., ქ.თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
თ. თოდრია

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 2 აპრილის გადაწყვეტილებით შპს „ს. რ-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდა. მ. კ-შვილს დაეკისრა შპს „ს. რ-ს“ სასარგებლოდ 1770,72 ლარის გადახდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა მ. კ-შვილმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა – გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით შპს „ს. რ-ის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა. პალატამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი გარემოებები:

მოპასუხე მ. კ-შვილი 2005 წლის 4 ივლისიდან მუშაობდა შპს „ს. რ-ის“ ფილიალში – „მგზავრთა გადაყვანა“ – მოლარის თანამდებობაზე.

მ. კ-შვლსა და შპს „ს. რ-ას“ შორს, შრომით ხელშეკრულებასთან ერთად, დადებული იყო ხელშეკრულება სრული ინდივიდუალური მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ.

მოპასუხე მ. კ-შვილსა და მოსარჩელე შპს „ს. რ-ას“ შორის დადებული იყო შეთანხმება – გაფორმდა კ-9 ფორმის დოკუმენტი, რომლის საფუძველზე მ. კ-შვილს ნაკისრი ჰქონდა მატერიალური პასუხისმგებლობა ჩაბარებული მატერიალური თანხებისა და სხვა ფასეულობების მოვლა-შენახვისათვის.

2008 წლის 1 მარტს თბილისის ცენტრალური ვაგზლის სალაროებში ჩატარებული ბილეთების მარაგის აღწერა-გადაბარების დროს სალარო 17-ში გამოვლინდა 90 ერთეული სახელმწიფოთაშორისო საბლანკო ბილეთის დანაკლისი, კერძოდ, 2007 წლის 3 დეკემბერს მიღებული მარაგის დასტიდან – 60 სამგზავრო დოკუმენტის (1204941-დან 1205000-ის ჩათვლით), ხოლო 2008 წლის 27 თებერვალს მიღებული მარაგის დასტიდან – 30 სამგზავრო დოკუმენტის (1209971-დან 12100000-ის ჩათვლით).

მგზავრობის ღირებულება სახელმწიფოთაშორისო მიმოსვლის მატარებელში ბოლო სარტყლამდე (ბაქომდე) 2007 წლის დეკემბერში შეადგენდა 80,91 ლარს, ხოლო 2008 წლის თებერვალში – 79,97 ლარს. დაკარგული სამგზავრო ბილეთების ღირებულებამ შეადგინა 7 254 ლარი.

2007 წლის 3 დეკემბრიდან 2008 წლის 27 თებერვლამდე 17 სალაროში მუშაობდა ხუთი მოლარე (მათ შორის – მ.კ-შვილი), ხოლო 2008 წლის 27 თებერვლიდან დანაკლისის გამოვლენამდე სამი მოლარე (მათ შორის – მ.კ-შვილი), რომლებსაც დაეკისრათ ზარალის ანაზღაურება.

2008 წლის 28 ივლისის დანარიცხით 1510/509 მოპასუხე მ. კ-შვილს დაერიცხა სახელმწიფოთაშორისო ბილეთების დანაკლისისთვის 1770,72 ლარი.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნა იმის შესახებ, რომ მ. კ-შვილმა უგულვებლყო რა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება თანხისა და სხვა ფასეულობათა მოვლა-შენახვისათვის, გულგრილობის, დაუდევრობისა და გაუფრთხილებლობის შედეგად მიაყენა ზარალი მოპასუხეს, ვინაიდან დადგენილია, რომ მხარეები სადავო შემთხვევამდე იმყოფებოდნენ ვალდებულებით-სახელშეკრულებო ურთიერთობებში და მოსარჩელის მოთხოვნა ეფუძნება სწორედ სახელშეკრულებო ზიანის მიყენებას.

კონკრეტულ შემთხვევაში სადავოდ არ გამხდარა ზიანის არსებობის ფაქტი, რაც შეეხება ზიანის ანაზღაურებისათვის აუცილებელ მეორე წინაპირობას – მიზეზობრივ კავშირს მოპასუხის ქმედებასა (მოქმედება, უმოქმედობა) და დამდგარ ზიანს შორის, პალატამ მიიჩნია, რომ მისი არსებობა საქმის მასალებით დადასტურებული არ იყო, რაც გამორიცხავდა სარჩელის დაკმაყოფილებას.

გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიხედვით, მოპასუხე მ. კ-შვილის მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება (ანუ ზიანის გამომწვევი ქმედება) მდგომარეობდა მის უყურადღებო და გულგრილ დამოკიდებულებაში მატერიალური ფასეულობებისადმი, რაც კონკრეტულად გამოიხატა მასში, რომ მას მოლარე ი. ზ-ძის მიერ გამოწერილი სამგზავრო დოკუმენტები არ შეუმოწმებია და ისე შეაწყო კარადაში, რაც განმეორდა ცვლის დამთავრებისას. სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების ეს დასკვნა არ გაიზიარა, პალატის აზრით პირველი ინსტანციის სასამართლოს ეს დებულება ვრცელდება მხოლოდ 2008 წლის 27 თებერვალს მიღებული მარაგის დასტაზე, საიდანაც დანაკლისი შეადგენს 30 სამგზავრო დოკუმენტს, მაშინ, როდესაც მოპასუხეს ასანაზღაურებლად ასევე დაეკისრა 2007 წლის 3 დეკემბერს სხვა მოლარის მიერ მიღებული მარაგის დასტიდან 60 სამგზავრო დოკუმენტის დანაკლისით გამოწვეული ზიანის ნაწილიც. ამასთან, პალატამ აღნიშნა, რომ საქმეში არსებული არც ერთი დოკუმენტით არ დგინდება, რომ სამგზავრო დოკუმენტების დანაკლისი არსებობდა სწორედ მ. კ-შვილის მორიგეობის დროს. სამგზავრო დოკუმენტები დაიკარგა 2007 წლის 3 დეკემბრიდან 2008 წლის 1 მარტამდე პერიოდში, როდესაც მ. კ-შვილის გარდა მორიგეობდა კიდევ 7 მოლარე.

პალატამ მიიჩნია, რომ საქმის მასალებით დადგენილი არ არის, რომ მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანი გამოწვეულია მ. კ-შვილის ქმედებით შესაბამისად, არ არსებობდა პირდაპირი (უშუალო) მიზეზობრივი კავშირი დასაქმებულის (მოპასუხის) მოქმედებას და დამდგარ ზიანს შორის.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა შპს „ს. რ-ამ“.

კასატორის წარმომადგენლის აზრით სააპელაციო სასამართლომ არ შეამოწმა გადაწყვეტილება საფუძვლიანად და საქმეში არსებული დოკუმენტები და არ გაითვალისწინა მხარეთა მოსაზრებები და მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლზე და განმარტა სამოქალაქო პასუხისმგებლობის შემადგენლობა და მიიჩნია, რომ სახეზე არ იყო მიზეზ-შედეგობრივი კავშირი მ. კ-შვილის ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. ის კი არ გაითვალისწინა, რომ მოპასუხე მოქმედებდა დაუდევრად, გაუფრთხილებლად და გულგრილად, რაც გამოიხატა იმაში, რომ მისივე განმარტებით, ის არ ახდენდა მიზარებული ფასეულობების შემოწმებას, რითაც დაარღვია სახელშეკრულებო პირობა. გარდა აღნიშნულისა, როგორც ჩანს, სააპელაციო სასამართლომ რკინიგზასა და მ. კ-შვილს შორის გაფორმებული ხელშეკრულებების (შრომის, ფორმა კ-9) შინაარსი არასწორად გაიგო. სამოქალაქო სამართალში სხვაგვარად განმარტება პასუხისმგებლობის საფუძვლის შემადგენლობა, როცა პირი არ ასრულებს სახელშეკრულებო ვალდებულებას, ის მართლსაწინააღმდეგოდ მოქმედებს, მიუხედავად იმისა, პირი ბრალის გარეშე მოქმედებს თუ ბრალეულად. როდესაც სამართლებრივი დანაწესი ირღვევა, კონკრეტულ შემთხვევაში კი, შეთანხმებაში ნეგატიური დანაწესის, ანუ მასში აღნიშნული პირობის დადგომის შემთხვევაში შედეგი ანუ, მხარის მოქმედება თუ უმოქმედობა განიხილება სამართლებრივი დანაწესის დარღვევად, ე.ი. მართლსაწინააღმდეგოდ მოქმედებად ან უმოქმედობად, ვინიდან მართლწინააღმდეგობა ობიექტური ნიშანია სამართალდარღვევისა, ანუ, თუ ურთიერთობა განხილულ იქნება სამოქალაქო ურთიერთობის ფორმატში, ნათელი გახდება, რომ სახელშეკრულებო ურთიერთობა ორიენტირებულია შედეგზე და არა დანაშაულებრივ თუ სხვა მოქმედებათა პრევენციასზე. როცა ვალდებულების პირობა ირღვევა, ზიანი უნდა ანაზღაურდეს ხელშეკრულების მხარის მიერ.

კასატორის წარმომადგენლის აზრით სასამართლოს მხრიდან დარღვეულია აგრეთვე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლი და აგრეთვე მან უგულვებელყო სამოქალაქო სამართალში დამკვიდრებული ერთ-ერთი ძირითადი და ამოსავალი პრინციპი. როგორცაა მტკიცების ტვირთი, მისი განაწილების წესი, კერძოდ, მათ მიერ დადასტურებულია, რომ მ. კ-შვილს ჩაბარებული ჰქონდა სამგზავრო დოკუმენტები, რომლის რეალიზაციასაც 2007 წლის 3 მარტიდან 2008 წლის 1 მარტამდე ახორციელებდა, ხოლო მტკიცების ტვირთი კი აღნიშნულ შემთხვევაში ეკისრება მოპასუხეს, როგორც მატერიალური სამართლის ნორმების, აგრეთვე, პროცესუალური ნორმების თვალსაზრისით. მხარემ კი ვერანაირი მტკიცებულება ვერ წარმოადგინა და ვერც ახსნა-განმარტებით დაადასტურა, რომ ზიანი მის ცვლაში არ დამდგარა, ხოლო მოლარეზე ფასეულობა ჩაბარებულად ითვლება მისი კონკრეტულ სალაროში განწესების შემდეგ. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დადასტურებულია, რომ მ. კ-შვილს ჩაბარებული ჰქონდა ის დასტები, საიდანაც დაიკარგა სამგზავრო დოკუმენტები, რაც დაფიქსირდა შემოწმების შედეგად 2008 წლის 1 მარტს. მ. კ-შვილს სხვა მოლარეებთან ერთად ნაკისრი აქვს ვალდებულება ნებისმიერი დანაკლისისათვის სრული მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ, ის კი ვერ ადასტურებს, რომ ფასეულობა მათი მიღებიდან ორი თვის განმავლობაში არ დაკარგულა მის ცვლაში. იგი ვერ ადასტურებს, რომ ბრალი არ მიუძღვის ბილეთების დაკარგვაში, რადგან ეს ერთი გარემოება არსებობს და ნათელია, რომ დაფიქსირდა დანაკლისი, ხოლო მათი მოვლა-პატრონობა და შენახვა სხვა მოლარეებთან ერთად ეკისრებოდა მ. კ-შვილს, ხოლო თუკი მხარე თვლის, რომ ის სრულად ასრულებდა დაკისრებულ ვალდებულებას, დანაკლისის დაფიქსირების შემთხვევაში, მას უნდა ჰქონოდა არგუმენტირებული პასუხი და დაედასტურებინა მინიმუმ ის ფაქტი, რომ სამგზავრო დოკუმენტები მისი მორიგეობის დროს არ დაკარგულა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორის წარმომადგენელმა მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საკასაციო საჩივრის საფუძვლები, გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს შრომის კოდექსის 44-ე მუხლის თანახმად, შრომითი ურთიერთობისას მხარის მიერ მეორე მხარისათვის მიყენებული ზიანი ანაზღაურდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმასთან მიმართებაში, რომ მოცემულ შემთხვევაში არსებობს არა დელიქტიდან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთობა, არამედ შრომითი ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების გამო მიყენებული ზიანი.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, საქმის მასალებით არ დგინდება მ. კ-შვილის ქმედებით მიყენებული ზიანი. კასატორი მითითებული ფაქტის უარსაყოფად აპელირებს (კ-9) შრომით ხელშეკრულებაზე, რომელიც, კასატორის აზრით, წარმოადგენს დანაკლისის შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების საფუძველს, რომლის რისკიც ეკისრება მხარეს. აღნიშნულ მოსაზრებას იზიარებს საკასაციო სასამართლოც, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს არ დაუდგენია ის ფაქტობრივი გარემოება, რომ დანაკლისი სწორედ მოპასუხისთვის მიზარებული დასტებიდან გამოვლინდა. როგორც კასატორი უთითებს, 2007 წლის 3 მარტიდან 2008 წლის 1 მარტამდე ბილეთების რეალიზებას ახდენდა მ. კ-შვილი. ასეთ შემთხვევაში ზიანის ანაზღაურება უნდა დაკისრებოდა მხოლოდ მას როგორც ინდივიდუალურ მატერიალურ პასუხისმგე-

ბელ პირს. მოცემულ შემთხვევაში კი, როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, ზიანი დაეკისრათ სხვა პირებსაც, რაც არ გულისხმობს ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას.

იმ გარემოების დადასტურება, რომ მ.კ-შვილის ცვლაში დაიკარგა ბილეთები, შეადგენს მოსარჩელის მტკიცების ტვირთს და არა მოპასუხისას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნასა და შესაგებელს. მოსარჩელის მოთხოვნა კი იმაში მდგომარეობდა, რომ შემოწმების შედეგად სალაროში გამოვლინდა დანაკლისი და ვინაიდან, მ. კ-შვილს, როგორც ერთ-ერთ მატერიალურად პასუხისმგებელ პირს, სხვა მოლარეებთან ერთად სოლიდარულად უნდა დაკისრებოდა ზიანის ანაზღაურება. იმ ფაქტის დადასტურება, რომ კ-შვილმა ზიანი მიაყენა მოსარჩელეს, სწორედ ამ უკანასკნელის მტკიცების ტვირთს წარმოადგენს, რაც სწორად განაწილდა სასამართლოს მიერ.

პალატა კიდევ ერთხელ ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ხელშეკრულებით მ. კ-შვილს ეკისრებოდა ინდივიდუალური პასუხისმგებლობა მისთვის გადაცემულ მატერიალურ ფასეულობებზე. აღნიშნული ჩანაწერი ადასტურებს იმას, რომ ამ უკანასკნელის პასუხისმგებლობა ეკისრებოდა მისთვის და არა ნებისმიერი მოლარისათვის გადაცემულ ფასეულობაზე. მოცემულ შემთხვევაში კი დაიკარგა თუ არა მისთვის გადაცემული ფასეულობა, დადასტურებული არ არის.

ამასთან, როგორც კასატორი უთითებს, სალარო დაცულია და რისკის ფაქტორი არ არსებობს. ასეთ შემთხვევაში ფასეულობების დაკარგვა ნაკლებად შეიძლება იყოს გაუფრთხილებლობის ან გულგრილი ქმედების ბრალი, როგორც ამას უთითებს კასატორი, ხოლო დანაშაულის ფაქტის დასადგენად მოსარჩელეს სათანადო ორგანოებისათვის არ მიუმართავს. პალატა იზიარებს იმ არგუმენტებსაც, რომ დანაშაულის არსებობა არ გამორიცხავს სამოქალაქო პასუხისმგებლობას, მაგრამ სამოქალაქო პასუხისმგებლობა ცალსახად უკავშირდება პასუხისმგებელი პირის დამოკიდებულებას დამდგარ შედეგთან.

აღნიშნული თვალსაზრისით გაუგებარია კასატორის მითითება სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლზე. მითითებული ნორმის თანახმად, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ისეთი ზიანი, რომელიც მოვალის ქმედების უშუალო შედეგს წარმოადგენს. კასატორის მოსაზრებით, აღნიშნული მუხლი არ ვრცელდება მოცემულ შემთხვევაზე. მითითებულ მოსაზრებას პალატა ვერ გაიზიარებს. ქმედება თავისთავად მოიაზრებს როგორც ბრალით, ასევე ბრალის გარეშე პირის მოქმედებას ან უმოქმედობას. ზემოთ მითითებული მუხლის გამოყენების უარყოფით კასატორი ადასტურებს იმ გარემოებას, რომ ბილეთების დაკარგვა არ წარმოადგენს მ. კ-შვილის ქმედების უშუალო შედეგს. ასეთ შემთხვევაში კი შეუძლებელია იგი დაუდევრად ან გაუფრთხილებლად მოქცეულიყო, როგორც ეს მითითებულია საკასაციო საჩივარში.

მ. კ-შვილი წარმოადგენდა ინდივიდუალური პასუხისმგებლობის მქონე პირს და მასზე მიბარებული ნივთების დაკარგვის შემთხვევაში, რა თქმა უნდა, მას დაეკისრებოდა სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა. მაგრამ ვინაიდან ასეთი გარემოება დადგენილი არ არის სააპელაციო სასამართლოს მიერ და არც საკასაციო საჩივარი არ შეიცავს აღნიშნულთან დაკავშირებით დასაშვებ და დასაბუთებულ საკასაციო პრეტენზიას, შეუძლებელია საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ არ არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი და იგი უცვლელად უნდა დარჩეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

შპს «ს. რ-ის» წარმომადგენლის ნ. კ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილება;
განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მოვალეობა (შეუძლებლობა)

განჩინება

1ას-31-30-10

8 ივლისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
თ. თოდრია

დავის საგანი: საერთო საკუთრების მიწის ნაკვეთზე უნებართვოდ აშენებული შენობის დემონტაჟი და მიწის ფართის გამოთავისუფლება

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 5 აპრილის გადაწყვეტილებით დ. დ-იას, ვ. ა-ოვის, თ. ლ-ძის, მ. თ-ძის წარმომადგენლდის – მ. ე-ოვას, დ. ხ-შელის სარჩელი საერთო საკუთრების მიწის ნაკვეთზე აშენებული ათსართულიანი საცხოვრებელი სახლის დემონტაჟისა და მიწის ფართის გამოთავისუფლების შესახებ, არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება არაერთხელ იქნა გასაჩივრებული ზემდგომი ინსტანციის სასამართლოებში. საბოლოოდ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 1 ივნისის გადაწყვეტილებით ნ. დ-იას, ვ. ა-ოვის, მ. თ-ძის, თ. ლ-ძის, დ. ხ-შელის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – გაუქმდა თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 5 აპრილის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ნ. დ-იას, ვ. ა-ოვის, მ. თ-ძის, თ. ლ-ძის, დ. ხ-შელის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2001 წლის 27 მარტის მდგომარეობით საჯარო რეესტრიდან ამონაწერის თანახმად თბილისში, ... ქ.128\47-ში მდებარე სახლის ეზო, მიწის ნაკვეთი საერთო ფართით 1102 კვ.მ, წარმოადგენს რ. ყ-ანის, ლ. ჭ-შვილის, გ. ა-იას, ნ. გ-ანის, ვ. გ-ანის, ი. გ-ანის და სახლთმფლობელობის თანამესაკუთრეთა საერთო საკუთრებას. სადავო არ არის, რომ ლ. ჭ-შვილის ინდივიდუალურ საკუთრებას ... ქ.128\47-ში შეადგენდა, როგორც ბინა და არასაცხოვრებელი ფართი, ისე 18 კვ.მ ფართის მქონე ავტოფარეხი, ხოლო გ. და ი. გ-ვანების ინდივიდუალურ საკუთრებას ბინასთან და არასაცხოვრებელ ფართთან ერთად წარმოადგენდა 18,6 კვ.მ ავტოსადგომი, 2002 წლის იანვრის მდგომარეობით, იმავე მისამართზე მდებარე 128 კვ.მ მიწის ნაკვეთი რეგისტრირებულია ნ. გ-ანისა და ლ. ჭ-შვილის საერთო საკუთრების უფლებით. საკუთრების უფლების წარმოშობის საფუძველია ქ.თბილისის სახელმწიფო არქიტექტურულ-სამშენებლო კონტროლის ინსპექციის 2001 წლის 14 მაისის 1118 მშენებლობის დაწყების ნებართვა.

2001 წლის 14 თებერვალს, ... ქუჩის 128 და ... ქუჩის 147-ში მცხოვრებ მიწის ნაკვეთის თანამესაკუთრეთა მხოლოდ ნაწილს, მათ შორის, ერთ-ერთ აპელანტ მ. თ-ძესა და მოწინააღმდეგე მხარეს – ნ. გ-ვანსა და ლ. ჭ-შვილს, მათი ბინების გვერდით, მათსავე მფლობელობაში და სარგებლობაში არსებული და შემდეგ პრივატიზებული ავტოფარეხების, ლოჯიებისა და დამხმარე სათავსების ადგილზე, ეზოს შესასვლელის გამოყენებით ეწარმოებინათ მრავალსართულიანი სახლის მშენებლობა მოქმედი ნორმების შესაბამისად. მშენებლობის საწარმოებლად საერთო საკუთრების ფართის ყველა თანამესაკუთრეს თანხმობა არ განუცხადებია, რადგან აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულება საქმეში არ მოიპოვება.

თბილისის მერიის საქალაქო მმართველობის მთაწმინდის რაიონის გამგეობის 2000 წლის 20 ივლისის 1234 გადაწყვეტილებით ნ. გ-ვანსა და ლ. ჭ-შვილს ნება დაერთო სახლის გვერდით, მათ მფლობელობაში მყოფი შემოღობილი მიწის ნაკვეთზე, მრავალსართულიანი სახლის აშენებაზე.

ქ.თბილისის მერიის არქიტექტურულ-სამშენებლო კონტროლის ინსპექციის მიერ 2001 წლის 14 მაისის ნ. გ-ანისა და ლ. ჭ-შვილის დაკვეთით გაიცა ექვსსართულიანი სახლის მანსარდით მშენებლობის დაწყების ნებართვა 1118, რომლის ამოქმედების ვადად განისაზღვრა 2002 წლის 14 მაისამდე პერიოდი.

ქ.თბილისის მთავარი არქიტექტორის 2002 წლის 12 ნოემბრის 120\738 ბრძანებით შეთანხმდა ... ქ.128-ში მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი.

თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2004 წლის ივლისის გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი ქ.თბილისის არქიტექტურულ-სამშენებლო კონტროლის ინსპექციის მიერ 2001 წლის 14 მაისის გაცემული მშენებლობის დაწყების 1118 ნებართვა.

სადავო არ გამხდარა, რომ ... ქ.128\47-ში ამჟამად აშენებულია ათსართულიანი საცხოვრებელი სახლი. შენობა განთავსებულია საერთო საკუთრების მიწის ნაკვეთის 128 კვ.მ-ზე. აღნიშნული ნაკვეთი სახლის აშენების დროს მხოლოდ მოწინააღმდეგე მხარეების ლ. ჭ-შვილისა და ნ. გ-ანის საერთო საკუთრების ობიექტს

წარმოადგენდა კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 18 ოქტომბრის გადაწყვეტილების საფუძველზე, რაც ამჟამად გაუქმებულია.

ასევე დადგენილია, რომ საქმეში წარმოდგენილი არ არის ბინის ექსპლუატაციაში მიღებისა და საჯარო რეესტრში რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტები. ასევე, სადავო არ არის ის გარემოება, რომ ბინები მარტივი წერილობითი ხელშეკრულებების საფუძველზე გადაცემული აქვთ საქმეში მესამე პირებად ჩაბმულ პირებს, რომლებიც ფაქტობრივად ფლობენ მათ.

პალატამ განმარტა, რომ მოცემული დავის გადაწყვეტისას გამოყენებული უნდა ყოფილიყო კერძო სამართლის კანონმდებლობით დადგენილი წესები.

მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ სადავო შენობა აშენებულია ... ქ.128\47-ში მცხოვრები რვა პირის საერთო საკუთრების მიწის ნაკვეთზე. ამასთან, მშენებლობის წარმოებაზე ყველა თანამესაკუთრის თანხმობა არ არსებობს.

პალატამ მიიჩნია, რომ სამოქალაქო კანონმდებლობიდან გამომდინარე, თითოეულ მესაკუთრეს გააჩნდა საერთო საკუთრებაში არსებული ნივთის სარგებლობის და არა განკარგვის უფლება. ნივთის განკარგვა მესაკუთრეთა შეთანხმების საფუძველზე უნდა მოხდარიყო.

საპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალსართულიანი სახლის აშენებით სხვა მესაკუთრეებს შეეზღუდათ კანონით მინიჭებული უფლება, ისარგებლონ იმ მიწის ფართობით, რომელზედაც ახალი შენობაა განთავსებული. მოცემულ შემთხვევაში, ათსართულიანი შენობის აგებით გაიზარდა სხვა პირთა საკუთრება, შესაბამისად, შემცირდა მოსარჩელეთა წილი საერთო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე.

პალატამ ჩათვალა, რომ არსებობს მოპასუხეთა მოქმედების შედეგად მოსარჩელეთათვის ზიანის მიყენების ფაქტი, რაც გამოიხატა სადავო საცხოვრებელი შენობის აგებით საერთო საკუთრებაში თანამესაკუთრეთა კუთვნილი წილის შემცირებაში. ამდენად, არსებობდა ზიანის ანაზღაურების წინაპირობები. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, პალატამ მიიჩნია, რომ პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა – შენობის დემონტაჟი და მიწის გათავისუფლება დაკავშირებული იყო ისეთ ხარჯებთან, რაც მნიშვნელოვნად აღემატებოდა და შეუსაბამოა მოსარჩელეთათვის მიყენებულ ზიანთან (საერთო საკუთრებაში წილის შემცირებულ მოცულობასთან). გარდა აღნიშნულისა, პალატის მითითებით, საქმეში წარმოდგენილი არ იყო შენობის დემონტაჟის ტექნიკური თვალსაზრისით შესაძლებლობის დამადასტურებელი დოკუმენტები.

აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა დ. დ-იას, კ. ა-ოვის, თ. ლ-ძის, მ. თ-ძის, მ. ე-ოვას, დ. ხ-შელის წარმომადგენელმა გ. ძ-უამ.

კასატორთა წარმომადგენლის აზრით, ადმინისტრაციულ ორგანოს არ ჰქონდა უფლება, გაეცა „მშენებლობის ნებართვა“ საერთო მესაკუთრეების მიწაზე ყველა დაინტერესებული მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე. მენაშენებებს (მოპასუხეებს) არ ჰქონდათ უფლება, მიემართათ არქიტექტურის სამსახურისათვის „მშენებლობის ნებართვის“ უფლების მისაღებად ყველა მესაკუთრის თანხმობის გარეშე. კასატორთა წარმომადგენლის განმარტებით, ო. თ-ძეს დააწერიეს ნებართვა ავტოფარების მშენებლობაზე, მაგრამ ააშენეს სხვა ნაგებობა. ეს ფაქტი ადასტურებს იმ გარემოებას, რომ მენაშენებმა იცოდნენ რომ ნებართვას და მშენებლობას იწყებდნენ კანონდარღვევით.

კასატორთა წარმომადგენლის მოსაზრებით და კანონით დემონტაჟი ქალაქის მერიამ და სიყალბის ჩამდენმა პირებმა ერთობლივად უნდა განახორციელონ, რადგან პასუხისმგებლობა უკანონო აქტის გამოცემაზე ერთს ეკისრება, ხოლო უკანონო მშენებლობაზე მეორეს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორთა წარმომადგენელმა მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება.

საკასაციო პალატის 2010 წლის 21 იანვრის განჩინებით დ. დ-იას, კ. ა-ოვის, თ. ლ-ძის, მ. თ-ძის, მ. ე-ოვას საკასაციო საჩივარი დაუშვებლობის გამო დარჩა განუხილველი. ამავე პალატის 2010 წლის 25 იანვრის განჩინებით დ. ხ-შელის წარმომადგენელ გ. ძ-უას საკასაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საკასაციო საჩივრის საფუძველები, გაეცნო საკასაციო საჩივრის საფუძველებს და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით კასატორი გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველად უთითებს იმ გარემოებას, რომ გადაწყვეტილების ტექსტის მე-2.3 პუნქტში მოპასუხეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები მშენებლობის დაწყების¹ 118-ე ნებართვის ვადასთან დაკავშირებით დაუშვა შეცდომა და მცდარი მსჯელობის საფუძველზე ააგო გადაწყვეტილება. სწორედ აღნიშნულ ნებართვის შეფასებებს ემყარება საკასაციო საჩივრის დიდი ნაწილი და კასატორი მიიჩნევს, რომ ეს მტკიცებულება არასწორად იქნა შეფასებული სასამართლოს მიერ. აღნიშნულთან მიმართებით უნდა ითქვას, რომ მითითებული მტკიცებულებები და მათი შეფასებები მოცემულია «გასაჩივრებულ გადაწყვეტილების დასკვნებზე მითითების» ნაწილში და მასში მოცემულია პირველი ინსტან-

ციის სასამართლოს მოსაზრებანი და არა სააპელაციო სასამართლოს შეფასებები. გასაჩივრებულ გადაწყვეტილების მოტივაცია კი საერთოდ არ ეყრდნობა ამ არგუმენტს.

სააპელაციო სასამართლო არ უარყოფს იმ ფაქტს, რომ შენობა აშენებულია რვა პირის საერთო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე და მშენებლობის წარმოებაზე ყველა თანამესაკუთრის თანხმობა არ არსებობს. სააპელაციო სასამართლო ასევე ადასტურებს, რომ აშენებული ახალი სახლის მესაკუთრეებსაც სადავო მიწაზე წარმოემვათ თანასაკუთრების უფლება, რითაც შემცირდა თავდაპირველ მესაკუთრეთა წილები. სასამართლო ცალსახად აღიარებს მოსარჩელეთა უფლების დარღვევისა და მათთვის ზიანის მიყენების ფაქტს, რაც იმავდროულად გულისხმობს მოწინააღმდეგე მხარის პასუხისმგებლობას.

მოსარჩელის მოთხოვნის რელიზაცია სასამართლომ მოახდინა სამოქალაქო კოდექსის 408-ე, 409-ე მუხლების შესაბამისად. კერძოდ სასამართლომ მიუთითა, რომ იმ პირმა, რომელიც ვალდებულია, ანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებელი მდგომარეობა (408-ე მუხლი). სწორედ პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას ითხოვდნენ მოსარჩელები. სასამართლომ პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა შეუძლებლად მიიჩნია, იმის გამო, რომ შენობის დემონტაჟი და მიწის გამოთავისუფლებასთან დაკავშირებული ხარჯები არათანაზომიერად მიიჩნია მოსარჩელეთათვის მიყენებულ ზიანთან დაკავშირებით. სასამართლომ ამ შემთხვევაში გამოიყენა 409-ე მუხლი.

კასატორი სასამართლოს აღნიშნულ მსჯელობასთან მიმართებით უთითებს მხოლოდ იმას, რომ ეს განმარტება გაკეთებულია მესამე პირების ზეგავლენით და ეს პირები არიან უკანონო გარიგების მსხვერპლნი. უნდა აღინიშნოს, რომ კასატორის ეს არგუმენტაცია არ შეიცავს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლით გათვალისწინებულ საფუძვლებს, ანუ იგი არ შეიცავს მითითებას იმის თაობაზე, რომ სასამართლოს არ უნდა გამოეყენებინა აღნიშნული ნორმები, არც სხვა ნორმების გამოყენების აუცილებლობაზე მსჯელობს კასატორი.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კასატორს არ გააჩნია დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია ზემოთ მითითებულ ფაქტთან მიმართებით (შენობის დანგრევისა და მოსარჩელეთათვის ასანაზღაურებელი ზიანის არათანაზომიერების ფაქტთან დაკავშირებით). სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია. დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს საკასაციო საჩივარში ფაქტობრივი გარემოებების დადგენისას კანონის დარღვევებზე მითითებას. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, საკასაციო საჩივარი ასეთი სახის საკასაციო პრეტენზიას არ შეიცავს, რის გამოც საკასაციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას შეცვალოს მიღებული გადაწყვეტილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელად უნდა დარჩეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

დ. ხ-შელის და მისი წარმომადგენლის გ. მ-უას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს; უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 1 ივნისის გადაწყვეტილება; საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ზიანის ანაზღაურება მიუღებელი შემოსავლისათვის

განჩინება

1ას-520-488-2010

2 დეკემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ა. ნ-იანმა სარჩელით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს თ. ჩ-შვილის მიმართ და მოითხოვა ქ. ბათუმში ... ქ.140-ში მდებარე ლიტერ «ა1» და «ა2-ს» უკანონო ფლობისა და სარგებლობის შედეგად მიყენებული მატერიალური ზიანის – 1650 ლარის ანაზღაურება, ასევე, სასამართლო და საადვოკატო ხარჯების – 2386,15 ლარის მოპასუხისათვის დაკისრება შემდეგი საფუძვლებით: სარჩელის თანახმად, სამკვიდრო მოწმობის საფუძველზე, საჯარო რეესტრში მოსარჩელის საკუთრებად დარეგისტრირებულია ქ. ბათუმში, ... ქ.140-ში მდებარე 103,1 კვ.მ და ასევე ცალკე აშენებული ლიტ «ბ», «ვ», «ა1», «ა2» და «ე», რომელთაგან მოპასუხე თ. ჩ-შვილი უკანონოდ დაეპატრონა და განკარგავს მოსარჩელის საკუთრებაში არსებულ ლიტ «ა1» და «ა2-ს», რითაც მოსარჩელეს ართმევს უფლებას საჭიროებისამებრ განკარგოს და გამოიყენოს თავისი საკუთრება. იმის გამო, რომ მოსარჩელეს, მოპასუხის თვითნებური ქმედებების შედეგად, წლების განმავლობაში მიაღდა ზიანი, ვინაიდან თ. ჩ-შვილის მიერ ა. ნ-იანის საკუთრებაში რიცხული უძრავი ქონების ხელყოფამდე მოსარჩელეს სადავო ფართები გაქირავებული ჰქონდა და იღებდა გარკვეულ შემოსავალს ოჯახის დასახმარებლად, ხოლო ამჟამად ვეღარ ახერხებს სადავო ქონების გაქირავებას, განიცადა ზიანი. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხისათვის მიყენებული ზიანის – 1650 ლარის დაკისრება, რაც შეადგენდა მინიმალურ შემოსავალს 2007-2008 და 2009 წლის სექტემბრის ჩათვლით (თვეში – 50 ლარს).

იმის გამო, რომ სარჩელის აღმგრისა და საქმის განხილვისათვის მოსამზადებლად მას დასჭირდა როგორც საადვოკატო, ისე სასამართლო ხარჯების გაღება, ა. ნ-იანმა ასევე მოითხოვა მის მიერ გაღებული ხარჯის – 2386,15 ლარის მოპასუხისათვის დაკისრება.

მოპასუხე თ. ჩ-შვილმა სარჩელი არ ცნო იმ მოტივით, რომ მოსარჩელის მიერ მითითებულ შენობა-ნაგებობებს უკანონოდ არ ფლობს, ვინაიდან სადავო უძრავი ქონება დანგრეული ნაგებობებია, მდებარეობს საერთო ეზოში და მისი მხრიდან აღნიშნული ფართის უკანონო ფლობისა და სარგებლობის ფაქტი არ დასტურდება რაიმე მტკიცებულებებით. ამდენად, მოპასუხემ მოითხოვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, მისი დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძვლების არარსებობის გამო.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილებით ა. ნ-იანის სარჩელი დაკმაყოფილდა, თ. ჩ-შვილს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა მატერიალური ზიანის – 1650 ლარის ანაზღაურება, მასვე დაეკისრა სასამართლო ხარჯის – 2386,15 ლარის გადახდა ა. ნ-იანის სასარგებლოდ.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა თ. ჩ-შვილმა, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 29 მარტის გადაწყვეტილებით თ. ჩ-შვილის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილება თ. ჩ-შვილისათვის ა. ნ-იანის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების ანაზღაურების ნაწილში და თ. ჩ-შვილს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა ხარჯის 267 ლარისა და 75 თეთრის ანაზღაურება.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგინებულად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ქ. ბათუმში, ... ქ.140-ში მდებარე ლიტერ «ა1» და ლიტერ «ა2» უძრავი ქონება ეკუთვნის ა. ნ-იანს, რომლის იჯარით გაცემა მესაკუთრემ ვერ მოახერხა, ვინაიდან თ. ჩ-შვილი სადავო ქონებას ფლობდა 2007 წლიდან 2009 წლის 27 ოქტომბრამდე. ამდენად, ა. ნ-იანმა ვერ მიიღო სარგებელი კუთვნილი ქონებიდან, რაც განისაზღვრა 1650 ლარით;

მხარეთა შორის სადავოდ ქცეულ გარემოებასთან დაკავშირებით, კერძოდ, აპელანტი ნამდვილად ფლობდა თუ არა ლიტ «ა2-ად» დარეგისტრირებულ ქონებას და, შესაბამისად, მოახერხებდა თუ არა ა. ნ-იანი ამ ქონებიდან შემოსავლის მიღებას, სააპელაციო სასამართლომ საქალაქო სასამართლოში დაკითხულ მოწმეთა ჩვენებებზე დაყრდნობით, დადასტურებულად მიიჩნია, რომ თ. ჩ-შვილი ნამდვილად ფლობდა და სარგებლობდა ორივე უძრავი ნივთით, მით უფრო, რომ აპელანტს რაიმე დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ მოწინააღმდეგე მხარეს ხელს უშლიდა არა ორი, არამედ ერთი ნაგებობით სარგებლობაში, არ წარმოუდგენია.

სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის შესაბამისად, მოწმეთა ჩვენებებითა და საქმეში წარმოდგენილი «ბ-ის» დასკვნის თანახმად და იმის გათვალისწინებით, რომ აპელანტს საწინააღმდეგო მტკიცებულებები არ წარმოუდგენია და არც სადავოდ გაუხდია ხელშემშლის ხანგრძლივობა, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ა. ნ-იანს 2007 წლიდან 2009 წლის ოქტომბრამდე სურდა და შეეძლო იჯარით გაცემა სადავო ქონება, რომლითაც ყოველთვიურად მიიღებდა 50 ლარის შემოსავალს. შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება აპელანტისათვის მოწინააღმდეგე მხარის სასარგებლოდ 33 თვის მანძილზე მიუღებელი შემოსავლის – 1650 ლარის ანაზღაურების დაკისრების ნაწილში სააპელაციო პალატამ საფუძვლიანად მიიჩნია.

სააპელაციო სასამართლომ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება თ. ჩ-შვილისათვის სასამართლო ხარჯების სახით 2386,15 ლარის დაკისრების ნაწილში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ელი ნაწილისა და ამავე კოდექსის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილზე მითითებით არ გაიზიარა და აღნიშნა, რომ, მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან დავის საგნის ღირებულება შეადგენდა 4035,15 ლარს (1650+2386,15), ხო-

ლო აღნიშნული თანხის 4% არის 161.4 ლარი, ამდენად, მითითებული მუხლების საფუძველზე აპელანტს ა. ნ-იანის სასარგებლოდ წარმომადგენლის მომსახურებისათვის გაწეული ხარჯის ასანაზღაურებლად უნდა დაკისრებოდა სწორედ 161.4 ლარი.

გარდა ამისა, ვინაიდან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის 1-ელი ნაწილის «ა» ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო ბაჟის ოდენობა სარჩელზე შეადგენს დავის საგნის ღირებულების 3%-ს, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აპელანტს, მოწინააღმდეგე მხარის სასარგებლოდ, ნაცვლად ა. ნ-იანის მიერ პირველ ინსტანციაში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 205,05 ლარისა, უნდა დაკისრებოდა 121,05 ლარი (4035,15 ლარის 3% – 121,05 ლარი).

იმის გათვალისწინებით, რომ ადვოკატის მომსახურების გარდა, ა. ნ-იანმა საქმესთან დაკავშირებით გაიღო ასევე 124 ლარის ხარჯი, სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად, სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული თანხა უნდა აენაზღაურებინა ზიანის მიმყენებელ მხარე თ. ჩ-შვილს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ხარჯების ანაზღაურების ნაწილში, აპელანტს ა. ნ-იანის სასარგებლოდ, ნაცვლად 2386,15 ლარისა, უნდა დაკისრებოდა 161.4+121,05+124=406,45 ლარის ანაზღაურება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა თ. ჩ-შვილმა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძველებით: კასატორის მოსაზრებით, სასამართლომ არ გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლი, როდესაც განსაზღვრა, რომ ზიანის ანაზღაურება წარმოიშევა კონკრეტულად მიყენებული ზიანისაგან და არა ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრივ კავშირის არსებობა-არარსებობის დადგენისას. სასამართლოს უნდა გამოეკვლია, თუ როგორ ვერ სარგებლობდა ა. ნ-იანი სადავო დამხმარე 24კვ.მ-ით, რაში უშლიდა ხელს კასატორი, რა მიმომქმედა კასატორმა იმისათვის, რომ არ ესარგებლა ა. ნ-იანს სადავო ფართით, დააპირა თუ არა დანგრეული ოთახის შეკეთება, რომელსაც არა აქვს მრავალი წელია სახურავი და კედლები, რით დადასტურდა, რომ ა. ნ-იანმა ისურვა დანგრეული ოთახის შეკეთება.

სასამართლომ არ გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლი, რომლის თანახმადაც, საქმის გარემოებანი, რომელიც უნდა დადასტურდეს ერთი სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. სასამართლოს უნდა მოეთხოვა მოსარჩელე ა. ნ-იანისათვის, თუ რით ადასტურებს მხარე იმ ფაქტს, რომ სადავო ფართი არის 24კვ.მ. ეს უნდა დადასტურდეს მხოლოდ და მხოლოდ საჯარო რეესტრის ამონაწერით, სადაც კონკრეტულად იქნებოდა მითითებული, სადავო ლიტერი «ა1» და ლიტერი «ა2» შეადგენს თუ არა 24კვ.მ-ს.

კასატორის განმარტებით, საქმეში წარმოდგენილი აუდიტის დასკვნით მითითებულია, რომ დამხმარე – 24კვ. მეტრის ნორმალურ მდგომარეობაში არსებობის შემთხვევაში, მისაღები სარგებელი იჯარის სახით შესაძლოა იყოს 50 ლარი. სასამართლოს უნდა განესაზღვრა მოცემულ მდგომარეობაში დამხმარე ფართის სარგებლობის ღირებულება და არა ახლად აშენებისა და რემონტის ჩატარების შემთხვევაში და არა არარსებული კედლებისა და ჭერის აშენების შემთხვევაში, რამდენი იქნებოდა სარგებელი.

კასატორის აზრით, სასამართლომ არ დაადგინა, საიდან იქნა გამოთვლილი ზიანის ანაზღაურების ვადად 33 თვე, რა დროიდან წარმოიშვა ზიანი, როდის გაუწია თ. ჩ-შვილმა პირველად წინააღმდეგობა მოსარჩელეს და რით დადასტურდა აღნიშნული.

კასატორის მოსაზრებით, სასამართლოს არ უნდა გამოეყენებინა სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი. ამასთან, სასამართლომ არასწორად გამოთვალა და დააკისრა მას სასამართლო და სასამართლოს გარეშე ხარჯები, კერძოდ, ადვოკატის მომსახურების ღირებულების 4% უნდა გამოეთვალა არა 4035 ლარიდან, არამედ 1650 ლარიდან, რაც შეადგენს არა 161.4 არამედ 66 ლარს. ამასთან კასატორი მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა სააპელაციო სასამართლოში არსებული სასამართლო გარე ხარჯების მხარეთა განაწილების საკითხზე, კერძოდ, მის მიერ საადვოკატო მომსახურების ხარჯების მოწინააღმდეგე მხარისათვის დაკისრების თაობაზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ თ. ჩ-შვილის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 29 მარტის გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ა. ნ-იანისათვის მიყენებული ზიანი გამოიხატება მის მიერ მიუღებელ შემოსავალში.

სააპელაციო სასამართლომ მოწმეთა ჩვენებების საფუძველზე დადგენილად მიიჩნია, რომ ა. ნ-იანს არ მიეცა ფართის გარემონტებისა და გაქირავების შესაძლებლობა.

სააპელაციო სასამართლო ასევე დაეყრდნო შპს «ბ-ის» დასკვნას, რომლის თანახმად, მოცემული ქონების იჯარით გაცემა მისი აღდგენის შემდეგ შესაძლებელი იყო და იჯარის ღირებულება განისაზღვრებოდა არა უმეტეს 50 ლარისა თვეში.

აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, «ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი ზიანისათვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისათვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და, რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო».

მიუღებელი შემოსავლის სამართლებრივი წინაპირობები შემოიფარგლება კონკრეტული ვალდებულებითი ურთიერთობებით და დამოკიდებულია ამ ვალდებულების ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში შემოსავლის მიღების ალბათობაზე.

ამდენად, განსახილველი ნორმის თანახმად, მიუღებელი შემოსავალი წარმოადგენს სავარაუდო შემოსავალს, მაგრამ მისი დადგენისათვის აუცილებელია, გათვალისწინებულ იქნეს, თუ რამდენად მოსალოდნელი იყო მისი მიღება.

კონკრეტულ შემთხვევაში საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს სააპელაციო სასამართლოს გაზიარებულ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომლის თანახმად, მოპასუხე 2006 წლის დეკემბრიდან 2009 წლის 27 ოქტომბრამდე უკანონოდ ფლობდა სადავო ფართს.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მოწმეთა ჩვენებებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები იმის შესახებ, რომ მოსარჩელე აპირებდა სადავო ფართების გარემონტებასა და შემდეგ გაქირავებას, რაშიც ხელს უშლიდა მოპასუხე.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ აღნიშნული გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორის მიერ წარმოდგენილი არ არის დასაბუთებული პრეტენზია. კონკრეტულ შემთხვევაში დასაშვებ და დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს, რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება და სამართლებრივ-მატერიალური ნორმის არასწორად გამოყენება ან განმარტება.

კასატორი ვერ უთითებს ისეთ გარემოებებზე, რომლებიც, კონკრეტული სადავო ურთიერთობის ზემოაღნიშნული თავისებურებებიდან გამომდინარე, მიუთითებს მოსარჩელის მოთხოვნის უსაფუძვლობაზე. ამდენად, საქმეში არ მოიპოვება ისეთი მტკიცებულებები, რომლებიც, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის თანახმად, გამორიცხავდა სასამართლოს მიერ დადგენილ გარემოებებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიიჩნევს, რომ არ არსებობს საკასაციო საჩივრების დაკმაყოფილების საფუძველი, რადგან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ მითითებული კანონი არ დარღვეულა. სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას საფუძველად არ უდევს კანონის დარღვევა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

თ. ჩ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 29 მარტის გადაწყვეტილება;
განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

7. პირგასამტეხლო

განჩინება

¹ას-1015-1287-09

4 თებერვალი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
რ. ნადირიანი,
თ. თოდრია

დავის საგანი: ფულადი ვალდებულების შესარულება, პირგასამტეხლოს დაკისრება და ნივთის დაბრუნება

აღწერილობითი ნაწილი:

მცხეთის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილებით საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – სს „დ...ის“ დაეკისრა 22515.80 ლარისა და პირგასამტეხლოს – 7060.95 ლარის გადახდა სოფლის მეურნეობის სამინისტროს სასარგებლოდ; სს „დ...ის“ დაევალა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის დისკებიანი ფარცხი მოდელი EPLI4A-ს გადაცემა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა ორივე მხარემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილებით:

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

დაკმაყოფილდა სს „დ...ის“ სააპელაციო საჩივარი.

გაუქმდა მცხეთის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილება სს „დ...ისათვის“ 22515.80 ლარისა და პირგასამტეხლოს – 7060.95 ლარის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სარჩელი სს „დ...ისათვის“ თანხის დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილი იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2006 წლის 13 ოქტომბერს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სს „დ...ის“ შორის სანოტარო ფორმით დაიდო 9 ერთეული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლითაც გამყიდველმა იკისრა ვალდებულება, მყიდველისთვის გადაეცა შემდეგი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა:

ტრაქტორი ბელარუს-1025 შასი 10300909 ძრავი 199921;

ტრაქტორი ბელარუს 512 შასი 05709245, ძრავი 694229;

ტრაქტორი ბელარუს 512 შასი 05709246, ძრავი 687743;

ოთხფრთიანი გუთან, მოდელი BP 16-16»X4 შასი E06,06 E11;

ორფრთიანი გუთან, მოდელი BP 16-16»X2 შასი E06,06 F12;

ოთხფრთიანი გუთან, მოდელი BP 16-16»X2 შასი E06,06 F02;

დისკებიანი ფარცხი, მოდელი ELP28A, შასი E06,06R07;

დისკებიანი ფარცხი, მოდელი ELP28A, შასი E06,06H07;

ლოტარული ფრეზი, მოდელი Sდთ132, შასი E06,06D07;

ხელშეკრულების 2.1 მუხლის თანახმად, ტექნიკის საერთო ღირებულება შეადგენს 112,578 ლარს. მხარეთა შეთანხმებით, მყიდველის მიერ გადახდილი ბეს ოდენობა განისაზღვრა გადაცემული ტექნიკის საერთო ღირებულების 20%-ით, რაც შეადგენს 22515,80 ლარს.

ხელშეკრულების 2.3 მუხლით განისაზღვრა ტექნიკის ნარჩენი ღირებულების – 90.063.20 ლარის გადახდის გრაფიკი, რომლის თანახმადაც, სს „დ...მა“ იკისრა ვალდებულება, 2007-2010 წლის განმავლობაში ყოველწლიურად წელიწადის მე-4 კვარტალში გადაეხადა 22515.80 ლარი.

ხელშეკრულების 4.1 მუხლის თანახმად, მხარეთა შეთანხმებით პირგასამტეხლო შეადგენს ტექნიკის ნარჩენი ღირებულების 0,2%-ს ყოველ ვადაგადაცემაზე დღეზე და მისი გადახდა მყიდველს ეკისრება ხელშეკრულების 2.3 პუნქტით დადგენილ ვადაში ტექნიკის ღირებულების გადაუხდელობის შემთხვევაში.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ სრულად შეასრულა სს „დ...ის“ წინაშე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება და 5 დღის ვადაში მყიდველს გადასცა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ტექნიკა, რაც დადასტურებულია მხარეებს შორის 2008 წლის 16 ოქტომბერს გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტით.

სს „დ...მ“ გადაიხადა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში და ბე – 22515.80 ლარი.

სს „დ...ს“ მისთვის გადაცემული ტექნიკის დარჩენილი ღირებულება სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის არ გადაუხდია და ვალდებულება არ შეუსრულებია.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2008 წლის 22 აპრილის 12-69 ბრძანებით ძალადაკარგულად გამოცხადდა სს „დ...სთან“ 2006 წლის 13 ოქტომბერს დადებული განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულება.

სს „დ...მ“ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიღება-ჩაბარების აქტის შედგენით დაუბრუნა მითითებული ხელშეკრულების საფუძველზე მისთვის გადაცემული ტექნიკა, გარდა დისკებიანი ფარცხისა მოდელი EPL14A, შასი E06,06H07.

სააპელაციო პალატის განმარტებით, აპელანტ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ სადავოდ იყო გამხდარი ერთადერთი ფაქტობრივი გარემოება, კერძოდ, სასამართლომ არასწორად მიიჩნია სამინისტროს მიერ მოთხოვნილი 20174,15 ლარის ათვლის თარიღად 2007 წლის მე-4 კვარტალი.

პალატამ ჩათვალა, რომ სადავო ურთიერთობის სამართლებრივი გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანია არა ჰქონდა პირგასამტეხლოს დაკისრების ვადის დადგენას და ამასთან, უსაფუძვლოა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების მოთხოვნა, ვინაიდან მხარეთა შორის 2006 წლის 13 ოქტომბერს დადებული განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულებაზე მხარეებმა უარი თქვეს, შესაბამისად გამყიდველის მიერ არ

შეიძლება მოთხოვნილიყო ხელშეკრულების პირობების შესრულება, მათ შორის, პირგასამტეხლოს გადახდაც.

პალატამ არ გაიზიარა სს „დ...ის“ არგუმენტი იმის თაობაზე, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტრო არ წარმოადგენდა გაყიდული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მესაკუთრეს, ვინაიდან საქმეში წარმოდგენილი 2006 წლის 13 ოქტომბრის ხელშეკრულება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ნასყიდობის განვადების შესახებ დადებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სს „დ...ს“ შორის. მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ, რომ ხელშეკრულების დადების დროისათვის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა იყო სოფლის მეურნეობის სამინისტროს მფლობელობაში და მყიდველს სს „დ...ს“ იგი გადასცა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ.

პალატამ არ გაიზიარა სს „დ...ის“ არგუმენტი იმის თაობაზე, რომ სასამართლომ არასწორად დადგინა, რომ სს „დ...ი“ ვალდებული იყო, ანგარიშსწორება ეწარმოებინა სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, ვინაიდან ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველს წარმოადგენდა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ხოლო, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, მყიდველი მოვალეა, გამყიდველს გადაუხადოს შეთანხმებული ფასი.

პალატის განმარტებით, საქმეში არსებული მტკიცებულებებიდან გამომდინარე, ხელშეკრულებაზე უარის თქმას სს „დ...ი“ დაეთანხმა, რაც გამოიხატა იმაში, რომ მან ხელშეკრულებით მიღებული ნივთები დაუბრუნა სოფლის მეურნეობის სამინისტროს. ამასთან, ხელშეკრულებაზე უარი მას სარჩელით სადავოდ არ გაუხდია.

აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენელმა ლ. ჭ-ძემ.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული, რადგან გადაწყვეტილება მიღებულია ისე, რომ სასამართლოს არ გამოურვევია, თუ რა ფაქტობრივი გარემოება გახდა სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხრიდან 2006 წლის 15 ოქტომბერს დადებული 111 ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი. სს „დ...მა“ არაჯეროვნად შეასრულა სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან დადებული ხელშეკრულება და შეთანხმებულ ვადაში არ გადაიხადა მისთვის გადაცემული ტექნიკის ნარჩენი ღირებულება. შესაბამისად, მან დაარღვია ხელშეკრულების პირობები, რის გამოც სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, ხელშეკრულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, შეწყვიტა ხელშეკრულება 2008 წლის 22 აპრილის ბრძანების მიღებით. სს „დ...მა“ ხელშეკრულების 4.2 მუხლის თანახმად, სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2008 წლის 13 ივლისს დაუბრუნა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ტექნიკის ნაწილი. სს „დ...მა“ აღნიშნული ქმედებით აღიარა, გამყიდველის მიერ ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში მისი, როგორც მყიდველის მიერ შესასრულებელი ვალდებულების ნაწილი და, შესაბამისად, მთლიანი ვალდებულების არსებობა, ანუ სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნარჩენი თანხის გადახდის ვალდებულება.

კასატორის განცხადებით, სს „დ...სა“ და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შორის დადებული ხელშეკრულების მე-4 მუხლის 1-ელი პუნქტის თანახმად, განისაზღვრა ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში ვალდებულების შეუსრულებლობისათვის სოფლის მეურნეობის სამინისტროს უფლება აქვს, მოითხოვოს როგორც პირგასამტეხლოს დაკისრება, ისე ძირითადი ვალდებულების შესრულებაც და სამინისტროს ეს მოთხოვნები არ არის დამოკიდებული ხელშეკრულების შეწყვეტაზე. მეორე მხრივ, სს „დ...ს“ პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულება არ წარმოექმნებოდა, თუ კომპანიასა და სამინისტროს შორის დადებული ხელშეკრულება დაირღვეოდა ანდა შეწყდებოდა მანამდე, სანამ სამინისტრო მას გადასცემდა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება სს „დ...ისათვის“ პირგასამტეხლოს არდაკისრების ნაწილში არის უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმების უხეში დარღვევა, რადგან კომპანიამ ადგილი ჰქონდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება არ შეასრულა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინებების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, გაეცნო საკასაციო საჩივრის საფუძველებს და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სარჩელის უარსაყოფად მიუთითა, რომ სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლის საფუძველზე ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში კოდექსის 352-ე მუხლის 1-ელი ნაწილის შესაბამისად, მიღებული შესრულება და სარგებელი მხარეებს უბრუნდებათ. სასამართლოს აზრით, აღნიშნულის გამო კრედიტორი არ არის უფლებამოსილი, მოითხოვოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება, მათ შორის, პირგასამტეხლოს გადახდაც, რადგან, ნორმის არსიდან გამომდინარე, უკვე შესრულებულიც მხარეს უბრუნდება. აღნიშნულ მოსაზრებას საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს.

პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ არასწორადაა განმარტებული მითითებული ნორმა. სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლის თანახმად, პირგასამტეხლო არის მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული თანხა, რომელიც მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის. პირგასამტეხლო არის მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალება, რომლის გადახდევინებაც ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხარე მისთვის დაკისრებულ ვალდებულებას ვერ ასრულებს. პირგასამტეხლო წარმოადგენს ერთგვარ სანქციას სასჯელს მხარისათვის ვალდებულების შეუსრულებლობის გამო. ამდენად, იგი არ შეიძლება გაიგივდეს სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლში მითითებულ შესრულებასთან. მოცემულ ნორმაში იგულისხმება მხარის მიერ უშუალოდ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობა და არა გარიგების შეუსრულებლობის გამო პირგასამტეხლოს სახით დამატებითი თანხების გადახდევინება. იმ შემთხვევაში, თუ მხარე ნებაყოფლობით გადაიხდიდა პირგასამტეხლოს, სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლის საფუძველზე შეუძლებელი იქნებოდა მისი უკან დაბრუნება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ სს „დ...ი« ვალდებული იყო, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მხარისათვის გადაეხადა პირგასამტეხლო.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების მე-4 პუნქტის თანახმად, გამყიდველს უფლება აქვს, მოითხოვოს პირგასამტეხლოც, ამასთან, შეწყვიტოს ხელშეკრულება და დააბრუნოს ტექნიკაც. ხელშეკრულებაში აღნიშნული ღონისძიებები არ არის მოცემული ალტერნატიული დებულებების სახით, არამედ იგი მოცემულია როგორც ცალკე-ცალკე, დამოუკიდებელი ღონისძიებათა სახე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ მოცემულ ნაწილში გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და ხელახლა განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას. საქმის ხელახალი განხილვისას სასამართლომ უნდა განსაზღვროს პირგასამტეხლოს ოდენობა.

ასევე, პალატა იზიარებს კასატორის არგუმენტს იმის თაობაზე, რომ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილიდან არ ირკვევა, მოსარჩელის მიერ სარჩელში დაყენებული ყველა მოთხოვნის შედეგი. აპელანტი ითხოვდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების სრულად გაუქმებას. სასამართლომ მთლიანად დააკმაყოფილა აპელანტის ეს მოთხოვნა. მიუხედავად ამისა, სარეზოლუციო ნაწილში ასახულია სასამართლოს გადაწყვეტილება ერთ სასარჩელო მოთხოვნის მიმართ ისე, რომ დანარჩენის თაობაზე არაფერია მითითებული.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისთვის დაუბრუნდეს იმავე პალატას. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

პირგასამტეხლო

განჩინება

¹ას-1220-1480-09

25 მაისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
თ. თოდრია,
ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: ვალდებულების შეუსრულებლობის გამო პირგასამტეხლოს დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

ქ.ბათუმის მერიამ სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს «ე-ის» მიმართ, მოპასუხის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, პირგასამტეხლოს – 20000 ლარის დაკისრების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: ქალაქის იერსახის გაუმჯობესების, ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ინვესტიციების მოზიდვის მიზნით ქ.ბათუმის მთავრობის 2006 წლის 24 თებერვლის დადგენილებით გამოცხადდა კონკურსი ქ.ბათუმში, ... და ... ქუჩების კვეთაში არსებული 4000 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შესყიდვაზე. ქ.ბათუმის მთავრობის 2006 წლის 25 აპრილის 1111 დადგენილებით

დამტკიცდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის კომისიის 2006 წლის 18 აპრილის 109 შემაჯამებელი ოქმი, რომლითაც კონკურსში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „ე-ი“. 2006 წლის 31 მაისს ქ.ბათუმის მთავრობასა და შპს „ე-ს“ შორის დაიდო ხელშეკრულება მიწის ნაკვეთის ნასყიდობის თაობაზე. ხელშეკრულებით შპს „ე-მა“ აიღო ვალდებულება, საკუთრების უფლებით გადაცემულ მიწის ნაკვეთზე აეშენებინა მაღლივი საცხოვრებელი და საზოგადოებრივი დანიშნულების კომპლექსი თავისი ინფრასტრუქტურით, ქ.ბათუმის ქალაქგეგმარებისა და სივრცითი მოწყობის ადგილობრივი სამსახურის მიერ შეთანხმებული პროექტის შესაბამისად. შპს „ე-ს“ კომპლექსის მშენებლობა უნდა დაეწყო ხელშეკრულების სანოტარო წესით დადასტურებიდან არა უგვიანეს 3 თვისა და დაესრულებინა მშენებლობის დაწყებიდან არა უგვიანეს 12 თვისა. არაერთგზის გაფრთხილების მიუხედავად, მოპასუხემ ნაკისრი ვალდებულება არ შეასრულა. ხელშეკრულების 4.4.14 პუნქტის შესაბამისად, შპს „ე-ი“ ვალდებული იყო, არ მოეთხოვა ფინანსური სიძნელეების, საგადასახადო და სხვა სახელმწიფო ორგანოებთან, ასევე, სხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობის გამო დამდგარი შედეგების ფორსმაჟორულ სიტუაციად აღიარება. შესაბამისად, უსაფუძვლოა შპს „ე-ის“ მითითება ვალდებულების ფორსმაჟორული გარემოების – მისი პარტნიორი უკრაინული მხარის ფინანსური სიძნელეების მიზეზით შეუსრულებლობის თაობაზე.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: რიგი ობიექტური მიზეზების გამო მოპასუხემ ვერ შეასრულა მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების პირობები, თუმცა აღნიშნული პირგასამტეხლოს დაკისრების საფუძველს არ წარმოადგენს. მხარეთა შეთანხმებით, პირგასამტეხლო მხარეს შეიძლება დაეკისროს იმ შემთხვევაში, თუ მყიდველი არამიზნობრივად გამოიყენებდა მიწის ნაკვეთს. ასეთი გარემოება კი მოცემულ შემთხვევაში არ განხორციელებულა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილებით ქ.ბათუმის მერიის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც ქ.ბათუმის მერიამ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 21 აპრილის განჩინებით მოცემული საქმე განსჯადობით გადაეცა ამავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას, რაც გაზიარებულ იქნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 2 ივლისის განჩინებით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ქ.ბათუმის მერიის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა – გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და ქ.ბათუმის მერიის სარჩელი დაკმაყოფილდა – შპს „ე-ს“ ქ.ბათუმის მერიის სასარგებლოდ დაეკისრა 20000 ლარის გადახდა შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ქ.ბათუმის მთავრობის 2006 წლის 24 თებერვლის 151 დადგენილებით გამოცხადდა კონკურსი ქ.ბათუმში, ... და ქუჩების კვეთასთან არსებული 4000 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საკუთრებაში განკარგვაზე. ქალაქ ბათუმის მთავრობის 2006 წლის 25 აპრილის 1111 დადგენილებით დამტკიცდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის კომისიის 2006 წლის 18 აპრილის 109 შემაჯამებელი ოქმი, რომლითაც ქ.ბათუმში, ... და კვეთასთან არსებული 4000 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საკუთრებაში განკარგვაზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „ე-ი“. კონკურსის შედეგების საფუძველზე, 2006 წლის 31 მაისს, ქ.ბათუმის მთავრობასა და შპს „ე-ს“ შორის დაიდო 11-5888 ნოტარიალური ხელშეკრულება მიწის ნაკვეთის ნასყიდობის თაობაზე. აღნიშნული ხელშეკრულებით, შპს „ე-მა“ ვალდებული იქნა, საკუთრების უფლებით გადაცემულ მიწის ნაკვეთზე აეშენებინა მაღლივი საცხოვრებელი და საზოგადოებრივი დანიშნულების კომპლექსი თავისი ინფრასტრუქტურით, ქ.ბათუმის ქალაქ გეგმარებისა და სივრცითი მოწყობის ადგილობრივი სამსახურის მიერ შეთანხმებული პროექტის შესაბამისად. შპს „ე-ს“ კომპლექსის მშენებლობა უნდა დაეწყო ხელშეკრულების სანოტარო წესით დადასტურებიდან არა უგვიანეს 3 თვისა და უნდა დაესრულებინა მშენებლობის დაწყებიდან არა უგვიანეს 12 თვისა. აღნიშნული ხელშეკრულება შეიცავდა დათქმას პირგასამტეხლოს შესახებ, კერძოდ, ხელშეკრულების 7.1 მუხლში დაფიქსირდა, რომ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთის მიზნობრივი გამოუყენებლობისას, როდესაც იცვლება მიწის ნაკვეთის მესაკუთრე, მყიდველს გამყიდველის სასარგებლოდ დაეკისრება პირგასამტეხლოს 20 000 ლარის გადახდა.

შპს „ე-მა“, სხვადასხვა მიზეზით, მშენებლობა დათქმულ დროს არც დაიწყო და არც დაასრულა, რის გამოც ქ.ბათუმის მერიისაგან მიეცა გაფრთხილება, უზრუნველყო სახელმწიფო და საკონკურსო პირობების დროულად შესრულება. ანალოგიური გაფრთხილება მოხდა 2007 წლის 13 მარტის 12-25-544 წერილითაც და საკუთრების უფლებით გადაცემულ მიწის ნაკვეთზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მშენებლობის დასაწყებად მხარეს დამატებით მიეცა ორი კვირის ვადა. გაფრთხილების მიუხედავად, შპს „ე-მა“ ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 16 თვეზე მეტის გასვლის შემდეგაც მშენებლობა არ დაიწყო. ვალდებულების შეუსრულებლობის გამო ხელშეკრულება შეწყდა.

პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრება, რომ, სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლის შესაბამისად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობა ავტომა-

ტურად პირგასამტეხლოს ანაზღაურების მავალდებულებელ გარემოებას არ წარმოადგენს. პალატამ მიიჩნია, რომ მხარეს პირგასამტეხლოს გადახდა დაეკისრება ერთდროულად რამოდენიმე პირობის არსებობისას – ხელშეკრულებაში შესაბამისი დათქმისას და მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების გამო. სააპელაციო პალატამ დამატებით მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლზე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4, 102-ე მუხლებზე და არ დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობას, რომ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების 7.1 მუხლში დაფიქსირებული პირობიდან არ გამომდინარეობდა შპს „ე-ის“ მიერ 2006 წლის 31 მაისის ნასყიდობის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების (საკუთრების უფლებით გადაცემულ მიწის ნაკვეთზე აემენებინა მაღლივი საცხოვრებელი და საზოგადოებრივი დანიშნულების კომპლექსი, თავისი ინფრასტრუქტურით, ქ.ბათუმის ქალაქგეგმარებისა და სივრცითი მოწყობის ადგილობრივი სამსახურის მიერ შეთანხმებული პროექტის შესაბამისად) შეუსრულებლობა, ვინაიდან გარიგების მითითებული პუნქტის თანახმად, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთის მიზნობრივი გამოუყენებლობისას, როდესაც იცვლება მიწის ნაკვეთის მესაკუთრე, მყიდველს გამყიდველის სასარგებლოდ დაეკისრება პირგასამტეხლოს 2000 ლარის გადახდა. სასამართლომ აღნიშნა, რომ, სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლიდან გამომდინარე, პირგასამტეხლოს გადახდა ხდება ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისთვისაც, რაც განსახილველ შემთხვევაში არ მომხდარა, ვინაიდან შპს „ე-ს“ საკუთრების უფლებით გადაცემულ მიწის ნაკვეთზე ქ.ბათუმის ქალაქგეგმარებისა და სივრცითი მოწყობის ადგილობრივი სამსახურის მიერ შეთანხმებული პროექტის შესაბამისად, ხელშეკრულების სანოტარო წესით დადასტურებიდან არა უგვიანეს 3 თვისა მაღლივი საცხოვრებელი და საზოგადოებრივი დანიშნულების კომპლექსის მშენებლობა არც დაუწყია, შესაბამისად, არც მშენებლობის დაწყებიდან არა უგვიანეს 12 თვისა არ დაუსრულებია. ამდენად, პალატამ მიიჩნია, რომ არსებობს სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა და სასარჩელო მოთხოვნა ხელშეკრულებით განსაზღვრული პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე საფუძვლიანია. სასამართლომ არ გაიზიარა მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრება, რომ 2006 წლის 31 მაისის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეული იყო მოსარჩელის მიზეზით, ვინაიდან საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით, კერძოდ, ადმინისტრაციული სახდელის დადების თაობაზე სასამართლოს დადგენილებებით დასტურდება, რომ 2007 წლის 27 მარტსა და 3 აგვისტოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის სუბიექტებმა – მ. ნ-ძემ, ც. ტ-შვილმა და ლ. ტ-შვილმა, შპს „ე-ის“ წარმომადგენლებს მიმართეს უცენზურო სიტყვებით, რაც ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობაში მერიის ბრალეულობის დამადასტურებლად ვერ მიიჩნევა. პალატის მითითებით, მხარეთა განმარტებებითა და ქ.ბათუმის მერიისადმი შპს „ე-ის“ დირექტორის 2007 წლის 16 ნოემბრის წერილით ირკვევა, რომ ქ.ბათუმის მერიის 2007 წლის 9 ოქტომბრის ¹1109 ბრძანებით, შპს „ე-ის“ მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, 2006 წლის 31 მაისის ხელშეკრულება ცალმხრივად შეწყდა. სასამართლომ ჩათვალა, რომ არსებობს ორივე პირობა: ხელშეკრულებაში არის დათქმა პირგასამტეხლოს თაობაზე და მხარეს ვალდებულება არ შეუსრულებია, ამდენად, სასარჩელო მოთხოვნა პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე დასაბუთებულია.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება შპს «ე-მა» გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი დასაბუთებით:

სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლი და არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ ქ.ბათუმის მთავრობასა და შპს «ე-ს» შორის 2006 წლის 31 მაისის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების შეწყვეტის საკითხთან დაკავშირებით შპს «ე-მა» 2007 წლის 8 ოქტომბერს ¹27 წერილით მიმართა ქ.ბათუმის მერიას, რომლითაც განუმარტა მას, რომ სადავო მშენებლობის დაწყება ვერ ხერხდებოდა უკრაინული მხრიდან შესაბამისი დაფინანსების დაგვიანების გამო. აღნიშნულის დამადასტურებლად კასატორმა წარადგინა უკრაინული მხარის წერილები და დასძინა, რომ მშენებლობის დაწყებას აპირებდა უკრაინელი პარტნიორი და მესამე პირებთან აღნიშნულ საკითხზე მოლაპარაკება არ მიმდინარეობდა. ამდენად, შპს «ე-მა» ნაკისრი ვალდებულება, ფორსმაჟორული გარემოების გამო, ვერ შეასრულა. სასამართლოს სათანადოდ არ შეუფასებია სადავო პირგასამტეხლოს დაკისრების შესახებ ქ.ბათუმის მერიის სარჩელის საფუძვლად მითითებული ხელშეკრულების 7.1 პუნქტი და არ გამოურკვევია, მიზნობრივად გამოიყენა თუ არა კასატორმა მიწის ნაკვეთი. აღსანიშნავია, რომ მხარეთა შორის ხელშეკრულება შეწყდა 2007 წლის 9 ოქტომბერს ¹1109 ბრძანებით ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში მშენებლობის განუხორციელებლობის მოტივით და აღნიშნული ბრძანება პირგასამტეხლოს არ უკავშირდება. ამავ გარიგების 5.1 პუნქტში მითითებულია ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმომშობი საფუძვლები. ცხადია, ზიანის ანაზღაურების ინსტიტუტი არსებითად განსხვავდება პირგამტეხლოსაგან. დადასტურებულია, რომ მოცემულ შემთხვევაში მიწის ნაკვეთის მიზნობრივად გამოუყენებლობა არ მომხდარა და გარიგება შეწყდა, აღნიშნული კი ზიანის და არა პირგამტეხლოს ანაზღაურების მოთხოვნის წინაპირობაა. სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლი და მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების 7.1 პუნქტი, რადგან პირგასამტეხლოს გადახდევინებისათვის საჭიროა დადგენილიყო კასატორის მიერ სადავო მიწის არამიზნობრივად გამოყენების ფაქტი, კერძოდ, მასზე გარიგებით გათვალისწინებულ ნაგებობათა ნაცვლად სხვა ობიექტის აგება. განსახილველ შემთხვევაში კი საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ანალიზის შედეგად დგინდება, რომ შპს «ე-ს» სადავო ნაკვეთი არც მიზნობრივად და არც არამიზნობრივად არ გა-

მოუყენებია. შესაბამისად, ხელშეკრულების შეწყვეტა პირგასამტეხლოს ანაზღაურების მავალდებულებელ გარემოებას არ წარმოადგენდა. სააპელაციო პალატამ დაარღვია სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლის დანაწესი, როდესაც მთლიანობაში არ შეაფასა ხელშეკრულების შინაარსი და მხოლოდ ზოგადად განმარტა იგი. სასამართლომ ყურადღება არ გაამახვილა მხარეთა შორის დადებული გარიგების 6.4 და 6.5 პუნქტებზე, რომლებიც უშუალოდ განსაზღვრავს ხელშეკრულების შეწყვეტის სამართლებრივ შედეგს – ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ვალდებულების წარმოშობას. პალატამ ერთმანეთთან გააიგივა პირგასამტეხლოსა და ზიანის ანაზღაურება და სწორად ვერ განსაზღვრა, თუ რა სახის ვალდებულების შეუსრულებლობისათვის იქნა დათქმული მხარეთა მიერ პირგასამტეხლო. სასამართლოს უნდა შეეფასებინა, სადავო ხელშეკრულების 7.1 პუნქტი გამოიყენებოდა მხოლოდ ნაკვეთის არამიზნობრივად გამოყენებისას, თუ საჭირო იყო მეორე პირობის არსებობაც, როდესაც არ იცვლებოდა მიწის ნაკვეთის მესაკუთრე. მოცემულ შემთხვევაში ხელშეკრულების შეწყვეტით შეიცვალა უძრავი ნივთის მესაკუთრე, იგი გახდა თავად მოსარჩელე, მიწის ნაკვეთი მოპასუხეს სხვაგვარად არ გამოუყენებია, რაც საკმარისად დასაბუთებულ საკასაციო პრეტენზიას წარმოადგენს. სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა განსახილველ საქმეზე არსებული ფორსმაჟორული გარემოებები, კერძოდ, მოპასუხემ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროს მშენებლობა ვერ დაიწყო რიგი ობიექტური გარემოებების არსებობის გამო, მათ შორის, ფიზიკური პირების – მ.ნ-ძის, ც. და ლ. ტ-შვილების მიზეზით, რომლებიც ამავე მიწის ნაკვეთზე სასამართლოშიც დავობდნენ. ამასთან, პალატას არ შეუფასებია მოსარჩელის 2009 წლის 15 იანვრის '2-26-54 მიმართვა, რომ მოპასუხე გათავისუფლებულია პირგასამტეხლოს გადახდისაგან, რითაც მოსარჩელემ ფაქტობრივად აღიარა იმ ფორსმაჟორულ გარემოებათა არსებობა, რომლებიც საფუძვლად დაედო მოპასუხის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობას. სასამართლომ საქმე განიხილა განსჯადობის წესების დარღვევით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელი შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა» და «ბ» ქვეპუნქტების თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევა არ მომხდარა და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ სამართლებრივად სწორად შეაფასა დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და საკასაციო საჩივარში მითითებული კანონის დარღვევა არსებობს.

კასატორს სადავოდ არ გაუხდია სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები მხარეთა შორის ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობისა და შეწყვეტის შესახებ.

მოცემულ შემთხვევაში სადავოს წარმოადგენს მხარეთა შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების 7.1 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს მოთხოვნის საფუძვლიანობა.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლის დანაწესი, როდესაც მთლიანობაში არ შეაფასა ხელშეკრულების შინაარსი და მხოლოდ ზოგადად განმარტა იგი, რადგან პირგასამტეხლოს გადახდევინებისათვის საჭირო იყო კასატორის მიერ სადავო მიწის არამიზნობრივად გამოყენების ფაქტის დადგენა. კერძოდ, მასზე გარიგებით გათვალისწინებულ ნაგებობათა ნაცვლად სხვა ობიექტის აგება.

ნასყიდობის ხელშეკრულების 7.1 მუხლით მხარეები შეთანხმდნენ შემდეგზე: წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთის მიზნობრივი გამოუყენებლობისას, როდესაც არ იცვლება მიწის ნაკვეთის მესაკუთრე, მყიდველს გამყიდველის სასარგებლოდ დაეკისრება პირგასამტეხლოს – 20 000 ლარის გადახდა.

იმისათვის, რომ გაირკვეს ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთის გამოყენების მიზნობრიობა, ხელშეკრულების ყველა პირობა უნდა შეფასდეს ერთობლიობაში. აღნიშნული ხელშეკრულების 4.4.4 პუნქტით მყიდველი კისრულობს ვალდებულებას, საკუთრების უფლებით გადაცემულ მიწის ნაკვეთზე ააშენოს მაღლივი საცხოვრებელი და საზოგადოებრივი კომპლექსი ქ.ბათუმის მთავრობის 2006 წლის 25 აპრილის დადგენილებით დამტკიცებული საკონკურსო წინადადებების შესაბამისად. მშენებლობა უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების 4.4.3 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში. უდავოდ, რომ ხელშეკრულებაში მითითებული მშენებლობა არ განხორციელდებულა, რის გამოც ქ.ბათუმის მერიამ 2007 წლის 9 ოქტომბერს უარი თქვა ხელშეკრულებაზე და, სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლის 1-ელი ნაწილის და ხელშეკრულების პუნქტის 6.4 შესაბამისად, განახორციელა ნატურით რესტიტუცია – საკუთრებაში დაიბრუნა გაყიდული მიწის ნაკვეთი.

ნასყიდობის ხელშეკრულების შინაარსით დგინდება, რომ ნივთი გაიყიდა მხოლოდ იმ მიზნით, რომ მასზე განთავსდეს მთავრებული შეთანხმებული ტიპის ნაგებობა, რაც დასტურდება ამავე ხელშეკრულების მე-5 თავში შეთანხმებული განსაკუთრებული პირობებითაც. აღნიშნულ ნაწილში მხარეები უშვებდნენ მყიდველის მი-

ერ ნივთის განკარგვას მესამე პირებზე, თუმცა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნივთის მიზნობრივად გამოყენებით.

მოცემულ შემთხვევაში ნივთის გამოყენების მიზანი – კონკრეტული ფუნქციის შენობის აშენება სადავოს არ წარმოადგენს. სადავოა, ჩათვალოს თუ არა ნივთის საერთოდ გამოყენებლობა ხელშეკრულების 7.1 მუხლით გათვალისწინებულ მიზნობრივ გამოყენებლობად.

საკასაციო სასამართლო, კასატორის არგუმენტის საწინააღმდეგოდ, იზიარებს სააპელაციო პალატის დასკვნას, რომ ნასყიდობის საგნის გამოყენებლობა მიზნობრივი გამოყენებლობის ტოლფასია. სასამართლოს ეს დასკვნა ეფუძნება, ერთი მხრივ, კანონს, მეორე მხრივ კი ხელშეკრულების შინაარსს და მხარეთა შეთანხმების მიზანს – ხელშეკრულების შინაარსიდან გამოკვეთილ კრედიტორის ინტერესს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი აღიარებს და ეფუძნება პაცტა სუნტ სერვანდა-ს (ხელშეკრულება უნდა შესრულდეს) პრინციპს, რომლის თანახმად, ხელშეკრულების მხარემ, რომელმაც იკისრა ვალდებულება, უნდა შეასრულოს ხელშეკრულებით მისივე ნებით შეთანხმებული უფლება-მოვალეობები. სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია, მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება. შესრულება შეიძლება გამოიხატოს მოქმედებისაგან თავის შეკავებაშიც.

მითითებული ნორმის არსიდან გამომდინარე, მოვალის ვალდებულება შესრულებაშია. «შესრულების» ვალდებულება პირველ რიგში ხელშეკრულებით გათვალისწინებული შედეგის (მოცემულ შემთხვევაში – შენობის აშენება) დადგომას გულისხმობს. ამავდროულად, პირველადი ვალდებულების შეუსრულებლობისას წარმოიშობა ნაწარმოები შესრულების (ზიანის ანაზღაურება, პირგასამტეხლო) ვალდებულება. ამავე კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. ამ მოთხოვნათა შეუსრულებლობა ვალდებულების დარღვევაა. სამოქალაქო კანონმდებლობა ვალდებულების დარღვევის პრევენციისათვის ითვალისწინებს მოთხოვნის უზრუნველყოფის სანივთო და ვალდებულებით სამართლებრივ საშუალებებს, რომლებიც ვალდებულების შესრულებას ემსახურებიან და რომელთა შერჩევა მხარეთა ნებაზეა დამოკიდებული. ასეთ საშუალებათა რიგს განეკუთვნება ვალდებულების უზრუნველყოფის დამატებითი საშუალება პირგასამტეხლო. სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლის თანახმად, პირგასამტეხლო – მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული თანხა – მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის. აღნიშნული ნორმით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა წარმოიშობა რა ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, ამავე ნორმაშიც მითითებულია, რომ ვალდებულების დარღვევად მიიჩნევა, როგორც ვალდებულების არაჯეროვანი შესრულება, ასევე მისი შეუსრულებლობაც. უდავოა, რომ მოპასუხეს ვალდებულება არ შეუსრულება – მიწის ნაკვეთი მიზნობრივად არ გამოყენებია, რაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრების საფუძველია.

რაც შეეხება ხელშეკრულების შინაარსს და მხარეთა შეთანხმების მიზანს, ხელშეკრულების შინაარსიდან, კერძოდ, 4.4 მუხლიდან მკაფიოდ გამოკვეთილია ხელშეკრულების დადება შენობის გარკვეულ ვადაში აშენების მიზნით. ამავდროულად, საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ მოცემული ხელშეკრულების მხარეს წარმოადგენს ქალაქის მერია, რომელიც დაინტერესებულია რა ქალაქის იერსახით, ნივთს – მიწის ნაკვეთს ასხვისებს სწორედ იმიტომაც, რომ ოპერატიულად განახორციელოს ქალაქის კეთილმოწყობისათვის დასახული გეგმები. ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში კრედიტორის – ქალაქის მერიის ინტერესი ხელშეკრულების დროულად შესრულებაშია. სწორედ ამ მიზნით დებს იგი ხელშეკრულებას და ამავე მიზნით უთითებს სპეციალურ პირობას ხელშეკრულების საგნის მიზნობრივად გამოყენებას კონკრეტულ ვადაში.

ამდენად, სადავო ხელშეკრულების 7.1 პუნქტით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთის მიზნობრივი გამოყენებლობა მოიაზრებს როგორც ხელშეკრულებაში გათვალისწინებული მოქმედების – მშენებლობისგან განსხვავებული ნაგებობის აგებას, ასევე ამ მოქმედების შეუსრულებლობასაც. ამ დასკვნას ამყარებს ის გარემოებაც, რომ ხელშეკრულებაში მითითებული მშენებლობა მოითხოვდა რა სპეციალურ ნებართვას, მოსარჩელეს დაქვემდებარებული სტრუქტურული ერთეულისაგან – ქ.პათუმის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურისაგან – მხარეთა შეთანხმებისას მოსარჩელე ქალაქის მერია, ბუნებრივია, რომ გამორიცხავდა მიწის ნაკვეთზე სხვა რაიმე სახის შენობის აშენებას. ეს გარემოება კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ხელშეკრულების დადების მიზანი მიწის ნაკვეთის შეთანხმებული წესით გამოყენებაშია და ხელშეკრულების დადებისას (ხელშეკრულების მე-4, მე-5, მე-6 მუხლები) ნათლად გამოკვეთილია კრედიტორის ინტერესი, ნივთი გამოიყენოს დანიშნულებისამებრ, დროულად იზრუნოს და შეუცვალოს ქალაქს იერსახე.

ზემოაღნიშნული მსჯელობა ადასტურებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთის მიზნობრივი გამოყენებლობის ფაქტს. მხარეთა შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების 7.1 პუნქტის მიხედვით კი მიზნობრივი გამოყენებლობა პირგასამტეხლოს დაკისრების საფუძველია.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას სააპელაციო სასამართლოს მიერ სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლის არასწორად გამოყენების თაობაზე. აღნიშნული ნორმით, ნების გამოვლენის განმარტებისას ნება უნდა დადგენდეს გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტოდენ გამოთქმის სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობიდან. მითითებული ნორმის მიზანია, დავის შემთხვევაში გაირკვეს, რა განზრახვა

ჰქონდათ მხარეებს ხელშეკრულების დადებისას და როგორ უნდა გავიგოთ ხელშეკრულების სადავო გამო-
ნათქვამი. ასეთ შემთხვევაში მხარეების მიერ ხელშეკრულებაში განსაზღვრული გამონათქვამი განსხვავებუ-
ლად არის გაგებული. აღნიშნული გამორიცხავს ხელშეკრულების განმარტების შესაძლებლობას იმის მი-
ხედვით, თუ რას ფიქრობდა ნების გამომგზავნი ან ნების მიმღები. სწორედ ამიტომაც, კანონით გადაწყვე-
ტია «ნების გონივრული განსჯა», რაც ნიშნავს სადავო გამონათქვამის იმ მნიშვნელობის დადგენას, რომელ-
საც გონიერი ადამიანი ანალოგიურ პირობებში მიანიჭებდა. გონივრულობა მოცემული ურთიერთობის სრუ-
ლად აღქმა და განსჯაა და არა გამოყენებული გამონათქვამის ვიწრო გაგება. აღნიშნულის დასტურია სამოქა-
ლაქო კოდექსის 338-ე მუხლი, რომლის ძალითაც ხელშეკრულებაში ურთიერთგამომრიცხველი ან მრავალ-
მნიშვნელოვანი გამონათქვამების დროს უპირატესობა უნდა მიენიჭოს იმ გამონათქვამს, რომელიც ყველაზე
მეტად შეესატყვისება ხელშეკრულების შინაარსს.

მოცემულ შემთხვევაში კასატორი განსახილველი ხელშეკრულების სადავო 7.1 პუნქტის დათქმას პირგა-
სამტეხლოს თაობაზე განმარტავს იმგვარად, რომ პირგასამტეხლო გაითვალისწინებოდა არა ვალდებულე-
ბის საერთოდ შეუსრულებლობისათვის, არამედ – სადავო მიწის არამიზნობრივად, მასზე გარიგებით გათ-
ვალისწინებული შენობის ნაცვლად სხვა ობიექტის აგებისათვის. როგორც გადაწყვეტილების კვლევიტ ნა-
წილში დასაბუთდა, ხელშეკრულების მიზანი და შინაარსი ამგვარი დასკვნის საფუძველს არ იძლევა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალა-
ტის გასაჩივრებული გადაწყვეტილება კანონიერია და მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი არ არსე-
ბობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

შპს «ე-ის» საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვე-
ტილება დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

პირგასამტეხლო

განჩინება

1ას-545-513-2010

1 დეკემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. სულხანიშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: ვალდებულების შესრულება, პირგასამტეხლოს დაკისრება (სარჩელში); პირგასამტეხლოს
დაკისრება, ვალდებულების გაქვითვა (შეგებებულ სარჩელში)

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 25 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სასარჩელო გან-
ცხადებით მიმართა თ. ბ-შვილმა მოპასუხე შპს «... 21-ის» მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხისათვის
მის სასარგებლოდ 10899 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის, მათ შორის, გადაუხდელი ქირის – 5747 აშშ
დოლარის და ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის გამო ორი თვის პირგასამტეხლოს – 5152 აშშ დო-
ლარის, დაკისრება.

მოსარჩელის მოთხოვნა დაეფუძნა შემდეგ მოტივებს:

2008 წლის 22 ოქტომბერს თ. ბ-შვილსა და შპს «... 21-ს» შორის დაიდო ქირავნობის ხელშეკრულება მო-
სარჩელის კუთვნილ, თბილისში, ქ.18-ში მდებარე 130კვ.მ-ზე 10 თვის ვადით. ხელშეკრულებით საზღა-
ური განისაზღვრა 2576 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარით. მოპასუხემ ნაკისრი ვალდებულება შეასრულა
მხოლოდ 2008 წლის ნოემბრის ჩათვლით. ვალდებულების დარღვევის თაობაზე თ. ბ-შვილმა დამქირავე-
ბელს წერილობით აცნობა, თუმცა ამ უკანასკნელმა თავი აარიდა ქირავნობის ხელშეკრულების 1-ელი და 3.5
პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებას.

მოგვიანებით, იმავე სასამართლოში შეგებებული სარჩელი წარადგინა შპს «... 21-მა» მოპასუხე თ. ბ-შვილის მიმართ. შეგებებული სარჩელის ავტორმა მოითხოვა თ. ბ-შვილისათვის, მის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო, ორი თვის ქირის პირგასამტეხლოს – 5152 აშშ დოლარის დაკისრება. გარდა ამისა, შეგებებულმა მოსარჩელემ მოითხოვა 2008 წლის 1 ოქტომბრის ხელშეკრულების საფუძველზე გადახდილი თანხის – 4600 აშშ დოლარის უკან დაბრუნება, გადაუხდელი ქირის (5747 აშშ დოლარის) დაკისრების შესახებ მოსარჩელის მოთხოვნის გაქვითვა და თ. ბ-შვილისათვის შპს «... 21-ის» სასარგებლოდ საბოლოოდ 4005 აშშ დოლარის დაკისრება.

შეგებებული სარჩელის საფუძველები მდგომარეობდა შემდეგში:

2008 წლის 1 ოქტომბერს შპს «... 21-სა» და თ. ბ-შვილის წარმომადგენელ ვ. ბ-შვილს შორის დაიდო იჯარის ხელშეკრულება ერთი წლის ვადით, საიჯარო ქირის ოდენობა განისაზღვრა 2300 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარით. ხელშეკრულების გაფორმებისთანავე მოიჯარემ ვ. ბ-შვილს გადაუხადა ორი თვის ქირა – 4600 აშშ დოლარი. მიუხედავად აღნიშნულისა, მოიჯარეს გადაეცა დროულად არ მოხდა ხელშეკრულების საგანი, რის გამოც ქირავნობის ურთიერთობა ფაქტობრივად დაიწყო ნოემბრის დასაწყისში. დასახელებული დროიდან შეიცვალა ქირის ოდენობა, იგი განისაზღვრა 2576 აშშ დოლარით. შპს «... 21-მა» წინასწარ გადაიხადა დამატებით 1 თვის ქირა. მეიჯარე-გამქირავებელმა არ დაიცვა ხელშეკრულების 3.2 პუნქტის პირობა, კერძოდ, მან ხელი არ შეუწყო დამქირავებელს მუშაობაში, არ გაიყვანა ძალი ეზოდან, არ მოაპირკეთა ეზო, არ დატოვა საჭირო ინვენტარი და სხვა, რაც აფერხებდა სასწავლო პროცესის წარმართვას. შპს «... 21-მა» აღნიშნულის თაობაზე საპრეტენზიო წერილით მიმართა თ. ბ-შვილს. ვინაიდან ხელშეკრულების პირობების დამრღვევი გამქირავებელია, იგი, ხელშეკრულების 3.4 პუნქტის თანახმად, ვალდებულია, გადაიხადოს ჯარიმა – 2 თვის ქირა. რამდენადაც ვ. ბ-შვილის მიერ გადახდილი თანხა შეადგენდა 4600 აშშ დოლარს, შეგებებული სარჩელის ავტორმა მოითხოვა ვალდებულების გაქვითვის გზით თ. ბ-შვილისათვის 4005 აშშ დოლარის დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 12 აგვისტოს გადაწყვეტილებით თ. ბ-შვილის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – შპს «... 21-ს» თ. ბ-შვილის სასარგებლოდ დაეკისრა ქირის – 5747 აშშ დოლარის გადახდა, მოსარჩელის მოთხოვნა შპს «... 21-ისათვის» პირგასამტეხლოს დაკისრების შესახებ არ დაკმაყოფილდა, შპს «... 21-ის» შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს «... 21-მა».

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 5 იანვრის განჩინებით შპს «... 21-ის» სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, თბილისის საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილად მიჩნეული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2008 წლის 1 ოქტომბერს თ. ბ-შვილსა და შპს «... 21-ს» შორის შუამავლის მეშვეობით დაიდო ქირავნობის ხელშეკრულება. ხელშეკრულების თანახმად, ქირავნობის ვადა განისაზღვრა 1 წლით, ხოლო ქირის ოდენობა თვეში – 2300 აშშ დოლარით. მხარეთა შეთანხმებით პირველი და ბოლო თვის ქირის გადახდა უნდა განხორციელებულიყო წინასწარ. აღნიშნული თანხიდან ბოლო თვის ქირას მიიღებდა შუამავალი. ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში შპს «... 21» კარგავდა ბოლო თვის გადახდილი თანხის (საშუამავლო თანხა) მოთხოვნის უფლებას. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა თ. ბ-შვილის საკუთრებაში არსებული, ქ. 18-ში მდებარე არა მთლიანი უძრავი ნივთის, არამედ მისი ნაწილის, კერძოდ, დასახელებულ მისამართზე არსებული შენობის ნაწილის – 130კვ.მ-ის დროებით სარგებლობაში გადაცემა. 2008 წლის 22 ოქტომბრის ხელშეკრულებით მხარეებმა ცვლილებები შეიტანეს 1 ოქტომბრის ქირავნობის ხელშეკრულებაში და ქირის ოდენობა განსაზღვრეს თვეში 2576 აშშ დოლარით, რომლის გადახდაც უნდა დაწყებულიყო ნოემბრიდან. ამასთან, მხარეებმა დააზუსტეს უფლება-მოვალეობები, კერძოდ, თ. ბ-შვილი კისრულობდა ვალდებულებას, განეხორციელებინა დროებით სარგებლობაში გადასაცემი ფართის კეთილმოწყობა საჭირო დონეზე და შპს «... 21-ისათვის» ხელი შეეწყო მუშაობაში. მხარის მიერ ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში გათვალისწინებულ იქნა პირგასამტეხლოს გადახდა ორი თვის ქირის ოდენობით. შპს «... 21-მა» 2008 წლის 1 ოქტომბრის ხელშეკრულების საფუძველზე გადაიხადა 4600 აშშ დოლარი, პირველი (ოქტომბრის) და ბოლო თვის თანხა. შეთანხმების მიხედვით, ბოლო თვის თანხა (2300 აშშ დოლარი) მიიღო შუამავალმა. თ. ბ-შვილს შპს «... 21-მა» ფართი გაუთავისუფლა 2009 წლის 7 თებერვალს, რითაც მხარეებს შორის შეწყდა ქირავნობის სახელშეკრულებო ურთიერთობა. შპს «... 21-მა» თ. ბ-შვილს გადაუხადა 2008 წლის ნოემბრის ქირა, ხოლო დეკემბრის და იანვრის, ასევე, თებერვლის რამდენიმე დღის ქირა, საერთო ჯამში 5747 აშშ დოლარი, არ გადაუხდია.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის წარმომადგენლის მოსაზრება, რაც შემდეგში მდგომარეობდა: შპს «... 21-ს» გადახდილი აქვს 2008 წლის დეკემბრის, აგრეთვე, 2009 წლის იანვრის ქირა; ვინაიდან შპს «... 21-მა» ქირავნობის საგნით სარგებლობა დაიწყო 2008 წლის ნოემბრიდან, 2008 წლის ოქტომბრის ქირა არ უნდა დაეკისროს; შპს «... 21-ს» 2008 წლის ნოემბრიდან 2009 წლის 7 თებერვლამდე ქირა გადახდილი აქვს, რამდენადაც 2008 წლის 1 ოქტომბრის ხელშეკრულების გაფორმებისას მას წინასწარ ჰქონდა გადახდილი ორი თვის – პირველი და ბოლო თვის ქირა. ამასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ აღ-

ნიშნა, რომ საქმეზე წარდგენილი, 2008 წლის 1 ოქტომბრის ხელშეკრულების თანახმად, მხარეთა შორის სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშვა 2008 წლის 1 ოქტომბრიდან, რის გამოც დაუსაბუთებელი იყო აპელანტის მსჯელობა 2008 წლის ოქტომბერში მის მიერ ქირავნობის საგნის დაუფლების შეუძლებლობაზე.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, აპელანტის წარმომადგენელმა საქმის ზეპირი განხილვისას დაადასტურა შპს «... 21-ის» მიერ ნაქირავებ ფართში საჭირო ინვენტარის განთავსება. ამასთან, საქმეზე წარდგენილი კომუნალური გადასახადის – 2008 წლის ოქტომბრის გაზის გადასახადის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის მონაცემებით დგინდებოდა, რომ გადასახადი გადახდილი იყო «ჩემი ბაღის» სახელწოდების აბონენტის მიერ. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება იმის შესახებ, რომ მას ბოლო თვის თანხა გადახდილი ჰქონდა, რადგან 2008 წლის 1 ოქტომბრის ქირავნობის ხელშეკრულების გაფორმებისას დამქირავებელმა გადაიხადა 4600 აშშ დოლარის ოდენობით ქირა. ამ თანხიდან 2300 აშშ დოლარი შეადგენდა პირველი თვის გადასახდელ ქირას, ხოლო მეორე ნახევარი უნდა ჩათვლილიყო ბოლო თვის ქირად. დასახელებული ხელშეკრულების სხვა პირობების მე-3 პუნქტით გათვალისწინებული დათქმიდან გამომდინარე, მოიჯარე კონტრაქტის ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში დაკარგავდა დეპოზიტს (ბოლო თვის გადასახდელ თანხას). დასახელებული თანხა იმ შემთხვევაში ჩაითვლებოდა გადახდილად, თუკი დამქირავებელი ხელშეკრულებას ვადაზე ადრე შეწყვეტდა. ხელშეკრულება შეწყდა შპს «... 21-ის» ინიციატივით კანონით გათვალისწინებული საფუძვლით. 2008 წლის 1 ოქტომბრის ხელშეკრულების «სხვა პირობების» მე-3 პუნქტი არ ითვალისწინებს დამქირავებლის მიერ ვადამდე ხელშეკრულების მხოლოდ ბრალეული შეწყვეტის შემთხვევისათვის 2300 აშშ დოლარის დაკარგვის შესაძლებლობას. აღნიშნული პუნქტის ლოგიკური განმარტებიდან გამომდინარე, ნებისმიერი საფუძვლით, იქნებოდა ეს კანონით გათვალისწინებული საფუძვლის თუ ბრალეულად შეწყვეტის რაიმე საფუძვლის გარეშე ხელშეკრულების შეწყვეტა, გათვალისწინებული იყო ზემომითებული პირობის ამოქმედების შესაძლებლობა. მოცემულ შემთხვევაში შპს «... 21-მა» ქირის გადახდის თაობაზე ქირავნობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულება ნაწილობრივ შეასრულა. მან არ გადაიხადა 2008 წლის დეკემბრის, 2010 წლის იანვრის სრული თვის, ასევე, თებერვლის 7 რიცხვამდე ქირა, მთლიანობაში – 5747 ლარი.

სააპელაციო სასამართლომ მოწმეთა ჩვენებისა და მხარეთა განმარტების შეფასების საფუძველზე დადგინდად მიიჩნია, რომ გარდა 2008 წლის 1 ოქტომბრის წერილობით გაფორმებული ხელშეკრულებისა, არსებობდა ცალკე ზეპირი სახის შეთანხმება იმის შესახებ, რომ შპს «... 21» ისარგებლებდა თ. ბ-შვილის კუთვნილი ეზოთი, რომელიც თ. ბ-შვილს უნდა მოეპირკეთებინა 2008 წლის ოქტომბრის ბოლოს, ნოემბრის დასაწყისისათვის. ამასთან, მხარეთა ზეპირი შეთანხმებით, თ. ბ-შვილს კუთვნილი ძალის – ვაკუასიური ჯიშის ნაგაზი უნდა მოეთავსებინა ეზოს ბოლოში. ზეპირი შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულება თ. ბ-შვილმა შეასრულა: გონივრულ ვადაში – ოქტომბრის ბოლოს, ნოემბრის დასაწყისში მან ეზო მოაპირკეთა, შეთანხმებისამებრ ძალის განათავსა ეზოს ბოლოში და საბავშვო ბაღის მუშაობის საათებში მოათავსა მავთულის ღობით შემოსაზღვრულ ტერიტორიაზე. სააპელაციო სასამართლომ ასევე გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოება, რომ კარგ ამინდში საბავშვო ბაღის აღსაზრდელები გარკვეული პერიოდით გამოჰყავდათ ეზოში, მავთულის ღობესთან მიახლოება იყო საშიში, ღობის მიღმა მოთავსებული ძალის ეზოში შემსვლელთათვის ადვილად შესამჩნევი იყო.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის 1-ელი ნაწილის, 327-ე მუხლის 1-ელი და მე-2 ნაწილებისა და 531-ე მუხლის შესაბამისად, 2008 წლის 1 ოქტომბრის ხელშეკრულებით, რომელშიც 22 ოქტომბერს შეტანილ იქნა ცვლილებები, დამქირავებელ შპს «... 21-ს» დროებით სარგებლობაში გადაეცა თ. ბ-შვილის საკუთრებაში არსებული 130კვ.მ ფართი. ამ ხელშეკრულებით მხარეები არ შეთანხმებულან ეზოს სარგებლობაში გადაცემის, მისი მოპირკეთების და ეზოში ძალის განთავსების თაობაზე. ამაზე მხარეები შეთანხმდნენ ზეპირი ხელშეკრულებით. ამდენად, შპს «... 21-ის» მითითება დამქირავებლის მიერ 2008 წლის 1 ოქტომბრის ხელშეკრულების 3.1, 3.2, 3.4 პუნქტების დარღვევის შესახებ უსაფუძვლო იყო და არ წარმოშობდა თ. ბ-შვილის ვალდებულებას გარიგებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრებაზე სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლის შესაბამისად. ამავე კოდექსის 319-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, მხარეთა მიერ შეთანხმებულ პირობაში იგულისხმება 2008 წლის 1 ოქტომბრის ხელშეკრულების «სხვა პირობების» მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შეთანხმება და თავსდება მხარეთა ავტონომიურობის ფარგლებში. ამ დათქმის თანახმად კი გათვალისწინებულია ერთგვარი საჯარიმო სანქცია დამქირავებლის მიერ ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტისათვის, მიუხედავად შეწყვეტის საფუძვლისა.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად უთხრა უარი შეგებებული სარჩელის ავტორს 2008 წლის ოქტომბრის ქირის 2300 აშშ დოლარის დაბრუნების ნაწილში, რადგან მხარეთა შორის ურთიერთობა წარმოიშვა არა 2008 წლის ნოემბრის, არამედ – 2008 წლის ოქტომბრიდან. შესაბამისად, შპს «... 21-ს» ქირის გადახდა უნდა დაეწყო 2008 წლის ოქტომბრიდან და არა 2008 წლის ნოემბრიდან.

გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სამოქალაქო კოდექსის 531-ე მუხლის თანახმად, პირველი ინსტანციის სასამართლომ მხარეთა შორის გაფორმებული 2008 წლის 1 ოქტომბრის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მათ შორის არსებული მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობის გათვალისწინე-

ბითა და დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების პირობებში (კერძოდ, შპს «... 21-ს» თ. ბ-შვილისათვის არ გადაუხდია ხელშეკრულების შეწყვეტამდე დეკემბრის, იანვრის და თებერვლის რამდენიმე დღის დავალიანება) სწორად დააკმაყოფილა თ. ბ-შვილის სარჩელის მოთხოვნა ქირის (5747 ლარი) აშშ დოლარის დაკისრების ნაწილში.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს «... 21-მა», რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, ხოლო შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლი. კანონის დასახლებული ნორმისა და მხარეთა შორის ზეპირი ფორმით დადებული ხელშეკრულების პირობების დარღვევის, კერძოდ, იმის გამო, რომ თ. ბ-შვილმა ეზოში განათავსა ძაღლი, რომელიც საფრთხეს უქმნიდა ბავშვებს და დამქირავებელს ხელს უშლიდა საქმიანობაში, სასამართლოს გამქირავებლისათვის უნდა დაეკისრებინა პირგასამტეხლო

კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დაადგინა, რომ გამქირავებლის მხრიდან მავთულის ღობით შემოსაზღვრულ ტერიტორიაზე ძაღლის ყოლა მის იზოლირებულ ტერიტორიაზე ყოფნად ვერ იქნებოდა მიჩნეული და ძაღლს შეეძლო საფრთხე შეექმნა ბავშვებისათვის. გარდა ამისა, საქმეზე წარდგენილი მტკიცებულებებითა და მხარეთა ახსნა-განმარტებებით ირკვევა, რომ თ. ბ-შვილმა საბავშვო ბაღის ეზოში მოათავსა კავკასიური ჯიშის ძაღლი, რომელიც როგორც ბავშვების, ასევე ეზოში შემსვლელი ადამიანებისათვის ძალზედ საშიში იყო. ამიტომ, მოსარჩელის ბრალეული ქმედების გამო, შპს «... 21» იძულებული გახდა, ვადაზე ადრე შეეწყვიტა ხელშეკრულება. შესაბამისად, შპს «... 21-ის» მიერ თ. ბ-შვილისათვის პირგასამტეხლოს დაკისრების მოთხოვნა მართლზომიერია.

კასატორი მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ ასევე არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლის 1-ელი ნაწილი, ვინაიდან შპს «... 21-ის» მიერ ხელშეკრულების შეწყვეტა განპირობებული იყო კანონით გათვალისწინებული საფუძველით. ხელშეკრულების «სხვა პირობების» მე-3 პუნქტით დადგენილი ვალდებულებები ეწინააღმდეგება კანონსა და სამართლის ზოგად პრინციპებს. პირს არ შეიძლება დაეკისროს ჯარიმის გადახდა იმ შემთხვევაში, თუ მისი ქმედება გამოწვეული იყო კონტრაქტის ბრალით. სასამართლომ არასწორად შეაფასა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მხარეთა უფლება-მოვალეობების წარმოშობის საფუძველი, ვინაიდან თ. ბ-შვილმა ეზოს მოპირკეთება დაასრულა ნოემბრის დასაწყისში, რადროსაც მან ხელშეკრულების საგანი გადასცა დამქირავებელს სარგებლობაში. ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები გარიგების საგანზე დამქირავებელს წარმოეშვა ნივთის გადაცემის შემდეგ, რის გამოც ქირის გადახდაც ნოემბრიდან უნდა მომხდარიყო.

კასატორის მოსაზრებით, სასამართლომ არასწორად განმარტა ქირავნობის ხელშეკრულების პირობა, რომლითაც შპს «... 21-ის» მიერ ხელშეკრულების ვადაზე ადრე მოშლის შემთხვევაში დამქირავებელი კარგავს ბოლო თვის გადახდილი ქირის მოთხოვნის უფლებას, რამდენადაც აღნიშნული პირობა არ არეგულირებს შემთხვევას, როდესაც ხელშეკრულების მოშლა განპირობებულია გამქირავებლის ბრალეული ქმედებით. ამდენად, შპს «... 21-ის» მიერ გადახდილი ე.წ. «საშუამავლო» თანხა უნდა ჩაითვალოს ბოლო თვის, იანვრის ქირის ანგარიშში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის ფარგლებში საკასაციო საჩივრის საფუძველების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ შპს «... 21-ის» საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გასაჩივრებული განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული დავის გადასაწყვეტად უნდა შეფასდეს საკითხი იმის შესახებ, არსებობს თუ არა დამქირავებლისათვის (შპს «... 21») ქირავნობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ქირის (5747 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი) დაკისრების საფუძველი (თ. ბ-შვილის სარჩელის მოთხოვნა). ამასთან, რამდენად კანონიერია თავად დამქირავებლის მოთხოვნა გამქირავებლისათვის (თ. ბ-შვილი) ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო ორი თვის ქირის ოდენობით პირგასამტეხლოს (5152 აშშ დოლარი) დაკისრების თაობაზე (შპს «... 21-ის» შეგებებული სარჩელის მოთხოვნა).

დამქირავებლისათვის (რომელსაც ამ შემთხვევაში წარმოადგენს «... 21») ქირის დაკისრების შესახებ სადავო მოთხოვნის სწორად გადასაწყვეტად უწინარესად უნდა დადგინდეს, საქმეზე დასტურდება თუ არა მის მიერ ქირავნობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ქირის (5747 აშშ დოლარი) გადაუხდელობა.

სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილია, რომ შპს «... 21-მა» თ. ბ-შვილს გადაუხადა 2008 წლის ნოემბრის ქირა, ხოლო დეკემბრის და იანვრის, აგრეთვე, თებერვლის რამდენიმე დღის ქირა, მთლიანობაში 5747 აშშ დოლარი, დამქირავებელს არ გადაუხდია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

შპს «... 21» სადავოდ ხდის თ. ბ-შვილისათვის 2008 წლის დეკემბრისა და 2009 წლის იანვრის ქირის გადახდის საფუძვლის არსებობას, რასაც იმით ასაბუთებს, რომ 2008 წლის 1 ოქტომბრის ხელშეკრულების გაფორმებისას მან წინასწარ გადაიხადა პირველი და ბოლო თვის ქირა. იგი აღნიშნავს, რომ ქირავნობის საგნით სარგებლობა დაიწყო 2008 წლის ნოემბრიდან, რის გამოც 2008 წლის ოქტომბრის ქირის გადახდა არ უნდა დაეკისროს. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ მხარის აღნიშნული მსჯელობა სწორად არ გაიზიარა. ამ შემთხვევაში არსებითია ის, რომ 2008 წლის 1 ოქტომბრის ხელშეკრულებით მხარეებს შორის ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთობა, მათ შორის, დამქირავებლის მიერ ქირის გადახდის ვალდებულება, წარმოიშვა სწორედ 2008 წლის 1 ოქტომბრიდან (ხელშეკრულების გაფორმების დღიდან). ამასთან, სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოში საქმის ზეპირი განხილვისას აპელანტის წარმომადგენელმა დაადასტურა შპს «... 21-ის» დაქირავებულ ფართში საჭირო ინვენტარის ნაწილის ხელშეკრულების დადების დღიდან (2008 წლის 22 ოქტომბერი) განთავსების ფაქტი. გარდა ამისა, აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას სააპელაციო სასამართლომ მხედველობაში მიიღო საქმეზე წარდგენილი 2008 წლის ოქტომბრის კომუნალური გადასახადის (გაზის) გადახდის ქვითარი, საიდანაც ირკვევა, რომ ქ.18-ში მდებარე მისამართზე გადასახადი გადახდილია «ჩემი ბაღის» სახელწოდების აბონენტის მიერ (საქმეზე დადგენილია, რომ შპს «... 21-ს» თ. ბ-შვილის კუთვნილ ფართში მოწყობილი ჰქონდა საბავშვო ბაღი და ამ სახელწოდებით ეწეოდა საქმიანობას). კასატორს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ზემოაღნიშნულ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია არ წარმოუდგენია. ამდენად, საფუძველს მოკლებულია შპს «... 21-ის» მსჯელობა იმის შესახებ, რომ ქირის გადახდა უნდა დაწყებულიყო 2008 წლის ნოემბრის და არა ოქტომბრის თვიდან.

რაც შეეხება საკითხს შპს «... 21-ის» მიერ წინასწარ გადახდილი ბოლო თვის ქირის მხედველობაში მიღების თაობაზე, ამასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო მიუთითებს მოდავე მხარეებს შორის 2008 წლის 1 ოქტომბერს დადებული იჯარის ხელშეკრულების «სხვა პირობების» მე-3 პუნქტზე, რომლის თანახმად, მოიჯარე (შპს «... 21») კონტრაქტის ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში კარგავს დეპოზიტს (ბოლო თვის გადახდილ თანხას). საქმეზე დადგენილია, რომ შპს «... 21-მა» 2008 წლის 1 ოქტომბრის ხელშეკრულების საფუძველზე თ. ბ-შვილს (მეიჯარე) ნამდვილად გადაუხადა ბოლო თვის ქირა (2300 აშშ დოლარი), რაც შეთანხმების მიხედვით მიიღო შუამავალმა. დადგენილია ისიც, რომ ხელშეკრულების შეწყვეტა მოხდა შპს «... 21-ის» ინიციატივით კანონით გათვალისწინებულ საფუძველზე. მიუხედავად ამისა, სააპელაციო სასამართლომ სწორად მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ბოლო თვის ქირა გადახდილად ვერ ჩაითვლებოდა. ხელშეკრულების ზემოთ დასახელებული პუნქტის შინაარსიდან გამომდინარე, ქირა იმ შემთხვევაში ჩაითვლებოდა გადახდილად, თუკი მოიჯარე ხელშეკრულებას ვადაზე ადრე არ შეწყვეტდა. ხელშეკრულების «სხვა პირობების» მე-3 პუნქტში საუბარია მოიჯარის მიერ ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტაზე ზოგადად, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს დანაწესი მოქმედებს ხელშეკრულების ნებისმიერი საფუძველით (მათ შორის კანონით გათვალისწინებული საფუძველით) შეწყვეტის პირობებში, გარდა კონტრაქტის ბრალეული მოქმედებით გამოწვეული შემთხვევებისა. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ თ. ბ-შვილს მხარეთა შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულება არ დაურღვევია. ამასთან დაკავშირებით კასატორს დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია არ წარმოუდგენია. ამდენად, განსახილველ შემთხვევაში ხელშეკრულებიდან გამომდინარე დამქირავებელი კარგავს ბოლო თვის ქირის მოთხოვნის უფლებას. შესაბამისად, კასატორის მსჯელობა აღნიშნული თვალსაზრისით ასევე უსაფუძველოა და არ ექვემდებარება გაზიარებას.

სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, ვალდებულების წარმოშობის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს მხარეთა შორის ხელშეკრულება. ამავე კოდექსის 531-ე მუხლის მიხედვით, ქირავნობის ხელშეკრულებით გამქირავებელი მოვალეა დამქირავებელს სარგებლობაში გადასცეს ნივთი განსაზღვრული ვადით. დამქირავებელი მოვალეა გამქირავებელს გადაუხადოს დათქმული ქირა.

რამდენადაც საქმეზე უდავოდ დგინდება შპს «... 21-ის» მიერ ქირის – 5747 აშშ დოლარის გადაუხდელობა, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კანონის დასახელებული ნორმებიდან გამომდინარე სახეზეა მისთვის ამ თანხის დაკისრების საფუძველი.

თ. ბ-შვილისათვის პირგასამტეხლოს დაკისრების შესახებ შპს «... 21-ის» მოთხოვნასთან მიმართებით საკასაციო სასამართლო აღნიშნავს შემდეგს: დასახელებული მოთხოვნის მართლობიერების დასადგენად მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, ხელშეკრულების მიხედვით თუ რა შემთხვევაში წარმოეშობა დამქირავებელს (თ. ბ-შვილს) პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულება და რა კონკრეტულ გარემოებას (გარემოებებს) ეფუძნება შპს «... 21-ის» მოთხოვნა მოწინააღმდეგე მხარისათვის პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე.

მხარეებს შორის 2008 წლის 22 ოქტომბერს დადებული ხელშეკრულების 3.4 პუნქტის მიხედვით, მეიჯარე ვალდებულია, ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში ჯარიმის სახით გადაიხადოს ორი თვის ქირა.

სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლის თანახმად, პირგასამტეხლო არის მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული თანხა, რომელიც მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროდანდ შესრულებისათვის.

მოცემულ შემთხვევაში თ. ბ-შვილის მიერ ხელშეკრულების დარღვევის ფაქტის დასადასტურებლად კასატორი შპს «... 21» მიუთითებს იმ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ ამ უკანასკნელმა ეზოში განათავსა ძაღლი, რომელიც საფრთხეს უქმნიდა ბავშვებს და დამქირავებელს ხელს უშლიდა საქმიანობაში. საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება კასატორს და თ. ბ-შვილისათვის პირგასამტეხლოს დაკისრების საფუძველად ვერ განიხილავს დასახელებულ გარემოებას. სააპელაციო სასამართლომ მხარეთა ზეპირი შეთანხმების საფუძველზე დაადგინა, რომ ნაქირავებ ფართში ძაღლი ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ არ აღმოჩენილა, იგი აღნიშნულ დროს უკვე იმყოფებოდა დაქირავებულ ტერიტორიაზე და ამ შეთანხმების თანახმად თ. ბ-შვილს ეზოში ძაღლის ყოლის უფლება გააჩნდა. ეს ცხადყოფს, რომ დამქირავებელმა იმთავითვე გაითვალისწინა (ყოველ შემთხვევაში უნდა გაეთვალისწინებინა) მითითებული ფაქტორი და ამ ფაქტორიდან გამომდინარე მოსალოდნელი საფრთხის არსებობა. შპს «... 21-ს» თავიდანვე შეეძლო, უარი ეთქვა სახელშეკრულებო ურთიერთობაზე ან წამოეყენებინა შესაბამისი პირობები, რაც არ განუხორციელებია. ასეთ ვითარებაში მოწინააღმდეგე მხარისათვის ზემოაღნიშნული მოტივით პირგასამტეხლოს დაკისრება არამართებულია.

გარდა ამისა, თ. ბ-შვილის მხრიდან ხელშეკრულების დარღვევის ფაქტის დასადასტურებლად კასატორი მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ თ. ბ-შვილსა და მის შვილს ვ. ბ-შვილს არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება ჰქონდათ შპს «... 21-ის» მიმართ, ვ. ბ-შვილი არღვევდა ხელშეკრულების პირობებს, კერძოდ, იგი თვითნებურად იჭრებოდა დაქირავებულ ფართში და შპს «... 21-ს» საქმიანობის განხორციელებაში ხელს უშლიდა, რაზეც გამქირავებელი თ. ბ-შვილი რეაგირებას არ ახდენდა. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ საქმეზე წარდგენილი მტკიცებულებების შეფასების საფუძველზე დაადგინა, რომ მხარეთა შორის როგორც 2008 წლის 1 ოქტომბრის ხელშეკრულებით, ასევე ზეპირი შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების თ. ბ-შვილის მიერ დარღვევის ფაქტი არ დასტურდებოდა. წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ შეიცავს სასამართლოს აღნიშნული დასკვნის გამაქარწყლებელ დასაბუთებულ პრეტენზიას. ასეთ ვითარებაში კასატორის ზემომითითებული მსჯელობა საფუძველს მოკლებულია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის 1-ელი ნაწილის მიხედვით, საკასაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას (განჩინებას) საკასაციო საჩივრის ფარგლებში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შპს «... 21-ის» საკასაციო საჩივარი არ იძლევა კასატორის მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას, რის გამოც თბილისის სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება უცვლელად დატოვებას ექვემდებარება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

შპს «... 21-ის» საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 5 იანვრის განჩინება;
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

8. ვალდებულების შეწყვეტა შესრულებით

განჩინება

1ას-840-1126-09

22 იანვარი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: დავალიანების არარასებობის აღიარება, ვალდებულების მომავალში შესრულება

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 18 იანვრის განჩინებით შპს «ი. გ-ის» მოთხოვნა სარჩელის აღძვრამდე მისი უზრუნველყოფის შესახებ დაკმაყოფილდა: შპს «ს. რ-ს» დაევალა სავარაუდო მოსარჩელის სასარგებლოდ სარკინიგზო მომსახურების განხორციელება; ამავე განჩინებით განმცხადებელს დაევალა უზრუნველყოფის გარანტიის წარდგენა – 100 000 ლარის ფულადი თანხის ან ფასიანი ქაღალდების საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტა-

მენტის სადეპოზიტო ანგარიშზე შეტანის ან იმავე ღირებულების საკრედიტო დაწესებულების მიერ გაცემული თავდებობის სასამართლოში წარდგენის გზით.

2008 წლის 31 იანვარს შპს «ი. გ-მა» იმავე სასამართლოში სარჩელი წარადგინა, სადაც მოპასუხედ დაასახელა შპს «ს. რ-ა». მოსარჩელემ მოითხოვა იმ გარემოების აღიარება, რომ შპს «ი. გ-ს» არ გააჩნია შპს «ს. რ-ის» მიმართ სადგურ გორიდან სომხეთში გაგზავნილ 887 ვაგონზე სადგურის 24 საათზე მეტი მომსახურებისათვის – 57 815.17 ლარისა და რკინიგზის სამანევრო ლოკომოტივის მომსახურებისათვის – 2 407.20 ლარის დავალიანება. გარდა ამისა, მოსარჩელემ მოითხოვა შპს «ს. რ-სათვის» სარკინიგზო მომსახურების სამომავლოდ შესრულების დავალიანება შპს «ი. გ-ის» სასარგებლოდ.

მოსარჩელის აღნიშნული მოთხოვნების საფუძველები მდგომარეობდა შემდეგში:

შპს «ი. გ-ი» ახორციელებდა მარცვლოვანი კულტურების ექსპორტ-იმპორტის ოპერაციებს, რა დროსაც იგი ტვირთების გადაზიდვას აწარმოებდა შპს «ს. რ-ის» მეშვეობით;

2007 წლის 19 სექტემბრის ¹დსგ-7502 წერილით შპს «საქართველოს რკინიგზამ» შპს «ი. გ-საგან» მოითხოვა დამატებითი ღირებულების გადასახადის სახით გადაზიდვებზე 99 497 ლარის, ხოლო სადგურის მომსახურებაზე – 15 192.91 ლარის გადახდა. მოპასუხემ მოითხოვა, აგრეთვე, სადგურ გორიდან სომხეთში გაგზავნილ 887 ვაგონზე 24 საათზე მეტი მომსახურებისათვის დამატებით დარიცხული 57 815.17 ლარისა და რკინიგზის სამანევრო ლოკომოტივის მომსახურების საფასურის – 2 407.20 ლარის გადახდა. ამავე წერილით მოპასუხემ გააფრთხილა შპს «ი. გ-ი», რომ ორი კვირის ვადაში დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში შეუწყვეტდა სარკინიგზო მომსახურებას;

2007 წლის 19 სექტემბრის ¹დსგ-7502 წერილში შპს «ს. რ-ს» არ მიუთითებია სადგურ გორიდან სომხეთში გაგზავნილ რომელ 887 ვაგონზე არ მოხდა სადგურის 24 საათზე მეტი მომსახურების დარიცხვა დროულად, რა პერიოდში განხორციელდა სადავო მომსახურება. დასახელებული წერილიდან ასევე არ ირკვეოდა, თუ როდის და რომელ სადგურზე გაწეულ სამანევრო ლოკომოტივის მომსახურების ანაზღაურებაზე იყო საუბარი;

შპს «ი. გ-მა» თავისი პოზიცია წერილობით აცნობა მოპასუხეს, რომლისგანაც 2007 წლის 5 დეკემბერს მიიღო საპასუხო წერილი ¹დსგ-9372. ამ უკანასკნელით შპს «ს. რ-მ» თავისი მოთხოვნები ძალაში დატოვა და მოსარჩელეს კვლავ განუსაზღვრა ორი კვირის ვადა დავალიანების დასაფარად, იმავდროულად გააფრთხილა გადაუხდელობის შედეგების, კერძოდ, მომსახურების შეწყვეტისა და ტვირთზე მოსალოდნელი გირავნობის შესახებ. წერილობითვე განემარტა ადრესატს, რომ დავალიანების არსებობა გამოვლინდა რევიზიის შედეგად;

მოსარჩელის მითითებით, შპს «ს. რ-ს» არ წარუდგენია მოთხოვნილი დავალიანების წარმოშობის დამადასტურებელი მტკიცებულებები. ამასთან, შპს «ი. გ-ს» ყოველგვარი ვალდებულება შპს «ს. რ-ის» მიმართ შესრულებული ჰქონდა სრულად;

მოსარჩელე აღნიშნავდა, რომ მიუხედავად სადავო საკითხის გარკვევის არაერთი მცდელობისა, მოპასუხესთან შეთანხმება არ შედგა და იგი უარს აცხადებდა სარკინიგზო მომსახურების გაწევაზე;

იმის გათვალისწინებით, რომ მოპასუხე საქართველოში სარკინიგზო მომსახურების სფეროში ერთადერთ სუბიექტს წარმოადგენდა და ბაზარზე დომინირებული მდგომარეობა ეკავა, მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ ამ შემთხვევაში მას ეკისრებოდა ხელშეკრულების დადების ვალდებულება.

შპს «ს. რ-მ» სარჩელი არ ცნო და მისი უარყოფა შემდეგი არგუმენტებით დაასაბუთა;

ტვირთის გადაზიდვის ხელშეკრულება იდება ზედდებულის ფორმით და წარმოადგენს სასყიდლიან გარიგებას, რომლის თანახმად, ტვირთმფლობელი ვალდებულია, რკინიგზას აუნაზღაუროს ტვირთის გადაზიდვის და მის გაგზავნასთან დაკავშირებული სხვა მომსახურების საფასური;

ტვირთის გადაზიდვისა და მასთან დაკავშირებული მომსახურების საფასურს ტვირთამგზავნი იხდის წინასწარ, რკინიგზის სადგურიდან ტვირთის გაგზავნამდე, რკინიგზას კი უფლება აქვს, საფასურის გადახდამდე შეაჩეროს ტვირთის გაგზავნა;

დანიშნულების რკინიგზის სადგურში ტვირთი გაცივმა გადაზიდვის დოკუმენტში მითითებულ ტვირთიმძღვრეზე, ტვირთის გადაზიდვასა და ამასთან დაკავშირებული სხვა მომსახურების გაწევის საფასურის სრულად გადახდის შემდეგ;

იმ შემთხვევაში, თუ ტვირთიმძღვრე არ იხდის ტვირთის გადაზიდვისა და მასთან დაკავშირებული სხვა მომსახურების საფასურს, რკინიგზას უფლება აქვს, დააკავოს ტვირთი და გამოიყენოს მასზე გირავნობის უფლება.

მოპასუხის მითითებით, შპს «ს. რ-ს» მოსარჩელის ინტერესებიდან გამომდინარე არ გამოუყენებია ტვირთზე გირავნობის უფლება, რაც სამართლებრივად არ ნიშნავს მოსარჩელისათვის გაწეული მომსახურების ანაზღაურებაზე უარის თქმას.

მოპასუხის განმარტებით, 2006 წლის იანვარში, თებერვალსა და მარტში შედგენილი სავაგონო უწყისეობით დასტურდებოდა, რომ მოცემულ პერიოდში რკინიგზამ შპს «ი. გ-ს» ვაგონებით ოცდაოთხ საათზე მეტი დროით მომსახურების გაუწია, რომლის საფასურიც მოსარჩელეს არ აუნაზღაურებია.

საქალაქო სასამართლოს მთავარ სხდომაზე შპს «ს. რ-ის» წარმომადგენელმა დამატებით განმარტა, რომ მოსარჩელეს დავალიანება წარმოეშვა 2006 წლის იანვარ, თებერვალსა და მარტში შპს «ფ-ს» ჩიხში განხორ-

ციელელებული სარკინიგზო მომსახურებისას, კერძოდ, **24** საათზე მეტი დროის განმავლობაში ვაგონებით ადგილზე მომსახურების გამო. მოპასუხის მოსაზრებით, იმის გამო, რომ მოსარჩელე სარგებლობდა შპს «ფ-ს» ლიანდაგით, მასზე ვრცელდებოდა შპს «ფ-სა» და შპს «ს. რ-ს» შორის დადებული რკინიგზის მისასვლელი ლიანდაგის მომსახურების წესებისა და რკინიგზის მისასვლელი ლიანდაგის ექსპლოატაციის **56/6** ხელშეკრულებით დადგენილი წესები, მათ შორის, მოცემული ხელშეკრულების მე-10 პუნქტი, რომლის თანახმად, მოსარჩელე ვალდებული იყო, ვაგონების დაცლის თაობაზე წერილობითი შეტყობინება გაეგზავნა შპს «ს. რ-სათვის».

მოპასუხემ მიუთითა, რომ სადგურ გორიდან სომხეთისაკენ მიმავალ **887** ვაგონზე ადგილზე მომსახურების გაწევის და, შესაბამისად, დავალიანების არსებობის ფაქტი დადგინდა რევიზიის შედეგად, კერძოდ, დადგინდა, რომ ვაგონები ოცდაოთხ საათში არ დაცლილა, ვინაიდან დაცლის თაობაზე წერილობითი შეტყობინება არ განხორციელებულა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის **2008** წლის **22** მაისის გადაწყვეტილებით შპს «ი. გ-ის» სარჩელი დაკმაყოფილდა: აღიარებულ იქნა შპს «ი. გ-ის» დავალიანების არარსებობა შპს «ს. რ-ის» მიმართ სადგურ გორიდან სომხეთში გაგზავნილ **887** ვაგონზე **24** საათზე მეტი მომსახურების საფასურის – **57 815.17** ლარისა და რკინიგზის სამანევრო ლოკომოტივის მომსახურების საფასურის – **2 407.20** ლარის ოდენობით; აღიარებულ იქნა შპს «ს. რ-ის» ვალდებულება მომავალშიც გაუწიოს მომსახურება შპს «ი. გ-ს».

საქალაქო სასამართლომ საქმეზე დადგინდად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

შპს «ს. რ-ა» მოსარჩელეს ედავება **2006** წლის იანვარ-თებერვალსა და მარტში შპს «ფ-ს» ჩიხში გორიდან სომხეთისაკენ მიმავალ **887** ვაგონზე ადგილზე განხორციელებული სარკინიგზო მომსახურებისათვის ანაზღაურებას;

სადავო პერიოდში (**2006** წლის იანვარ-თებერვალსა და მარტში) შპს «ი. გ-ი» ქ. გორში სარგებლობდა შპს «ფ-ს» ლიანდაგით;

სადგურ გორიდან სომხეთში მიმავალი **887** ვაგონი, რომელიც იმყოფებოდა შპს «ფ-ს» ჩიხში, წარმოადგენდა შპს «ს. რ-ის» საკუთრებას;

2006 წლის იანვარ-თებერვალსა და მარტში შპს «ი. გ-ი» და შპს «ს. რ-ა» იმყოფებოდნენ და ამჟამადაც იმყოფებიან სახელშეკრულებო ურთიერთობაში და შპს «ი. გ-ის» გადაზიდვებს ახორციელებს შპს «ს. რ-ა»;

ტვირთის გადაზიდვა ხორციელდებოდა და ხორციელდება ტვირთის გადაზიდვის შესახებ ხელშეკრულებების – ზედნადებების საფუძველზე;

სადავო პერიოდში (**2006** წლის იანვარ-თებერვალსა და მარტში) მოქმედებდა შპს «ს. რ-სა» და შპს «ფ-ს» შორის რკინიგზის მისასვლელი ლიანდაგის ექსპლოატაციის **156/5** ხელშეკრულება;

სარკინიგზო მომსახურებისათვის თანხის გადაუხდელობის გამო შპს «ს. რ-ს» მოსარჩელის ტვირთი არ დაუკავებია და მასზე გირავნობის უფლება არ გამოუყენებია;

სადავო პერიოდში შპს «ი. გ-ი» იმყოფებოდა სამართლებრივ ურთიერთობაში შპს «ფ-სთან» იჯარისა და მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე;

მოპასუხის მიერ წარდგენილ **2006** წლის იანვარ-თებერვლისა და მარტის სავაგონო უწყისებში თანხებზე მითითება განხორციელებულია გრაფაში – «გადახდილი თანხა». მოცემული უწყისები არ შეიცავს რაიმე აღნიშვნას გადასახდელ თანხაზე;

მოსარჩელის მიერ წარდგენილი ქვითრები გაცემულია შპს «ს. რ-ის» მიერ და მას ხელს აწერს შპს «ს. რ-სათვის» გადასახდელი თანხის მიღებაზე უფლებამოსილი პირი – მოლარე. მოცემული ქვითრები ადასტურებს, რომ მათში მითითებული თანხები შპს «ი. გ-ს» შპს «ს. რ-სათვის» გადახდილი აქვს;

მოპასუხის მიერ წარდგენილი **2006** წლის იანვარ-თებერვლისა და მარტის სავაგონო უწყისების და მოსარჩელის მიერ წარდგენილი ქვითრების ურთიერთშედარების შედეგად დგინდებოდა, რომ სავაგონო უწყისებში მითითებული ქვითრების ნომრები და ფულადი თანხების ოდენობა ემთხვევა შპს «ი. გ-ის» მიერ წარდგენილი ქვითრების ნომრებსა და მასში მითითებული გადახდილი თანხების ოდენობას. აქედან გამომდინარე, დგინდებოდა, რომ **2006** წლის იანვარ-თებერვლისა და მარტის სავაგონო უწყისებში მითითებული მომსახურებისათვის მასშივე მითითებული თანხები შპს «ი. გ-ს» გადახდილი ჰქონდა.

საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, მოპასუხის მიერ წარდგენილი ტვირთის მიმღებ-ჩამბარებლის სამსახურები ვერ განიხილებოდა შპს «ი. გ-ის» დავალიანების არსებობისა და გორიდან სომხეთში გაგზავნილ **887** ვაგონზე **24** საათზე მეტი მომსახურების გაწევის ფაქტის დამადასტურებელ მტკიცებულებად, რამდენადაც მოცემულ სამსახურებზე არ იყო დაფიქსირებული მათი შედგენის თარიღი. ამასთან, სამსახურები არ შეიცავდა შესაბამისი უფლებამოსილი პირის ხელმოწერას და მითითებას რაიმე გადასახდელ თანხაზე.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სარკინიგზო კოდექსის მე-2 მუხლის «მ» ქვეპუნქტზე, მე-10, მე-11 მუხლებზე და განმარტა, რომ სატარიფო პოლიტიკა განსაზღვრავს სარკინიგზო მომსახურების საფასურის მოწესრიგების ზოგად წესს, ხოლო უშუალოდ მომსახურების საფასურის ოდენობა უნდა განსაზღვროს რკინიგზამ და შესთავაზოს იგი მომხმარებელს. მომსახურების საფასური უნდა დაწესდეს სატარიფო

პოლიტიკის ძირითადი პრინციპების გათვალისწინებით, მაგრამ ამავე დროს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მოცემულ შემთხვევაში სადავო არ იყო ის გარემოება, რომ სადავო თანხა ზედნადებში მითითებული არ ყოფილა.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის პოზიცია იმის თაობაზე, რომ რკინიგზის მისასვლელი ლიანდაგის მომსახურების წესებისა და რკინიგზის მისასვლელი ლიანდაგის ექსპლოატაციის 56/6 ხელშეკრულება მოქმედებდა როგორც შპს «ფ-ს», ისე შპს «ი. გ-ის» მიმართ, კერძოდ, მოსარჩელე სარგებლობდა რა შპს «ფ-ს» ლიანდაგით, მასზე ვრცელდებოდა ყველა ის გარემოება და პირობა, რაც აღნიშნულია შპს «ფ-სთან» დადებულ ხელშეკრულებაში და ხელშეკრულების მე-10 პუნქტის თანახმად, მოსარჩელე ვალდებული იყო, ვაგონის დაცლის თაობაზე წერილობითი შეტყობინება გაეგზავნა შპს «ს. რ-სათვის», რაც მას არ განუხორციელებია.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით საქალაქო სასამართლომ განმარტა შემდეგი: ვალდებულებითი ურთიერთობა ორ მხარეს – კრედიტორსა და მოვალეს შორის წარმოშობილი ურთიერთობაა. ვალდებულების წარმოშობის ერთ-ერთ საფუძველს ხელშეკრულება წარმოადგენს. სახელშეკრულებო ბოჭვა ხორციელდება მხოლოდ იმ პირებზე, რომლებიც მოცემული ხელშეკრულების მხარეებს წარმოადგენენ, კერძოდ კი მათზე, რომელთა შორისაც მოცემული ხელშეკრულება დაიდო, ვინაიდან ხელშეკრულება კერძო პირთა შეთანხმებაა, რომლითაც ამ უკანასკნელთ წარმოემობათ ერთმანეთის მიმართ სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები.

გარდა ამისა, საქალაქო სასამართლომ მიუთითა სარკინიგზო კოდექსის 22-ე მუხლის მე-2 და მე-6 ნაწილებზე, რომელთა მიხედვით, ტვირთის გადაზიდვისა და მასთან დაკავშირებული სხვა მომსახურების გაწევის საფასურს ტვირთგამგზავნი იხდის წინასწარ, რკინიგზის სადგურიდან ტვირთის გაგზავნამდე, თუ ამ კოდექსითა და ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. გამგზავნ რკინიგზის სადგურში ტვირთის გადაზიდვისა და მასთან დაკავშირებული სხვა მომსახურების გაწევის (სამუშაოს) შესრულების საფასურის გადახდის ვადა არის გადასაზიდად ტვირთის მიღების დღე, ხოლო დანიშნულების რკინიგზის სადგურში – ტვირთმიმღებისათვის ტვირთის გადაცემის დღე, რომელიც აღინიშნება ზედნადებში.

მოცემულ შემთხვევაში დგინდებოდა, რომ შპს «ი. გ-ი» სარკინიგზო მომსახურების საფასურს იხდიდა წინასწარ და თანხის გადაუხდელობის გამო ტვირთზე გირავნობას რკინიგზის სასარგებლოდ არ არსებობდა. შპს «ს. რ-მ» მოითხოვა უკვე განხორციელებულ სარკინიგზო მომსახურებაზე დამატებით თანხის გადახდა. მას არ წარუდგენია მტკიცებულება, რომელიც მოსარჩელისათვის ამ უკანასკნელის მიერ აუნაზღაურებელი სარკინიგზო მომსახურების გაწევას და შესაბამისად, დავალიანების არსებობას დაადასტურებდა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ შპს «ი. გ-ის» სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი არ არსებობდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს «ს. რ-მ», რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 24 ივნისის განჩინებით შპს «ს. რ-ის» სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 22 მაისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლომ საქმე განიხილა არსებითი ხასიათის საპროცესო დარღვევების გარეშე, ამასთან, სწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მათ.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე, 103-ე მუხლების შესაბამისად, მოსარჩელე შპს «ი. გ-მა» პირველი ინსტანციის სასამართლოში წარადგინა ის მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებდა მოპასუხე შპს «ს. რ-ის» მიმართ დავალიანების არარსებობას. ამ გარემოების საპირისპიროს მტკიცების ტვირთი ეკისრებოდა მოწინააღმდეგე მხარეს – შპს «ს. რ-ას», რომელმაც ვერ მოახდინა თავისი წილი მტკიცების ტვირთის რეალიზება და თავის სააპელაციო საჩივარში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დასახელებული ნორმების მოთხოვნათა დარღვევით მიუთითა, რომ სასამართლოს თავისი ინიციატივით უნდა მოეთხოვა მოსარჩელისათვის მიმღებ-ჩამბარებლის სამახსოვროების მასთან არსებული ეგზემპლარების წარდგენა და მოეხდინა მოპასუხის მიერ წარდგენილ ანალოგიურ დოკუმენტებთან შედარება.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, ის ფაქტი, რომ შპს «ს. რ-მ» ვერ შეძლო შესაგებელში მითითებული გარემოებების დადასტურება, ცალსახად დგინდებოდა პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომაზე მისი წარმომადგენლების ახსნა-განმარტებიდან. უფრო მეტიც, შპს «ს. რ-ის» წარმომადგენელი მოსარჩელის შეკითხვაზე – ჰქონდა თუ არა გადასახდელი შპს «ი. გ-ს» სადავო თანხა, პასუხობდა: «გადასახდელია, მაგრამ წარმოდგენილი საანგარიშგებო დოკუმენტის მიხედვით ეს არ ჩანს».

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მითითება იმის შესახებ, რომ სასამართლომ მოპასუხეს არ მისცა საკმარისი დრო მტკიცებულებების წარსადგენად. აქვე სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ აპელანტს არ გაუსაჩივრებია პირველი ინსტანციის სასამართლოს ის საოქმო განჩინება, რომლითაც მი-

სი შუამდგომლობა მტკიცებულებების წარდგენის მიზნით დამატებითი ვადის დაწესების შესახებ დარჩა განუხილველი.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს «ს. რ-მ», რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, შემდეგი საფუძვლებით:

მოსარჩელემ სასამართლო შეცდომაში შეიყვანა დავის საგნის ძირითად შინაარსთან მიმართებით, კერძოდ, შპს «ი. გ-ის» მითითებით, შპს «ს. რ-ა» მოსარჩელისაგან ითხოვდა სომხეთის მიმართულებით გადაზიდულ 887 ვაგონზე 57 815.17 ლარის დავალიანების გადახდას იმ მოტივით, თითქოს ეს იყო სატრანსპორტო ზედდებულით გათვალისწინებული საფასურის სრულად გადაუხდელობის შედეგად წარმოშობილი დავალიანება. შპს «ს. რ-მ» სასამართლო სხდომებზე არაერთხელ განაცხადა, რომ ზემოაღნიშნული დავალიანება წარმოშობილია ხსენებული ვაგონების 24 საათზე მეტი მომსახურებისათვის გაწეული სამუშაოებისა და ვაგონების მოცდენის დროს მოსარჩელის მიერ არასრულად და არასწორად გადახდის გამო.

ზემოთ დასახელებული საფასური იანგარიშება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით – რკინიგზით გადაზიდვის წესების 394-ე მუხლითა და 144/ნ ტვირთის გადაზიდვის სფეროში სადგურის კომერციული ანგარიშგების ინსტრუქციის 38-ე თავით გათვალისწინებული დოკუმენტით, ანუ გუ-38 ფორმის მიმღებჩამბარებლის ბარათით. ამ დოკუმენტით იანგარიშება ადგილობრივი მომსახურების საფასური და სატრანსპორტო ზედდებულის ირგვლივ მსჯელობა სასამართლოს არ უნდა ემსჯელა. ამდენად, სასამართლომ მსჯელობა წარმართა იმ დოკუმენტების მიხედვით, რომლებსაც არაფერი ჰქონდა საერთო დავის საგანთან.

კასატორის აზრით, სასამართლომ სრულიად უსაფუძვლოდ გაათავისუფლა მოსარჩელე შპს «ს. რ-სა» და შპს «ფ-ს» შორის დადებული 156/5 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებისაგან, ვინაიდან ზემოაღნიშნული ინსტრუქციის 38-ე თავის მოთხოვნათა შესაბამისად 2005 წლის 12 ოქტომბერს შპს «ი. გ-ი» დადგენილი წესით შეუერთდა 156/5 ხელშეკრულებას.

კასატორისათვის ასევე გაუგებარია სასამართლოს მიერ შპს «ი. გ-ის» გათავისუფლება რკინიგზის სამანევრო ლოკომოტივით მომსახურებისათვის წარმოქმნილი დავალიანების – 2 407.20 ლარის გადახდისაგან, რამდენადაც, მისი აზრით, ამ სამუშაოების გაწევა უდავოდ დასტურდება საქმეში მოსარჩელის წარმომადგენლის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტებით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს «ს. რ-ის» საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 24 ივნისის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორი ვერ აქარწყლებს სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, ვერ ასაბუთებს სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეზე არასწორი განჩინების გამოტანას.

მოცემულ შემთხვევაში საქმეში არსებული მტკიცებულებები – მოსარჩელის მიერ წარდგენილი გადახდის ქვითრები, მოპასუხის მიერ წარდგენილი 2006 წლის იანვარ-თებერვლისა და მარტის სავაგონო უწყისებები, დასახელებული ქვითრებისა და უწყისების ურთიერთშედარება ადასტურებს შპს «ი. გ-ის» სარჩელის მოთხოვნების საფუძვლიანობას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დამტკიცოს გარემოებები, რომლებზეც ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამავე კოდექსის 103-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, მტკიცებულებებს სასამართლოს წარუდგენენ მხარეები. სასამართლოს შეუძლია შესთავაზოს მხარეებს, წარმოადგინონ დამატებითი მტკიცებულებები. აქედან გამომდინარე, შპს «ი. გ-მა» უნდა დაადასტუროს, რომ შპს «ს. რ-ის» მიმართ მოთხოვნილი დავალიანება არა აქვს, ხოლო ამ უკანასკნელმა შესაბამისი მტკიცებულებებით უნდა დაამტკიცოს მითითებული დავალიანების არსებობის ფაქტი.

მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების, კერძოდ, საქმეში განთავსებული დოკუმენტების მოპასუხის მიერ წარდგენილ სავაგონო უწყისებებთან ურთიერთშედარებით დასტურდება, რომ შპს «ი. გ-ს» 2006 წლის იანვარ-თებერვლისა და მარტის სავაგონო უწყისებებში მითითებული მომსახურებისათვის მოპასუხის მიერ მოთხოვნილი თანხები გადახდილი აქვს. შპს «ს. რ-ს» აღნიშნულის საწინააღმდეგო სასამართლოსათვის არ წარუდგენია. იგი ვერ ასახელებს საქმეში არსებულ რომელიმე მტკიცებულებას, რომელიც სადავო დავალიანების არსებობას დაადასტურებს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ მხარეთა მტკიცებების ტვირთის შეფასების საფუძველზე სწორად დაადგინა 2006 წლის იანვარ-თებერვლისა და მარტის სავაგონო უწყისებებში მითითებული მომსახურებისათვის მოპასუხის მიერ მოთხოვნილი თანხების მოპასუხის მიერ მიღება და შესაბამისად, ეს უკანასკნელი სწორად არ ცნო დავალიანების ანაზღაურებაზე ვალდებულ პირად. ამასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ სწორად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ სამოქალაქო კოდექსის 316-ე, 361-ე, 427-ე მუხლებზე მითითება და განმარტება იმის შესახებ, რომ შესაბამი-

სი ვალდებულებით-სამართლებრივი საფუძვლის არარსებობის გამო შპს «ს. რ-ა» არაუფლებამოსილია, მოს-
თხოვოს შპს «ი. გ-ს» სადავო დავალიანების ანაზღაურება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის შესაბამისად, საკა-
საციო სასამართლო არ აკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს და უცვლელად ტოვებს სააპელაციო სასამარ-
თლოს განჩინებას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხ-
ლით და

და ა დ გ ი ნ ა:

შპს «ს. რ-ის» საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 24
ივნისის განჩინება;
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

9. ნივთზე ფასის შემცირების მოთხოვნა ნაკლის გამოსასწორებლად

განჩინება

1ას-920-867-2010

25 ნოემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

თ. თოდრია

დავის საგანი: ვალდებულების შესრულება

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხე შპს „3-ს“
მიმართ ვალდებულების შესრულების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: 2006 წლის 6 თებერვალს საქართვე-
ლოს პრეზიდენტის ნაციონალური პროგრამა „სასოფლო-სამეურნეო მანქანა-დანადგარებით უზრუნველყო-
ფის“ ფარგლებში სასურსათო ხორბლის რეალიზაციიდან ამონაგები თანხებით, სამინისტროს მიერ გამარ-
თულ სასოფლო-სამეურნეო მანქანა-დანადგარების შესყიდვაზე გამოცხადდა ღია ტენდერი მინიმუმ 70 ერ-
თეული ტრაქტორისა და გუთნის შესყიდვის მიზნით. გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „3.ს“, რომელსაც,
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე, დაეკისრა ვალდებულება სულ ცოტა 70 ერ-
თეული ტრაქტორის სამინისტროსათვის მიწოდებაზე.

მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულების თანახმად, მიმწოდებელმა ნაწილობრივ შეასრულა ვალდე-
ბულება, კერძოდ, 2006 წლის 17 მარტის ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში, 2006 წლის 20 აპრილს მხარე-
ებს შორის შედგა მიღება-ჩაბარების აქტი 75 ერთეული ტრაქტორის შემსყიდველისათვის გადაცემის თაობა-
ზე. ამავე დროს ტრაქტორებთან ერთად ასევე გათვალისწინებული იყო 2006 წლის 20 აპრილს იმავე რაოდე-
ნობის გუთნების შემოტანის ვალდებულება, რაც მიმწოდებელმა არ შეასრულა. აღნიშნულ ფაქტს ადასტუ-
რებს მხარეებს შორის 2006 წლის 27 აპრილს შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2006 წლის 17 მარტის 13701-6/49 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
ხელშეკრულების მე-3 პუნქტის თანახმად, მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, მიაწოდოს შემსყიდველს
საქონელი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. ამავე დროს ხელშეკრულების საერთო პირობების 20.1
პუნქტის თანახმად, ფორსმაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების
დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები. შესაბამისად, ხელშეკრულების
სპეციფიკური პირობების 9.1 მუხლის თანახმად, შპს „3-ს“ უნდა დაეკისროს პირგასამტეხლოს 0,5%-ის გა-
დახდა სოფლის მეურნეობის სამინისტროს სასარგებლოდ გათვალისწინებული მისაწოდებელი საქონლის
ღირებულებიდან, სულ – 314 414,62 ლარი.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული 75 ერთეული ტრაქტორისა და გუთნის მიწოდება წარმოადგენდა
მხარეებს შორის შეთანხმებულ ერთიან ვალდებულებას, ვინაიდან შემსყიდველის ინტერესში არ შედიოდა
მხოლოდ ტრაქტორის მიწოდება გუთნის გარეშე.

მოპასუხემ დაარღვია ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების მე-11 პუნქტი, რომელიც ითვალისწინებდა მიმწოდებლის მიერ მისაწოდებელი საქონლის სვლის შემანელებლებით კომპლექტაციას. აღნიშნული უნდა მომხდარიყო სამინისტროს მიერ ამ ხელშეკრულებისათვის გამოყოფილი ასიგნების ფარგლებში, რაც დღემდე შეუსრულებელია. მინსკის სატრაქტორო ქარხნის უკრაინული წარმომადგენლის – „რ-ს« ინტერნეტგვერდზე განთავსებული მონაცემებით, სვლის შემანელებლის ერთეულის ფასი შეადგენს 4900 უკრაინულ გრივნას, რაც, ეროვნული ბანკის კურსის შესაბამისად, 1687 ლარია, ამდენად, მოპასუხემ უნდა აანაზღაუროს 75 ერთეულის ღირებულება – 126525 ლარი.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: სადავო არ არის, რომ მხარეთა შორის დაიდო ორი ხელშეკრულება – 2006 წლის 17 მარტის 1370106/49 და 2006 წლის 4 სექტემბრის 137101/86. პირველი ხელშეკრულების საგნის ღირებულებაა 3733,95 ლარი, მეორის – 34356,30 ლარი. 2007 წლის 12 იანვრის 15-1-9/59 წერილით შპს „3-სათვის« საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხრიდან ცნობილი გახდა, რომ, 2006 წლის 17 მარტის ხელშეკრულების დარღვევის გამო, შპს „3-ს« უნდა გადაეხადა 3733,95 ლარი. წერილის მიღებიდან უმოკლეს ვადაში, 2007 წლის 20 თებერვალს, მოპასუხემ აღნიშნული თანხა გადაიხადა, რაც შესაბამისი ქვითრით დასტურდება.

2006 წლის 4 სექტემბრის ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ სამუშაო დღეზე პირგასამტეხლო სწორად არ იყო დარიცხული. მიღება-ჩაბარების აქტით დასტურდება, რომ შპს „3-მ« ნაკისრი ვალდებულებები დროულად შეასრულა, შესაბამისად, გაუგებარია, თუ რა საფუძველით უნდა დაეკისროს მას პირგასამტეხლო ვადაგადაცილებულ დღეზე 0,5%-ის დარიცხვით. არასწორია თვით პირგასამტეხლოს ოდენობაც. კანონსაწინააღმდეგოა მოსარჩელის მიერ მითითებული სვლის შემანელებლის ღირებულებაც.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 2 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, შპს „3-ს« 2006 წლის 4 სექტემბრის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებიდან გამომდინარე, დაეკისრა 16 935,88 ლარის, ხოლო 2006 წლის 17 მარტის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით – 8625 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა, დანარჩენ ნაწილში კი სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 24 მარტის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად, რაც საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ გაასაჩივრა საკასაციო წესით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 20 ოქტომბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული განჩინება სადავო ნივთის – ტრაქტორის სვლის შემანელებლის ღირებულების ანაზღაურების ნაწილში გაუქმდა და ამ ნაწილში საქმე დაუბრუნდა იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 10 მარტის განჩინებით საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანისას საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტების არასწორი შეფასების თაობაზე, რაც, აპელანტის მოსაზრებით, იმაში მდგომარეობდა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ ყოველგვარი სამართლებრივი დასაბუთების გარეშე მხედველობაში არ მიიღო საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ მიწოდებული ინფორმაცია სვლის შემანელებლის ღირებულებასთან დაკავშირებით, დაუსაბუთებლად უარყო საჯარო სამართლის იურიდიული პირის – «კ. ამირეჯიბის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის ინსტიტუტის» მიერ მოწოდებული ინფორმაცია ტრაქტორებისათვის სვლის შემანელებელი მოწყობილობის ღირებულების თაობაზე, რის გამოც არასწორად იქნა გამოთვლილი მიყენებული ზიანის ოდენობა.

სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მეორე ნაწილით და დადგინდა, რომ 2006 წლის 17 მარტს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და შპს „3-ს« შორის გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 1370101/49 ხელშეკრულების თანახმად, მიმწოდებელმა, შპს „3-მ«, ვალდებულება იკისრა, შემსყიდველისათვის საქონელი მიეწოდებინა ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, ხელშეკრულების მე-11 პუნქტის თანახმად კი მისაწოდებელი საქონელი დაეკომპლექტებინა სვლის შემანელებლებით.

მხარეთა შორის 2006 წლის 20 აპრილს შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტით დასტურდება, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის მიწოდებული ტექნიკა სვლის შემანელებლებით დაკომპლექტებული არ იყო. აღნიშნულიდან გამომდინარე, პირველი ინსტანციის სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია ის გარემოება, რომ შპს „3-ს« მიერ 2006 წლის 17 მარტის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები ჯეროვნად არ შესრულდა.

სასამართლომ მიუთითა, რომ აპელანტი სადავოდ ხდის სვლის შემანელებლის ერთეულის ღირებულებას, რომელიც, შპს „ჰ-ს“ მიერ მიწოდებული ინფორმაციით, 115 აშშ დოლარს შეადგენს, ხოლო აპელანტის ინფორმაციით – მისი ფასი 1687 ლარია. აღნიშნული გარემოებების დადგენის მიზნით შპს „ჰ-ს“ წარმომადგენელმა მიუთითა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2006 წლის 9 მარტის 14-1-8/591 აწერილზე, რომლის მიხედვითაც, სატენდერო კომისიის თავმჯდომარე ატყობინებდა შპს „ჰ-ს“ დირექტორს, რომ მიზნობრივი პროგრამის – „სასოფლო-სამეურნეო მანქანა-დანადგარებით უზრუნველყოფის“ პროგრამის ფარგლებში სამინისტროს მიერ ტრაქტორების შესყიდვის მიზნით მიმდინარე ტენდერში წარმოდგენილი შპს „ჰ-ს“ სატენდერო წინადადების განხილვისას სატენდერო წინადადების საერთო ფასსა და ფასების ცხრილის ფორმაში მოცემულ ფასებს შორის დაფიქსირდა გარკვეული სახის შეუსაბამობა, კერძოდ, სატენდერო წინადადების ფასი შეადგენს 2 700 000 ლარს, ხოლო ფასების ცხრილის მიხედვით, შემოთავაზებული საქონლის საერთო ფასია 2598562,5 ლარი.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე სატენდერო კომისიის თავმჯდომარე ითხოვდა საკითხის დაზუსტებას, რით იყო გამოწვეული ზემოაღნიშნული შეუსაბამობა, რათა კომისიას მისცემოდა ობიექტური გადაწყვეტილების მიღების საშუალება.

სასამართლოს მითითებით, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2006 წლის 9 მარტის 14-1-8/591 აწერილის პასუხად შპს „ჰ-ს“ დირექტორ ი.გ-მის წერილით 2006 წლის 10 მარტს ეცნობა, რომ სატენდერო წინადადებასა და ფასების ცხრილს შორის შეუსაბამობა არ არის. აღნიშნული სხვაობა წარმოადგენს შპს „ჰ-ს“ მოგებას, რომელიც შესდგება ასევე სხვადასხვა ხარჯებისაგან (საბანკო პროცენტი, სამივლინებო ხარჯები და სხვა).

სააპელაციო პალატამ ასევე დადგენილად მიიჩნია შემდეგი გარემოებანი: 2006 წლის 17 მარტს მხარეებს შორის დაიდო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, რომლის 2, ბ) პუნქტში ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად მითითებულია მიწოდებლის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და ფასების ცხრილი, რომლის თანახმადაც 82175 ცალი ტრაქტორი „ბელორუსის“ საერთო ღირებულება განსაზღვრულია 241 1865 ლარით, ხოლო 75 ცალი გუთნის სამკაპიანი საკიდის ფასია 186697,5 ლარი.

2006 წლის 6 მარტის სატენდერო წინადადების თანახმად (რომელიც წინ უსწრებდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას), მიმწოდებელი — შპს „ჰ“ თანახმა იყო, განეხორციელებინა 75 ერთეული ტრაქტორ „ბელორუს 82.1-ისა“ და ჩვეულებრივი საკიდი (სამკორპუსიანი) გუთნის მიწოდება 2700000 ლარად. სატენდერო წინადადებას ერთვოდა ფასების ცხრილი.

ტრაქტორ „ბელორუს 82.1-ის“ სპეციფიკაციის თანახმად, ტრაქტორი სვლის შემანელებლით აღჭურვილი არ ყოფილა. შპს „ჰ-ს“ ზემოაღნიშნული წერილისა და ფასების ცხრილის მიხედვით კი სატენდერო წინადადებად რჩებოდა 2700000 ლარი, სადაც სვლის შემანელებელი არ შედიოდა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის მისაღები იყო შპს „ჰ-ს“ სატენდერო წინადადება. მათ შორის გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომელშიც სატენდერო პირობებისაგან და ფასების ცხრილისაგან განსხვავებული პირობები მიეთითა სვლის შემანელებლის მიწოდების სახით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 და 102-ე მუხლების შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ზემოაღნიშნული გარემოებების საწინააღმდეგო მტკიცებულებები საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს არ წარმოუდგენია და ვერ დაასაბუთა, რომ, სატენდერო პირობების შესაბამისად, პალატის მოსაზრებით, ტრაქტორის სვლის შემანელებლის შესყიდვის თანხა შპს „ჰ-სათვის“ წინასწარ გადახდილი ჰქონდა. შესაბამისად, საფუძველს მოკლებულია აპელანტის მოსაზრება სასამართლოს მიერ სვლის შემანელებლის საბაზრო ღირებულების განსაზღვრისა და ერთი ერთეული სვლის შემანელებლის 1687 ლარის ოდენობით განსაზღვრის შესახებ.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ აპელანტს (მყიდველს) ნასყიდობის საგნის მიღებაზე უარი არ განუცხადებია და 2008 წლის 20 აპრილს მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი ადასტურებს 75 ერთეული ტრაქტორის მიწოდების ფაქტს, თუმცა შენიშვნის სახით მითითებულია, რომ ტრაქტორის შემოწმებისას არც ერთი მათგანი არ იყო დაკომპლექტებული სვლის შემანელებელი დეტალით, რისი უზრუნველყოფაც მიმწოდებელს ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების მე-11 მუხლით ეკისრებოდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე პალატამ მიიჩნია, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სვლის შემანელებლის ნასყიდობის ფასი წინასწარ არ გადაუხდია.

სასამართლომ არ იმსჯელა შპს „ჰ-სათვის“ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სასარგებლოდ 8625 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის დაკისრების შესახებ, ვინაიდან ამ ნაწილში პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება შპს „ჰ-ს“ არ გაუსაჩივრებია.

სამოქალაქო კოდექსის 492-ე მუხლის საფუძველზე პალატამ ჩათვალა, რომ სატენდერო პირობებითა და ფასების ცხრილით ტრაქტორის სვლის შემანელებლის მიწოდება და 75 ერთეულის საერთო ღირებულება არ განსაზღვრულა, შესაბამისად, საფუძველს მოკლებულია ფასის იმ ოდენობით შემცირებაზე მსჯელობა, რაც საჭიროა კონკრეტული ნაკლის გამოსასწორებლად.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი

საფუძვლებით: სააპელაციო პალატამ უხეშად დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის მეორე პუნქტი და უგულვებლყო საკასაციო სასამართლოს მითითებანი.

სააპელაციო პალატას ნივთის ნაკლი უნდა შეეფასებინა მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულების ფარგლებში, რომლითაც ტრაქტორის ფასი განისაზღვრა სვლის შემანელებელთან ერთად.

აღნიშნული გარემოებების დადგენის მიზნით, სასამართლომ შპს „3-საგან“ მიიღო დამატებითი ინფორმაცია, კერძოდ, მხარეებს შორის წარმოებული კორესპოდენცია ფასების ცხრილსა და სატენდერო წინადადებას შორის არსებული შეუსაბამობის თაობაზე, თუმცა დაადგინა, რომ შეუსაბამობა არ არსებობს. ამავდროულად, სასამართლომ დაადგინა, რომ ხელშეკრულების შესრულების მომენტში ტრაქტორ „ბელარუს 82.1“ ტრაქტორი სვლის შემანელებლით არ აღჭურვილა და აღნიშნულზე დაყრდნობით არასწორად მიიჩნია, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და შპს „3-ს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობაზე სვლის შემანელებლით აღჭურვასთან დაკავშირებით ნასყიდობის ფასი წინასწარ გადახდილი არ ყოფილა.

ზემოხსენებული მსჯელობით სააპელაციო პალატამ სამართლებრივი დასაბუთების გარეშე უარყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება, სადაც ცალსახადაა მითითებული, რომ გამყიდველს ნასყიდობის საგნის ფასი, როგორც ეს მოცემულ შემთხვევაშია, წინასწარ აქვს გადახდილი.

სააპელაციო პალატამ ასევე არ შეასრულა საქართველოს უზენაესი სასამართლოს პირდაპირი მითითება და, სამოქალაქო კოდექსის 337-ე და 412-ე მუხლების შესაბამისად, სათანადოდ არ გამოიკვლია, თუ რა თანხა იქნა გადახდილი ხელშეკრულებით ტრაქტორის შესასყიდად, რა ღირებულების იყო ტრაქტორი სვლის შემანელებლის გარეშე და რა ოდენობით მეტი თანხა გადაიხადა მყიდველმა ნასყიდობის საგნის სადავო დეტალით – სვლის შემანელებლით შესყიდვისათვის.

მითითებული გარემოება მნიშვნელოვანია მით უფრო, რომ არც ერთი ინსტანციის სასამართლოს არ უარუყვია შპს „3-ს“ მიერ 2006 წლის 17 მარტის ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების მე-11 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის ფაქტი. მეტიც, აღნიშნული ფაქტი აღიარებულია თავად მოპასუხე მხარის მიერაც.

ამდენად, სააპელაციო სასამართლოს განჩინება უკანონოა, რამაც არსებითად იმოქმედა საქმის შედეგზე. პალატამ არასწორი შეფასება მისცა საქმის გარემოებებს, არ იმსჯელა და სათანადოდ არ შეაფასა კონკრეტული დავის არსი და შესაბამისი სამართლებრივი დასაბუთებისა და ყოველგვარი მოტივაციის გარეშე მიიჩნია, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სვლის შემანელებლის ნასყიდობის ფასი წინასწარ არ გადაუხდია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საკასაციო საჩივრის საფუძვლები, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთება და მიაჩნია, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება გაუქმდეს და საქმე უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის 1-ელი ნაწილის «ა» ქვეპუნქტი განსაზღვრავს საკასაციო სასამართლოს მიერ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების პირობას – საქმისათვის მნიშვნელოვანი ისეთი ფაქტობრივი გარემოებების დაუდგენლობას, არასრულად დადგენასა და მტკიცებულებების დამატებით გამოკვლევის აუცილებლობას, რამაც საქმეზე არასწორი გადაწყვეტილების მიღება გამოიწვია. ამავე მუხლის მეორე ნაწილი კი ადგენს, რომ სააპელაციო პალატის გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლად მითითებული საკასაციო სასამართლოს დასაბუთება სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოსათვის.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლომ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საკასაციო საჩივარი წარმოდგენილ დავაზე ერთხელ უკვე განიხილა, რა დროსაც დაუბრუნა საქმე სააპელაციო პალატას კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების დასადგენად.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ გასაჩივრებული განჩინებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს მითითებები სათანადოდ შესრულებული არ არის, კერძოდ:

განსახილველ საქმეზე დადგენილია, რომ 2006 წლის 17 მარტს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და შპს „3-ს“ შორის დაიდო 1370101/49 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, რომლითაც შპს „3-მა“ ვალდებულება იკისრა, შემსყიდველისათვის მიეწოდებინა სვლის შემანელებლებით დაკომპლექტებული ტრაქტორები.

მხარეთა შორის 2006 წლის 20 აპრილს შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტით დასტურდება, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის მიწოდებული ტრაქტორები სვლის შემანელებლებით დაკომპლექტებული არ იყო.

საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ უნდა დაედგინა მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულების შესაბამისად რა თანხა იქნა გადახდილი ტრაქტორის შესასყიდად, რა ღირებულებისა იყო

ტრაქტორი სვლის შემანელებლის გარეშე და რამდენით მეტი თანხა გადაიხადა მყიდველმა ნასყიდობის საგნის სვლის შემანელებლით შესყიდვისათვის.

სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული განჩინებით 2006 წლის 17 მარტის ხელშეკრულების 2 «ბ» პუნქტით ამავე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად მიჩნეული სატენდერო წინადადებისა და ფასების ცხრილის საფუძველზე დაადგინა, რომ 75 ცალი «ტრაქტორ ბელორუსი 82.1-ის» საერთო ღირებულებაა 2 411 865 ლარი, ხოლო 75 ცალი გუთნის სამკაპიანი საკიდიო – 186 697,5 ლარი, თუმცა ტრაქტორის სვლის შემანელებლის ღირებულება არ დაუდგენია.

საკასაციო სასამართლო დასაბუთებულად მიიჩნევს საკასაციო პრეტენზიას სააპელაციო პალატის მიერ დადგენილი იმ ფაქტობრივი გარემოების მიმართ, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხელშეკრულებით გათვლისწინებული სვლის შემანელებლის ღირებულება წინასწარ არ გადაუხდია.

აღნიშნული დასკვნა არ ეფუძნება საქმეში არსებული მტკიცებულებების (მხარეთა შორის 2006 წლის 17 მარტს გაფორმებული ხელშეკრულებისა და მიღება-ჩაბარების აქტების) სრულ და ყოველმხრივ შეფასებას. მითითებული ხელშეკრულების შინაარსით ნათლად ირკვევა მიმწოდებელ შპს «ჰ-ს» ვალდებულება, მისაწოდებელი საქონელი დაკომპლექტებულიყო სვლის შემანელებლით (ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების მე-11 პუნქტი). სწორედ აღნიშნული განაპირობებს იმ გარემოებას, რომ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილში – შეფასების ცხრილში სვლის შემანელებლის ღირებულება ცალკე მოცემული არ არის, არამედ მითითებულია ტრაქტორის ღირებულებასთან ერთად. აქვე აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებული ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების 6.2 პუნქტით მხარეები შეთანხმდნენ წინასწარი ანგარიშსწორების წესზე.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შპს «ჰ-მა» დაარღვია სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მეორე ნაწილის დანაწესი მხარეთა შორის 2006 წლის 17 მარტს დადებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შესრულების თაობაზე, ვინაიდან საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს გადასცა ამავე კოდექსის 487-ე-488-ე მუხლით განსაზღვრული ნაკლის მქონე ნივთი.

გაციდული ნივთის ნაკლის არსებობის შემთხვევაში სამოქალაქო სამართალი მხარეებს აძლევს შესაძლებლობას, სახელშეკრულებო პირობათა მოდიფიცირების გზით (სამოქალაქო კოდექსის 490-ე, 492-ე მუხლები) რეალური მდგომარეობა შეუსაბამონ სამართლებრივ ურთიერთობას და შეინარჩუნონ ხელშეკრულება.

მოცემულ შემთხვევაში მყიდველს – კასატორს ნივთის ნივთობრივი ნაკლის გამო ნასყიდობის საგნის მიღებაზე უარი არ განუცხადებია და, შესაბამისად, ხელშეკრულების მოშლა არ მოუთხოვია.

სამოქალაქო კოდექსის 492-ე მუხლის თანახმად, თუ მყიდველი არ ითხოვს ნივთის ნაკლის გამოსწორებას ან ახლით მის შეცვლას, გამყიდველისათვის საამისოდ მიცემული ვადის გასვლის შემდეგ და არც ხელშეკრულების მოშლას, მას შეუძლია მოითხოვოს ფასის შემცირება იმ ოდენობით, რაც საჭიროა ნაკლის გამოსასწორებლად. მხედველობაში მიიღება ხელშეკრულების დადების მომენტისათვის არსებული ფასი.

მითითებული ნორმის შესაბამისად, ნივთობრივი ნაკლის არსებობის შემთხვევაში კრედიტორს უფლება აქვს, მოითხოვოს ნასყიდობის საგნის ფასის შემცირება, ხოლო წინასწარ გადახდის შემთხვევაში – უსაფუძვლოდ გადახდილი თანხის დაბრუნება, ვინაიდან, სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის «ა» ქვეპუნქტის შესაბამისად, ვალდებულება ამ ნაწილში შეწყვეტილია და მხარეებმა განმარტეს, რომ სადავო სვლის შემანელებლების წარმოება აღარ ხდება. ამდენად, კოდექსის 494-ე მუხლის 1-ელი ნაწილით, ნივთის ნაკლით ან ხელშეკრულებით განსაზღვრული სხვა პირობების დარღვევით მიყენებული ზიანი ანაზღაურდება ზოგადი წესების მიხედვით.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული დავის სწორად გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ, რაც სააპელაციო პალატა დაადგენს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ტრაქტორების შესაძენად გადახდილი თანხიდან რა ოდენობა შეადგენს სვლის შემანელებლის ღირებულებას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 10 მარტის განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

განჩინება

1ას-1234-1493-09

10 ივნისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე),
თ. თოდრია (მომხსენებელი),
მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: ხელშეკრულების ბათილად აღიარება

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 7 აგვისტოს შპს „ე-ის“ წარმომადგენელმა ლ. ქ-ემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოპასუხე შპს „ე-ის“ წინააღმდეგ.

მოსარჩელემ მოითხოვა სს „ე-სა“ და შპს „ე-ს“ შორის 2002 წლის 8 აგვისტოს დადებული 159 ხელშეკრულებისა და 2002 წლის 30 აგვისტოს დადებული დამატებითი შეთანხმების ბათილად ცნობა.

მოსარჩელემ განმარტა, რომ 2002 წლის 8 აგვისტოს სს „ე-სა“ და შპს „ე-ს“ შორის დაიდო იჯარის ხელშეკრულება 159, რომლის თანახმად, მოპასუხეს უნდა გადასცემოდა ქ.თბილისში, ... ქ.12-ში პირველ სართულზე მდებარე არასაცხოვრებელი 53,1 კვ.მ. 2002 წლის 30 აგვისტოს მხარეთა შორის დაიდო დამატებითი შეთანხმება იჯარის ხელშეკრულებაში ცვლილება-დამატების შეტანის შესახებ, რომლის მიხედვით, იჯარით აღებული ტერიტორია მოპასუხეს გადაეცემოდა მხოლოდ მისი ფაქტობრივად გამონთავისუფლების შემდეგ.

ზემოაღნიშნული ხელშეკრულება და შეთანხმება ბათილია, ვინაიდან მათი დადებისას დარღვეულია საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 1999 წლის 31 მარტის 11-3\150 და 2000 წლის 27 მარტის 11-2\198 ბრძანებებით დამტკიცებული დებულებების წესები.

მოსარჩელის განმარტებით, საცილო გარიგებაში ზუსტად არ არის განსაზღვრული საიჯარო ქირის ოდენობა და ვინაიდან იჯარით გაცემული ფართი მოპასუხეს ფაქტობრივად უნდა გადასცემოდა სს „ე-სა“ მისი გამოთხოვის შემდეგ, საიჯარო ხელშეკრულება ძალაში არ შესულა და რაიმე სამართლებრივი შედეგი არ მოჰყოლია.

2002 წლის 8 აგვისტოს დადებული 159 ხელშეკრულება მართლსაწინააღმდეგო გარიგებაა სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის თანახმად. 2002 წლის 22 ივნისის გაზეთ „თბილისში“ გამოქვეყნდა განცხადება ქ.თბილისში, ... ქ.12-ში მდებარე შენობის პირველ სართულზე არსებული არასაცხოვრებელი ფართის იჯარით გაცემის შესახებ. კონკურსში მონაწილეთა განცხადებები მიიღებოდა 2002 წლის 1 ივლისიდან 30 ივლისის ჩათვლით.

შპს „ე-მა“ განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ სს „ე-ის“ ადმინისტრაციას წარუდგინა მხოლოდ 2002 წლის 31 ივლისს და იგი არ განუხილავთ. ამავდროულად შპს „ე-ის“ განაცხადი არ შეიცავს ფართის იჯარით ასაღებად აუცილებელ პირობებს, რადგან მასში არ არის მითითებული ქირის ოდენობა და მისი გადახდის პერიოდულობა. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად პრეტენდენტს ზეს სახით უნდა გადაეხადა 250 ლარი, მოპასუხეს კი ეს პირობაც არ შეუსრულებია.

ხელშეკრულების დადების მომენტისათვის მოქმედებდა საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 2000 წლის 27 მარტის 11-2\198 ბრძანება, რომლითაც დამტკიცებულ იქნა სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების ძირითადი საშუალებების განკარგვის წესი. აღნიშნული ბრძანებით დამტკიცებული დებულების მეოთხე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საწარმოს ძირითადი საშუალებების იჯარით გაცემა ხორციელდება კონკურსის ან აუქციონის გზით სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე. მოსარჩელის განმარტებით, არასაცხოვრებელი ფართის იჯარით გაცემის შესახებ არ არსებობდა „ე-ის“ სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობა.

საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 2000 წლის 27 მარტის 11-2\198 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-9 მუხლის 1-ელი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გადაწყვეტილებას კონკურსის ორგანიზების თაობაზე იღებს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო. მოსარჩელის მტკიცებით, სს „ე-ის“ მიერ ფართის იჯარით გაცემის მომენტისთვის ქონების მართვის სამინისტროს გადაწყვეტილება ობიექტის იჯარით გაცემისა და კონკურსის ჩატარების შესახებ არ არსებობდა.

მოსარჩელის განმარტებით, მთელი რიგი დარღვევების შედეგად საქართველოს ქონების მართვის სამინისტროს 1999 წლის 31 მარტის 11-3\150 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, სს „ე-ის“ მიერ ფორმალურად ორგანიზებული კონკურსიც არშემდგარად უნდა ჩაითვალოს.

შპს „ე-მა“ კონკურსში არასაცხოვრებელი ფართის იჯარით გაცემის თაობაზე მონაწილეობის განცხადება შეიტანა 2002 წლის 31 ივლისს, რაც დგინდება აღნიშნული განცხადებიდან, კერძოდ კი, მასზე მიწერილი თარიღიდან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 13 იანვრის გადაწყვეტილებით შპს «ს. ე-ის» სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა შპს «ს. ე-ამ».

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილებით შპს «ს. ე-ის» სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ შპს „ე-მა“ კონკურსში არასაცხოვრებელი ფართის იჯარით გაცემის თაობაზე მონაწილეობის განცხადება (რეგისტრაციის 11938) შეიტანა 2002 წლის 31 ივლისს. 2002 წლის 8 აგვისტოს სს „ე-სა“ და შპს „ე-ს“ შორის დაიდო 159 იჯარის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, მოპასუხეს იჯარით უნდა გადასცემოდა ქ.თბილისში, ... ქ.12-ში მდებარე შენობის პირველ სართულზე არსებული არასაცხოვრებელი 53.1 კვ.მ. 2002 წლის 30 აგვისტოს მოიჯარე შპს „ე-სა“ და სს „ე-ს“ შორის დაიდო დამატებითი შეთანხმება, რომლის მიხედვით გადაწყდა საიჯარო ქირის განსაზღვრის წესი, ასევე დადგინდა, რომ მხარეთა შორის 2002 წლის 8 აგვისტოს დადებული 159 ხელშეკრულება ამოქმედდებოდა ქ. თბილისში, ... ქ.12-ში მდებარე არასაცხოვრებელი ფართის ფაქტობრივად გამონთავისუფლების შემდეგ.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 6 აგვისტოს გადაწყვეტილებით შპს „ე-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდა – მოპასუხე შპს „ს. ე-ას“ დაევალა, შეესრულებინა 2002 წლის 8 აგვისტოს დადებული 159 ხელშეკრულება და შპს „ე-სთვის“ გადაეცა იჯარით აღებული ტერიტორია. აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ შპს „ე-ს“ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად არ გადაუხდია ბეს სახით დადგენილი თანხა 250 ლარი. პალატამ მიიჩნია, რომ ქ.თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 6 აგვისტოს გადაწყვეტილებით, ვინაიდან აღნიშნულ გადაწყვეტილებაში სასამართლოს არ უმსჯელია ბეს გადახდის საკითხზე და ეს ფაქტი მხოლოდ მოხსენებულია გადაწყვეტილების აღწერილობით ნაწილში, როგორც ერთ-ერთი მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიცია, მაგრამ აღნიშნული გარემოება არ არის დადასტურებული (დადგენილი) სასამართლოს მიერ, შესაბამისად, იგი ვერ განიხილება, როგორც პრეიუდიციული ძალის მქონე ფაქტი.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 1999 წლის 31 მარტის 11-3\150 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ქონების კონკურსის ფორმით პრივატიზების შესახებ“ დებულება არ შეიძლება გავრცელდეს მოცემულ დავაზე, ვინაიდან მხარეთა შორის სადავო ხელშეკრულების გაფორმების დროს მოქმედებდა საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 2000 წლის 27 მარტის ბრძანება 11-3\198 „სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების ბალანსზე რიცხული ამორტიზებული ან გამოუყენებელი ძირითადი საშუალებების განკარგვისა და გადაცემის წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“. აღნიშნული დებულების მე-4 მუხლის 1-ელი პუნქტის თანახმად, ძირითადი საშუალებების იჯარით გადაცემა ხორციელდება კონკურსის ან აუქციონის წესით სამეთვალყურეო საბჭოს (პარტნიორთა კრების) გადაწყვეტილების საფუძველზე, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსთან ან მის ტერიტორიულ ორგანოსთან შეთანხმებით. ამავე დებულების მე-7 მუხლის თანახმად, ძირითადი საშუალებების დროებით სარგებლობაში გადაცემის დროს კონკურსის ორგანიზებას ახორციელებს საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო ან მისი ტერიტორიული ორგანო. კონკურსის ორგანიზებისას გამოიყენება სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 1999 წლის 31 მარტის 11-3\150 ბრძანებით დამტკიცებული დებულება კონკურსის შესახებ. მოცემულ შემთხვევაში დავა წარმოებს სწორედ იმ ხელშეკრულების ნამდვილობის თაობაზე, რომლის საგანს წარმოადგენს ქ.თბილისში, ... ქუჩა 12-ში არსებული არასაცხოვრებელი ფართის იჯარით დროებით სარგებლობაში გადაცემა. ამგვარი გადაცემის წესს შეიცავს ორივე ზემოდასახელებული დებულება, რომელიც მოქმედებდა სადავო ხელშეკრულების დადების დროს, შესაბამისად, სავალდებულოა მათი გამოყენება აღნიშნული სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე დავის მოსაწესრიგებლად.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ, საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 1999 წლის 31 მარტის 11-3\150 ბრძანებით დამტკიცებული დებულების „სახელმწიფო ქონების კონკურსის ფორმით პრივატიზების შესახებ“ მე-3 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების თანახმად, „კონკურსში მონაწილეობის განცხადების მიღება მთავრდება დადგენილ დღესა და საათს. დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ შემოსული განაცხადი არ მიიღება. განაცხადის შემოსვლის თარიღი განისაზღვრება რეგისტრაციის თარიღით. კონკურსში მონაწილეობაზე განცხადების მიღება მიმდინარეობს კონკურსის ჩატარების თარიღამდე ბოლო 30 კალენდარული დღის განმავლობაში“. დებულების მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, „კონკურსი ითვლება არ შემდგარად, თუ განცხადების გამოქვეყნებიდან დადგენილ ვადაში არ იქნა შეტანილი არც განცხადების გამოქვეყნებიდან დადგენილ ვადაში არ იქნა შეტანილი არც ერთი განაცხადი“. დადგენილი ფაქტობრივი გარემოების მიხედვით შპს „ე-ის“ მიერ კონკურსში მონაწილეობის შესახებ განაცხადი შეტანილი იყო 2002 წლის 31 ივლისს, ანუ იმ დროისთვის როდესაც განცხადების შეტანის ვადა იყო გასული, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლო იზიარებს აპელანტის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ზემოდასახელებული დებულების თანახმად, დაუშვებელი იყო ამ განცხადების მიღება და განხილვაც კი, არა თუ მისი დაკმაყოფილება.

სააპელაციო პალატამ განმარტა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე და 59-ე მუხლები.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 1999 წლის 31 მარტის 11-3\150 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, კონკურსში გამარჯვებული მონაწილე ვალდებული იყო, გამყიდველთან გაეფორმებინა სანოტარო წესით დამოწმებული ხელშეკრულება, აგრეთვე, ქონების მიღება-ჩაბარების აქტი, რომელიც წარმოადგენდა ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. მოცემულ შემთხვევაში სს „ე-სა“ და შპს „ე-ს“ შორის 2002 წლის 8 აგვისტოს ხელშეკრულების დადებისას დარღვეულ იქნა დასახელებული დებულებით გათვალისწინებული ხელშეკრულების დადების ფორმაც, ვინაიდან ხელშეკრულება არ იყო დამოწმებული სანოტარო წესით და ამასთან ერთად შპს „ე-სა“ და სს „ე-ს“ შორის იჯარის ხელშეკრულებასთან ერთად არ იყო გაფორმებული ქონების მიღება-ჩაბარების აქტი. აღნიშნული მუხლის თანახმად, სადავო ხელშეკრულების ბათილობის კიდევ ერთ საფუძველს წარმოადგენდა კანონით გათვალისწინებული ნებართვის არარსებობა, ვინაიდან საქმის მასალებით ვერ დგინდებოდა, რომ სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მიერ გაცემულ იქნა თანხმობა ფართის კონკურსის წესით იჯარით გაცემის თაობაზე.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა შპს „ე-მა“. მან მიუთითა, რომ სინამდვილეს არ შეესაბამება სასამართლოს მოსაზრება, იმის თაობაზე, რომ შპს „ე-მა“ კონკურსში არასაცხოვრებელი ფართის იჯარით გაცემის თაობაზე 2002 წლის 31 ივლისს მიმართა სს „ე-ის“ ადმინისტრაციას, ვინაიდან განცხადება სს „ე-ის“ ადმინისტრაციაში 2002 წლის 30 ივლისს არის შეტანილი. განცხადებაში ნათლად იყო მითითებული, რომ სს „ე-ი“ ითხოვდა კონკურსში მინაწილეობის მიღებას.

კასატორი მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ ჯერ კიდევ 2002 წლის 11 ივნისს 103/02-1164 წერილით სს „ე-ა“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს მიმართავს, რომ კრედიტორული დავალიანების ორგანიზაცია შპს „ე-ი“ მიმართავს, რომ იჯარით გადაეცეს ქ.თბილისში, ... ქ. 12-ში მდებარე ფართი. 2002 წლის 28 მაისს 11/15 წერილით სს „ე-მა“ მიმართა სს „ე-ს“, რადგან ელექტროგადაცემას ჰქონდა „ე-ის“ კრედიტორული დავალიანება – 19 000 ლარი. აღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლოს მტკიცება იმის შესახებ, რომ შპს „ე-ს“ ოფიციალურად გამოცხადებული კონკურსის დროს არ მიუმართავს სს „ე-სათვის“ არ შეესაბამება სინამდვილეს.

კასატორის მოსაზრებით, არასწორია სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ 2002 წლის 31 ივლისს სს „ე-ში“ არ ჩატარებულა კონკურსი 294 კვ. მ და 53.1 კვ. მ ფართობის იჯარით გადაცემის თაობაზე. სასამართლომ სრულიად სხვაგვარი ინტერპრეტაცია მისცა საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის მოადგილის 2002 წლის 28 დეკემბრის 167-3571/6-2 წერილს და შეგნებულად არ გაამახვილა ყურადღება მითითებული წერილის შინაარსზე და მასზე დართულ დოკუმენტაციაზე, რომელშიც მითითებულია, რომ 17.06.02 წლის 103/02-1200 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ სამინისტრომ განიხილა საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს 2002 წლის 12 ივნისის სხდომის 19 ოქმი და არ არის წინააღმდეგი სს „ე-ის“ ადმინისტრაციული შენობის მე-2 სართულზე განთავსებული ანტრესოლური სართულის 294 კვ. მ გაიცეს იჯარით 10 წლის ვადით აუქციონის ან კონკურსის წესით მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.

კასატორის მოსაზრებით, არასწორია სააპელაციო სასამართლოს მითითება იმის თაობაზე, რომ თითქოსდა შპს „ე-ს“ არ ქონოდა გადახდილი „ბეს“ სახით კონკურსში მონაწილეობის მისაღებად 250 ლარი, რადგან ასეთ შემთხვევაში შპს „ე-ს“ არ მიეცემოდა კონკურსში მონაწილეობის და შემდგომ არ დაიდებოდა ხელშეკრულება.

კასატორი მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 54 მუხლი, რადგან იჯარის ხელშეკრულების დადებისას შპს „ე-ი“ მოქმედებდა კანონის შესაბამისად. სააპელაციო სასამართლომ ვერ დაასაბუთა სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის დარღვევა, რადგან 2002 წლის 8 აგვისტოს ხელშეკრულების დადებისას შპს „ე-ს“ არ დაურღვევია სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 2000 წლის 27 მარტის 11-3/198-ე ბრძანებით დამტკიცებული დებულების მოთხოვნები.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ სათანადოდ არ შეაფასა საქართველოს ქონების მართვის სამინისტროს 2002 წლის 26 დეკემბრის 167-3571/6-2 წერილი, არ გამოიკვლია მისი შინაარსი საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში და შემოიფარგლა მხოლოდ იმაზე მითითებით, რომ წერილი შედგენილია კონკურსის შემდეგ.

კასატორის მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლომ არ შეაფასა საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსადმი სს „ე-ის“ 05.08.02 11798 წერილსა და ამ წერილზე საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 05.08.2002 პასუხი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, გაეცნო საკასაციო საჩივარს და მიიჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე პალატას შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ დადგინდა, რომ შპს «ე-მა» კონკურსში არასაცხოვრებელი ფართის იჯარით გაცემის თაობაზე მონაწილეობის განცხადება შეიტანა 2002 წლის 31 ივლისს, რაც დგინდება აღნიშნული განცხადებაზე გაკეთებული თარიღიდან.

2002 წლის 8 აგვისტოს სს «ს. ე-სა» და შპს «ე-ს» შორის დაიდო '59 იჯარის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც მოპასუხეს იჯარით უნდა გადასცემოდა ქ. თბილისში, ... ქ. 12-ში მდებარე შენობის პირველ სართულზე არსებული არასაცხოვრებელი 53,1 კვ.მ.

სააპელაციო სასამართლოს მიერ ასევე დადგინდა, რომ 2002 წლის 30 აგვისტოს მოიჯარე შპს «ე-სა» და სს «ს. ე-ს» შორის დაიდო დამატებითი შეთანხმება, რომლის მიხედვით გადაწყდა საიჯარო ქირის განსაზღვრის წესი, ასევე დადგინდა, რომ მხარეთა შორის 2002 წლის 8 აგვისტოს დადებული '59 იჯარის ხელშეკრულება ამოქმედდება თბილისში, ... ქ. 12-ში მდებარე არასაცხოვრებელ ფართის ფაქტობრივად გამონთავისუფლების შემდეგ.

ასევე სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგინდა, რომ თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 6 აგვისტოს გადაწყვეტილებით, შპს «ე-ს» სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხე სს «ს. ე-ს» დაევალა, შეესრულებინა 2002 წლის 8 აგვისტოს დადებული '59 იჯარის ხელშეკრულება და შპს «ე-სათვის» გადაეცა იჯარით აღებული ტერიტორია. აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ მართებულად მიიჩნია, რომ სადავო ურთიერთობაზე ვრცელდება საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 2000 წლის 27 მარტის ბრძანება 11-3/198 «სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების ბალანსზე რიცხული ამორტიზებული ან გამოუყენებელი ძირითადი საშუალებების განკარგვისა და გადაცემის წესის შესახებ» დებულება და სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 1999 წლის 31 მარტის 11-3/150 ბრძანებით დამტკიცებული «სახელმწიფო ქონების კონკურსის ფორმით პრივატიზების შესახებ» დებულება, კერძოდ, 2000 წლის 27 მარტის 11-3/198 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-7 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ძირითადი საშუალებების რეალიზაციის ან დროებით სარგებლობაში გადაცემის დროს კონკურსის (აუქციონის) ორგანიზაციას ახორციელებს საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო ან მისი ტერიტორიული ორგანო. კონკურსისა და აუქციონის ორგანიზებისას გამოიყენება სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 1999 წლის 31 მარტის 11-3/150 და 11-3/51 ბრძანებით დამტკიცებული დებულება კონკურსისა და აუქციონის შესახებ. ამასთან ერთად საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა აღნიშნული დებულებებით მოცემული ნორმები, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ სარჩელის დაკმაყოფილების ერთ-ერთ საფუძვლად მიუთითა ის გარემოება, რომ კონკურსში მონაწილეობის განცხადება შეტანილი იყო 2002 წლის 31 ივლისს, ე.ი იმ დროისათვის, როდესაც განცხადების შეტანის ვადა იყო გასული (2002 წლის 30 ივლისს). ასევე, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ შპს «ე-ს» კონკურსში მონაწილეობის მისაღებად არ გადაუხდია ბეს სახით დადგენილი თანხა – 250 ლარი, რითაც დარღვეულ იქნა საკონკურსო პირობები, კერძოდ, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 1999 წლის 31 მარტის 11-3/150 ბრძანებით დამტკიცებული «სახელმწიფო ქონების კონკურსის ფორმით პრივატიზების შესახებ» დებულების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის «გ» ქვეპუნქტის თანახმად, განმცხადებელს უნდა წარედგინა «ბეს» შეტანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი. ამავე დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, კონკურსში მონაწილეობაზე განცხადების მიღება მთავრდება დადგენილ დღეს და საათს. დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ შემოსული განაცხადი არ მიიღება. განაცხადის შემოსვლის თარიღი განისაზღვრება რეგისტრაციის თარიღით, ხოლო, მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, კონკურსში მონაწილეობაზე განაცხადების მიღება მიმდინარეობს კონკურსის ჩატარების თარიღამდე ბოლო 30 კალენდარული დღის განმავლობაში. ამ შემთხვევაში, როდესაც 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განაცხადების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე დღეს, იმავე საათზე.

ამავე დებულების მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის «ა» ქვეპუნქტის თანახმად, კონკურსი ითვლება არ შემდგარად, თუ განცხადების გამოქვეყნებიდან დადგენილ ვადაში არ იქნა შეტანილი არც ერთი განაცხადი.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ზემოაღნიშნული ნორმები განსაზღვრავენ კონკურსში მონაწილეობის პირობებს. ამასთან ერთად გასათვალისწინებელია, რომ განსახილველი ნორმებით დადგენილია კონკურსში მონაწილეობისათვის განცხადების წარდგენასთან დაკავშირებული განმცხადებლის ვალდებულებები, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამავე დებულების მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის «ბ» ქვეპუნქტით განსაზღვრულია საკონკურსო კომისიის უფლება, რომლის თანახმად განმცხადებელს შეიძლება უარი ეთქვას კონკურსში მონაწილეობაზე, თუ დარღვეულია ამ მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტის მოთხოვნები. ამდენად, განსახილველ ნორმაში ტერმინი «შეიძლება» მიუთითებს საკონკურსო კომისიის ისეთ უფლებაზე, რომლითაც მას შეუძლია არ უთხრას უარი განმცხადებელს კონკურსში მონაწილეობის მიღებაზე.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე იმის შესახებ, რომ 2002 წლის 8 აგვისტოს სს «ს. ე-სა» და შპს «ე-ს» შორის დაიდო '59 იჯარის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც მოპასუხეს იჯარით უნდა გადასცემოდა ქ. თბილისში, ... ქ. 12-ში მდებარე შენობის პირველ სართულზე არსებული არასაცხოვრებელი 53,1 კვ.მ, ხოლო 2002 წლის 30 აგვისტოს მოიჯარე შპს «ე-სა» და სს «ს. ე-ს» შორის დაიდო დამატებითი შეთანხმება, რომლის მიხედვით გადაწყ-

ყდა საიჯარო ქირის განსაზღვრის წესი. ამდენად, აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები შეიძლება მიუთითებდეს იმაზე, რომ, კონკურსში მონაწილეობისათვის განცხადების დაგვიანებით წარდგენის ან ბეს – 250 ლარის გადაუხდელობის მიუხედავად განმცხადებელს მიეცა კონკურსში მონაწილეობის უფლება, რის შედეგადაც ორივე მხარემ გამოთქვა ნება იჯარის ხელშეკრულების დადების შესახებ. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ კონკრეტული დავა ეხება არა კონკურსში მონაწილე სხვა კონკურსანტის უფლებას, რა დროსაც დაგვიანებით შეტანილი განცხადებით ან ბეს – 250 ლარის გადაუხდელობით შეიძლება ილაზხებოდეს სხვა კონკურსანტების უფლებები (რომლებმაც შეასრულეს დებულების ყველა მოთხოვნა), არამედ – სს «ს. ე-ის» ნებით მის ქონებაზე გამოცხადებული კონკურსის შედეგად დადებული ამ უკანასკნელსა და შპს «ე-ს» შორის იჯარის ხელშეკრულებას. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია სს «ს. ე-ის» მიერ ნების გამოვლენის კანონიერება და მისი შედეგები ანუ, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 1999 წლის 31 მარტის 11-3/150 ბრძანებით დამტკიცებული «სახელმწიფო ქონების კონკურსის ფორმით პრივატიზების შესახებ» დებულების მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის «ბ» ქვეპუნქტი მას აძლევდა უფლებას, უარი არ ეთქვა განმცხადებლისათვის კონკურსში მონაწილეობაზე, აუცილებელია, მისი ნება გამოვლინდეს კანონით დადგენილი წესების დაცვით. კონკრეტულ შემთხვევაში საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 2000 წლის 27 მარტის 11-3/198 ბრძანებით დამტკიცებული «სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების ბალანსზე რიცხული ამორტიზებული ან გამოუყენებელი ძირითადი საშუალებების განკარგვისა და გადაცემის წესის შესახებ» დებულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ამორტიზებული ან გამოუყენებელი ძირითადი საშუალებების იჯარით, ქირავნობით და სასყიდლიანი უზურფუქტით გაცემა ხორციელდება კონკურსის ან აუქციონის წესით სამეთვალყურეო საბჭოს (პარტნიორთა კრების) გადაწყვეტილების საფუძველზე სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსთან ან მის ტერიტორიულ ორგანოსთან შეთანხმებით. ამავე დებულების მე-9 მუხლის «ბ» ქვეპუნქტის (30.06.2000 11-3/422 ცვლილების) თანახმად, გადაწყვეტილებას კონკურსის ან აუქციონის ორგანიზების თაობაზე იღებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი «საწარმოთა მართვის სააგენტოსთან შეთანხმებით კონკურსის ან აუქციონის ორგანიზაცია შეიძლება განხორციელდეს საწარმოს ხელმძღვანელის მიერ.

განსახილველი ნორმების თანახმად, სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების მიერ იჯარით ქონების გაცემისათვის აუცილებელია სამეთვალყურეო საბჭოს (პარტნიორთა კრების) გადაწყვეტილება და სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსთან ან მის ტერიტორიულ ორგანოსთან შეთანხმება. ამდენად, აღნიშნული ხელშეკრულების დადებისათვის აუცილებელია მესამე პირის ნებართვა, რომელიც წარმოადგენს დამოუკიდებელი ნების გამოვლენას.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა საქართველოს ქონების მართვის სამინისტროს 2002 წლის 26 დეკემბრის 167-3571/6-2 წერილი და განმარტა, რომ კონკურსის წესით იჯარით ქონების გაცემის თანხმობა გაცემული უნდა იყოს წინასწარ, ხოლო წერილის თარიღი (26.12.2002) მეტყველებს იმაზე, რომ ის გაცემულია კონკურსის ჩატარების შემდეგ.

აღნიშნულთან მიმართებაში სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ თბილისში, ... ქ. 12-ში მდებარე შენობის პირველ სართულზე არსებული არასაცხოვრებელი 53,1 კვ.მ-ის იჯარით გაცემის თაობაზე განცხადების გაზეთ «თბილისში» 2002 წლის 22 ივნისს გამოქვეყნებისას არ არსებობდა სს «ე-ის» სამეთვალყურეო საბჭოს ან პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება, შესაბამისად, სს «ე-ის» ადმინისტრაციას არ მიუღია ასეთი თანხმობა. ამასთან სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმის მასალებით არ დასტურდება, რომ სს «ე-ა», რომელიც კონკურსის ჩატარების ორგანიზაციას ახდენდა, ფლობდა სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს თანხმობას საწარმოს ხელმძღვანელის მიერ კონკურსის ორგანიზაციაზე. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ წინასწარ ასეთი თანხმობის არ არსებობის შემთხვევაში სადავო გარიგებები უნდა მიჩნეულ იქნეს ბათილად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ სადავო ხელშეკრულებების დადების დროს ქონების მართვის სამინისტრო წარმოადგენდა სს «ს. ე-ის» დამფუძნებელს. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული უფლებამოსილების განხორციელებას აქვს სპეციალური სამართლებრივი საფუძველი, რომლითაც განისაზღვრება სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების ბალანსზე რიცხული ამორტიზებული ან გამოუყენებელი ძირითადი საშუალებების განკარგვა და გადაცემა, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ სახელმწიფოს (ქონების მართვის სამინისტრო ან მისი ტერიტორიული ორგანო) თანხმობა კონკურსის წესით იჯარით ქონების გაცემის შესახებ, თავისი შედეგებით უკავშირდება კერძო სამართლებრივ ურთიერთობას, სახელმწიფოს, როგორც საზოგადოების პარტნიორის უფლებამოსილებას და მიუთითებს მისი სამეწარმეო საზოგადოებაში მონაწილეობაზე, ე.ი. სახელმწიფოს მიერ გაცემული ნებართვა უკავშირდება, უპირველეს ყოვლისა, პარტნიორის უფლებამოსილებას. ამრიგად, კონკრეტულ შემთხვევაში სახელმწიფო, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი, სამეწარმეო საზოგადოებებში პარტნიორად მონაწილეობს, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირი.

კონკრეტულ შემთხვევაში სახელმწიფოს თანხმობა კონკურსის წესით იჯარით ქონების გაცემის შესახებ, როგორც სახელმწიფო – პარტნიორის უფლებამოსილებასთან დაკავშირებული ელემენტი, წარმოადგენს ცალმხრივ გარიგებას, რომლისთვისაც აუცილებელია ნების გამოვლენის მიღება მეორე მხარის მიერ (საქარ-

თველოს სამოქალაქო კოდექსის 51-ე მუხლი). ამდენად, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სახელმწიფოს მიერ თანხმობა გარიგების დადების შესახებ უკავშირდება და, შესაბამისად, გავლენას ახდენს კერძო, სამართლებრივ და არა ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობაზე. თავისთავად ყოველივე აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ სახელმწიფოს თანხმობა სამეწარმეო იურიდიული პირის მიერ კონკურსის წესით იჯარით ქონების გაცემის შესახებ თავისი არსით შესაძლებელია განვასხვავოთ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ნებართვისაგან, კერძოდ, განსახილველი ნორმის თანახმად, ბათილია ნებართვის გარეშე დადებული გარიგება, თუ ამ გარიგებისათვის საჭიროა ნებართვა. ამ უკანასკნელ შემთხვევაში შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ სახელმწიფოს მიერ გაცემული ნებართვის შემთხვევაში, განსახილველი ნორმის თანახმად, იგულისხმება საჯარო უფლებამოსილების ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელების შედეგად გაცემული ნებართვა, რომელიც უკავშირდება საჯარო ინტერესს (მაგალითად, სათანადო ლიცენზიის გაცემა და ა.შ). შესაბამისად, ამ ნებართვის გარეშე დადებული გარიგება ბათილია. უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოებაში სახელმწიფო-პარტნიორის წილობრივი მონაწილეობისას, სახელმწიფოს აუცილებელი თანხმობის გარეშე საზოგადოების მიერ დადებული გარიგება ასევე იწვევს მისი ბათილობას, მაგრამ ამ კატეგორიის გარიგებები მიიჩნევა მერყევად ბათილ გარიგებებად და ამდენად, ასეთ გარიგებებზე არ ვრცელდება სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილი. პარტნიორის (სახელმწიფოს) კონკურსის წესით იჯარით ქონების (ვადიან სარგებლობაში) გაცემის შესახებ თანხმობაზე ვრცელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 99-ე-102-ე მუხლებით გათვალისწინებული თანხმობის ინსტიტუტი, შესაბამისად, საქართველოს ქონების მართვის სამინისტროს 2002 წლის 26 დეკემბრის 167-3571/6-2 წერილი, რომელიც შედგენილი იყო აუქციონის ჩატარების შემდეგ შესაძლებელია მიუთითებდეს შემდგომ თანხმობაზე (მოწონებაზე) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 101-ე მუხლის თანახმად.

საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ სააპელაციო სასამართლომ სათანადოდ არ შეაფასა საქართველოს ქონების მართვის სამინისტროს 2002 წლის 26 დეკემბრის 167-3571/6-2 წერილი, არ გამოიკვლია მისი შინაარსი საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში და შემოიფარგლა მხოლოდ იმაზე მითითებით, რომ წერილი შედგენილია კონკურსის შემდეგ.

საკასაციო პალატა თვლის, რომ კონკრეტულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ არ შეაფასა შემდეგი: წერილის მიხედვით, 2000-2002 წლებში სს «ე-ის» მიერ სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსთან შეთანხმებულია საზოგადოების ბალანსზე რიცხული ორი ფართის (53,1 კვ.მ-ისა და 294 კვ.მ-ის) იჯარით გაცემის საკითხი.

საკასაციო პალატა, ასევე იზიარებს კასატორის მითითებას იმასთან დაკავშირებით, რომ სააპელაციო სასამართლომ არ შეაფასა საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსადმი სს «ე-ის» 05.08.02 11798 წერილსა და ამ წერილზე საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 06.08.2002 პასუხი.

ამასთან დაკავშირებით საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ზემოაღნიშნული მტკიცებულებები მოსარჩელე სს «ე-ის» მიერ წარმოდგენილი იყო ჯერ კიდევ პირველ ინსტანციის სასამართლოში სარჩელთან ერთად. აღნიშნული წერილების შინაარსი ეხება სადავო ფართის იჯარით გაცემის შესახებ სამინისტროს დამოკიდებულებას, რაც არ შეაფასა სააპელაციო სასამართლომ. ამრიგად, ზემოაღნიშნული წერილების შეფასებით, საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში (სსკ-ის 105-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით) სააპელაციო სასამართლომ უნდა დაადგინოს, აუქციონის ჩატარებამდე ჰქონდა თუ არა სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს, როგორც სახელმწიფო წარმომადგენელს საზოგადოებაში (პარტნიორი) გაცემული კონკურსის წესით იჯარით ქონების გაცემის შესახებ თანხმობა, ასევე, აღნიშნული წერილები ხომ არ შეიძლება მიუთითებდეს სახელმწიფოს (პარტნიორის) შემდგომ თანხმობაზე (მოწონებაზე) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 101-ე მუხლის თანახმად.

რაც შეეხება სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების არსებობა-არარსებობის საკითხს, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების აუცილებლობა კანონით გათვალისწინებულ რიგ საკითხებთან მიმართებით მიუთითებს დირექტორის (დირექტორატის) შეზღუდვის ინსტიტუტზე, კერძოდ, სადავო ხელშეკრულებების დროს მოქმედი (2002 წლის რედაქციით) «მეწარმეთა შესახებ» საქართველოს კანონის 55.9 მუხლის «ბ» ქვეპუნქტის თანახმად, მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით შეიძლება განხორციელდეს უძრავი ქონებისა და მისი მსგავსი უფლებების შექმნა, განსხვავება, დატვირთვა ან იჯარით გაცემა. აღნიშნული დანაწესი წარმოადგენს კორპორაციული მართვის ცალკეული ორგანოების კომპეტენციათა გამიჯვნის მკაცრ რეგლამენტაციას, რომლითაც რეგულირდება საზოგადოების შიგნით მართვის ორგანოთა უფლება, ვალდებულებების საკითხი. ამდენად, სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობა წარმოადგენს ამ ორგანოს არა ვალდებულებას, არამედ უფლებას, რომელიც ემსახურება საზოგადოების კორპორაციულ მართვას.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ზემოაღნიშნული დანაწესით საზოგადოების ხელმძღვანელის (დირექტორის) უფლებამოსილების შეზღუდვის მიუხედავად, ამ უკანასკნელის მიერ იმ გარიგების დადება, რომლის დადების უფლებამოსილება მას არ გააჩნდა, მესამე პირის პასუხისმგებლობას იწვევს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ შეზღუდვის შესახებ იცოდა კონტრაქტმა ან, როცა საზოგადოების წარმომადგენელი

და კონტრაქტის მოქმედებდნენ განზრახ («მეწარმეთა შესახებ» საქართველოს კანონის (2002 წლის რედაქციის) 9.5 მუხლი). აღნიშნული ნორმით დაცულია საზოგადოების ინტერესები და, როგორც აღინიშნა, ამ დაცვითი მექანიზმის ამოქმედებისათვის აუცილებელია არსებობდეს კონტრაქტის არაკეთილსინდისიერების ფაქტი. სხვა შემთხვევაში, იმ დროს მოქმედი «მეწარმეთა შესახებ» საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით, საზოგადოების ისეთი შიდა საკორპორაციო მართვის ორგანოებს შორის კომპეტენციათა გამიჯვნის სამართლებრივი რეგლამენტაციის დარღვევა, როგორცა საზოგადოების წარმომადგენლობასა და სამეთვალყურეო საბჭოს უფლებამოსილებები, იწვევს საზოგადოებაში შიგნით არსებული სამართლებრივი პასუხისმგებლობას, რამაც გავლენა არ უნდა მოახდინოს კეთილსინდისიერ კონტრაქტზე. ამრიგად, კონკრეტულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს, თუ რამდენად კეთილსინდისიერი იყო შპს «ენერგომონტაჟი» სადავო ხელშეკრულების დადების დროს სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობის არსებობა-არარსებობასთან მიმართებაში.

სააპელაციო სასამართლომ სარჩელის დაკმაყოფილების ერთ-ერთ საფუძვლად მიუთითა, ასევე ის გარემოება, რომ მხარეთა შორის 2002 წლის 8 აგვისტოს ხელშეკრულების დადებისას დარღვეულ იქნა ხელშეკრულების სანოტარო ფორმით დამოწმების წესი. სააპელაციო სასამართლომ ამ მოსაზრებას საფუძვლად დაუდო სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 1999 წლის 31 მარტის 11-3/150 ბრძანებით დამტკიცებული «სახელმწიფო ქონების კონკურსის ფორმით პრივატიზების შესახებ» დებულების მე-5 მუხლის 1-ელი პუნქტი, რომლის თანახმად კონკურსის შედეგების დამტკიცების შესახებ «გამყიდველის» გადაწყვეტილების მიღებიდან 20 კალენდარული დღის ვადაში «გამარჯვებული» მონაწილე ვალდებულია, «გამყიდველთან» გააფორმოს ხელშეკრულება (რომელიც უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით), ქონების მიღება-ჩაბარების აქტთან ერთად, რომელიც წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

საკასაციო პალატა კიდევ ერთხელ დასძენს, რომ განსახილველ ურთიერთობაზე ვრცელდება როგორც სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 2000 წლის 27 მარტის 11-3/198 ბრძანებით, ასევე სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 1999 წლის 31 მარტის 11-3/150 ბრძანებით დამტკიცებული დებულებები. ორივე დებულება სისტემურად არის ერთმანეთთან დაკავშირებული და ავსებს ერთმანეთს, მაგრამ საკასაციო პალატა თვლის, რომ 1999 წლის 31 მარტის 11-3/150 ბრძანებით დამტკიცებული დებულებების უპირობოთ გავრცელება 2000 წლის 27 მარტის 11-3/198 ბრძანებით დამტკიცებული დებულებით მოწესრიგებულ ურთიერთობებზე დაუშვებელია.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ 2000 წლის 27 მარტის 11-3/198 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-7 მუხლის 1-ელი ნაწილის მე-2 წინადადება მიგვითითებს იმაზე, რომ ძირითადი საშუალებების რეალიზაციის ან დროებით სარგებლობაში გადაცემის დროს კონკურსისა და აუქციონის ორგანიზებისას გამოიყენება სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 1999 წლის 31 მარტის 11-3/150 და 11-3/51 ბრძანებით დამტკიცებული დებულება კონკურსისა და აუქციონის შესახებ. ამრიგად, მნიშვნელოვანია, რომ ეს უკანასკნელი დებულება გამოიყენება კონკურსისა და აუქციონის ორგანიზებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებზე. სხვა შემთხვევაში უნდა ვიფიქროთ, რომ ორივე დებულება აწესრიგებს მათ მიერ რეგულირების სფეროთი მოცემულ ურთიერთობებს.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ სადავო ურთიერთობაზე გავრცელებული 1999 წლის 31 მარტის 11-3/150 ბრძანებით დამტკიცებული «სახელმწიფო ქონების კონკურსის ფორმით პრივატიზების შესახებ» დებულების მე-5 მუხლის 1-ელი პუნქტით რეგულირდება არა კონკურსისა და აუქციონის ორგანიზებასთან დაკავშირებული ურთიერთობები, არამედ – გარიგების გაფორმების წესი. ამასთან ერთად გასათვალისწინებელია, რომ განსახილველი ნორმით გარიგება გულისხმობდა არა დროებით სარგებლობაში ქონების გადაცემის, არამედ – ქონების პრივატიზებასთან დაკავშირებული ურთიერთობებს, რომლის ერთ-ერთ მხარეს, ამავე დებულების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, წარმოადგენდა საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო ან მისი ტერიტორიული ორგანო (გამყიდველი). ზუსტად ამ კონკრეტულ ურთიერთობაზე (საკუთრების უფლების გადაცემა) ვრცელდება სანოტარო ფორმის ინსტიტუტი.

ზემოაღნიშნულისაგან განსხვავებით 2000 წლის 27 მარტის 11-3/198 ბრძანებით დამტკიცებული დებულებით მოწესრიგებული ურთიერთობის თავისებურება იმაშია, რომ ამ ურთიერთობებში სახელმწიფო წარმოადგენს სამეწარმეო იურიდიული პირის 50%-ზე მეტი წილის მფლობელ პარტნიორს, რომლითაც დაცულია სახელმწიფოს, როგორც 50%-ზე მეტი წილის მფლობელ პარტნიორის უფლებები. კონკრეტულ შემთხვევაში ყურადსაღებია განსახილველი დებულების მე-4 მუხლი, რომლითაც რეგულირდება ძირითადი საშუალებების დროებით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებული ურთიერთობები, რომლის მომწესრიგებელ ნორმებს არ იცნობს 1999 წლის 31 მარტის 11-3/150 ბრძანებით დამტკიცებული «სახელმწიფო ქონების კონკურსის ფორმით პრივატიზების შესახებ» დებულება. ზუსტად რომ, ძირითადი საშუალებების დროებით სარგებლობაში გადაცემის თაობაზე ფორმდება ხელშეკრულება, რა დროსაც არ არის გათვალისწინებული სანოტარო ფორმის დაცვის აუცილებლობა (1999 წლის 31 მარტის 11-3/150 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის). ამასთან ერთად ხელშეკრულების ერთ-ერთ მხარედ გვევლინება არა სახელმწიფო, არამედ საწარმოს დირექტორი, ხოლო ხელშეკრულების კონტრაგენტს წარმოადგენს ქონების დროებით სარგებლობაში ამღები პირი.

ზემოაღნიშნული მიგვითითებს იმაზე, რომ სადავო გარიგებების ფორმის განსაზღვრის დადების დროს უნდა გამოყენებულ იქნეს 2000 წლის 27 მარტის 11-3/198 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის დანაწესი, რომელიც არ ითვალისწინებს დროებით სარგებლობაში ქონების გადაცემისათვის სანოტარო ფორმის დაცვას.

რაც შეეხება კასატორის მითითებას იმ მტკიცებულებებზე, რომელიც არ იყო მიღებული სასამართლოს მიერ, საკასაციო სასამართლო ვერ იმსჯელებს ამ მტკიცებულებებთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლოს პროცესუალური დარღვევების არსებობა-არარსებობაზე, რადგან ის საოქმო დადგენილებები, რომლითაც არ იყო მიღებული აღნიშნული მტკიცებულებები, არ გაუსაჩივრებია კასატორს, ამდენად, ეს საოქმო განჩინებები არ წარმოადგენენ საკასაციო სასამართლოს განხილვის ობიექტს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

საკასაციო პალატა თვლის, რომ კასატორის მიერ წარმოდგენილი დასაბუთებული პრეტენზია. კონკრეტულ შემთხვევაში დასაშვებ და დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს, რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება და სამართლებრივ-მატერიალური ნორმის არასწორად გამოყენება ან განმარტება. ამრიგად, სააპელაციო სასამართლომ ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით უნდა მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

შპს «ე-ის» საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას;
განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

11. სესხის ხელშეკრულება

განჩინება

1ას-1009-1282-09

19 აპრილი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: **ლ. ლაზარაშვილი** (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი,
თ. თოდრია

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 19 ოქტომბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მიმართა ა. ბ-მემ მოპასუხეების – ზ. პ-შვილისა და შ. ა-ძის მიმართ. საბოლოოდ, სასარჩელო მოთხოვნის გაზრდის გამო მოსარჩელის მოთხოვნა ამგვარად ჩამოყალიბდა: ა) მოპასუხე ზ. პ-შვილს დაეკისროს 100 000 აშშ დოლარის, აგრეთვე, წლიური 20%-ის ოდენობით სარგებლის გადახდა, 1996 წლის სექტემბრიდან 2008 წლის მაისის ჩათვლით, რაც ჯამში შეადგენს 333 000 აშშ დოლარს; ბ) მოპასუხე შ. ა-ძეს დაეკისროს 72 000 აშშ დოლარის გადახდა, რომელიც მას არ გადაუხდია 2008 წლის 30 აგვისტომდე, 2005 წლის 20 მაისის სანოტარო აქტით გათვალისწინებული გრაფიკის მიხედვით.

სარჩელის თანახმად, 1996 წლის სექტემბერში შ. ა-ძემ ზ. პ-შვილისაგან ისესხა 150 000 აშშ დოლარი 10 წლის ვადით. სესხის უზრუნველსაყოფად დაგირავდა შ. ა-ძის შვილის – ზ. ა-ძის სახელზე რიცხული ბინის 1/2 10 წლით. ზ. პ-შვილი 1994 წლიდან 1999 წლამდე მოსარჩელს თანამშრომელი და პარტნიორი იყო. აღნიშნული პერიოდის განმავლობაში მას ვალად 100 000 აშშ დოლარი ერიცხებოდა, ყოველწლიური 20%-ის სარგებლით. მოსარჩელის მტკიცებით, მასა და ზ. პ-შვილს შორის არსებობდა მოთხოვნის დათმობის შესახებ ზეპირი ხელშეკრულება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 26 მარტის გადაწყვეტილებით ა. ბ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქმეზე დადგენილ შემდეგ უდავო ფაქტობრივ გარემოებებზე:

ზ. პ-შვილი ა. ბ-ძის პარტნიორი იყო და მათ საერთო ბიზნესი გააჩნდათ;

2005 წლის 20 მაისის სესხის დაბრუნებისა და გირავნობის უზრუნველყოფის ხელშეკრულება ზ. პ-შვილსა და შ. ა-ძეს შორის დაიდო;

ზემოაღნიშნული ხელშეკრულებიდან ირკვევა, რომ შ. ა-ძემ **1996 წლის** სექტემბერში ზ. პ-შვილისაგან **150 000** აშშ დოლარი ისესხა, რომლის დაბრუნების ვალდებულება **2010 წლამდე**, ხელშეკრულებით გათვალისწინებული გრაფიკის შესაბამისად იკისრა;

სესხის დროულად დაბრუნების გამწვანების გამო, **2000 წლის 13** სექტემბერს, ზ. პ-შვილსა და შ. ა-ძის შვილს – ზ. ა-ძეს შორის საცხოვრებელი სახლის გირავნობის ხელშეკრულება გაფორმდა;

2007 წლის 10 ოქტომბერს ზ. ა-ძესა და ზ. პ-შვილის რწმუნებულს შორის გირავნობის გაუქმების შესახებ შეთანხმება გაფორმდა;

2006 წლის 3 ივნისს ა. ბ-ძესა და ზ. პ-შვილს შორის ხელშეკრულება-შეთანხმება შედგა, რომლის თანახმადაც მხარეებს ერთმანეთის ვალი არ აქვთ, მთლიანად გასწორებული აქვთ ოფიციალური თუ არაოფიციალურ ვალდებულებები და რაიმე პრეტენზიის დაყენების უფლება არც ერთ მხარეს აღარ გააჩნია.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, საქმეში წარდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდებოდა ის ფაქტი, რომ ზ. პ-შვილს გააჩნდა ა. ბ-ძის ვალი (ძირითადი ვალი) **100 000** აშშ დოლარის ოდენობით. ამასთან, ა. ბ-ძესა და ზ. პ-შვილს შორის მოთხოვნის დათმობის (შ. ა-ძის მიმართ არსებული მოთხოვნის დათმობის) შესახებ ხელშეკრულება არ დადებულა. ყოველივე აღნიშნული კი ა. ბ-ძის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ა. ბ-ძემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა და მისი გაუქმება მოითხოვა.

სააპელაციო სასამართლოს **2009 წლის 2** სექტემბრის სხდომაზე არ გამოცხადდა მოწინააღმდეგე მხარე შ. ა-ძე, გამოცხადდა ზ. პ-შვილი, რის გამოც აპელანტმა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ იშუამდგომლა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის **2009 წლის 2** სექტემბრის განჩინებით ა. ბ-ძის სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის **2009 წლის 26** მარტის გადაწყვეტილების იმ ნაწილზე, რომლითაც მას უარი ეთქვა შ. ა-ძისათვის **72 000** აშშ დოლარის დაკისრებაზე, არ დაკმაყოფილდა, ამ ნაწილში უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის **2009 წლის 26** მარტის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ა. ბ-ძის საჩივარში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად არ ამართლებდა შ. ა-ძის მიმართ სასარჩელო მოთხოვნას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის **2009 წლის 2** სექტემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ა. ბ-ძემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება.

კასატორის მტკიცებით, **2009 წლის 30** სექტემბრის სასამართლო სხდომაზე ზ. პ-შვილმა აღიარა, რომ შ. ა-ძის სესხში მისი წილობრივი მონაწილეობა **100 000** აშშ დოლარით განისაზღვრება, შესაბამისად, შ. ა-ძის მიმართ მოთხოვნა იურიდიულად გამართლებული იყო.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ ა. ბ-ძის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის **2009 წლის 2** სექტემბრის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **387-ე** მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ საქმის განხილვაზე არ გამოცხადდება მოწინააღმდეგე მხარე, სააპელაციო საჩივრის შემტანი პირის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას, რომელიც შეიძლება დაემყაროს მომჩივანის ახსნა-განმარტებას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **230-ე** მუხლი, რომელიც ამავე კოდექსის **387.3, 372-ე** მუხლების შესაბამისად გამოიყენება სააპელაციო ინსტანციით საქმის განხილვისას, ადგენს, რომ, თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდება მოპასუხე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება ამ კოდექსის **70-ე, 78-ე** მუხლებით დადგენილი წესით და მოსარჩელე შუამდგომლობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე, მაშინ სარჩელში მითითებული გარემოებები დამტკიცებულად ითვლება. თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, სარჩელი დაკმაყოფილდება. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო უარს ეტყვის მოსარჩელეს მის დაკმაყოფილებაზე.

მოცემულ შემთხვევაში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის **2009 წლის 2** სექტემბრის განჩინების გამოტანას საფუძვლად დაედო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **230-ე** მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნა, რომელიც, სააპელაციო საჩივარში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების იურიდიულად გაუმართლებლობის გამო, გამორიცხავს მისი დაკმაყოფილების შესაძლებლობას. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საპროცესო თავისებურებებიდან გამომდინარე, ა. ბ-ძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა არა საქმეში არსებული მტკიცებულებების შეფასების საფუძველზე, არამედ იმის

გამო, რომ აპელანტის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად არ ამართლებდა სააპელაციო საჩივრის ავტორის მოთხოვნას.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს აღნიშნულ დასკვნას. ა. ა-მის სააპელაციო საჩივარი არ შეიცავს უშუალოდ ა. ბ-მესა და შ. ა-მეს შორის ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის არსებობის შესახებ ფაქტობრივ გარემოებებზე მითითებას. შესაბამისად, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას ასეთი გარემოებები ვერც ჩაითვლებოდა დამტკიცებულად. სამოქალაქო კოდექსის 317.1 მუხლის თანახმად, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მხარეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან. ვალდებულების წარმოშობის საფუძვლების არსებობის შესახებ ფაქტების დაუდგენლობა კი, თავის მხრივ, ვერ გამოიწვევს კრედიტორის (ა. ა-მე) მოთხოვნის დაკმაყოფილებას. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ აპელანტს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე მართებულად უთხრა უარი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის საფუძველზე უცვლელად ტოვებს გასაჩივრებულ განჩინებას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

ა. ბ-მის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სააპელაციო პალატის 2009 წლის 2 სექტემბრის განჩინება;
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

12. ნარდობის ხელშეკრულება

განჩინება

1ას-889-1175-09

1 მარტი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: ვალდებულების შესრულება

აღწერილობითი ნაწილი:

შპს «...-2007-მა» სარჩელი აღძრა სასამართლოში ა. გ-მის მიმართ შესრულებული სამუშაოს ღირებულების – 22802 აშშ დოლარის ანაზღაურების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: 2006 წლის 1 ნოემბერს მხარეთა შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის თანახმად, შპს „...-2007-მა“ იკისრა ვალდებულება, დადგენილი პროექტის შესაბამისად, მოპასუხისათვის აემუნებინა სამსართულიანი სახლის კარკასი კედლების მიმღე ბეტონის ბლოკების შევსებით. სახლის მთავარი ფასადის გარდა, შეებათქაშებინა შიდა და გარეთა კედლები, გადაეხურა სახურავი. იატაკის მოჭიმვის, კარების ჩასმის, სანტექნიკისა და ელექტროგაყვანილობის დამონტაჟების, სახლის ფასადისა და სხვა კეთილმოწყობითი სამუშაოების შესრულების შესახებ მხარეებს უნდა გაეფორმებინათ დამატებითი ხელშეკრულება, რაც არ განხორციელებულა. მოპასუხეს მოსარჩელისათვის სულ უნდა გადაეხადა 74 540 აშშ დოლარი, მაგრამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები სრულად არ შესრულებულა მოპასუხის მიერ ხელშეკრულებაზე უარის თქმის გამო, შესაბამისად, მოპასუხემ მას მხოლოდ 48 500 აშშ დოლარი გადაუხადა. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების გარდა, მოპასუხესთან შეთანხმების საფუძველზე შპს „...-2007-მა“ სახლის აივანი მონოლითური რკინა-ბეტონით მოაწყო და საძირკველი აამალა, სამუშაოების საერთო ღირებულებამ 3 450 აშშ დოლარი შეადგინა, რისი გადახდაც ასევე მოპასუხეს უნდა დაეკისროს. ა.გ-მემ ხელშეკრულების მოშლის მიზეზად დაასახელა ის გარემოება, რომ მას სამუშაოთა ნაწილი არ მოეწონა. მოსარჩელემ შესთავაზა ხარვეზიანად მიჩნეული სამუშაოების გამოსწორება ან თავიდან შესრულება, მაგრამ მოპასუხემ უარი განაცხადა.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: მხარეთა შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის შესაბამისად მოსარჩელემ დაიწყო სახლის მშენებლობა. სახლის მეორე სართულის აშენების შემდეგ ა.გ-მე წავიდა სანაოსნოდ და უკან დაბრუნებულს აშენებული დახვდა სახლის პირველი სართულის შიდა და გარე კედლები, მეორე და მესამე სართულების გარეთა კედლები. მშენებლობის ნაწილი უხარისხოდ იყო შესრულებული, ა.გ-მეს არ მოეწონა ბლოკების წყობა, კერძოდ, სახლის ერთი კედელი 20 სმ ბლოკებით იყო აშენებული, ხოლო მეორე – 10 სმ ბლოკებით, ერთ-ერთი კედელი აშენებული იყო ისე, რომ მისი შებათქაშება ზედმეტ ხარჯს მოითხოვდა. მოპასუხემ უკმაყოფილება გამოთქვა აღნიშნული ხარვეზების გამო და აღარ სურდა, მშენებლობა შპს „...-2007-ს« დაესრულებინა. ამ პერიოდისათვის მოსარჩელეს სახლის კარკასული მონოლითური სამუშაო მთლიანად ჰქონდა დამთავრებული, ჩამოსხმული იყო მონოლითური სვეტები, სახლის მეორე და მესამე სართულზე ამოყვანილი იყო ორი გვერდითი კედელი, დასხმული იყო სართულების იატაკი, რის სანაცვლოდ მოპასუხეს უკვე გადახდილი ჰქონდა 48 000 აშშ დოლარი და დამატებით გადაიხადა 5000 აშშ დოლარი. მოსარჩელემ წერილობითი განცხადებით მიმართა შპს „...-2007-ის« დირექტორს ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ. განცხადებაზე მოსარჩელემაც მოაწერა ხელი და შესთავაზა ხარჯის დათვლა. მოსარჩელემ მოითხოვა დამატებითი 10 000 აშშ დოლარის გადახდა, ხოლო ა.გ-მემ შესთავაზა 5000 აშშ დოლარი, რის გამოც ისინი ვეღარ შეთანხმდნენ. ამდენად, ა.გ-მეს „...-2007-ისთვის« შესრულებული სამუშაოების ღირებულება სრულად აქვს გადახდილი და მისი მოთხოვნა დამატებით გადახდაზე დაუსაბუთებელი და უსაფუძვლოა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილებით შპს „...-2007-ის« სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – მოპასუხე ა.გ-მეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 16800 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა, ასევე დაევალა მოსარჩელის მიერ გაწეული ადვოკატის მომსახურების ხარჯისა და სახელმწიფო ბაჟის გადახდა შპს „...-2007-ის« სასარგებლოდ.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ა. გ-მემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 16 ივნისის განჩინებით ა.გ-მის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად, ამავე სასამართლოს 2009 წლის 1 ივლისის განჩინებით აპელანტის წარმომადგენლის შენიშვნები 2009 წლის 11 მაისის, 2 და 16 ივნისის სხდომის ოქმებზე მიჩნეულ იქნა დაუშვებლად და დარჩა განუხილველად: სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, რომ 2006 წლის 1 ნოემბერს მხარეთა შორის შედგა წერილობითი ნარდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, შპს „...-2007-მა« ვალდებულება იკისრა, პროექტის შესაბამისად, ა.გ-მისათვის აშენებინა სამსართულიანი სახლის კარკასი. აღნიშნული ხელშეკრულებითვე მხარეები შეთანხმდნენ, რომ დამკვეთი შესრულებული თითოეული კვ.მეტრისათვის მენარდეს გადაუხდიდა 200 აშშ დოლარს, სულ მხარეთა შეთანხმებით დამკვეთს უნდა შეესრულებინა სამუშაო 327 კვ.მ-ზე. უდავოა ფაქტობრივი გარემოება, რომ შესასრულებელ სამუშაოთა მეტი წილი მენარდემ შეასრულა, ნაწილი კი ხელმეორედ გახდა შესასრულებელი. შპს „...-2007-მა« თავად შესთავაზა ა.გ-მეს, აღმოეფხვრა შესრულებული სამუშაოს ნაკლი, რაზედაც ა.გ-მემ უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ იგი თავადვე აღმოეფხვრიდა შესრულებული სამუშაოების ნაკლს და დაასრულებდა სამუშაოს. აღნიშნული წინაპირობების წამოყენების შემდეგ მხარეთა მიერ გამოვლენილი ნების საფუძველზე მათ შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობა შეწყდა. მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ ექსპერტ გ-მის მიერ 2008 წლის 11 დეკემბერს შედგენილ დასკვნაში ასახული ფაქტობრივი გარემოება მენარდის მიერ სამუშაოების რეალურად შესრულების თაობაზე. ექსპერტის განმარტებით, დასკვნა მან მხარეთა გამოკითხვის, ვიზუალური დათვალიერებისა და აზომვითი სამუშაოების შედეგად მიიღო. ა.გ-მეს სადავოდ არც ის ფაქტობრივი გარემოება გაუხდია, რომ ექსპერტის დასკვნაში ასახული და „...-2007-ის« შესრულებულად მიჩნეული სამუშაოები ნამდვილად „...-2007-ის« მიერ იყო შესრულებული. ხსენებული დასკვნის თანახმად, შპს „...-2007-ის« მიერ ა.გ-მის ასაშენებელ სახლზე შესრულდა 49 556,77 აშშ დოლარის სამუშაო. ექსპერტის განმარტებით, მის მიერ შესრულებულ გაანგარიშებაში არ შესულა იმ სამუშაოების ღირებულება, რაც ხარჯთაღრიცხვით იყო გათვალისწინებული, მაგრამ საერთოდ არ შესრულებულა, ასევე ექსპერტიზის დასკვნაში ვერ მოხვდა თავად ა.გ-მის მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულება. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, სასამართლო სხდომაზე აპელანტ ა.გ-მეს სადავოდ არ გაუხდია, რომ საქმეში წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის შედგენიდან დაახლოებით 5-6 თვის შემდგომ, 2006 წლის ნოემბერში, მხარეთა შორის შედგა წერილობითი ნარდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც მხარეები შეთანხმდნენ, რომ შესასრულებელი სამუშაოს ოდენობა კვადრატული მეტრობით შეადგენდა 327 კვ.მ-ს, ხოლო შესრულებულ სამუშაოთა ღირებულება კი, თითოეული კვ.მეტრისათვის 200 აშშ დოლარს. სააპელაციო პალატამ უდავოდ დადგინდა მიიჩნია, რომ, ნაცვლად მხარეთა მიერ თავდაპირველად შეთანხმებული 327 კვ.მ-სა, შესრულებული სამუშაოების მოცულობამ (გადახურვებმა) 371,5 კვ.მ შეადგინა და აღნიშნულ ფაქტობრივ გარემოებასთან მიმართებით დამკვეთს მენარდის მიმართ პრეტენზია არ განუცხადებია.

სასამართლომ არ გაიზიარა ა.გ-მის მოსაზრება, რომ შპს „...-2007-ის« მიერ უხარისხოდ შესრულებული სამუშაოების გამოსწორებისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოთა დასრულებისათვის მან 25 000 აშშ დოლარი დახარჯა. პალატამ მიიჩნია, რომ აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება მის მიერ სასამართლოში ვერ იქნა წარმოდგენილი. ამასთან, პირველი ინსტანციის სა-

სამართლო სხდომაზე ა.გ-მემ განმარტა, რომ მან 9000 აშშ დოლარის ღირებულების სამუშაო შეასრულა. სააპელაციო პალატამ ასევე, დადგენილად ჩათვალა, რომ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება გაზრდილი ხარჯთაღრიცხვის გამო, არ შეწყვეტილა, არამედ თავდაპირველი ხარჯთაღრიცხვის შედგენიდან 5-6 თვის შემდგომ მხარეები შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების თავდაპირველი ხარჯთაღრიცხვისაგან განსხვავებულ, კონკრეტულ ანაზღაურებაზე – 1 კვ.მ-ზე 200 აშშ დოლარის ანაზღაურების თაობაზე შეთანხმდნენ. სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 361-ე, 316-ე და 327-ე მუხლებით და მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ მხარეთა შორის არსებული გარიგება სამოქალაქო კოდექსის 629-ე მუხლით გათვალისწინებულ ნარდობის ხელშეკრულებად სწორად ჩათვალა. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, იმ ხარჯთაღრიცხვაში, რომელიც 2006 წლის 1 ნოემბერს გაფორმებულ ნარდობის ხელშეკრულებამდე რამდენიმე თვით ადრე შესდგა, სახელი იყო ის სტანდარტული პირობები, რომელიც წინასწარ ჩამოაყალიბა ხელშეკრულების მონაწილე ერთმა მხარემ – მენარდემ, ანუ შემთავაზებელმა და წარუდგინა იგი მეორე მხარეს – დამკვეთს. პალატამ მიიჩნია, რომ 2006 წლის 1 ნოემბერს შემდგარ კონტრაქტში სწორედ მხარეთა მიერ გამოვლენილი ნების შესაბამისად საბოლოოდ შეთანხმებული პირობები აისახა, რასაც, კანონმდებლის დათქმის თანახმად, ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებთან, ანუ ხარჯთაღრიცხვასთან შედარებით უპირატესი მნიშვნელობა ენიჭება. პალატის მოსაზრებით, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დავის გადასაწყვეტად ასევე სწორად იქნა მითითებული სამოქალაქო კოდექსის 236-ე მუხლზე. პალატამ მიიჩნია, რომ ფაქტობრივ გარემოებათა სამართლებრივი დასაბუთებულობისათვის პირველი ინსტანციის სასამართლომ ასევე სწორად მიუთითა და გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე და 131-ე მუხლები და მტკიცების ტვირთის სწორად გადანაწილებით საქმეზე კანონიერი გადაწყვეტილება მიიღო.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 1 ივლისის განჩინებით დაუშვებლად იქნა ცნობილი და განუხილველად დარჩა ა. გ-ძის შენიშვნები სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 11 მაისის, 2 და 16 ივნისის სხდომის ოქმებზე.

სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 16 ივნისისა და 1 ივლისის განჩინებები ა. გ-ძის წარმომადგენელმა მ. ა-მემ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მათი გაუქმება, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, მოწინააღმდეგე მხარისათვის ექსპერტიზაზე გადახდილი 1052 ლარის, სახელმწიფო ბაჟის – 1106 და 1415,98 ლარის, ასევე ადვოკატის მომსახურების – 2400 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო პალატამ მხედველობაში არ მიიღო, რომ შპს «...-2007-მა» ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები სრულად არ შეასრულა და რაც შეასრულა, ის სამუშაოებიც ჩაატარა უხარისხოდ. აღნიშნული საფუძვლით, სამოქალაქო კოდექსის 644-ე მუხლის შესაბამისად, ა.გ-მემ ცალმხრივად მოშალა ნარდობის ხელშეკრულება. შპს «...-2007-ის» დირექტორის მიერ ხელმოწერილ 2007 წლის 10 სექტემბრის განცხადებაში დაფიქსირდა გარიგების მოშლისას სახლის არსებული მდგომარეობა, რის დასადასტურებლად განცხადებას დაერთო კასატორის მიერ გადაღებული მშენებლობის ნაკლის ამსახველი სადავო სახლის ფოტოსურათები. აღნიშნულ განცხადებაში მიეთითა, რომ სახლს საერთოდ არ ჰქონდა მეორე და მესამე სართულების კედლები, ხოლო არსებული კედლები არც შიგნიდან და არც გარედან შებათქაშებული არ იყო. მენარდემ პირველი და მეორე სართულების კედლები ააშენა უხარისხოდ, რის გამოც კასატორმა ისინი დაანგრია და ნაწილობრივ ხელახლა ააშენა. ამავე მიზეზით შეიცვალა სახლის სახურავიც. სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ შპს «...-2007-მა» სადავო სახლის მშენებლობისას არ დაიცვა მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ქ.ბათუმის მერიის 2006 წლის 11 ოქტომბრის '01-22/436 ბრძანებაში მითითებული ვალდებულება, კერძოდ, მე-16 მუხლის 5' მუხლის შესაბამისად, ქ.ბათუმის ზედამხედველობის ადგილობრივ სამსახურს უნდა დაედასტურებინა მშენებლობის გარკვეული ეტაპების შესასრულებელ საამშენებლო სამუშაოთა პროექტთან შესაბამისობა, რისი დარღვევაც, ამავე ბრძანების მე-3 პუნქტის თანახმად, შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენს. მოსარჩელეს საერთოდ არ გადაუხდია დღე, რომლის გადახდაც სასამართლომ ა.გ-ძეს დააკისრა. მენარდეს არ შეუდგენია და ხელმოსაწერად კასატორისათვის არ წარუდგენია უკვე შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტები, სადაც დაფიქსირებული იქნებოდა, როგორც მის მიერ ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების მოცულობა და ღირებულება, ისე ხარისხი. მენარდემ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შეასრულა არასრულად, მთელი რიგი ნაკლოვანებებითა და ხარვეზებით, რითაც ა.გ-ძეს მიადგა ზიანი და კასატორმა დამატებითი გაიღო ხარჯები როგორც, არსებული ნაკლოვანებების გამოსასწორებლად, ისე მშენებლობის დასასრულებლად. სახლი გადაიხურა ხელმეორედ. დამატებითმა ხარჯებმა სულ შეადგინა 25000 აშშ დოლარი. სწორედ ასეთი მოქმედების გამო სახლი დღემდე ბოლომდე აშენებული არ არის. პალატამ დაუსაბუთებლად ჩათვალა, რომ მენარდეს 74300 აშშ დოლარის ღირებულების სამუშაო უნდა შეესრულებინა და აქედან 65300 აშშ დოლარის ღირებულების სამუშაოები უნაკლოდ შეასრულა, რის დასადასტურებლადაც მიუთითა მხოლოდ ნარდობის ხელშეკრულებაზე. გაუგებარია, სადავო ვალდებულება სასამართლომ 74300 აშშ დოლარის ღირებულების მქონედ რატომ მიიჩნია, ვინაიდან 2006 წლის 1 ნოემბრის ნარდობის ხელშეკრულებაში სამუშაოთა ღირებულებად 65400 აშშ დოლარი არის მითითებული. ასეთ შემთხვევაში, მოსარჩელის მიერ აღიარებული 9000 აშშ დოლარის ღირებულების სამუშაოთა ა.გ-ძის მიერ შესრულებისა და გადახდილი 48500 აშშ დოლარის გათვალისწინებით, გადასახდელი თანხა იქნებოდა არა უმეტეს 7900 აშშ დოლარისა. თუკი სასამართლოს ზე-

მოხსენებული მოსაზრება ეფუძნება მოსარჩელის ახსნა-განმარტებას დამკვეთთან შეთანხმებით დამატებით აივანებისა და საძირკვლის ამალეების სამუშაოების შესრულების შესახებ, მაშინ იგი ვალდებული იყო, მიეთითებინა აღნიშნულის დამადასტურებელ მტკიცებულებაზე, რაც არ მომხდარა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინებების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ა. გ-ძის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინებები უნდა დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო დაუსაბუთებლად მიიჩნევს კასატორის მოთხოვნას ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 1 ივლისის განჩინების გაუქმების თაობაზე, რომლითაც ა. გ-ძის წარმომადგენლის – მ. ა-ძის შენიშვნები ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 11 მაისის, 2 და 16 ივნისის სხდომის ოქმებზე დაუშვებლად იქნა მიჩნეული და დარჩა განუხილველი. კასატორმა საკასაციო საჩივრით მოითხოვა რა აღნიშნული განჩინების გაუქმება, არც საკასაციო და არც დაზუსტებული საკასაციო საჩივრით გაუქმების რაიმე საფუძველზე არ მიუთითებია. საკასაციო სასამართლომ შეამოწმა დასახელებული განჩინების კანონიერება და თვლის, რომ სააპელაციო პალატამ სავსებით სწორად გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 289-ე მუხლის მესამე ნაწილი და 291-ე მუხლის პირველი ნაწილი, რის საფუძველზეც ჩათვალა, რომ, სხდომის ოქმის გასაჩივრების სამდღიანი საპროცესო ვადის გასვლის გამო, სხდომის ოქმზე შენიშვნები დაუშვებელია და იგი განუხილველი უნდა დარჩეს.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატამ სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, კერძოდ:

უდავოა, რომ მხარეთა შორის წარმოიშვა ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობა, რომლის ძალითაც მენარდე – შპს «...-2007» ვალდებული იყო, შეესრულებინა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო – აეშენებინა საცხოვრებელი სახლის კარკასი კედლების ბლოკებით შევსების გზით, გადაეხურა სახლი და ბათქაშით შეეღესა კედლები, ხოლო შემკვეთს – ა. გ-ძეს სანაცვლოდ უნდა გადაეხადა შეთანხმებული საზღაური (სამოქალაქო კოდექსის 629-ე მუხლი). 2006 წლის 1 ნოემბრის ხელშეკრულებით მხარეები შეთანხმდნენ ანაზღაურების წესზე, რომლის თანახმად დამკვეთი შესრულებულ სამუშაოთა ღირებულებას გადაიხდიდა 200 აშშ დოლარს თითოეულ კვ.მ-ზე. ასევე დადგენილია, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების სრულად შესრულებამდე მხარეთა შორის ურთიერთობა შეწყდა შემკვეთის ინიციატივით იმ მოტივით, რომ შესრულებული სამუშაო ნივთობრივი ნაკლის მქონე იყო. მხარეთა შორის სადავოს არ წარმოადგენს ხელშეკრულების შეწყვეტისას ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების ხარვეზებით შესრულების ფაქტის არსებობა. სამოქალაქო კოდექსის 644-ე მუხლი უფლებას აძლევს შემკვეთს, 405-ე მუხლის მიხედვით უარი თქვას ხელშეკრულებაზე. ხელშეკრულების მოშლის შედეგად კი ამავე კოდექსის 352-ე მუხლი ითვალისწინებს ორმხრივ რესტიტუციას, ანუ მიღებული შესრულება და სარგებელი მხარეებს უბრუნდებათ.

მოცემულ შემთხვევაში უდავოა ის გარემოებაც, რომ მენარდე სამუშაოების ნაწილი შეასრულა, რაც მას აძლევს უფლებას, მოითხოვოს გასამრჯელოს ნაწილი, რომელიც შეესაბამება მის ადრინდელ მომსახურებას (სამოქალაქო კოდექსის 638-ე მუხლი). ამავდროულად, მენარდე ვალდებულია, აუნაზღაუროს შემკვეთს ხელშეკრულების მოშლის შედეგად გამოწვეული ხარჯები, რაშიც უპირველესად იგულისხმება მენარდის მიერ შესრულებული სამუშაოს ნაკლის გამო გაწეული ხარჯი. საკასაციო პრეტენზიას სწორედ შემკვეთის მიერ ნაკეთობის ნაკლის გამოსწორების გამო შესრულებული სამუშაოს ღირებულება წარმოადგენს, ანუ შემკვეთი უთითებს, რომ ნაკლის გამოსწორებისათვის გაწეული ხარჯი 25 000 აშშ დოლარია, ხოლო სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დაადგინა, რომ ა. გ-ძის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოთა შესრულების დასრულებისათვის 9 000 აშშ დოლარის ღირებულების სამუშაო იქნა შესრულებული.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებათა შეფასების შედეგად მიიჩნევს, რომ კასატორს წარმოდგენილი არა აქვს დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია, კერძოდ:

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მენარდე ხელშეკრულების შესაბამისად შეასრულა 371,5 კვ.მ სამუშაოს მოცულობა, რომლის ღირებულება ხელშეკრულებითვე თითოეული კვადრატული მეტრისათვის 200 აშშ დოლარია. შემკვეთს გადახდილი აქვს 48 500 აშშ დოლარი. სასამართლომ დაადგინა, რომ შემკვეთის მიერ უხარისხოდ შესრულებული სამუშაოს გამოსწორებისთვის და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოთა დასრულებისათვის დახარჯულ იქნა 9 000 აშშ დოლარი. სასამართლოს ეს დასკვნა ეყრდნობა მოსარჩელე მხარის – შპს «...-2007-ის» მიერ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლის თანახმად, ამ ოდენობის სამუშაოთა ჩატარების აღიარებას. ა.გ-ძე სადავოდ ხდის რა ამ გარემოებას, უთითებს, რომ მის მი-

ერ უზარისხოდ შესრულებული სამუშაოს გამოსწორებისთვის და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოთა დასრულებისათვის შესრულებულია 25 000 აშშ დოლარის სამუშაო, თუმცა არც სააპელაციო და არც საკასაციო საჩივარში ამ გარემოების დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება არ წარმოუდგენია.

სასამართლოს ეს გადაწყვეტილება ემყარება საქმეზე ჩატარებულ ექსპერტიზის დასკვნას, რომელიც კასატორს სადავოდ არ გაუხდია და არც მისი საწინააღმდეგო მტკიცებულება არ წარმოუდგენია. უფრო მეტიც საქმის მასალებით დადასტურებულია ის გარემოება, რომ კასატორს ექსპერტიზის დასკვნა სადავოდ არ გაუხდია და 2009 წლის 21 იანვრის სასამართლო სხდომაზე ექსპერტის დასკვნაში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები სამუშაოების შესრულებასთან მიმართებით დაადასტურა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი, თითოეული მხარე ვალდებულია, დაამტკიცოს გარემოებები, რომელზედაც იგი ამყარებს თავის სასარჩელო მოთხოვნას. მოცემულ დავაზე კასატორს შესაგებელში მითითებული ფაქტობრივი გარემოება – ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოთა დასრულებისათვის 25 000 აშშ დოლარის სამუშაოს შესრულების თაობაზე კანონით დადგენილი წესით არ დაუდასტურებია და, შესაბამისად, მისი მოთხოვნა გასაჩივრებული განჩინების გაუქმების თაობაზე დაუსაბუთებელია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

ა. გ-მის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 16 ივნისისა და 1 ივლისის განჩინებები დარჩეს უცვლელად.
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ნარდობის ხელშეკრულება

განჩინება

1ას-1014-1286-09 3 თებერვალი, 2010 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების გამო პირგასამტეხლოს დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

შპს «თ. მ-მ» სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს «მ-ს» მიმართ, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის გამო, პირგასამტეხლოს – 2899,60 ლარის დაკისრების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: 2007 წლის 10 ივლისს მოსარჩელესა და შპს „მ-ს“ შორის გაფორმდა 10300\21\129 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, რომლის თანახმად მოპასუხე ვალდებული იყო, დადგენილ ვადაში შეესრულებინა მოსარჩელის რამდენიმე ობიექტის სარემონტო სამუშაოები. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების სრული ღირებულება შეადგენდა 114120,99 ლარს. მხარეთა შეთანხმებით განისაზღვრა, რომ სამუშაოს შესრულების ვადის დარღვევის შემთხვევაში შპს „მ.“ მოსარჩელეს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდიდა დაგვიანებით შესრულებული სამუშაოს ღირებულების 0,1%-ს. მოპასუხემ სახელშეკრულებო ვალდებულებები დაარღვია და შპს „თ. მ-ს“ სხვადასხვა ობიექტებზე სარემონტო-სამშენებლო სამუშაოები შეასრულა დაგვიანებით, რის გამოც მოპასუხეს უნდა დაეკისროს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო 2899,61 ლარის ოდენობით.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: შპს «მ-მ» მოსარჩელის მიმართ სახელშეკრულებო ვალდებულებები სრულად და ხარისხიანად შეასრულა. სახელშეკრულებო ვადები დარღვეულად არ შეიძლება ჩაითვალოს, ვინაიდან მოპასუხემ, ობიექტური მიზეზების არსებობის გამო, სამუშაოთა წარმოება დაიწყო 2007 წლის 24 ივლისიდან, ხოლო 2007 წლის 20 აგვისტოს წერილით მიმართა შპს „თ. მ-ს“ შესასრულებელ სამუშაოთა ახალი ვადებისა და გრაფიკის დაწესების შესახებ, მოცემულ შეთავაზებაზე მოსარჩელეს უარი არ განუცხადებია, რაც ახალ პირობებზე შპს „თ. მ-ს“ თანხმობას გულისხმობს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 6 მარტის გადაწყვეტილებით შპს «თ. მ-ს» სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, შპს «მ-ს» მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 1226,92 ლარის გადახდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში – შპს «თ. მ-მ», ხოლო სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში შპს «მ-მ» გაასაჩივრა სააპელაციო წესით. სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მსხვილ გამამხდელთა საგადასახადო ინსპექციის 2009 წლის 29 ივნისის ბრძანებით შპს «თ. მ-ს» შეეცვალა სახელწოდება და ეწოდა შპს «თ. კ-ა».

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილებით შპს «თ. კ-ის» სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, შპს «მ-ს» სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და შპს «თ. კ-ის» სარჩელი არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 2007 წლის 10 ივლისს შპს „თ. მ-სა“ და შპს „მ-ს“ შორის დაიდო ხელშეკრულება ფორმა 12-ით და 13-ით გათვალისწინებული სარემონტო სამუშაოების შესრულების თაობაზე. ხელშეკრულების მე-15 პუნქტით, მისი მოქმედების ვადა განისაზღვრა 2007 წლის 31 დეკემბრამდე, ხოლო 4.1 პუნქტის თანახმად, შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელებულიყო ფორმა 13-ში მითითებულ ვადებში. საქმეში წარმოდგენილი შპს „მ-ს“ მიერ შედგენილი ფორმა 13-ით განსაზღვრულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების ადგილი და პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მოცემული სამუშაოები უნდა შესრულებულიყო. ცალკეული სამუშაოების შესრულებისათვის გათვალისწინებული იყო დღეთა სხვადასხვა რაოდენობა (6, 117, 22 დღე და ა.შ), თუმცა მასში სამუშაოების შესრულების კონკრეტული თარიღი მითითებული არ არის. ხელშეკრულების 7.4 პუნქტით, ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმებულიყო ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩათვლებოდა ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად. საქმეში წარმოდგენილი, შპს „მ-ს“ მიერ შპს „თ. მ-სათვის“ გაგზავნილი სამუშაოების წარმოების ვადებისა და გრაფიკის შესაბამისად, შპს „მ-ს“ ხელმძღვანელობამ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე განსაზღვრა მის მიერ შესასრულებელი სამუშაოების ვადები, კერძოდ: გაერთიანებული სახელოსნოების ადმინისტრაციული შენობის ბრტყელი გადახურვის მოწყობა დადგინდა 24 ივლისიდან 22 აგვისტომდე (22 დღე); გაერთიანებული სახელოსნოების მთავარი საამქროს ბრტყელი გადახურვის მოწყობა – 20 აგვისტოდან 24 აგვისტომდე (5 დღე); გაერთიანებული სახელოსნოების საძირკვლების კაპიტალური შეკეთება – 24 ივლისიდან 22 აგვისტომდე (22 დღე); ცენტრალური საწყობის გადახურვის შეკეთება – 3 სექტემბრიდან 24 სექტემბრამდე (18 დღე); დეპო ნაძალადევის აწვეითი საამქროს სახურავის შეკეთება – 3 სექტემბრიდან 26 სექტემბრამდე (18 დღე); დეპო გლდანის სანკვანძების კაპიტალური შეკეთება – 10 ივლისიდან 24 დეკემბრამდე (117 დღე). აღნიშნულ გრაფიკებში გათვალისწინებულია მითითებულ პერიოდში მხოლოდ სამუშაო დღეების რაოდენობა. შპს „თ. მ-ს“ გრაფიკი ჩაჰზარდა 2007 წლის 20 აგვისტოს და მასში ასახული ვადების საწინააღმდეგო პოზიცია ამ უკანასკნელს მიმწოდებლის მიმართ არ გამოუხატავს. ამდენად, პალატამ დადგინილად მიიჩნია, რომ მხარეები შეთანხმდნენ აღნიშნულ წერილში მითითებულ ვადებში კონკრეტულ სამუშაოთა შესრულებაზე. სასამართლომ არ გაიზიარა შპს «თ. მ-ს» (შპს „თ. კ-ის“) არგუმენტი, რომ მიმწოდებლის მიერ გაგზავნილი გრაფიკით შეიცვალა ხელშეკრულების პირობები, რაც, ხელშეკრულების 7.4 პუნქტის შესაბამისად, უნდა გაფორმებულიყო წერილობით ხელშეკრულების დანართის სახით. გრაფიკით ხელშეკრულების პირობების, კერძოდ, ხელშეკრულების მე-15 პუნქტით განსაზღვრული მოქმედების ვადა არ შეცვლილა, არამედ განისაზღვრა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ცალკეული სამუშაოების შესრულების პერიოდები, შესაბამისად, აღნიშნული არ საჭიროებდა დანართის სახით წერილობით გაფორმებას. სასამართლოს მითითებით, საქმეში წარმოდგენილი შპს „თ. მ-სათვის“ გაგზავნილი გრაფიკის შესაბამისად, სამუშაოთა მიღება-ჩაბარების აქტების შედგენის თარიღი ზუსტად ემთხვევა შპს „მ-ს“ მიერ მითითებულ თარიღებს, ხოლო შინაარსიდან ნათლად იკვეთება, რომ არანაირი პრეტენზია შესრულებული სამუშაოების ხარისხისა და ვადების მიმართ შემსყიდველს არ გამოუხატავს. ამდენად, შპს „მ-ს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადა არ დაურღვევია და შესაბამისად, შპს „მ-ს“ სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება არ ჩაუდენია.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება შპს «თ. კ-მ» გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება შემდეგი საფუძველებით: სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთება დააფუძნა იმ გარემოებას, რომ შპს „მ-მ“ წარადგინა 2007 წლის 20 აგვისტოს სამუშაოთა შესრულების გრაფიკი, რომლის საწინააღმდეგო პოზიცია კასატორს არ გამოუხატავს და ეს ვადები სასამართლომ მხარეთა შორის შეთანხმებულად მიიჩნია. სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის საფუძველად სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა 2007 წლის 20 აგვისტოთი (ხელშეკრულების გაფორმებიდან 40 დღის შემდეგ) დათარიღებული წერილი, მამინ, როდესაც ზოგიერთი სამუშაო ამ დროისათვის უკვე უნდა დასრულებულიყო. ამ მოსაზრებას ადასტურებს ხელშეკრულების მე-15 მუხლი, რომლის თანახმად, ხელშეკრულება ძალაში შევიდა მხარეთა მიერ მისი ხელის მოწერის დღიდან, შესაბამისად, სამუშაოთა შესრულებაც ამ დროიდან უნდა დაწყებულიყო. თუკი ვალდებულების შესრულება ხელშეკრულების მოქმედების ბოლომდე ნებისმიერ დროს იყო შესაძლებელი, შპს „მ.“ სატენდერო განაცხადთან ერთად სამუშაოთა შეს-

რულების გრაფიკს არ წარადგენდა. დაუსაბუთებელია მსჯელობა, რომ ზემოაღნიშნული წერილით ხელშეკრულების პირობები არ შეცვლილა, ვინაიდან ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს სწორედ დანართის სახით წარდგენილი გრაფიკები შეადგენს და მათში ცვლილების შეტანა მხარეთა შეთანხმებით წერილობითი სახით უნდა გაფორმებულიყო. პალატამ არ გაითვალისწინა, რომ შპს „მ-მ“ 2007 წლის 20 აგვისტოს წერილში მითითებული ვადები დაარღვია, კერძოდ, შპს „მ-ს“ გაერთიანებული სახელოსნოების სამირკვლის კაპიტალური შეკეთება უნდა დაესრულებინა 22 აგვისტოს, მაგრამ, საქმეში წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების აქტის თანახმად, ეს სამუშაო დასრულდა 24 აგვისტოს. ასევე, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით, ცენტრალური საწყობის გადახურვის შეკეთება, 24 სექტემბრის ნაცვლად, 26 სექტემბერს დასრულდა. სასამართლოს არ გამოურკვევია, შპს „მ-ს“ მიერ წარმოდგენილ გრაფიკში მითითებული სამუშაო დღეებში, რატომ იგულისხმებოდა მხოლოდ სამუშაო და არა კალენდარული დღეები. ამასთან, საქმეში წარმოდგენილია 2007 წლის 4 და 19 აგვისტოს სამუშაოების აქტები, რაც არასამუშაო დღეებს – შაბათ-კვირას ემთხვევა. კასატორი სტრატეგიული დანიშნულების საწარმოა. მისი ობიექტები კვირის განმავლობაში, დასვენების დღეების გარეშე, 24-საათიანი გრაფიკით მუშაობენ. ამდენად, სამუშაოთა შესრულების გრაფიკში იგულისხმებოდა არა მხოლოდ სამუშაო, არამედ კალენდარული დღეებიც და შპს „მ-ს“ სამუშაოებს არასამუშაო დღეებშიც აწარმოებდა. სააპელაციო სასამართლომ ყურადღება არ გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ 2007 წლის 10 ივლისის ხელშეკრულება ხელმოწერილია, ერთი მხრივ, შპს „თ. მ-ს“ (შპს „თ. კ-ის“) შესყიდვების სამსახურის უფროსის მიერ, რომელსაც აღნიშნული უფლებამოსილება დელეგირებული ჰქონდა გენერალური დირექტორის ბრძანებით, ხოლო, მეორე მხრივ, შპს „მ-ს“ გენერალური დირექტორის მიერ. ზემოხსენებული წერილი კი შპს „მ-ს“ ტექნიკურმა დირექტორმა, როგორც არაუფლებამოსილმა პირმა, გაუზავა შპს „თ. მ-ს“ ტექნიკურ დირექტორს, ასევე არაუფლებამოსილ პირს. მოცემულ წერილზე ვერც ზეპირი და ვერც წერილობითი პასუხი ვერ გაიცემოდა, რადგან მისი არსებობის შესახებ უფლებამოსილ პირთათვის ცნობილი არ ყოფილა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საფუძველს მოკლებულია სასამართლოს დასკვნა, რომ შპს „მ-ს“ 2007 წლის 20 აგვისტოს წერილში მოცემული გრაფიკი მხარეთა შორის შეთანხმებული იყო. აღნიშნულთან დაკავშირებით პალატას არ შეუფასებია მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულების 7.1 პუნქტი, რომლითაც ცვლილება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორების გარდა, ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება.

სააპელაციო სასამართლომ დადგინა ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 2007 წლის 10 ივლისს შპს „თ. მ-სა“ და შპს „მ-ს“ შორის დაიდო ხელშეკრულება ფორმა 12-ით და 13-ით გათვალისწინებული სარემონტო სამუშაოების შესრულების თაობაზე. ხელშეკრულების მე-15 პუნქტით, მისი მოქმედების ვადა განისაზღვრა 2007 წლის 31 დეკემბრამდე, ხოლო 4.1 პუნქტის თანახმად, შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელებულიყო ფორმა 13-ში მითითებულ ვადებში. საქმეში წარმოდგენილი შპს „მ-ს“ მიერ შედგენილი ფორმა 13-ით ცალკეული სამუშაოების შესრულებისათვის გათვალისწინებული იყო დღეთა სხვადასხვა რაოდენობა (6, 117, 22 დღე და ა.შ.). ხელშეკრულების 7.4 პუნქტით, ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმებულიყო ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლებოდა ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად. საქმეში წარმოდგენილი, შპს „მ-ს“ მიერ შპს „თ. მ-სათვის“ გაგზავნილი სამუშაოების წარმოების ვადებისა და გრაფიკის შესაბამისად განისაზღვრა შესასრულებელი სამუშაოების ვადები, კერძოდ: გაერთიანებული სახელოსნოების ადმინისტრაციული შენობის ბრტყელი გადახურვის მოწყობა დადგინდა 24 ივლისიდან 22 აგვისტომდე (22 დღე); გაერთიანებული სახელოსნოების მთავარი საამქროს ბრტყელი გადახურვის მოწყობა – 20 აგვისტოდან 24 აგვისტომდე (5 დღე); გაერთიანებული სახელოსნოების სამირკვლის კაპიტალური შეკეთება – 24 ივლისიდან 22 აგვისტომდე (22 დღე); ცენტრალური საწყობის გადახურვის შეკეთება – 3 სექტემბრიდან 24 სექტემბრამდე (18 დღე); დეპო ნაძალადევის აწევითი საამქროს სახურავის შეკეთება – 3 სექტემბრიდან 26 სექტემბრამდე (18 დღე); დეპო გლდანის სანკვანძების კაპიტალური შეკეთება – 10 ივლისიდან 24 დეკემბრამდე (117 დღე). შპს „თ. მ-ს“ გრაფიკი ჩაჰბარდა 2007 წლის 20 აგვისტოს და მასში ასახული ვადების საწინააღმდეგო პოზიცია ამ უკანასკნელს მიმწოდებლის მიმართ არ გამოუხატავს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს «თ. კ-ის» საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა» და «ბ» ქვეპუნქტების თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევა არ მომხდარა და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ზემოხსენებული ნორმით გათვალისწინებული საფუძვლები მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატამ სამართლებრივად სწორად შეაფასა დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ, სასამართლომ საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე

დაადგინა, რომ შპს «მ-ს» სადავო ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების ვადები არ დაურღვევია, რაც გამორიცხავს მის სამოქალაქო-სამართლებრივ პასუხისმგებლობას. ამ დასკვნის საწინააღმდეგოდ კასატორის საკასაციო საჩივრით წარმოდგენილი არგუმენტებს საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს მათი დაუსაბუთებლობის გამო, კერძოდ:

მხარეთა შორის 2007 წლის 10 ივლისს დადებული ხელშეკრულების მე-15 პუნქტით განისაზღვრა ხელშეკრულების მოქმედების ვადა – ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2007 წლის 31 დეკემბრამდე. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა სხვადასხვა ობიექტების სარემონტო სამუშაოების შესრულება, რომლისთვისაც ამავე ხელშეკრულებით განისაზღვრა შესრულების ვადა და ხელშეკრულების მე-4 მუხლში მიეთითა, რომ შესყიდვის ობიექტის მიწოდება ხორციელდება ფორმა 13-ში მითითებულ ვადებში. აღნიშნულ ფორმაში შეთანხმებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულება კონკრეტული დღეების განმავლობაში (მაგალითად: 16 დღე, 117 დღე, 18 დღე, 5 დღე და ა.შ.). კონკრეტული სამუშაოების დაწყების და დამთავრების ზუსტი თარიღი ხელშეკრულებით განსაზღვრული არ არის. ამავდროულად, ამავე ხელშეკრულების 3.1 პუნქტით განისაზღვრა, რომ შესრულებული სამუშაო ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, ხოლო 10.3 პუნქტით განისაზღვრა სამუშაოს შესრულების ვადის დარღვევისათვის პირგასამტეხლოს გადახდა.

ზემოთ მითითებული გარემოებებიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ მხარეთა შორის წარმოიშვა ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა, რომლის ძალითაც შპს «მ-მ» – მენარდემ იკისრა, შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო შემკვეთი – შპს «თ. კ-ა» სანაცვლოდ ვალდებულია, გადაუხადოს შეთანხმებული საზღაური (სამოქალაქო კოდექსის 629-ე მუხლის პირველი ნაწილი). ხელშეკრულებით ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად გათვალისწინებულ იქნა მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალება – პირგასამტეხლო, რომელიც გამოყენებული იქნებოდა მენარდის მიერ სამუშაოს შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში.

სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. ვალდებულების შესრულების ვადის დადგომა წარმოშობს კრედიტორის უფლებას, მოითხოვოს შესრულება. სახელშეკრულებო ურთიერთობებში ხელშეკრულების შესრულების ვადა დადგენილია ხელშეკრულებით ან გამომდინარეობს ვალდებულებითი ურთიერთობის არსიდან. ვადაზე მხარეთა შეთანხმება ხელშეკრულების არსებითი პირობაა და ამ პირობის დამრღვევი – ვადის გადამცილებელი მხარე ითვლება ხელშეკრულების დამრღვევად.

სამოქალაქო კოდექსის მე-400 მუხლით, მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებად ითვლება, თუ: ა) შესრულებისათვის დადგენილ დროში ვალდებულება არ შესრულდება; ბ) შესრულების ვადის დადგომიდან კრედიტორის მიერ გაფრთხილების შემდეგაც იგი არ ასრულებს ვალდებულებას. ამდენად, მითითებული ნორმის თანახმად, მოვალის ვადის დამრღვევად მიჩნევისათვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს შესრულებისათვის დადგენილი ვადის დადგომა. შესაბამისად, კრედიტორის მოთხოვნის კანონიერებასთან მიმართებით ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შემოწმდეს, დამდგარია თუ არა ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულების ვადა და შესრულებულია თუ არა იგი.

მოცემულ შემთხვევაში მხარეები შეთანხმდნენ ხელშეკრულების არსებით პირობებზე, მათ შორის, სამუშაოთა შესრულების ხანგრძლივობაზე. შესასრულებელი სამუშაოთა სპეციფიკიდან გამომდინარე, თითოეული სამუშაოს შესრულებისათვის განისაზღვრა რა დღეების სხვადასხვა ოდენობა, როგორც ზემოთ აღინიშნა, ამა თუ იმ სამუშაოს შესრულების დაწყებისა და დამთავრების კონკრეტული თარიღი არ დადგენილა. ასეთ შემთხვევაში, ხელშეკრულების შინაარსიდან გამომდინარე, სამუშაოები უნდა შესრულებულიყო ხელშეკრულების მოქმედების ვადაში – არა უგვიანეს 2007 წლის 31 დეკემბრამდე. თუმცა მოცემულ შემთხვევაში შპს «მ-მ» ხელშეკრულების დადების შემდეგ მხარეს წერილობით შეატყობინა ხელშეკრულებით განსაზღვრული თითოეული სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების თარიღის შესახებ, რაც არ სცილდებოდა 2007 წლის 31 დეკემბერს და, ამავდროულად, გათვალისწინებული იყო ხელშეკრულებით დადგენილი სამუშაოთა შესრულების ხანგრძლივობა (დღეების რაოდენობა). მიიღო რა მენარდის შემოთავაზება სამუშაოთა შესრულების დაწყებისა და დამთავრების ზუსტ თარიღზე, შემკვეთს მასზე პრეტენზია არ განუცხადებია. ამასთან, საგულისხმოა, რომ კასატორმა ხელშეკრულების მხარის მიერ შეთავაზებულ ვადაში შესრულებული სამუშაო მიიღო შეთანხმებული წესით – მიღება-ჩაბარების აქტებით (ხელშეკრულების მე-4 მუხლი).

სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლის თანახმად, პირგასამტეხლო – მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა – მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის. დავაზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები ნათლად ადასტურებს, რომ მოვალეს ვალდებულების შესრულების ვადა არ გადაუცილებია, რაც გამორიცხავს კასატორის მოთხოვნის კანონიერებას მხარის სამოქალაქო-სამართლებრივ პასუხისმგებლობაზე.

უსაფუძვლოა კასატორის არგუმენტი, რომ შპს «მ-ს» მიერ გაგზავნილ წერილს სამუშაოთა კონკრეტულ ვადებში შესრულების თაობაზე იურიდიული ძალა არ უნდა მიენიჭოს, ვინაიდან აღნიშნული წერილით ხელშეკრულებით დადგენილი ვადებისაგან განსხვავებული ვადები დადგინდა, რითაც შეიცვალა ხელშეკ-

რულების პირობა და იგი უფლებამოსილი პირების თანხმობას საჭიროებდა. ამასთან, მითითებული წერილი გადაეცათ არაუფლებამოსილ პირებს.

საქმეში წარმოდგენილი ზემოხსენებული წერილით დასტურდება და მხარეც არ უარყოფს, რომ იგი კასატორ ორგანიზაციას ჩაბარებული აქვს. წერილზე გაკეთებული აღნიშვნებით, იგი რეაგირებისათვის გადაეცათ პირებს, რომლებიც მხარეთა შორის არსებულ ხელშეკრულებაში მოხსენიებული არიან როგორც ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლის განმახორციელებელი პირები. ამდენად, შპს «მ-ს» წინადადება სამუშაოს შესრულების კონკრეტულ ვადებზე მხარეს სათანადო წესით ეცნობა, ხოლო უფლებამოსილი პირებისათვის მისი გადაუცემლობა კომპანიის ორგანიზაციული საქმიანობის მოუწესრიგებლობაზე მეტყველებს და არა მოვალის ბრალეულობაზე. საკასაციო სასამართლო ხაზგასმით განმარტავს, რომ მოცემული წერილით ხელშეკრულების პირობა არ შეცვლილა, ვინაიდან ხელშეკრულებით მხარეები შეთანხმდნენ ხელშეკრულების მოქმედების ვადაში თითოეული სამუშაოს შესრულების ხანგრძლივობასა (დღეების ოდენობაზე) და არა ზუსტ ვადებზე, ხოლო მოგვიანებით წერილით განისაზღვრა შეთანხმებული ცალკეული სამუშაოების დაწყებისა და დამთავრების თარიღი. ამავდროულად, მითითებული წერილის ხელშეკრულების ახალ პირობად მიჩნევის შემთხვევაშიც მოვალე მაინც არ ჩაითვლებოდა ვალდებულების დამრღვევად, რადგან სამართლებრივად წერილში გამოხატული ნება უნდა შეფასებულიყო როგორც ოფერტი, რომელზედაც, სამოქალაქო კოდექსის 330-ე-331-ე მუხლების თანახმად, კასატორის მიერ გაცხადებულია აქცეპტი, რაც დასტურდება იმით, რომ მას წერილით შემოთავაზებული წინადადებაზე გონივრულ ვადაში უარი არ განუცხადებია და, უფრო მეტიც, ამ ვადებში შესრულებული სამუშაოები უპრეტენზიოდ მიიღო.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

შპს «თ. კ-ის» საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად.
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ნარდობის ხელშეკრულების მოშლა

განჩინება

1ას-87-82-2010

8 ივნისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურება, თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 21 ოქტომბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მიმართა შპს «ნ. კ-მა» მოპასუხე შპს «ს. რ-ის» მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა: 1. მოპასუხისათვის 12 294.86 ლარის დაკისრება, რომელშიც შედიოდა: ზიანის თანხა მიუღებელი შემოსავლის სახით 7 514.62 ლარი; გადაუხდელი დღგ-ს თანხა 4 780.24 ლარი; 2. ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების გამო 12 294.86 ლარზე შპს «ს. რ-ისათვის» ყოველთვიურად 2.5%-ის დაკისრება 2008 წლის 1 ნოემბრიდან.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2007 წელს გაიმარჯვა შპს «ს. რ-ის» მიერ გამოცხადებულ ტენდერებში. აღნიშნულის შედეგად მასა და შპს «ს. რ-ის» შორის დაიდო 1შს/07-287 ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მოსარჩელეს ერთი წლის განმავლობაში უნდა ჩაეტარებინა 693707 კვ.მ ფართობის დეზინფექცია. წლის განმავლობაში მოსარჩელე სრულად ამუშავებდა რკინიგზის მიერ მიწოდებულ ფართობებს, რკინიგზა კი ყოველთვიურად აკლებდა დასამუშავებლად მისაწოდებელ ფართს. რკინიგზამ მოსარჩელეს სულ დასამუშავებლად მიაწოდა 605946 კვ.მ, მიუწოდებელი დარჩა 87761 კვ.მ, რომლის დამუშავების ღირებულება დღგ-ის გარეშე შეადგენს 7898,49 ლარს, ხოლო დღგ-ის ჩათვლით – 9320,22 ლარს. აღნიშნული ფართის დამუშავების ხარჯი შეადგენს 88 ლიტრი პრეპარატ სოკრენას ღირებულებას – 1689,6 ლარს და წყლის ღირებულებას 116

ლარის ოდენობით, ანუ რკინიგზის მიერ ვალდებულების დარღვევის შედეგად მოსარჩელემ ვერ მიიღო მოგება **7514,62** ლარის ოდენობით (**9320,22-116-1689,6=7514,62**). ხელშეკრულების პირობებთან შედარებით ნაკლები ფართის მოსარჩელის მიერ დაუმუშავებლობა გამოწვეულია მხოლოდ რკინიგზის მიერ ფართის მიუწოდებლობით.

მოსარჩელემ ასევე აღნიშნა, რომ მან საგადასახადო კოდექსის შესაბამისად ბიუჯეტში გადაიხადა დღგ – **4780,24** ლარი, რომელიც, თავის მხრივ, ჩაითვალა რკინიგზამ. დღგ-ის აღნიშნული თანხა რკინიგზას მოსარჩელისათვის არ გადაუხდია.

სარჩელის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძველად მოსარჩელემ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის **394-ე, 411-ე, 403-ე** მუხლებზე, საგადასახადო კოდექსის **247-ე** მუხლზე.

მოპასუხე შპს «ს. რ-მ» სარჩელი არ ცნო და შესაგებელში განმარტა, რომ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად რკინიგზის ერთადერთ მოვალეობას წარმოადგენდა გაწეული მომსახურების ღირებულების სრული და დროული ანაზღაურება, ანუ მოსარჩელესთან დროული ანგარიშსწორება. სხვა რაიმე ვალდებულება, ხელშეკრულებიდან გამომდინარე, რკინიგზას არ ეკისრებოდა. რკინიგზა ანგარიშსწორებას ახორციელებდა დათქმულ ვადაში, ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისად. რაც შეეხებოდა ხელშეკრულებაში მითითებული დასასუფთავებელი ფართის ოდენობას, აღნიშნული წარმოადგენდა დაუზუსტებელ ფართს. რკინიგზამ მოსარჩელეს დასასუფთავებლად გამოუყო ის ფართი, რაც რეალურად საჭიროებდა დასუფთავებას. ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების **6.3** პუნქტიც სწორედ ამიტომ ითვალისწინებდა მოსარჩელესთან ანგარიშსწორებას შესრულებული სამუშაოს შესაბამისად, ხოლო შესრულებული სამუშაო რკინიგზამ დროულად და კეთილსინდისიერად აანაზღაურა.

რაც შეეხებოდა დღგ-ის სადავო თანხას, შპს «ს. რ-მ» მოსარჩელის მიერ მითითებული ანგარიშ-ფაქტურებით ვერ მოახერხა დღგ-ის ჩათვლა, რადგან საგადასახადო კოდექსის **248-ე** მუხლის **1-ელი** ნაწილის მოთხოვნათა დარღვევით შპს «ნ. კ-ის» მიერ აღნიშნული ანგარიშ-ფაქტურები წარდგენილი იყო დაგვიანებით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის **2009** წლის **6** მაისის გადაწყვეტილებით შპს «ნ. კ-ის» სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – შპს «ს. რ-ს» მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა **4 780.24** ლარის გადახდა, შპს «ნ. კ-ის» მოთხოვნა მოპასუხისათვის მიუღებელი შემოსავლის – **7 514.60** ლარისა და კანონისმიერი პროცენტის დაკისრების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქმეზე დადგენილ შემდეგ უდავო ფაქტობრივ გარემოებებზე:

2007 წლის **15** ივნისს შპს «ს. რ-სა» და შპს «ნ. კ-ს» შორის დაიდო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ **შს/07-287**, რომლის თანახმად, მოსარჩელემ ვალდებულება იკისრა, შპს «ს. რ-ს» სასარგებლოდ განეხორციელებინა სამგზავრო ვაგზლების, სადგურების, სამგზავრო ვაგონების, ელექტრომატარებლების და მათი ტულეტების დეზინფექცია;

ხელშეკრულების საერთო ღირებულება დღგ-ს გარეშე შეადგენდა **97 433.63** ლარს;

დღგ-ის თანხა – **4780,24** ლარი შედიოდა მხარეთა მიერ შეთანხმებულ მომსახურების ფასში;

შპს «ს. რ-მ» ზემოაღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში შპს «ნ. კ-ს» დასასუფთავებლად სულ მიაწოდა **605 946 მ²**, ნაცვლად სატენდერო წინადადებით გათვალისწინებული **693 707 მ²-ისა**, ანუ არ იქნა მიწოდებული **87 761 მ²**;

შპს «ს. რ-მ» დასახელებული ხელშეკრულების ფარგლებში შპს «ნ. კ-ს» აუნაზღაურა ფაქტობრივად მიწოდებული ფართის დასუფთავების საფასური დამატებითი ღირებულების გადასახადის – **4 780.24** ლარის გამოკლებით **54 535.14** ლარი.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა: სამოქალაქო კოდექსის **629-ე** მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, ნარდობის ხელშეკრულებით მენარდე კისრულობს შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო შემკვეთი ვალდებულია, გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური; საგადასახადო კოდექსის მე-**12** მუხლის მე-**14** ნაწილზე, რომლის შესაბამისად, დღგ არის გადასახადი, რომელიც დგინდება მიწოდებული საქონლის ან/და გაწეული მომსახურების ფასზე დანამატის სახით და რომელსაც იხდის მომხმარებელი ამ გადასახადით გაზრდილი ფასით საქონლის ან/და მომსახურების შეძენისას. კანონის აღნიშნული ნორმების შინაარსიდან გამომდინარე, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ შპს «ს. რ-ა» ვალდებული იყო, სრულად აენაზღაურებინა გაწეული მომსახურების ღირებულება, რამდენადაც დღგ-ს თანხა შედიოდა მხარეთა მიერ შეთანხმებულ მომსახურების ფასში.

რაც შეეხებოდა ზიანის სახით მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების მოთხოვნას, საქალაქო სასამართლომ ამ ნაწილში სარჩელის დაუკმაყოფილებლობა შემდეგნაირად დაასაბუთა:

სამოქალაქო კოდექსის **394-ე** მუხლის მიხედვით, მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. ამავე კოდექსის **636-ე** მუხლის თანახმად, შემკვეთს უფლება აქვს, სამუშაოს დასრულებამდე ნებისმიერ დროს თქვას უარი ხელშეკრულებაზე, მაგრამ მან უნდა აუნაზღაუროს მენარდეს შესრულებული სამუშაო და ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი. იმის გათვალისწინებით, რომ სამოქალაქო კოდექსის **636-ე** მუხლის საფუძველზე შპს «ს. რ-ს» უფლება ჰქონდა, უარი ეთქვა შეთანხმებული მოცულობის სამუშაოს შესრულებაზე და აენაზღაურებინა მხოლოდ ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს მოცულობა, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხეს **394-ე** მუხლით გათვალისწინებულ მართლსაწინააღმდეგო ქმედება არ ჩაუდენია. მოსარჩელეს ხელ-

შეკრულების მოშლით არ განუცდია რაიმე ზიანი. სამოქალაქო კოდექსის 636-ე მუხლის შინაარსი გულისხმობს მენარდისათვის ხელშეკრულების მოშლით მიყენებული რეალური ზიანის – ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისის და არა იმ მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურებას, რასაც მენარდე შემკვეთის სრული მოცულობის შესრულების მიღების შედეგად ვარაუდობდა.

პროცენტის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში სარჩელის დაუკმაყოფილებლობის სამართლებრივ საფუძვლად საქალაქო სასამართლო მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლზე, რომლის თანახმად, მოვალე, რომელიც თანხის გადახდის ვადის გადაცილებას, ვალდებულია, გადაცილებული დროისათვის გადაიხადოს მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული პროცენტი. იმის გამო, რომ მხარეები 2007 წლის 15 ივნისის 1შ/07-287 ხელშეკრულებით თანხის გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში პროცენტზე არ შეთანხმებულან, საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, მოსარჩელეს არ წარმოშობია უფლება, გაწეული მომსახურების (დღგ-ს) თანხაზე მოეთხოვა პროცენტი.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაუკმაყოფილებელ ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს «ნ. კ-მა», რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა შპს «ს. რ-ც», რომელმაც მოითხოვა სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში ამ გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 7 დეკემბრის განჩინებით შპს «ნ. კ-სა» და შპს «ს. რ-ის» სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 6 მაისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, აგრეთვე, მათი სამართლებრივი შეფასება.

სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია შპს «ნ. კ-ის» სააპელაციო საჩივრის პრეტენზია გადაწყვეტილების იმ ნაწილზე, რომლითაც მას უარი ეთქვა მიუღებელი შემოსავლისა და პროცენტის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, შპს «ნ. კ-ი» მიიჩნევდა, რომ შპს «ს. რ-მ» დაარღვია ხელშეკრულების პირობები და აღძრული სარჩელით მოითხოვდა შპს «ს. რ-ის» იმ მიუღებელი შემოსავლის დაკისრებას, რომელსაც იგი მიიღებდა იმ შემთხვევაში, თუკი სრული მოცულობით შეასრულებდა ხელშეკრულებით განსაზღვრულ სამუშაოს. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ამასთან დაკავშირებით საქალაქო სასამართლომ სწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 636-ე მუხლის შინაარსი და სწორად მიიჩნია, რომ იგი შეეხებოდა მენარდისათვის ხელშეკრულების მოშლით მიყენებული რეალური ზიანის – ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისის (სამუშაოს შესასრულებლად, ან მოსამზადებლად უკვე გაწეული ხარჯები და სხვა) და არა იმ მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურებას, რომლის მიღებასაც მენარდე შემკვეთის სრული მოცულობით შესრულების შედეგად ვარაუდობდა.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, საქალაქო სასამართლომ ასევე სწორად არ დააკმაყოფილა შპს «ნ. კ-ის» სარჩელი ფულადი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისათვის პროცენტის დაკისრების ნაწილში. სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლის მოთხოვნიდან გამომდინარე, ფულადი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისათვის პროცენტის გადახდა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შეთანხმების არსებობისას. იმის გამო, რომ მხარეთა შორის გაფორმებული 2007 წლის 15 ივნისის 1შ/07-287 ხელშეკრულებით გათვალისწინებული არ არის შპს «ს. რ-ის» ვალდებულება თანხის გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში პროცენტის ანაზღაურებაზე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელეს არ წარმოემოზოდა პროცენტის მოთხოვნის უფლება გაწეული მომსახურების იმ თანხაზე, რაც შპს «ს. რ-მ» გამოაკლო დამატებითი ღირებულების გადასახადის სახით.

სააპელაციო სასამართლომ შპს «ს. რ-ის» საპელაციო საჩივრის უსაფუძვლობის დასასაბუთებლად მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 629.1 მუხლსა და საგადასახადო კოდექსის მე-12 მუხლის მე-14 ნაწილზე, რომელთა თანახმად, ნარდობის ხელშეკრულებით მენარდე კისრულობს შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო შემკვეთი ვალდებულია გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური; დღგ არის გადასახადი, რომელიც დგინდება მიწოდებული საქონლის ან/და გაწეული მომსახურების ფასზე დანამატის სახით და რომელსაც იხდის მომხმარებელი ამ გადასახადით გაზრდილი ფასით საქონლის ან/და მომსახურების შეძენისას. რამდენადაც დღგ-ს თანხა (4 780.24 ლარი) შედიოდა მხარეთა მიერ შეთანხმებულ მომსახურების ფასში, სააპელაციო სასამართლომ საფუძვლიანად მიიჩნია, რომ ზემოთ დასახელებული ნორმის თანახმად, მოპასუხე ვალდებული იყო, სრულად აენაზღაურებინა გაწეული მომსახურების ღირებულება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება მიუღებელი შემოსავლის მოთხოვნაზე უარის თქმის ნაწილში საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს «ნ. კ-მა», რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება შპს «ს. რ-სათვის» მის სასარგებლოდ მიუღებელი შემოსავლის სახით 7 514.62 ლარის დაკისრების შესახებ.

შპს «ნ. კ-ი» საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ შპს «ს. რ-ის» მიერ მის მიმართ ნაკისრი ვალდებულების დარღვევა გამოიხატა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფართის მიუწოდებლობაში, რის შედეგადაც კასატორმა ვერ მიიღო მოგება 7514,60 ლარის ოდენობით. საქმეში არსებული მასალები უტყუარად ადასტურებს, რომ შპს «ს. რ-ს» უარი არ უთქვამს ხელშეკრულებაზე, არ შეუწყვეტია ვადაზე ადრე და არ მოუშლია იგი სამოქალაქო კოდექსის 363-ე მუხლის შესაბამისად, რაც სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, არამედ დამთავრდა ხელშეკრულების მოქმედების ვადა. აღნიშნულზე მიუთითებს შედარების აქტი, 2007 წლის 1^{შს/07-287} ცნობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების ჩატარების შესახებ, კასატორის წერილების რკინიგზის ხელმძღვანელობის სახელზე, საქმეში არსებული მიღება-ჩაბარების აქტები, დღგ-ის ანგარიშ-ფაქტურები, საბანკო ანგარიშიდან ამონაწერები. საქმეში არ არის წარმოდგენილი რაიმე მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა რკინიგზის მიერ ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის ფაქტს.

კასატორი აღნიშნავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის თანახმად, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება. სადავო შემთხვევაში ეს არის ხელშეკრულება 1287, რომლითაც მხარეებმა იკისრეს ვალდებულება 693707 კვმ ფართის მიწოდებასა და დამუშავებაზე.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 629-ე და 636-ე მუხლები და ჩათვალა, რომ ხელშეკრულება მოიშალა, არ უმსჯელია 317-ე, 327-ე, 361-ე, 394-ე, 404-ე, 411-ე, 412-ე მუხლების გამოყენებაზე, რომლებიც ადასტურებს კასატორის უფლებას ზიანის ანაზღაურებაზე რკინიგზის მიმართ, მის მიერ აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო.

სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 7 დეკემბრის განჩინება საკასაციო წესით აგრეთვე გაასაჩივრა შპს «ს. რ-მ» სარჩელის დაკმაყოფილებულ ნაწილში, მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სააპელაციო სასამართლოში საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება.

კასატორი შპს «ს. რ-ა» აღნიშნავს, რომ არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს დღგ-ის თანხის – 4780,24 ლარის დაკისრების თაობაზე, რადგან შპს «ნ. კ-მა» საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნები დაარღვია. საგადასახადო კოდექსის 248-ე მუხლის თანახმად, დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პირი ვალდებულია, საქონლის/მომსახურების მიღების მოთხოვნისას, გარდა ამ კოდექსის 238-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებში აღნიშნული მიწოდებისა, მოთხოვნიდან არაუგვიანეს მეორე დღისა გამოწეროს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა და წარუდგინოს იგი მიმღებს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა მიმღები გადასახადის გადამხდელი. მხარეთა შორის დადებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 2007 წლის 15 ივნისის ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების თანახმად, მხარეები შეთანხმდნენ, რომ გაწეული მომსახურების ანგარიშწორებასათვის მიმწოდებელი ვალდებული იყო, რკინიგზისათვის წარედგინა ანგარიშ-ფაქტურა. განსახილველ შემთხვევაში მხარემ დაარღვია საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის რკინიგზისათვის დროულად წარდგენის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება. მხარეების მიერ შეთანხმებულ სახელშეკრულებო ფასში, საგადასახადო კოდექსის 12-ე მუხლის მე-14 ნაწილის შესაბამისად, გათვალისწინებული იყო დღგ-ის სადავო თანხაც – 4780,24 ლარი.

კასატორი მიუთითებს, რომ მომსახურების ღირებულებაში გადახდილი დღგ-ის თანხა მომსახურების მყიდველს შეუძლია, ჩაითვალოს მომავალ გადასახადებში. სადავო შემთხვევაში რკინიგზას რომ აენაზღაურებინა მხარისათვის დღგ-ის თანხა, რკინიგზა 248-ე მუხლის უხეში დარღვევით გამოწერილ ანგარიშ-ფაქტურაზე ვერ მიიღებდა დღგ-ის ჩათვლას, რაც სამართლებრივად არის შპს «ნ. კ-ის» მიზეზით გამოწვეული ზიანი. სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, ანაზღაურებას ექვემდებარება როგორც ფაქტობრივად დამდგარი ზიანი, ისე – მიუღებელი შემოსავალი, ხოლო 412-ე მუხლის თანახმად, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს.

კასატორი აღნიშნავს, რომ დღგ-ის ანგარიშ-ფაქტურის 148-ე მუხლის დარღვევით გამოწერის შემთხვევაში რკინიგზა ვერ მიიღებდა დღგ-ის თანხის ჩათვლას, რაც შპს «ნ. კ-სათვის», როგორც გადასახადის გადამხდელისათვის, წინასწარ უნდა ყოფილიყო ცნობილი. ამდენად, რკინიგზა სამოქალაქო კოდექსის 411-ე-412-ე მუხლების საფუძველზე უფლებამოსილი იყო, შპს «ნ. კ-სათვის» გამოექვითა მისი მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული მოქმედებით – ანგარიშ-ფაქტურის დაგვიანებით გამოწერა-წარდგენით რკინიგზისათვის მიყენებული ზიანი – დღგ-ის ჩათვლელი თანხა. აღნიშნული სასამართლომ უსაფუძვლოდ არ გაიზიარა და რკინიგზას უკანონოდ დაარიცხა დღგ-ის თანხის ანაზღაურება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრების სასამართლო განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ შპს «ს. რ-ის» საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო შპს «ნ. კ-ის» საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე დადგენილია:

2007 წლის 15 ივნისს შპს «ს. რ-სა» და შპს «ნ. კ-ს» შორის დაიდო სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 1^{შს/07-287} ხელშეკრულება, რომლის თანახმად მოსარჩელემ ვალდებულება იკისრა, შპს «ს. რ-ს» სასარგებლოდ განეხორციელებინა სამგზავრო ვაგზლების, სადგურების, სამგზავრო ვაგონების, ელექტრომატარებლების და მათი ტუალეტების დეზინფექცია;

ხელშეკრულების საერთო ღირებულება დღგ-ს გარეშე შეადგენდა **97 433.63** ლარს; დღგ-ის თანხა – **4780,24** ლარი შედიოდა მხარეთა მიერ შეთანხმებულ მომსახურების ფასში; შპს «ს. რ-მ» ზემოაღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში შპს «ნ. კ-ს» დასასუფთავებლად სულ მიაწოდა **605 946** მ², ნაცვლად სატენდერო წინადადებით გათვალისწინებული **693 707** მ²-სა, ანუ არ იქნა მიწოდებული **87 761** მ²;

შპს «ს. რ-მ» დასახელებული ხელშეკრულების ფარგლებში შპს «ნ. კ-ს» აუნაზღაურა ფაქტობრივად მიწოდებული ფართის დასუფთავების საფასური დამატებითი ღირებულების გადასახადის – **4 780.24** ლარის – გამოკლებით **54 535.14** ლარი.

მოცემულ შემთხვევაში კასატორ შპს «ნ. კ-ს» სააპელაციო სასამართლოს განჩინება გასაჩივრებული აქვს მხოლოდ მიუღებელი შემოსავლის – **7514,62** ლარის მოთხოვნაზე უარის თქმის ნაწილში.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის **636**-ე მუხლი. აღნიშნული ნორმა შეეხება ნარდობის ხელშეკრულების მოშლის საკითხს და ადგენს, რომ შემკვეთს უფლება აქვს, სამუშაოს დასრულებამდე ნებისმიერ დროს უარი თქვას ხელშეკრულებაზე, მაგრამ მან უნდა აუნაზღაუროს მენარდეს შესრულებული სამუშაო და ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოცემულ ნორმაში მითითებულ «ზიანში» იგულისხმება მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისი და არა მიუღებელი შემოსავალი. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს ნორმის ამგვარად განმარტების საფუძველი. სამოქალაქო კოდექსის **411**-ე მუხლის შესაბამისად, ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისთვის, არამედ – მიუღებელი შემოსავლისთვისაც. **636**-ე მუხლიდან არ გამომდინარეობს, რომ იგი ნარდობის ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების საკითხს სხვაგვარად არეგულირებს და მიუღებელი შემოსავლის მოთხოვნის უფლებას მხარეს არ ანიჭებს.

საკასაციო სასამართლო ასევე მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინება დაუსაბუთებელია იმ თვალსაზრისითაც, საერთოდ უნდა შეეფარდოს თუ არა სადავო სამართლებრივ ურთიერთობას სამოქალაქო კოდექსის **636**-ე მუხლი ნარდობის ხელშეკრულების მოშლის შესახებ. აღნიშნული ნორმის გამოყენების საფუძველი არსებობს იმ შემთხვევაში, თუკი საქმეზე დგინდება მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების მოშლის ფაქტობრივი გარემოება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების დადგენის თვალსაზრისით სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დაუსაბუთებელია. სააპელაციო სასამართლო არ უთითებს, თუ საქმეში არსებული რომელი მტკიცებულების საფუძველზე გამომდინარეობს დასკვნა მხარეთა შორის ხელშეკრულების მოშლის ფაქტის დადასტურებულად მიჩნევის შესახებ. მხოლოდ ის გარემოება, რომ შპს «ს. რ-მ» მოსარჩელეს დასასუფთავებლად მიაწოდა ხელშეკრულებით შეთანხმებულზე ნაკლები ფართი, არ ნიშნავს შპს «ს. რ-ს» მიერ ხელშეკრულების მოშლას, აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ არ არის დაცული სამოქალაქო კოდექსის **361**-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ხელშეკრულების ჯეროვანი შესრულების ვალდებულება. საყურადღებოა, რომ მოსარჩელე სადავოდ ხდის შპს «ს. რ-ს» მიერ სწორედ ხელშეკრულების ჯეროვანი შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის (მიუღებელი შემოსავლის) ანაზღაურებას და არა ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. მოსარჩელე აღნიშნავს, რომ ხელშეკრულებით დათქმულ ვადაში ხელშეკრულება არ მოშლილა, მხარეთა შორის სახელშეკრულებო ურთიერთობა შეწყდა ხელშეკრულების ვადის გასვლის შედეგად.

საქმის ხელახალი განხილვისას სააპელაციო სასამართლომ უნდა დაადგინოს, რა ვადით დაიდო მხარეთა შორის ხელშეკრულება, აღნიშნული ხელშეკრულება მოიშალა ვადადამდე თუ შეწყდა ვადის გასვლის გამო.

სააპელაციო სასამართლომ ასევე უნდა დაადგინოს, შპს «ს. რ-მ» შეასრულა თუ არა ხელშეკრულები ჯეროვნად და არსებობს თუ არა სამოქალაქო კოდექსის **411**-ე მუხლით გათვალისწინებული მიუღებელი შემოსავლის დაკისრების საფუძველი.

ამდენად, შპს «ნ. კ-ს» საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის **2009** წლის **7** დეკემბრის განჩინება უნდა გაუქმდეს შპს «ნ. კ-სათვის» მიუღებელი შემოსავლის მოთხოვნაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს.

რაც შეეხება შპს «ს. რ-ს» საკასაციო საჩივარს, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ იგი არ ექვემდებარება დაკმაყოფილებას. შპს «ს. რ-ა» სააპელაციო სასამართლოს განჩინებას ასაჩივრებს დღგ-ის თანხის დაკისრების ნაწილში. საგადასახადო კოდექსის მე-12 მუხლის მე-14 ნაწილის თანახმად, არაპირდაპირი გადასახადი (დღგ, აქციზი და სხვა) – ესაა გადასახადი, რომელიც დგინდება მიწოდებული საქონლის ან/და გაწეული მომსახურების ფასზე დანამატის სახით და რომელსაც იხდის მომხმარებელი ამ გადასახადით გაზრდილი ფასით საქონლის ან/და მომსახურების შეძენისას, არაპირდაპირი გადასახადის ბიუჯეტში გადახდის ვალდებულება ეკისრება საქონლის მიმწოდებელს ან/და მომსახურების გამწევს. იმ გარემოებას, რომ დღგ-ის სადავო თანხა შედიოდა მხარეთა მიერ შეთანხმებულ მომსახურების ფასში, შპს «ს. რ-ა» სადავოდ არ ხდის. ზემოაღნიშნული ნორმის შესაბამისად კი იგი ვალდებული იყო, სრულად აენაზღაურებინა გაწეული მომსახურების ღირებულება, ხოლო ის გარემოება, მიიღო თუ არა მან ჩათვლა, არ წარმოადგენს მოცემული დავის საგანს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე, 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

შპს «ს. რ-ს» საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
შპს «ნ. კ-ის» საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 7 დეკემბრის განჩინება შპს «ნ. კ-სათვის» მიუღებელი შემოსავლის მოთხოვნაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს;
დანარჩენ ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 7 დეკემბრის განჩინება დარჩეს უცვლელად;
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

13. საბანკო გარანტია

განჩინება

1ას-786-1073-09

27 სექტემბერი 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
თ. თოდრია

დავის საგანი; თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 29 ნოემბერს შპს «ს. რ-ს» წარმომადგენელმა თ. კ-ემ განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მოპასუხე სს „ს. ს. და ს. ჰ-ს“ მიმართ და მოითხოვა დავალიანების გადახდევინების თაობაზე გამარტივებული წესით ბრძანების გამოცემა და მოპასუხისათვის 1 405 000 ლარის დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 24 დეკემბრის გადახდის ბრძანებით განცხადება დაკმაყოფილდა.

სს „ს. ს. და ს. ჰ-ს“ შესაგებლის საფუძველზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 9 იანვრის განჩინებით გაუქმდა 2007 წლის 24 დეკემბრის გადახდის ბრძანება და საქმის განხილვა გაგრძელდა საერთო სასარჩელო წესით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილებით შპს „ს. რ-ს“ სარჩელი დაკმაყოფილდა; მოპასუხე სს „ს. ს. და ს. ჰ-ს“ შპს „ს. რ-ს“ სასარგებლოდ დაეკისრა 1 405 000 ლარის გადახდა.

სასამართლომ საქმეზე დადგინებულ ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2007 წლის 14 მაისს შპს „ს. რ-სა“ და სს „ე. ქ-ს“ შორის დაიდო ხელშეკრულება 1შს\07-216 რეფრეკტორული სექციის დიზელ-ვაგონის სამგზავრო ვაგონად, საექსპლუატაციო ვადის გაგრძელებით, მოდერნიზაციის მომსახურების შესყიდვაზე.

2007 წლის 11 აპრილს შპს „ს. რ-სა“ და სს „ე. ქ-ს“ შორის დაიდო 1შს\07-147 ხელშეკრულება სამგზავრო ვაგონების სადებო და საქარხნო შეკეთების მომსახურების შესყიდვაზე.

სს „ს. ს. და ს. ჰ-ს“ მიერ 2007 წლის 11 აპრილს შპს „ს. რ-სა“ და სს „ე. ქ-ს“ შორის გაფორმებული 1შს\07-147 ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად, 2007 წლის 11 აპრილს გაცემული იქნა საბანკო გარანტია FG 037\07 საერთო თანხაზე – 1 220 000 ლარზე.

სს „ს. ს. და ს. ჰ-ს“ მიერ 2007 წლის 11 აპრილს შპს „ს. რ-სა“ და სს „ე. ქ-ს“ შორის გაფორმებული 1შს\07-147 ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად 2007 წლის 11 აპრილს გაცემულ იქნა საბანკო გარანტია FG 037\07 საერთო თანხაზე – 175 000 ლარზე.

სს „ს. ს. და ს. ჰ-ს“ მიერ 2007 წლის 14 მაისს შპს „ს. რ-სა“ და სს „ე. ქ-ს“ შორის გაფორმებული 1შს\07-216 ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად 2007 წლის 14 მაისს გაცემული იქნა საბანკო გარანტია FG 051\07 საერთო თანხაზე – 10 000 ლარზე.

სს „ს. ს. და ს. ჰ-ს« მიერ 2007 წლის 14 მაისს შპს გაცემული საბანკო გარანტია FG 051\07 გარანტიის მოქმედების ვადა გაიზარდა 2007 წლის 1 ოქტომბრამდე.

შპს „ს. რ-მ« გარანტიით განსაზღვრული ვადის დამთავრებამდე 2007 წლის 21 სექტემბერს 'გ-7579 წერილით მოითხოვა გარანტ „ს. ს. და ს. ჰ-ს« აენაზღაურებინა FG 037\07 გარანტიით გათვალისწინებული თანხაზე – 175 000 ლარზე.

შპს „ს. რ-მ« გარანტიით განსაზღვრული ვადის დამთავრებამდე 2007 წლის 16 ოქტომბერს 'გ-8240 წერილით მოითხოვა გარანტ „ს. ს. და ს. ჰ-ს« მიერ „ე. ქ-ს« შორის გაფორმებული 'შს\07-2156 ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად FG 051\07 საერთო თანხაზე – 10 000 ლარი.

სს „ს. ს. და ს. ჰ-ს« მიერ 2007 წლის 14 მაისს გაცემულ საბანკო გარანტია FG 051\07 გარანტიის მოქმედების ვადა გაიზარდა 2007 წლის 1 ოქტომბრამდე.

შპს „ს. რ-მ« გარანტიით განსაზღვრულ ვადის დამთავრებამდე 2007 წლის 21 სექტემბერს 'გ-7579 წერილით მოითხოვა გარანტ „ს. ს. და ს. ჰ-ს« აენაზღაურებინა FG 037\07 გარანტიით გათვალისწინებული თანხაზე – 175 000 ლარზე.

შპს „ს. რ-მ« გარანტიით განსაზღვრულ ვადის დამთავრებამდე 2007 წლის 21 სექტემბერს 'გ-7579 წერილით მოითხოვა გარანტ „ს. ს. და ს. ჰ-ს« აენაზღაურებინა FG 037\07 გარანტიით გათვალისწინებული თანხაზე – 175 000 ლარზე.

შპს „ს. რ-მ« გარანტიით განსაზღვრულ ვადის დამთავრებამდე 2007 წლის 16 ოქტომბერს სექტემბერს 'გ-8240 წერილით მოითხოვა გარანტ „ს. ს. და ს. ჰ-ს« აენაზღაურებინა FG 037\07 გარანტიით გათვალისწინებული თანხაზე – 1 220 000 ლარი.

შპს „ს. რ-მ« გარანტიით განსაზღვრულ ვადის დამთავრებამდე 2007 წლის 21 სექტემბერს 'გ-7580 წერილით მოითხოვა გარანტ „ს. ს. და ს. ჰ-ს« აენაზღაურებინა FG 051\07 გარანტიით გათვალისწინებული თანხაზე – 10 000 ლარზე.

2008 წლის 21 თებერვალს შპს „ს. რ-სა« და სს „ე. ქ-ს« შორის გაფორმებული იქნა 1001 შეთანხმება ვალის აღიარებისა და გადახდის შესახებ, რომლის საფუძველზე სს „ე. ქ-ს« აღიარა შპს „ს. რ-ს« სასარგებლოდ ფულადი დავალიანება 13 072 755 მილიონი ლარის ოდენობით. აღნიშნული დავალიანება გამომდინარეობდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებებით, მათ შორის 'შს\07-216, 'შს\07-147 ხელშეკრულებებით. 2008 წლის 29 აპრილს შპს „ს. რ-სა« და სს „ე. ქ-ს« შორის გაფორმებულ იქნა შეთანხმება 'სგდ\08-015.

შპს „ს. რ-სა« და სს „ე. ქ-ს« შორის 2008 წლის 21 თებერვალს ვალის აღიარებისა და გადახდის შესახებ 1001 შეთანხმების, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 17 მარტის კანონიერ ძალაში შესული გადახდის ბრძანების, შპს „ს. რ-სა« და სს „ე. ქ-ს« შორის 2008 წლის 29 აპრილს გაფორმებული 'სგდ\08-015 შეთანხმების საფუძველზე, სასამართლომ დადგინილად მიიჩნია, რომ, სს „ე. ქ-ს« მიერ დარღვეულ იქნა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნები, ვინაიდან მან არ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 879-ე მუხლის თანახმად, სასამართლომ ჩათვალა, რომ პრინციპალის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობა უტყუარად იყო დადასტურებული, რაც სამართლებრივად წარმოადგენდა შპს „ს. რ-სადმი« მოპასუხე სს „ს. ს. და ს. ჰ-ს« საგარანტიო ვალდებულების წარმოშობის და შესრულების საფუძველს.

სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის მსჯელობა სარჩელის არდაკმაყოფილების საფუძველების თაობაზე, რომ საბანკო გარანტიის მიხედვით მოპასუხის პასუხისმგებლობა ვრცელდება მხოლოდ შეუსრულებული ვალდებულების ფარგლებში.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 887-ე მუხლის თანახმად, გარანტს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია უარი განაცხადოს თანხის ანაზღაურებაზე, თუ ბენეფიციარის მოთხოვნა არ შეესაბამება გარანტიის პირობებს და წარდგენილია საგარანტიო ვადის დამთავრების შემდეგ. განსახილველ შემთხვევაში სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 887-ე მუხლით გათვალისწინებულ არც ერთ გარემოება არ არსებობდა.

სასამართლომ მიუთითა, რომ სს „ე. ქ-ს« და შპს „ს. რ-ს« შორის 2008 წლის 29 აპრილის შეთანხმებით, რომლითაც პრინციპალმა კვლავ დაადასტურა სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობა, სამართლებრივად არ იწვევდა შპს „ს. რ-სადმი« მოპასუხის საგარანტიო ვალდებულებების შეწყვეტას, რადგან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 881-ე მუხლის თანახმად, საბანკო გარანტიით გათვალისწინებული გარანტიის ვალდებულება ბენეფიციარის წინაშე არ იყო დამოკიდებული ძირითად ვალდებულებაზე, ხოლო ამავე კოდექსის 889-ე მუხლის 1-ელი ნაწილის „ა« ქვეპუნქტის თანახმად, „გარანტის ვალდებულება ბენეფიციარის მიმართ წყდება ბენეფიციარისათვის საგარანტიო თანხის გადახდით», რასაც სასამართლოს განმარტებით, განსახილველ შემთხვევაში ადგილი არ ქონია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სს „ს. ს. და ს. ჰ-ს«, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 18 ივნისის განჩინებით სს „ს. ს. და ს. ჰ-ს« უფლებამონაცვლე სს «ჯ. ჰ-ს» სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და ამ გარემოებების მიმართაგაკეთებული დასკვნები და სამართლებრივი შეფასებები და მიიჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ საქმე განიხილა არსებითი ხასიათის საპროცესო დარღვევების გარეშე.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ საბანკო გარანტიების ტექსტი შეთანხმებული იყო როგორც ბენეფიციართან, ასევე გარანტთან.

საქმეში არსებული 2007 წლის 14 მაისსა და 2007 წლის 11 აპრილს შპს „ს. რ-სა“ და სს „ე. ქ-ს“ შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 879-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლომ ჩათვალა, რომ განსახილველ შემთხვევაში, საგარანტიო თანხის ავტომატურად შემცირება პირდაპირ უკავშირდებოდა ხელშეკრულების პირობების შესრულებას, ხოლო ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში გარანტორი კისრულობდა საგარანტიო თანხის გადახდას.

საქმის მასალებით სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სს „ე. ქ-მ“ სახელშეკრულებო ვალდებულებები არ შეასრულა ჯეროვნად და დროულად, კერძოდ ნაცვლად შს/07-147 ხელშეკრულებით გათვალისწინებული 113 ვაგონის შეკეთებისა, 2007 წლის სექტემბრამდე დაგვიანებით შეაკეთა 69 ვაგონი, ხოლო შს/07-216 ხელშეკრულებით გათვალისწინებული 2 რეფრეჟერატორული ვაგონის შეკეთებისა, შეაკეთა მხოლოდ ერთი ვაგონი, დაგვიანებული დღეების რაოდენობამ შეადგინა 88 დღე.

პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ სს „ე. ქ-მ“ ვერ უზრუნველყო ხელშეკრულებების პირობების დაცვა, ვალდებულებები შეასრულა ნაწილობრივ, ხელშეკრულების პირობების დარღვევით, რაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის შესაბამისად უნდა შეფასებულიყო, ხელშეკრულების არაჯეროვან შესრულებად, შესაბამისად, პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ რადგან პრინციპალის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები საერთო ჯამში შესრულდა 65%-ით, ბენეფიციარს იმავე საბანკო გარანტიებიდან გამომდინარე დათქმის საფუძველზე მოთხოვნა უნდა წამოეყენებინა არა სრულად გარანტიით გათვალისწინებულ თანხაზე, არამედ მხოლოდ იმ ნაწილზე, რაც არ იქნა პრინციპალის მიერ შესრულებული.

პალატამ ასევე არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ რადგან შს/07-216 და შს/07-147 ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებები პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის სრულდებოდა და თანხებიც ერიცხებოდა პრინციპალს, სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში მოსარჩელე მიიღებს ორმაგ შესრულებას: ერთი მხრივ, პრინციპალი ასრულებს ბენეფიციარის წინაშე ნაკისრ ვალდებულებას და მეორე მხრივ – ბენეფიციარი დამატებით იღებს გარანტისაგან გარანტიით გათვალისწინებულ თანხას სრულად.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 881-ე მუხლის თანახმად, პალატამ აღნიშნა, რომ აღნიშნული ნორმის გათვალისწინებით, ბენეფიციარს ყოფველთვის შეუძლია მოსთხოვოს გარანტს გარანტიით ნაკისრი მოვალეობის შესრულება. გარანტის ვალდებულების შეწყვეტა კი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 889-ე მუხლის თანახმად, შეიძლება: ა) ბენეფიციარისათვის იმ თანხის გადახდით, დრომელზეც გაცა გარანტია, ბ) გარანტიაში განსაზღვრული იმ ვადის გასვლით, რომლითაც იგი გაცა და გ) ბენეფიციარის მიერ გარანტიიდან გამომდინარე თავის უფლებებზე უარის თქმისა და მათი გარანტისათვის დაბრუნებისას, რაც მოცემულ შემთხვევაში არ მომხდარა.

პალატამ აღნიშნა, რომ 2008 წლის 29 აპრილს 1სგდ/08-015 შეთანხმება იყო სს „ე. ქ-სა“ და სს „ს. რ-ს“ შორის დადებული ახალი ხელშეკრულება ვაგონების შეკეთების თაობაზე და წარმოადგენდა ზემოაღნიშნული საგარანტიო შეთანხმებებისაგან დამოუკიდებელ ხელშეკრულებას, რომლითაც მხარეებს შორის მიღწეულ იქნა შეთანხმების ახალი პირობები, ანაზღაურების ახალი წესი და ფინანსური გარანტიებიც.

აღნიშნულის გათვალისწინებით პალატამ მიიჩნია, რომ პრინციპალის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობა დადასტურებული იყო წერილობით, რაც სამართლებრივად წარმოადგენდა ბენეფიციარისადმი აპელანტის საგანტიო ვალდებულების წარმოშობის საფუძველს.

ამასთან, პალატა ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ შპს „ს. რ-მ“ საგარანტიო შეთანხმებით გათვალისწინებულ ვადაში, წერილობით მიმართა აპელანტს საგარანტიო თანხის ანაზღაურების მოთხოვნით საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 885-ე მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

პალატამ მიიჩნია, რომ აპელანტის მოსაზრება თითქოს შპს „ს. რ-ს“ მოთხოვნა არ შეესაბამებოდა გარანტის პირობებს უსაფუძვლო იყო, შესაბამისად, მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არსებულ ფაქტობრივ გარემოებებს მისცა სწორი სამართლებრივი შეფასება.

პალატამ ასევე არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 30 მაისის საოქმო განჩინების გაუქმების თაობაზე და აღნიშნა, რომ 2008 წლის 29 აპრილის შეთანხმებით უტყუარად დასტურდებოდა სს „ე. ქ-ს“ მიერ შს/07-147 და შს/07-216 ხელშეკრულებების პირობების დარღვევის ფაქტი, რაც სამოქალაქო კოდექსის 879-ე-880-ე მუხლების მიხედვით წარმოადგენდა „ს. რ-სადმი“ აპელანტის პასუხისმგებლობის წარმოშობის-საგარანტიო თანხის გადახდის საფუძველს. სასამართლომ სამოქალაქო კოდექსის 889-ე მუხლის შესაბამისად, არსებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით მართებულად მიიჩნია, რომ ბენეფიციარის მიმართ არ შეწყვეტილა გარანტის ვალდებულება და, შესაბამისად არ არსებობდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საქმის წარმოების შეწყვეტის სამართლებრივი საფუძველი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ სააპელაციო საჩივარი უსაფუძვლოდ მიიჩნია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 18 ივნისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სს «ჯ. ჰ-მ», მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორის განმარტებით, განჩინების მიღებისას სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა იგი. კერძოდ, ს. სამოქალაქო კოდექსის 361-ე, 880-ე, 881-ე, 885-ე, 879-ე, 887-ე და 889-ე მუხლები.

კასატორის აზრით, სასამართლომ განჩინების გამოტანისას ყურადღება არ მიაქცია საბანკო გარანტიებში აღნიშნული გარანტიის ერთ-ერთ მთავარ პირობას, იმას, რომ «საგარანტიო თანხა ავტომატურად შემცირდება პრინციპალის მიერ ხელშეკრულების შესრულების პროპორციულად», რადგან გარანტიაში ამ ჩანაწერს გადაწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა საქმის კანონიერად გადაწყვეტისათვის.

კასატორის მოსაზრებით, სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 881-ე მუხლი. ამასთან, არასწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 885-ე მუხლი, ვინაიდან მიიჩნია, რომ რ-ს წერილები შეესაბამებოდა ამ მუხლის მოთხოვნებს, მაშინ, როცა ეს წერილები შეიცავდა მხოლოდ ზოგად მითითებას ვალდებულების დარღვევაზე და არა პირდაპირ მითითებას ვალდებულების დარღვევასთან დაკავშირებით.

ამასთან, კასატორის განმარტებით, სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 887-ე მუხლის 1-ელი ნაწილი და, შესაბამისად, ყოველივე ზემოაღნიშნული გახდა საქმეზე არასწორი გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველი.

აღნიშნულიდან გამომდინარე კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, გაეცნო საკასაციო საჩივრის საფუძველებს და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2007 წლის 11 აპრილს შპს «ს. რ-სა და სს «ე. ქ-ს» შორის დაიდო ხელშეკრულება სამგზავრო ვაგონების სადგომო და საქარხნო შეკეთების მომსახურების შესყიდვაზე. მითითებული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველსაყოფად იმავე დღეს სს «ს. ს. და ს. ჰ-მა» გასცა საბანკო გარანტიები – FG 037/07 (1200000 ლარი) და FG 038/07 (175000 ლარი). აღნიშნული გარემოებები დადგენილია სააპელაციო სასამართლოს მიერ.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ზემოთ მითითებული მტკიცებულებები სასამართლოს შესწავლილი აქვს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის დარღვევით. აღნიშნული ნორმის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო მტკიცებულებას აფასებს შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას. მოცემულ შემთხვევაში კი მტკიცებულებები შეფასებულია ცალმხრივად და არასრულყოფილად. სააპელაციო პალატა ყურადღებას არ ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ერთი და იგივე ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად, ერთი და იგივე დღეს, ერთი და იმავე პირის მიერ გაცემულია ორი გარანტია. მათგან ერთ-ერთი მოხსენიებულია როგორც საავანსო გადახდის საგარანტიო, მეორე კი როგორც ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა. სასამართლომ მექანიკურად შეკრიბა საგარანტიო უზრუნველყოფით გათვალისწინებული თანხები და დააკისრა მოპასუხეს ისე, რომ არ გაურკვევია, თუ კონკრეტულად რომელი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფადაა გაცემული მითითებული გარანტიები ან რატომ გაიცა ეს გარანტიები დამოუკიდებელი სახით. ასევე, არ არის გარკვეული, თუ რამ განაპირობა ერთი ხელშეკრულების შესასრულებლად ორი გარანტიის გაცემა და რატომ არ გაიცა მთლიან თანხაზე ერთი საგარანტიო უზრუნველყოფა.

სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლის თანახმად, ნების გამოვლენის განმარტებისას ნება უნდა დადგინდეს გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტოდენ გამოთქმის სიტყვასიტყვითი აზრიდან. შეიძლება ითქვას, რომ საქმეში მითითებული გარიგებები სასამართლოს მტკიცებულებად გამოყენებული აქვს ყოველგვარი განსჯის გარეშე, რაც გადაწყვეტილების დასაბუთებას არასრულ ხასიათს აძლევს.

სამოქალაქო კოდექსის 879-ე მუხლის თანახმად, საბანკო გარანტიის ძალით სადაზღვევო ორგანიზაცია სხვა პირის (პრინციპალის) თხოვნით კისრულობს წერილობით ვალდებულებას, რომ ნაკისრი ვალდებულების შესაბამისად გადაუხდის პრინციპალის კრედიტორს (ბენეფიციარს) თანხას გადახდის შესახებ ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე. აღნიშნული ნორმის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც გაირკვევა, თუ რა ვალდებულება იკისრა გარანტმა ბენეფიციარის წინაშე და რა იგულისხმებოდა საავანსო, აგრეთვე, ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიაში და რომელი ვალდებულების დარღვევა წარმოადგენდა გარანტის ვალდებულების წარმოშობის საფუძველს.

ზემოთითებულ გარემოებათა გამო საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და საქმე ხელახალი განხილვისათვის უნდა დაუბრუნდეს იმავე პალატას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

სს «ჯ. ჰ-ს» საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.
გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 18 ივნისის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.
განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

14. ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულება

ამხანაგობის მონაწილეთა საერთო საკუთრება

განჩინება

1ას-569-877-09

11 მარტი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი,
თ. თოდრია

დავის საგანი: ამხანაგობა «მ-ის» სადამფუძნებლო ხელშეკრულების ბათილობა, ამხანაგობის 2003 წლის 6 აგვისტოს კრების 14 ოქმის და გადაწყვეტილების ბათილობა, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოში არსებული ჩანაწერის ბათილად ცნობა; საკუთრების უფლების აღდგენა, საცხოვრებელი კორპუსის დემონტაჟი, ზიანის ანაზღაურება.

აღწერილობითი ნაწილი:

2005 წლის 29 სექტემბერს ალ. ს-შვილმა სარჩელით მიმართა სასამართლოს მოპასუხეების – ნ. გ-შვილის, თ. გ-შვილის, ნ. გ-იას, შ. შ-შვილის, კ. ძ-შვილის, მ. გ-ავას, თ. ც-ძის, მ. წ-იას, ლ. კ-შვილის, ლ. ს-ძის, ზ. ბ-იძის, ა. ე-იას, თ. ტ-ძის, გ. მ-შვილის, ნ. კ-შვილის, ვ. ს-შვილის მიმართ ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობის მიერ უკანონოდ დარღვეული საკუთრების უფლების აღდგენის თაობაზე და აღნიშნა, რომ 1959 წლიდან ჩაწერილი იყო და ცხოვრობდა თბილისში, ... ქ.15-ში მდებარე სახლში. 1993 წლის 22 იანვარს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით მას სახელმწიფომ საკუთრებაში გადასცა ზემოაღნიშნულ საცხოვრებელ სახლში მის მიერ დაკავებული ოროთახიანი ბინა საერთო ფართით (53 კვ.მ). აღნიშნულ მისამართზე საცხოვრებელ ბინაზე მისი საკუთრების უფლებას ადასტურებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 22.04.2005 წლის წერილი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 9 ოქტომბრის განჩინებით, ალ. ს-შვილის უფლებამონაცვლედ დადგენილი იქნა ა. ს-შვილი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 9 ოქტომბრის საოქმო განჩინებით საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 275-ე მუხლის «ე» ქვეპუნქტის თანახმად მოსარჩელის მოთხოვნა საჯარო რეესტრის ჩანაწერის ბათილად ცნობის შესახებ დარჩა განუხილველად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 9 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ალ. ს-შვილის უფლებამონაცვლის – ა. ს-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გასაჩივრა ალ. ს-შვილის უფლებამონაცვლემ ა. ს-შვილმა და მოითხოვა მისი გაუქმება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 19 დეკემბრის განჩინებით არ დაკმაყოფილდა სააპელაციო საჩივარი უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

თბილისის მუნიციპალიტეტის 1995 წლის 10 აგვისტოს 11814.763 დადგენილებით ქ.თბილისში, ... ქ.15-ში მცხოვრები ოჯახების თხოვნის შესაბამისად მიღებული იქნა თბილისის მიწათსარგებლობის კომისიის წინადადება ... ქ.15-ში მცხოვრები ოჯახების ავარიული სახლის დანგრევის შედეგად გამოთავისუფლებული ტერიტორიის, ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობის საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად, მათზე დამაგრების შესახებ.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 1994 წლის 20 ნოემბრის 11082 განკარგულებითა და 1995 წლის 10 აგვისტოს 118.14.763 დადგენილებით, ... ქ.15-ში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლის დანგრევის სანაცვლოდ ავარიულ სახლში მცხოვრებ პირებს მიეცათ ახალი სახლის მშენებლობის უფლება.

ამ მიზნის განსახორციელებლად ამავე მისამართზე მცხოვრები მობინადრეების განცხადების საფუძველზე, თბილისის მერიის საქალაქო მმართველობის მთაწმინდის რაიონის გამგეობის 1996 წლის 21 აგვისტოს 170 გადაწყვეტილებით, დამტკიცდა საინიციატივო ჯგუფი ნ.გ-შვილის (თავმჯდომარე), ვ. ს-შვილის, ა. ს-შვილის, ს. ც-ძის შემადგენლობით. თბილისში, ... ქ.15-ში კვარტალი 14, ნაკვეთი 17\11, ფართობი – 1097 კვ.მ, საჯარო რეესტრში პირველადი რეგისტრაცია განხორციელდა ამხანაგობა „მ-ის« სახელზე. თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონის გამგეობის 2003 წლის 26 აგვისტოს 1212 §14 დადგენილების მიხედვით დამტკიცდა სახელმწიფო მიმღები კომისიის 2003 წლის 24 ივლისის 1177 აქტი ... ქ.15-ში ამხანაგობა „მ-ის« მიერ აშენებული მრავალფუნქციური შენობის ექსპლუატაციაში მიღების თაობაზე.

აღ. ს-შვილს 1993 წლის 22 იანვრის პრივატიზაციის ხელშეკრულებით საკუთრებაში გადაეცა მხოლოდ 32 კვ.მ საცხოვრებელი და საერთო 53 კვ.მ, სულ – 85 კვ.მ.

აღ. ს-შვილი წარმოადგენდა ამხანაგობისათვის შემდგომში გადაცემული მიწის ნაკვეთის მოსარგებლეს, ხოლო მის მესაკუთრეს, იმ პერიოდში მოქმედი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 93-ე მუხლის თანახმად წარმოადგენდა სახელმწიფო.

განსახილველ შემთხვევაში უდავოდ დადგენილია, რომ მხარეებს შორის არსებული ურთიერთობა თავისი არსით წარმოადგენდა ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულებას.

მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე თავისი სარჩელის დაკმაყოფილებას, კერძოდ ამხანაგობის კრების ოქმის, გადაწყვეტილების და სადამფუძნებლო ხელშეკრულების ბათილად ცნობას, 648.000 ლარის ოდენობით ზიანის ანაზღაურებას და ნაგებობის დემონტაჟს მოითხოვდა იმ გარემოებებზე მითითებით, რომ მას არ გამოუვლენია ნება ამხანაგობიდან გასვლის თაობაზე. შესაბამისად, იგი რჩებოდა ამხანაგობის წევრად. ამხანაგობას კი მის მიმართ ნაკისრი ვალდებულება სრულყოფილად გარემონტებული 216 კვ.მ ბინის გადაცემის თაობაზე არ შეუსრულებია.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მითითებული მე-3 მუხლის 1-ელი ნაწილითა და მე-4 მუხლის 1-ელი ნაწილით მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელეს ეკისრება იმ გარემოების მტკიცების ტვირთი, რომ ამხანაგობის 2003 წლის 6 აგვისტოს კრებას არ ესწრებოდა და არ გამოუვლენია ნება ამხანაგობიდან გასვლის თაობაზე. ამ გარემოების დადასტურების შემდეგ, მხარემ ასევე უნდა დაამტკიცოს რჩებოდა რა ამხანაგობის წევრად, მის მიმართ ამხანაგობას გააჩნდა კონკრეტული ვალდებულებები, რომელიც მოპასუხემ არ შეასრულა და შესაბამისად, მხარემ უნდა დაადასტუროს კონკრეტული ვალდებულების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის ოდენობა.

მხარემ ვერ დაადასტურა ის გარემოება, რომ აღ. ს-შვილს არ შეეძლო გადაადგილება. შესაბამისად, ვერ შეძლებდა ამხანაგობა „მ-ის« 2003 წლის 6 აგვისტოს კრებაზე მონაწილეობის მიღებას და, ამდენად, მას არ გამოუვლენია ამ კრებაზე ნება ამხანაგობიდან გასვლის თაობაზე.

პალატამ ასევე მიიჩნია, რომ მხარემ სასამართლოს ვერ წარუდგინა სარჩელში მითითებული გარემოების თაობაზე მტკიცებულება-ხელშეკრულება დადებული მოსარჩელეს და ამხანაგობას შორის, რომელიც დაადასტურებდა მხარეთა უფლება-მოვალეობებს, კერძოდ, რის სანაცვლოდ რა ფართობის ბინა უნდა გადასცემოდა მოსარჩელეს და როგორ მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო იგი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 19 დეკემბრის განჩინება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა ა. ს-შვილმა და მოითხოვა მისი გაუქმება.

ა. ს-შვილმა თავის საკასაციო საჩივარში მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტილების მიღებისას დაეყრდნო იმ მოსაზრებას, რომ სავარაუდოდ აღ. ს-შვილი (I ჯგუფის ინვალიდს) შეძლებდა კრებაზე მისვლას და ზეპირად განაცხადებდა თანხმობას ამხანაგობიდან გასვლაზე, მაგრამ არაფერია ნათქვამი, თუ რა სახით ან როდის დაიბრუნა აღ. ს-შვილმა თავისი შენატანი ამხანაგობაში, თუნდაც იგივე 53 კვ.მ, რომელსაც იგი ფლობდა არსებული შენობის დანგრევამდე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ა. ს-შვილმა მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 19 დეკემბრის განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, გაეცნო საკასაციო საჩივრის საფუძველებს და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

კასატორი სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველად უთითებს იმ გარემოებაზე, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებაში არაფერი არ არის ნათქვამი სარჩელის მთავარ მოთხოვნაზე – თუ რა სახით ან როდის დაიბრუნა აღ.ს-შვილმა თავისი შენატანი ამხანაგობაში, თუნდაც იგივე 53 მ², რომელსაც იგი ფლობდა არსებული შენობის დანგრევამდე.

სააპელაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ აღ. ს-შვილს 1993 წლის 22 იანვრის ხელშეკრულებით საკუთრებაში გადაეცა 32 კვ.მ. საცხოვრებელი და საერთო 53 კვ.მ., სულ 85 კვ.მ. სააპელაციო სასამართლო ასევე განმარტავს, რომ აღ. ს-შვილი წარმოადგენდა ამხანაგობის საკუთრებაში შემ-

დგომში გადაცემული მიწის ნაკვეთის მოსარგებლეს, ხოლო მის მესაკუთრეს, იმ პერიოდში მოქმედი საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 93-ე მუხლის თანახმად, წარმოადგენდა სახელმწიფო. ავარიული საცხოვრებელი სახლების დანგრევის და ახლის აშენების მიზნით თბილისის მერიის საქალაქო მმართველობის მთაწმინდის რაიონის გამგეობის 1996 წლის 21 აგვისტოს გადაწყვეტილებით დამტკიცდა საინიციატივო ჯგუფი, ხოლო მიწის ნაკვეთი, რომელზეც მდებარეობდა ალ.ს-შვილის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ბინა, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2003 წლის 18 ივნისის ამონაწერის თანახმად აღირიცხა ამხანაგობა „მ-ის« სახელზე.

სამოქალაქო კოდექსის 932-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს შენატანი წარმოადგენს მონაწილეთა საერთო საკუთრებას. მონაწილეთა საერთო საკუთრებას შეადგენს ისიც, რაც შეძენილია საერთო საკუთრებაში არსებული უფლების საფუძველზე, ანდა მიღებულია ანაზღაურების სახით საერთო ქონების განადგურების, დაზიანების ან ამოღების გამო. ალ. ს-შვილს, როგორც ამხანაგობის წევრს, სხვა ამხანაგობის წევრებთან ერთად გააჩნდა საკუთრების უფლება ამხანაგობის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე, მათ შორის, მიწის ნაკვეთზეც. ერთობლივ საქმიანობის ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში, სამოქალაქო კოდექსის 938-ე მუხლის საფუძველზე მას შეეძლო მოეთხოვა წილის კომპენსაცია. ნებისმიერი უფლების რეალზაცია კი დამოკიდებულია თვით მხარის ნებაზე. სწორედ მხარე განსაზღვრავს დავის საგანს და იღებს გადაწყვეტილებას სარჩელის შეტანის თაობაზე. აღნიშნული დებულება გამომდინარეობს სამოქალაქო პროცესის ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპიდან-დისპოზიციურობის პრინციპი. მხარეს კი წილის კომპენსაციის საკითხი სადავოდ არ გაუხდია. ამ მოთხოვნით სასამართლოში სარჩელი წარდგენილი არ ყოფილა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს არ შეუძლია მხარეს მიაკუთვნოს ის, რაც მას არ მოუთხოვია. ამდენად, პალატის მოსაზრებით, შეუძლებელია კასატორის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძველზე შეუძლებელია მიღებული იქნეს სხვა, სააპელაციო სასამართლოსგან განსხვავებული გადაწყვეტილება, რის გამოც იგი უცვლელად უნდა იქნეს დატოვებული.

მოცემულ საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 28 სექტემბრის განჩინებით, ა. ს-შვილს სახელმწიფო ბაჟის გადახდა გადაუვადდა საქმის საბოლოო განხილვამდე. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს მხარეთა ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით შეუძლია ერთ ან ორივე მხარეს გადაუვადოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდა ანდა შემციროს მათი ოდენობა, თუ მხარე წარუდგენს უტყუარ მტკიცებულებებს. მითითებული მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა ითვალისწინებს კასატორის ქონებრივ მდგომარეობას და მიაჩნია, რომ ა. ს-შვილს სახელმწიფო ბაჟის ოდენობა უნდა შეუმცირდეს 300 ლარამდე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

- ა. ს-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
- უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო პალატის 2009 წლის 19 დეკემბრის განჩინება.
- ა. ს-შვილს დაევალოს სახელმწიფო ბაჟის 300 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ბინის საკუთრებაში გადაცემა

განჩინება

1ას-316-298-2010

20 ივლისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ლ. ლაზარაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: ბინის საკუთრებაში გადაცემა

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მიმართეს ა. ბ-მემ და ნ. ფ-შვილმა მოპასუხეების – ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა «ა. დ-ის» თავმჯდომარე დ. ჯ-შვილისა და მ. ქ-ძის, მესამე პირის – შპს «ს-ის» მიმართ. მოსარჩელებმა მოითხოვეს:

ა) ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა «ა. დ-ის» 2008 წლის 14 ივლისის ხელშეკრულების პირველი მუხლის 1.3 პუნქტის ჩანაწერების ბათილად ცნობა, რომელთა თანახმად, მ. ქ-მემ და დ. ჯ-შვილმა იკისრეს ერთობლივ საქმიანობაში 141, 165-66 ბინების სანაცვლოდ შესაბამისად 4 896 ლარისა და 6 120 ლარის შეტანის ვალდებულება;

ბ) ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა «ა. დ-ის» წევრთა საერთო კრების 2008 წლის 5 სექტემბრის 14 ოქმის ბათილად ცნობა 141 და 165-66 ბინების მ. ქ-ძისა და დ. ჯ-შვილისათვის საკუთრებაში გადაცემის ნაწილში;

გ) ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა «ა. დ-ისათვის» ა. ბ-ძისა და ნ. ფ-შვილისათვის 141 და 165-66 ბინების საკუთრებაში გადაცემის დავალება შესაბამისი კომპენსაციის – 4 896 ლარისა და 6 120 ლარის გადახდის სანაცვლოდ.

სარჩელის საფუძვლები მდგომარეობდა შემდეგში:

ა. ბ-მე და ნ. ფ-შვილი წარმოადგენდნენ თბილისში, აეროპორტის დასახლების 148 კორპუსში მდებარე 141 და 165-66 ბინების მოსარგებლებს. შემდგომში აღნიშნული საერთო საცხოვრებელი გადაეცა შპს «ს-ას». 2008 წლის ზაფხულში მოსარჩელეთა მონაწილეობის გარეშე შეიქმნა ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა «ა. დ-ა» საერთო საცხოვრებელში არსებული ფართის გამოსყიდვის მიზნით. მოსარჩელებმა რამდენჯერმე მიმართეს ამხანაგობის თავმჯდომარე დ. ჯ-შვილს ამხანაგობაში გაწევრიანების მოთხოვნით, რათა მისცემოდათ მათ სარგებლობაში არსებული ბინების გამოსყიდვის საშუალება, თუმცა აღნიშნული მიმართვები უპასუხოდ იქნა დატოვებული. ამხანაგობის თავმჯდომარემ თავად მოახდინა სადავო ბინების გამოსყიდვა, რომლებიც ისევ მოსარჩელეთა სარგებლობაში იმყოფებოდა. ამხანაგობამ 2008 წლის 3 სექტემბერს საცხოვრებელი სახლი დაარეგისტრირა საჯარო რეესტრში, ხოლო 5 სექტემბერს ჩაატარა ამხანაგობის წევრთა კრება, სადაც მოსარჩელეთა კუთვნილი ბინები მოპასუხეებს (დ. ჯ-შვილს, მ. ქ-ძეს) გადაეცათ.

მოსარჩელები აღნიშნავდნენ, რომ ისინი მართლზომიერად ფლობდნენ სადავო ბინებს, იხდიდნენ კომუნალურ გადასახადებს და სწორედ მათ ჰქონდათ უფლება, გამოესყიდათ მათსავე კანონიერ მფლობელობაში არსებული ბინები, რაც ვერ განახორციელეს ამ ბინების მოპასუხეთა მიერ გამოსყიდვის გამო.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს და მისი უარყოფა შემდეგი არგუმენტებით დაასაბუთეს:

2008 წლის 14 ივლისს ჩამოყალიბდა ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა «ა. დ-ა». ამხანაგობის შექმნის მიზანს წარმოადგენდა საერთო საცხოვრებლის შესყიდვა. ამასთან, ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულება ძალაში იყო საქმიანობის მიზნის მიღწევამდე. 2008 წლის 27 აგვისტოს შპს «ს-ასთან» დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე ამხანაგობას საკუთრებაში გადაეცა, ხოლო შემდგომ საჯარო რეესტრში მის სახელზე აღირიცხა უძრავი ქონება – თბილისში, ... დასახლებაში მდებარე ყოფილი ოჯახური საერთო საცხოვრებელი შენობა-ნაგებობა 11. ამხანაგობის წევრთა საერთო კრების 2008 წლის 5 სექტემბრის 14 საოქმო გადაწყვეტილებით განხორციელდა ამხანაგობის წევრების, მათ შორის, დ. ჯ-შვილისა და მ. ქ-ძისათვის ბინების საკუთრებაში გადაცემა, კერძოდ, დ. ჯ-შვილს გადაეცა ბინა 165/66, ხოლო მ. ქ-ძეს – ბინა 141. შესაბამისად, ამხანაგობამ არსებობა შეწყვიტა, ვინაიდან მიაღწია მიზანს, კერძოდ, გადაანაწილა საკუთრებაში არსებული ყველა ბინა ამხანაგობის წევრებზე. აქედან გამომდინარე, მოპასუხეებმა მიიჩნიეს, რომ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში აღსრულება შეუძლებელი გახდებოდა.

მოპასუხეებმა ასევე აღნიშნეს, რომ საერთო საცხოვრებელში ფართობები ეძლეოდათ მუშებს, მოსამსახურეებს, სტუდენტებს და ა.შ. მათი მუშაობისა და სწავლის პერიოდისთვის. შესაბამისად, ორდერებიც გაიცემოდა ამ ვადით. ორდერის ქონა მის მფლობელს ავტომატურად არ წარმოუშობდა უძრავ ნივთზე საკუთრებას. ამასთან, მოსარჩელეთა ორდერები გაცემული იყო არაუფლებამოსილი ორგანოს მიერ, რომელიც უკვე გაუქმებული იყო ორდერის გაცემის მომენტისთვის. ამიტომ მოსარჩელეთა ორდერები წარმოადგენს არარა აქტებს, ხოლო მოსარჩელები ვერ მიიჩნევიან მართლზომიერ მფლობელებად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილებით ა. ბ-ძისა და ნ. ფ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა: ნაწილობრივ ბათილად იქნა ცნობილი 2008 წლის 14 ივლისის ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულება დ. ჯ-შვილისა და მ. ქ-ძის მიერ საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების მიზნით შენატანების: დ. ჯ-შვილის მიერ 165-66 ბინის სანაცვლოდ 6 120 ლარის, მ. ქ-ძის მიერ 141 ბინის სანაცვლოდ 4 896 ლარის შეტანის ვალდებულების ნაწილში; ბათილად იქნა ცნობილი ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა «ა. დ-ის» წევრთა 2008 წლის 5 სექტემბრის კრების ოქმი 14 დ. ჯ-შვილისა და მ. ქ-ძისათვის შესაბამისად 165-66 და 141 ბინების გადაცემის ნაწილში და დადგინდა მითითებული ბინების მოსარჩელეთათვის საკუთრებაში გადაცემა ა. ბ-ძის მიერ 141 ბინაზე 4 896 ლარის, ნ. ფ-შვილის მიერ 165-66 ბინაზე 6 120 ლარის გადახდის სანაცვლოდ.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქმეზე დადგენილ შემდეგ უდავო ფაქტობრივ გარემოებებზე:

თბილისის აეროპორტის ადმინისტრაციისა და პროფკომიტეტის 1993 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილების საფუძველზე ნ. ფ-შვილსა და მისი ოჯახის წევრებზე გაიცა ორდერი 1210 საერთო საცხოვრებლის

165-66 ოთახზე, ხოლო 1993 წლის 4 აგვისტოს ა. ბ-მეზე გაიცა ორდერი 1199 საერთო საცხოვრებლის 141 ოთახზე;

სალაროს შემოსავლების ორდერებით დგინდებოდა, რომ ნ. ფ-შვილი და ა. ბ-მე 2008 წლის მდგომარეობით უზღუდვით კომუნალურ გადასახადებს (ელექტროენერჯის გადასახადი, ბინის ქირა, სააბონენტო გადასახადები) შპს «ს-ას»;

2008 წლის 14 ივლისს გაფორმდა ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულება, რომლის მიზანს წარმოადგენდა აეროპორტის დასახლებაში შპს «ს-ის» საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, მათ შორის, საერთო საცხოვრებლის შენობა-ნაგებობის შესყიდვა ამხანაგობის მონაწილეთა ფართით დაკმაყოფილების მიზნით;

სადავოს არ წარმოადგენდა, რომ მოპასუხე დ. ჯ-შვილმა, როგორც ამხანაგობის მონაწილემ, იკისრა ერთობლივი საქმიანობაში 6 120 ლარის შეტანის ვალდებულება 165-66 ბინით დაკმაყოფილების მიზნით, ხოლო მოპასუხე მ. ქ-მემ – 4 896 ლარის შეტანის ვალდებულება 141 ბინით დაკმაყოფილების მიზნით;

ასევე სადავო არ იყო, რომ ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა «ა. დ-ამ» მონაწილეობა მიიღო და გაიმარჯვა 2008 წლის 19 აგვისტოს შპს «ს-ის» მიერ თბილისში, აეროპორტის დასახლებაში 869 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე მდგომი შენობა-ნაგებობების რეალიზების მიზნით ჩატარებულ აუქციონში;

2008 წლის 27 აგვისტოს ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა «ა. დ-ასა» და შპს «ს-ას» შორის გაფორმდა ხელშეკრულება აუქციონზე შეძენილი უძრავი ქონების ნასყიდობის თაობაზე;

2008 წლის 29 აგვისტოს აუქციონზე შეძენილი უძრავი ქონება საკუთრების უფლებით აღირიცხა ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა «ა. დ-ის» სახელზე;

2008 წლის 5 სექტემბერს ჩატარდა ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა «ა. დ-ის» წევრთა საერთო კრება, რომელზეც განხილულ იქნა ამხანაგობის მონაწილეთათვის მათ მიერ განხორციელებული შენატანების შესაბამისად ბინების საკუთრებაში გადაცემის საკითხი და დადგინდა ამხანაგობის მონაწილეთათვის მათ მიერ განხორციელებული შენატანების შესაბამისად უძრავი ქონების განაწილება და საკუთრებაში აღრიცხვა, კერძოდ, ბინა 141 გადაეცა მოპასუხე მ. ქ-მეს, ხოლო ბინა 156-66 – მოპასუხე დ. ჯ-შვილს;

2008 წლის 30 ოქტომბერს სადავო ბინები საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით აღირიცხა მ. ქ-მისა (ბინა 141) და დ. ჯ-შვილის (ბინა 165-66) სახელზე;

2008 წლის 25 აგვისტოს მოსარჩელებმა განცხადებით მიმართეს ამხანაგობის თავმჯდომარეს ბინის მოსარგებლეთა ამხანაგობაში გაწევრიანების თხოვნით შესაბამისი შენატანის შეტანის სანაცვლოდ ბინების გამოსყიდვის მიზნით;

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს ისანი-სამგორის სამმართველოს პოლიციის მე-6 განყოფილების 2008 წლის 5 დეკემბრის 127/13/8/5-827 წერილის თანახმად, 2008 წლის 24 ოქტომბერს დ. ჯ-შვილმა მიმართა პოლიციას აეროპორტის დასახლების 48-ე კორპუსის (ოჯახური საერთო საცხოვრებელი) 165-66 ბინიდან ნ. ფ-შვილის გამოსახლების განცხადებით, რაც ნ. ფ-შვილის მიერ დაკმაყოფილდა ნებაყოფლობით.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულება (ამხანაგობა) შედგა გამოსახლებული საერთო საცხოვრებლის მაცხოვრებელთაგან, ანუ, პრაქტიკულად, ეს იყო საერთო საცხოვრებლის მობინადრეთა (ბინების მართლზომიერ მფლობელთა, მოსარგებლეთა) ამხანაგობა, რაც დასტურდებოდა ამხანაგობის წევრთა საერთო კრების 2008 წლის 5 სექტემბრის 14 ოქმით, სადაც კრებაზე ამხანაგობის წევრთა დასწრების აღრიცხვა მოხდა საერთო საცხოვრებლის ბინების მაცხოვრებელთა დასწრების მითითებით (საერთო საცხოვრებლის მრავალბინიანი სახლის 67 მაცხოვრებელი) და შესაბამისად, კრების კვორუმიც დადგინდა საერთო საცხოვრებლის მაცხოვრებელთა რაოდენობიდან გამომდინარე (საერთო საცხოვრებელში მცხოვრები მოსახლის 79%-ით), კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქნა საცხოვრებლის 171 ბინაში მცხოვრები ევგენი თავაძე, ხოლო მდივნად – საცხოვრებლის 142 ბინაში მცხოვრები დარეჯან ზარანდია. ამავე ოქმიდან დგინდებოდა, რომ კრება გაიმართა ოჯახური საერთო საცხოვრებლის ტერიტორიაზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საქალაქო სასამართლომ დაასკვნა, რომ მოცემულ შემთხვევაში ამხანაგობის წევრობის განმსაზღვრელი უნდა ყოფილიყო საერთო საცხოვრებლის მობინადრეობა, ანუ საერთო საცხოვრებლის შესაბამისი ფართის მოსარგებლედ (მართლზომიერ მფლობელად) ყოფნა, რაც გამომდინარეობდა ერთობლივი საქმიანობის მიზნიდან (საერთო საცხოვრებლის შესყიდვა საცხოვრებელი ფართით მონაწილეთა დაკმაყოფილების მიზნით).

საქალაქო სასამართლოს მითითებით, ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობა) ხელშეკრულების შესავალი ნაწილიდან დგინდებოდა, რომ დ. ჯ-შვილსა და მ. ქ-მეს სადავო ბინებზე (165/66 და 141) შენატანის განხორციელების ვალდებულება ნაკისრი ჰქონდათ, როგორც აღნიშნული ბინების მაცხოვრებლებს, კერძოდ, საცხოვრებელ ადგილად მითითებული ჰქონდათ: დ. ჯ-შვილს ბინა 165/66 (მოსარჩევე ნ. ფ-შვილის მიერ ორდერის საფუძველზე დაკავებული ბინა), ხოლო მ. ქ-მეს – ბინა 141 (მოსარჩევე ა. ბ-მის მიერ ორდერის საფუძველზე დაკავებული ბინა), რომელთა შესყიდვაც მოხდა მათ მიერ (ხელშეკრულების 1.3 პუნქტი).

იმის გათვალისწინებით, რომ ა. ბ-მე და ნ. ფ-შვილი წარმოადგენდნენ საერთო საცხოვრებლის სადავო ბინების მართლზომიერ მფლობელებს, რომლებიც ბინების მფლობელობას ახორციელებდნენ ფაქტობრი-

ვად, ბინებში შესახლების სათანადო ორდერების სამართლებრივ საფუძველზე, ამასთან, ამხანაგობა «ა. დ. ის» შექმნის მიზანი იყო საერთო საცხოვრებლის მაცხოვრებელთა (ბინების მართლზომიერ მფლობელთა) მიერ ფართით დაკმაყოფილება დაკავებული ბინების შესყიდვის გზით, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ბინების შესასყიდად ამხანაგობაში გაწევრიანებაზე, შესაბამისი შენატანის შეტანასა და სადავო 165-66 და 141 ბინების შესყიდვაზე უფლებამოსილ პირებს წარმოადგენდნენ მოსარჩელები, როგორც აღნიშნული ბინების მაცხოვრებლები, რომლებიც ამხანაგობის შექმნის მომენტისათვის და შემდგომაც ახორციელებდნენ ბინების მართლზომიერ მფლობელობას და რომელთაც უარი არ განუცხადებიათ მითითებული ბინების საკუთრებაში გადაცემის უფლებაზე შესაბამისი გამოსასყიდი თანხის გადახდის სანაცვლოდ.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს დ. ჯ-შვილმა და მ. ქ-მემ, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილებით დ. ჯ-შვილისა და მ. ქ-მის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ა. ბ-მისა და ნ. ფ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მის მიერ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 930-ე მუხლზე, რომლის შესაბამისად, ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულებით ორი ან რამდენიმე პირი კისრულობს, ერთობლივად იმოქმედოს საერთო სამეურნეო ან სხვა მიზნების მისაღწევად ხელშეკრულებით განსაზღვრული საშუალებებით, იურიდიული პირის შეუქმნელად. 932-ე მუხლის შესაბამისად, მონაწილეებმა უნდა შეიტანონ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესატანი. 935-ე მუხლის შესაბამისად, თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს, შემოსავლები მონაწილეებს შორის ნაწილდება მათი წილის შესაბამისად. სააპელაციო სასამართლომ ასევე მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლზე, რომლის შესაბამისად, ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობრივ ნორმებს.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქმეზე უდავოდ დგინდებოდა, რომ მოსარჩელებს ბინის ფლობის უფლება წარმოეშვათ თბილისის აეროპორტის ადმინისტრაციისა და პროვოკომიტეტის გადაწყვეტილების საფუძველზე გაცემული ორდერების საფუძველზე. შესაბამისად, მოსარჩელები წარმოადგენდნენ ბინის მართლზომიერ მფლობელებს. ასევე უდავოდ დგინდებოდა, რომ ამხანაგობის მიზანს წარმოადგენდა აეროპორტის დასახლებაში შპს «ს-ის» საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთისა და მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობის საერთო საცხოვრებლის შესყიდვა და ამხანაგობის მონაწილეთა საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილება. ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების (ამხანაგობა) ყველა მონაწილე (გარდა მ. ქ-მისა) წარმოადგენდა იმ საერთო საცხოვრებლის მობინადრეს, რომლის შესყიდვის მიზნითაც ჩამოყალიბდა აღნიშნული ამხანაგობა.

საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების საფუძველზე სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ერთობლივ საქმიანობაში მონაწილეობის უპირატესი უფლება გააჩნდათ ბინის მართლზომიერ მფლობელებს. ამ უკანასკნელის მიერ უფლების გამოუყენებლობის შემთხვევაში ამხანაგობა არ იყო შეზღუდული, რომ საერთო მიზნის მისაღწევად ამხანაგობაში გაწევრიანებინა სხვა მესამე პირი. ამასთან, გასათვალისწინებელი იყო ის გარემოება, რომ აღნიშნული უფლების რეალიზაცია შეზღუდული იყო დროში, ვინაიდან ამხანაგობას მონაწილეობა უნდა მიეღო შპს «ს-ის» მიერ გამართულ აუქციონში, რომელიც დანიშნული იყო 2008 წლის 19 აგვისტოს.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, კონკრეტულ შემთხვევაში ბინის მართლზომიერი ფლობა არ იყო საკუთრების წარმოშობის განმსაზღვრელი. აღნიშნული უფლება (მართლზომიერი ფლობა) მოსარჩელებს ანიჭებდა ერთობლივ საქმიანობაში მონაწილეობის უპირატეს უფლებას, რომლის რეალიზაცია თავად მათ ნებაზე იყო დამოკიდებული.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა იმ ნაწილში, რომელიც შეეხებოდა ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებაში მონაწილეობაზე ა. ბ-მისა და ნ. ფ-შვილის ერთობლივი უფლების დადგენასა და აღიარებას, საქმის მასალებით არ დასტურდებოდა, რომ მათ მიმართეს ამხანაგობას (წერილობით ან ზეპირად) ერთობლივ საქმიანობაში მონაწილეობის მიზნით, რაზედაც უარი მიიღეს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად აღნიშნული გარემოების მტკიცების ტვირთი ეკისრებოდა მოსარჩელეს. მოცემულ შემთხვევაში, დგინდებოდა, რომ მოსარჩელებმა მხოლოდ მას შემდეგ მიმართეს ამხანაგობას, რაც ამხანაგობამ აღნიშნული ქონება გამოისყიდა, კერძოდ, აუქციონი შედგა 2008 წლის 19 აგვისტოს, ხოლო მოსარჩელებმა ამხანაგობას მიმართეს 2008 წლის 25 აგვისტოს.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სადავო ბინებზე საკუთრების უფლება წარმოეშვათ მოპასუხეებს, როგორც ერთობლივი საქმიანობაში მონაწილეებს, აუქციონში გამარჯვების შედეგად და ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე. მოსარჩელებს, რომლებმაც არ გამოიყენეს უპირატესი უფლება და არ მიი-

დეს მონაწილეობა აუქციონში, ისევე ვერ ექნებოდათ მათ მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ბინებზე საკუთრების პრეტენზია, როგორც ვერ ექნებოდათ იმ შემთხვევაში, თუ ქონებას აუქციონზე შეიძენდა სხვა მესამე პირი და არა კონკრეტული ამხანაგობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ა. ბ-ძისა და ნ. ფ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილებას არ ექვემდებარებოდა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ა. ბ-ძემ და ნ. ფ-შვილმა, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

კასატორები არ იზიარებენ სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმის შესახებ, რომ სადავო შემთხვევაში ბინის მართლზომიერი ფლობა არ არის მასზე საკუთრების წარმოშობის საფუძველი, რამდენადაც საქმეზე დადგენილად იქნა მიჩნეული ის ფაქტობრივი გარემოება, რომ ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა «ა. დ-ა» შეიქმნა საერთო საცხოვრებლის მოზინადრეთა მიერ, მათ მართლზომიერ სარგებლობაში არსებული ბინების გამოსყიდვის მიზნით.

კასატორები ასევე მცდარად მიიჩნევენ სააპელაციო სასამართლოს დასკვნას მოსარჩელების მიერ თავიანთ სარგებლობაში არსებული ფართის შესყიდვაზე უპირატესი უფლების გამოუყენებლობასთან დაკავშირებით და აღნიშნავენ, რომ საქმის მასალების თანახმად, მათ 2008 წლის 25 აგვისტოს ამხანაგობაში გაწევრიანებისა და გამოსყიდვის უფლების მინიჭების თხოვნით შესაბამისი განცხადებებით მიმართეს ამხანაგობა «ა. დ-ის» თავმჯდომარეს. კასატორთა აზრით, ასეთ ვითარებაში იმის აღნიშვნა, რომ მოსარჩელებმა არ გამოიყენეს უპირატესი შესყიდვის უფლება, არამართებულია.

კასატორთა მოსაზრებით, ასევე გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ამხანაგობის შექმნა, კრებების ნაჩქარევად ჩატარება, ასევე ნაჩქარევად გამართული აუქციონი ემთხვევა რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომს, რომლის მონაწილეა ა. ბ-ძე. იგი სამხედრო მფრინავია. ნ. ფ-შვილს კი ამ პერიოდში ფეხი ჰქონდა მოტეხილი. აღნიშნული ფაქტები დაფიქსირებულია სხდომის ოქმებში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე დადგენილია:

თბილისის აეროპორტის ადმინისტრაციისა და პროფკომიტეტის 1993 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილების საფუძველზე ნ. ფ-შვილსა და მისი ოჯახის წევრებზე გაიცა ორდერი 1210 საერთო საცხოვრებლის 165-66 ოთახზე, ხოლო 1993 წლის 4 აგვისტოს ა. ბ-ძეზე გაიცა ორდერი 1199 საერთო საცხოვრებლის 141 ოთახზე;

აღნიშნული საერთო საცხოვრებელი შემდგომ გადაეცა შპს «ს-ას»;

ნ. ფ-შვილი და ა. ბ-ძე 2008 წლის მდგომარეობით უხდიდნენ კომუნალურ გადასახადებს (ელექტროენერჯის გადასახადი, ბინის ქირა, სააბონენტო გადასახადები) შპს «ს-ას»;

2008 წლის 14 ივლისს დაიდო ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულება, რომლის მიზანს წარმოადგენდა აეროპორტის დასახლებაში შპს «ს-ის» საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, მათ შორის, საერთო საცხოვრებლის შენობა-ნაგებობის შესყიდვა ამხანაგობის მონაწილეთა ფართით დაკმაყოფილების მიზნით;

მოპასუხე დ. ჯ-შვილმა, როგორც ამხანაგობის წევრმა, იკისრა ერთობლივი საქმიანობაში 6 120 ლარის შეტანის ვალდებულება 165-66 ბინით დაკმაყოფილების მიზნით, ხოლო მოპასუხე მ. ქ-ძემ – 4 896 ლარის შეტანის ვალდებულება 141 ბინით დაკმაყოფილების მიზნით;

2008 წლის 19 აგვისტოს ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა «ა. დ-ამ» მონაწილეობა მიიღო და გაიმარჯვა შპს «ს-ის» მიერ თბილისში, აეროპორტის დასახლებაში 869 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე მდგომი შენობა-ნაგებობების რეალიზების მიზნით ჩატარებულ აუქციონში;

2008 წლის 25 აგვისტოს მოსარჩელებმა განცხადებით მიმართეს ამხანაგობის თავმჯდომარეს ამხანაგობაში გაწევრიანების თხოვნით შესაბამისი შენატანის შეტანის სანაცვლოდ ბინების გამოსყიდვის მიზნით;

2008 წლის 27 აგვისტოს ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა «ა. დ-ასა» და შპს «ს-ას» შორის გაფორმდა ხელშეკრულება აუქციონზე შეძენილი უძრავი ქონების ნასყიდობის თაობაზე;

2008 წლის 29 აგვისტოს აუქციონზე შეძენილი უძრავი ქონება საკუთრების უფლებით აღირიცხა ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა «ა. დ-ის» სახელზე;

2008 წლის 5 სექტემბერს ჩატარდა ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა «ა. დ-ის» წევრთა საერთო კრება, რომელზეც განხილულ იქნა ამხანაგობის მონაწილეთათვის ბინების საკუთრებაში გადაცემის საკითხი და დადგინდა ამხანაგობის მონაწილეთათვის მათ მიერ განხორციელებული შენატანების შესაბამისად უძრავი ქონების განაწილება და საკუთრებაში აღრიცხვა, სადავო ბინა 141 გადაეცა მოპასუხე მ. ქ-ძეს, ხოლო ბინა 156-66 – მოპასუხე დ. ჯ-შვილს;

2008 წლის 30 ოქტომბერს სადავო ბინები საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით აღირიცხა მ. ქ-მისა (ბინა 141) და დ. ჯ-შვილის (ბინა 165-66) სახელზე;

ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობის ყველა მონაწილე, გარდა მ. ქ-მისა, არის იმ საერთო საცხოვრებლის მობინადრე, რომლის შესყიდვის მიზნითაც ჩამოყალიბდა ამხანაგობა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არ არის სრულყოფილად დასაბუთებული და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის საფუძველზე არსებობს გადაწყვეტილების გაუქმების საპროცესო საფუძველი.

სააპელაციო სასამართლომ, ერთი მხრივ, დადგინდად მიიჩნია, რომ მოსარჩელებს სამართლებრივი საფუძველით ჰქონდათ მოპოვებული საერთო საცხოვრებლის სადავო ბინებზე უფლება და წარმოადგენდნენ მართლზომიერ მფლობელებს. სააპელაციო სასამართლომ, აქედან გამომდინარე, უდავოდ დადგინდად მიიჩნია, რომ მოსარჩელებს ჰქონდათ ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობაში მონაწილეობის უფლება. მეორე მხრივ, სააპელაციო სასამართლომ დადგინდად მიიჩნია, რომ მოსარჩელებმა ერთობლივ საქმიანობაში მონაწილეობის თავიანთი უდავო უფლება ნებაყოფლობით არ გამოიყენეს და საქმის მასალებით არ დასტურდება, რომ მათ განცხადებებით მიმართეს ამხანაგობას მასში გაწევრიანების მოთხოვნით. სააპელაციო სასამართლომ ამასთან დაკავშირებით არ დაადგინა, იყვნენ თუ არა მოსარჩელები ინფორმირებული ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობის შექმნის თაობაზე და შეეძლოთ თუ ერთობლივ საქმიანობაში მონაწილეობის მიღება, განაცხადეს თუ არა უარი მათ მფლობელობაში არსებული ბინების შეძენაზე და საქმეში არსებული რომელი მტკიცებულებით დასტურდება აღნიშნული გარემოებები. სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ, რამდენადაც მოსარჩელები ცხოვრობდნენ სადავო ბინებში, მათთვის ცნობილი იყო ამხანაგობის საქმიანობის შესახებ, რასაც საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს. მართლმდებარე საერთო საცხოვრებლის მობინადრეობა არ ნიშნავს, რომ მოსარჩელებს სარწმუნოდ უნდა სცოდნოდათ საერთო საქმიანობის ამხანაგობის შექმნის კონკრეტული საკითხების შესახებ. ამასთან, მოცემულ შემთხვევაში დავა ეხება მართლზომიერ მფლობელობაში არსებული უძრავი ქონების განკარგვას, ამიტომ საქმეზე უტყუარად უნდა დგინდებოდეს, რომ მართლზომიერი მფლობელი ინფორმირებული იყო ამის თაობაზე და უარს აცხადებდა უძრავი ნივთის გამოსყიდვაზე, რის შედეგადაც შესაძლებელი იყო მათზე გამოყოფილი ბინების გამოსასყიდად მესამე პირების მოწვევა.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, ასევე არ არის სარწმუნოდ დასაბუთებული სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომ ბინების მართლზომიერი მფლობელობა არ იყო საკუთრებაში ამ ბინების მიღების განმსაზღვრელი. სამოქალაქო კოდექსის 930-ე მუხლის თანახმად, ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულების ძირითადი ნიშანია საერთო მიზნის არსებობა, რომლის მისაღწევადაც ამხანაგობა იქმნება. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ამხანაგობის შექმნის მიზანი იყო საერთო საცხოვრებლის შესყიდვა და ამხანაგობის მონაწილეთა ფართით დაკმაყოფილება, მაგრამ სააპელაციო სასამართლოს არ დაუდგენია, თუ რომელი პირების ფართით დაკმაყოფილება იყო ამხანაგობის შექმნის მიზანი – უშუალოდ საერთო საცხოვრებლის მობინადრეთა თუ ნებისმიერ მესამე პირთა. აღნიშნულთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ არ გამოიკვლია ამხანაგობის ხელშეკრულება, ასევე არ მისცა შეფასება იმ გარემოებას, რომ ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობის ყველა მონაწილე წარმოადგენდა საერთო საცხოვრებლის მობინადრეს, გარდა მ. ქ-მისა. სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოარკვეოს ზემოაღნიშნული საკითხები და აღნიშნულის გათვალისწინებით შეაფასოს, შეესაბამებოდა თუ არა დ. ჯ-შვილისა და მ. ქ-მის ამხანაგობაში გაწევრიანება ამხანაგობის შექმნის მიზანს.

საქმის ხელახალი განხილვისას სააპელაციო სასამართლომ უნდა დაადგინოს ზემოაღნიშნული გარემოებები და გამოიტანოს დასაბუთებული გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

ა. ბ-მისა და ნ. ფ-შვილის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს; გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს; საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.